

ISSN—0132—6066



საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

675-7
1990

ენისა
და
ლიტერატურის
სერია

4 . 1990

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“,
ენისა და ლიტერატურის სერია, 1990, № 4

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

Известия Академии наук Грузии



ენისა და ლიტერატურის
სერია

СЕРИЯ
ЯЗЫКА И ЛИТЕРАТУРЫ



თბილისი
ТБИЛИСИ

4. 1990

ქურნალი დაარსებულია 1971 წელს, გამოდის 3 თვეში ერთხელ
Журнал основан в 1971 году, выходит раз в 3 месяца

სარედაქციო კოლეგია: გ. ციციშვილი (რედაქტორი),
ზ. ალექსიძე, თ. გამყრელიძე, ა. გვახარია (რედაქტორის მოადგილე),
ვ. თოფურია, ს. ცაიშვილი, ბ. ჯორბენაძე (რედაქტორის მოადგილე)

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლლონტი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Цицишвили Г. Ш. (редактор),
Алексидзе З. Н., Гамкрелидзе Т. В., Гвахария А. А. (зам. редактора),
Джорбенадзе В. А. (зам. редактора), Топурия Г. В., Цайшвили С. С.

Ответственный секретарь Г. А. Глonti

© „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია
1990, № 4

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19, ტელ. 37-24-07
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19, телефон 37-24-07

გადაეცა წარმოებას 2.XI.90; ხელმოწერილია დისაბეჭდად 24.XII.90;
ანაწყობის ზომა 7×12³/₄; ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆; მაღალი ბეჭედა;
პირ. ნაბეჭდი თაბახი 14.0; საალრიცხო-საგამომცემლო თაბახი 14.08;

ტირაჟი 1500;

შეკვეთა 2720;

ფასი 1 მან. 20 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузии, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შინაარსი

წერილები

აკაკი წერეთლის დაბადების 150 წლისთავი

მ. ვაშაყმაძე, აკაკი წერეთელი	5
თ. ნუცუბიძე, აკაკი წერეთლის ერთი პერსონაჟის შექსპირული გენეზისი	19
ე. ზარდიაშვილი, აკაკი წერეთლის „ლამურას“ შემოქმედებითი ისტორია და ტექსტოლოგიური ანალიზი	23
მ. ფერაძე, ვასილ ბარნოვის ისტორიული რომანის „მიმკრალი შარავანდღის“ იდეურ-ესთეტიკური საფუძველი	31
მ. მარსაჯიშვილი, თამარ მეფის მემკვიდრეთა და შოთა რუსთაველის მიმართე-ბისათვის	36
ი. ანთაძე, „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული დრო-სივრცის სტრუქტურული ფუნქციო-ნირების ზოგიერთი საკითხი	43
ნ. კირთაძე, ჯადოსნური ზღაპრის გმირი	54
ე. დაღუენაშვილი, პოეტური პაექრობის ძირითადი ფორმები ქართულ ფოლკლორში	62
ნ. ანანიაშვილი, საქართველოს რუსულენოვანი ჟურნალისტიკის სისტემისათვის 1900—1917 წწ.	77
თ. მღებრიშვილი, ა. ს. პუშკინის „მცირე ტრაგედიების“ ქართულად თარგმნის ისტორიიდან	85
მ. რაფაევა, ეფრემ მცირის „უწყებამ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა“ და „სა-დღესასწაულო წიგნი“	98
თ. ბაკაშვილი, „მაკრინას ცხოვრების“ ენერული განსაზღვრისათვის	112
ლ. რუხაძე, რამდენიმე თურქული ნასესხობისათვის ქართულ სალიტერატურო ენაში	121
თ. შურღაია, სპარსული ანდაზები	126
თ. ვაშაკიძე, აღწერითი ვნებითის ფორმათა გამოყენებისათვის ახალ ქართულში	135
დ. ციციქოშვილი, ვ. პუმპოლდტისა და დ. უზნაძის ენის შინა-ფორმის კონცეფ-ციათა დამოკიდებულებისათვის	139
რ. ბაბლუანი, რთვა-ქსოვის ლექსიკის შესწავლისათვის სევანურში	145

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ლ. მენაბდე, სოლიდური მონოგრაფია ვახტანგ მეექვსის პოეზიის შესახებ	157
ახალი წიგნები	160

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

СОДЕРЖАНИЕ

Статьи

К 150-летию со дня рождения Акакия Церетели

Ш. Н. Вашакмадзе, Акакий Церетели	5
Т. Ш. Нуцубидзе, Шекспировский генезис одного из персонажей А. Церетели	19
Э. А. Зардиашвили, Творческая история и текстологический анализ стихотворения А. Церетели «Летучая мышь»	23
М. Г. Перадзе, Идеино-эстетическое основание исторического романа Василия Барнова «Мимкрალი шаравандеди»	31
М. В. Марсагишвили. К сопоставлению летописцев царицы Тамар и Шота Руставели	36
И. З. Антадзе, Несколько аспектов структурного функционирования художественного времени и пространства в поэме Ш. Руставели «Витязь в барсовой шкуре»	43
Н. Э. Киртадзе, Герой волшебной сказки	54
Э. Г. Дадунашвили, Основные формы поэтического прения в грузинском фольклоре	62
Н. А. Ананишвили, К системе русскоязычной журналистики в Грузии 1900—1917 гг.	77
Т. Г. Мгебришвили, Из истории перевода на грузинский язык «Маленьких трагедий» А. С. Пушкина	85
М. А. Рапава, «Повествование об обращении грузин» Ефрема Мцире и «Праздничная книга»	98
Т. В. Баакашвили, К определению жанровой специфики сочинения Григория Нисского «Житие Макрины»	112
Л. И. Рухадзе, О нескольких турецких заимствованиях в грузинском языке	121
Т. И. Шургая, Персидские пословицы и поговорки	126
Т. В. Вашакидзе, Об использовании описательного страдательного залога в новогрузинском языке	135
Д. Г. Цицкишвили, О взаимоотношения концепций внутренней формы языка В. Гумбольдта и Д. Узнадзе	139
Р. А. Баблуани, Изучение лексики, связанной с понятиями прядения и вязания в сванском языке	145

Критика и библиография

Л. В. Менабде, Сolidная монография о поэзии Вахтанга VI	157
Новые книги	160

აპაკი წერეთლის დაბადების 150 წლისთავი

აპაკი წერეთელი

განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშეებმა — ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა ახალი ერა შექმნეს ქართული მწერლობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში.

აკაკისათვის ქართველ ერს „პირუთენელის სიტყვით გამოუცხადებია თავისი მადლობა და პატივისცემა ვინც ტყბილის და გრძნობიერის სიტყვით ატკობდა ქართველის ყურს, აფხიზლებდა გონებას და ჰმართავდა ქართველის გულს ქართველისა და საქართველოს სიყვარულისათვის. ამ სიყვარულის აღორძინებისათვის თითონ აკაკი წერეთელს არაერთხელ დაუკენესებია თავისი ტყბილი ქნარი, უმოქმედებია თავისი მიმზიდველი ნიჭიერება, თავისი მარლიანი სიტყვა, თავისი სიტურფით სავეს ქართული... აკაკის სამსახურს და ღვაწლს ქართველი გულში ჩაირჩენს სამუდამო სახსოვრად“ (ი. ჭავჭავაძე, „ივერია“, 1882, სექტემბერი).

აკაკისა და ილიას ლიტერატურული მემკვიდრეობა ქართველი ხალხის სულიერ მისწრაფებათა და გულისნადების გამომნატველია. მათ ერთად ზიდეს ერის ცხოვრების მძიმე ტვირთი. საქართველოს ისტორია, მისი ხალხის გამირული წარსული და უძველესი ქართული დამწერლობა ასაზრდოებდა აკაკი წერეთლის პოეტურ აზროვნებას. შემთხვევითი არ არის, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტმა ჭაბუკმა, აკაკიმ, თავისი მომავლი ცხოვრების არჩევანი ეროვნული ლიტერატურის შესწავლაში დაინახა და სადიპლომო შრომად შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ აირჩია. რუსთაველის გენია და ქართველი ხალხის ზეპირსიტყვიერების სახალხო გამირები, განსაკუთრებით ამირანი, აკაკის ცნობიერებაში აღიბეჭდა, როგორც ქართველი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლის სიმბოლო.

მაგრამ აკაკი წერეთლის პოლიტიკური მრწამსის ჩამოყალიბებაზე უთუოდ დიდი გავლენა იქონია ბავშვობისა და მოწაფეობის ხანამ, სხვიტორსა და სავანეში ბატონებისა და მშრომელი ხალხის წრეში გატარებულმა ბავშვობამ უდიდესი გავლენა მოახდინა მომავალი პოეტის ფიზიკურ და გონებრივ განვითარებაზე. „თუკი რამ დარჩა ჩემში კარგი და კეთილი, — იგონებს აკაკი, — იმის წყალობით, რომ მე სოფელში ვიყავი გაბარებული და გლეხების შვილებთან ერთად ვიზრდებოდი“¹.

გლეხთა დუხჭირი ცხოვრების გაცნობა, ბავშვობის წლებში მიღებული წარუშლელი შთაბეჭდილებები — შემოქმედების უშრეტი წყარო იყო აკაკისათვის. ასე რომ, ახალგაზრდა პოეტის სულიერი ჩამოყალიბების ადრეული წლები არანაკლებ ნაყოფიერი აღმოჩნდა მისთვის, ვიდრე შემდეგი პერიოდის სწავლა-განათლება. გვიან, „ჩემ თავგადასავალში“, აკაკი საჯანგებოდ აღწერს მისთვის დაუვიწყარ ბავშვობის უზრუნველი ცხოვრების ამ წლებს, მისი ხალხის ცხოვრების წეს-ჩვეულებებს, თამაშობებს, რომელშიც თავისი ხალხის ბედ-იღბალი ამოკითხა. ბავშვური გართობის — „ქორობიას“ შესახებ აკაკი აღნიშნავდა,

¹ აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. VII, თბ., 1958, გვ. 57. (ტექსტში მითითებული იქნება ეს გამოცემები).

რომ ამ თამაშის შინაარსი „ძალიან მაკონებს ჩვენი ქვეყნის ბედს. ჩვენი ცხოვრება, ჩვენი ისტორია სწორედ ქორობიას წარმოადგენდა: საქართველო იყო სიცოცხლე გამწარებული და სხვა მისი კუთხეები — წიწილები... შტრენ... იტაცებდნენ ხან ერთ მხარესა და ხან მეორეს, მაგრამ საბოლოოდ კი საქართველო მაინც იბრუნებდა ხოლმე დაკარგულ მხარეს და გაერთიანებული, ფერხულაბამული წრე ბოლოს იქნებდა ძლიერად. მაშინ მე ეს არ მესმოდა, რასაკვირველია, მაგრამ გულზე კი რაღაც უნებურად მკებნდა და მეჯავრებოდა ქორობია“ (VII, გვ. 17).

სამართლიანი სოციალური წყობის დამყარების აუცილებლობა ბავშვობის წლებშივე აღიქვა მომავალმა პოეტმა. ამ რწმენით შედის იგი ქუთაისის გიმნაზიაში. აქ გატარებულმა წლებმა კიდევ უფრო განუმტკიცა ჭაბუკ პოეტს პროტესტის გრძნობა. წყევლა-კრულვით იგონებს აკაკი გიმნაზიაში გატარებულ წლებს. სწავლა-განათლების უხეში სისტემა, სწავლების მწვალებლური მეთოდი, მშობლიურ ენაზე მეტყველების აკრძალვა, რუსიფიკატორული პოლიტიკის მძვინვარება იწვევდა მოსწავლეთა და მოწინავე საზოგადოების უკმაყოფილებას. ამ პერიოდს აკაკი უწოდებს „მტანჯავს, დამჩაგვრელსა და გამაუკუღმართებელს“. აკაკი უკმაყოფილოა გონებაჩლუნგი მოსწავლელების, მაგრამ სამაგიეროდ მათში აღმოჩნდა პოლიტიკურად „არასაიმედო“ გადმოსახლებული მოსწავლელები — კაზიმირ როდზევიჩი და მუსიე ტურესი. საშინელი რეჟიმის პირობებში მყოფი ახალგაზრდები, — წერდა აკაკი, — „ვერას გამოიტანდა ბევრს გიმნაზიიდან, რომ ამ საზარელ ბნელში ერთი ნათელიც არ გამოგვჩენოდა. ის იყო პოლონელი როდზევიჩი“ (VII, გვ. 74).

კაზიმირ როდზევიჩის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის აგრეთვე ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის უმცროსი კლასის მოსწავლე ნიკო ნიკოლაძე. „კანონებისა და მათემატიკის მოსწავლეობებზე იყვნენ გადმოსახლებული პოლონელები კანოვსკი და როდზევიჩი. ორივე გატაცებული თავისუფალი მოზროვნე... მათი გაკვეთილები... რევოლუციის ნამდვილ ქადაგებას წარმოადგენდა“².

ქუთაისის პერიოდში 18 წლის ჭაბუკი პოეტი, სავსებით გაცნობიერებულია თავისი დროის მოწინავე იდეალებით: მას კარგად ესმის სოციალური უკუღმართობა და მჩაგვრელთა კოლონიური პოლიტიკის უნიადაგობა. მის გულში ინასკეება სამშობლოს გათავისუფლების იდეა. თარგმნის მ. ლერმონტოვის „რტო პალესტინისა“ და თავის სხვა ლექსებთან ერთად უგზავნის „ცისკრის“ რედაქციას. ესენია: „ჩემს ვენერას“, „პ. წ(-ისას)“.

გიმნაზიის წლებში გავლევებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეალებისადმი მისწრაფება ნათლად ჩანს ავტობიოგრაფიული ხასიათის ლექსში „ჩემი თავგადასავალი“:

...ერთი ხმა მკლავდა მხოლოდ მე
და მისივებდა ის გულსა,
რომ ჩემს სამშობლოს ვხედავდი
სხვებისგან დამონებულსა (III, გვ. 457).

პეტერბურგში გამგზავრების წინ, 1859 წლის მარტში აკაკი ქმნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მნიშვნელობისა და სოციალური უღერადობის ალეგორიული ხასიათის ნაწარმოებს „ნავი“. ლექსის შინაარსი ქართველი ხალხის ისტორიის უმნიშვნელოვანეს მომენტს — რუსეთ-საქართველოს შეერთების

² ნიკოლაძე ნ., ჩვეული ნაწერები, ტ. I, ტფ., 1930, გვ. 88—89.



აქტუალურ პრობლემას ეხმაურება. პოეტის ალევგორიული თქმით, დიდმა რუსეთმა დაღუპვის პირას მდგარი საქართველო შეიფარა, თავისი მზრუნველ კალთა გადააფარა. მაგრამ გარეშე მტრებისაგან მოსვენებული ერი თვითმპყრობელობის პირობებში მაინც არ არის თავისუფალი და ბედნიერი, ვინაიდან თვითონ მისი მფარველი მთავრობა „მას თავზე აყრის მტვერსა და ნავაგს“.

თბილისიდან ოდესის გავლით ჩავიდა პეტერბურგში აკაკი. პეტერბურგელ ქართველ სტუდენტებთან ურთიერთობამ, ხშირმა შეხვედრებმა ქართველ სათვისტომოს მეთაურ ილია ჭავჭავაძესთან, რომლის ლექსებსაც აკაკი მანამდე იცნობდა, უდიდესი გავლენა მოახდინეს ჭაბუკ აკაკიზე. ახლა მან სხვანაირად გაიაზრა სამშობლოს სამსახური. „მაშინდელი სტუდენტობა სულ სხვანაირი იყო, — იგონებს აკაკი, — საზოგადოდ და ქართველებსაც მათთან ერთად სხვა ფერი ედვა... მეც მათთან სტუმრობამ მალე გადამივდო გულიდან სამხედრო სურვილები და ძალაუნებურად მათ წრეში ამოვყავი თავი“ (VII, გვ. 90).

აკაკის ჭაბუკური ოცნებით ნაგები კოშკები სამხედრო კარიერის მოპოვებაზე იმსხვრევა და იგი მთელი არსებით სტუდენტურ ცხოვრებას ეძლევა. მეცნიერება და მწერლობა გახდა აკაკისათვის ის იარაღი, რომლითაც სამშობლოს წყლულებს მოხანდა, ტკივილებს შეუმსუბუქებდა.

პეტერბურგში ჩასული ჭაბუკი პოეტის სულში მომხდარი გარდატეხა ჩანს დედისადმი უფაქიზესი გრძნობით მიწერილ პირველ წერილშივე (1859 წ. ივნისი). სწავლა, განათლება, მეცნიერება, მამულის სამსახური აკაკის ადამიანის სულის აღზრდის უპირველეს საშუალებად მიაჩნია. აკაკი გულახდილად უხსნის დედას, რომ სწავლობს ფრანგულს, თათრულს, სომხურს, თურქულს. სახლიდან გაგზავნილი ხუთას-ექვსასი მანეთი მინიმუმადაც არ ყოფნის კერძო გაკვეთილებს და აქაურ სხვა ხარჯებს, მაშინ როცა უარს ვამბობ თეატრსა და სხვა გასართობებზეო: „რა უყოთ, ამათ ყოლიფერს მოესწრება კაცი და სწავლას კი ვეღარ. მადედეგან რომ აქ წამოვიდეს კაცი და ვერა ისწავლოს რა, ცოდვა არ არის? სწავლა იმას არა ჰქვიან, ორიოდე ტყვიანი ისწავლოს კაცმა, არა, სწავლა სულ სხვა არის. დიდად ვწუხვარ, ღ-მან იცის, ამდენ ხარჯსა, მაგრამ ესეც მანუგეშებს, რომ ვხედავ ისეთი დრო მოდის, რომ საჭირო არ არის კაცს დარჩეს მამისაგან სიმდიდრე და ამისთანები, და არც ჩინი შეადგენს ბედნიერებას და თუ შეადგენდა აქამდეს, ის დრო მალე წაბრძანდებდა, მხოლოდ საჭირო ყოფილა კაცისათვის ერთი მხოლოდ სწავლა, სწავლა ნამდვილი, რომელიც კაცს დაუახლოებს ღმერთს, აყენებს კეთილს ხასიათზედ და აცნობებს თუ რა დანიშნულებით არის კაცი შექმნილი. მაშ ამას რაღა სიმდიდრე და ხარისხი აჯობებს, თქვენც იფიქრეთ? ამ ოთხ წელიწადს მე გვატარებ მღვთით, კეთილად, მხოლოდ თქვენი მშვიდობა თუ მესმა, მეტი ბედნიერება საჭირო არა იქნება რა“ (XV, გვ. 12).

აკაკის გონებრივ სიმწიფეზე და სწორ პოლიტიკურ მსოფლმხედველობაზე მიუთითებს, წერილში გამოთქმული მოსაზრებები ეპოქისათვის საჭირო მამულიშვილის აღზრდის თაობაზე, რომ ნამდვილი სწავლა-განათლების საშუალებით უახლოვდება ადამიანი უმაღლესი ესთეტიკური ფენომენის — ღმერთის აღქმას, უკეთ შეიცნობს თავის თავს და ადგილს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, „რა დანიშნულებით არის კაცი შექმნილი“ და სხვ.

აკაკის ამ ფილოსოფიურ განსჯაში ჩვენ ვხედავთ ერთი ეპოქის ორი დიდი ქართველი მოაზროვნის — ილიასა და აკაკის — ფიქრთა თანაზიარობას. განა ასეთი თრთოლვით არ წერდა ილია ჭავჭავაძე ქართველი კაცის მიერ 60-იან წლებში „რუსეთში გატარებულ ოთხი წლის“ მნიშვნელობაზე? „იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია? პირველი, რომ მთელი საუკუ-

ნეა მისთვის, ვინც თავის ქვეყანას მოშორებია. მეორე, ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვის ხიდი და სინათლის შუა ბედისაგან გაღებულნი. მაგრამ ყველასათვის კი არა, მარტო იმისათვის, ვინც რუსეთში წასულა, რათა ჰქუა ავარჯიშოს... ოო, ძვირფასო ოთხო წელიწადო! ნეტავი იმას, ვისაც შენგან გაღებულნი ბეწვის ხიდი ფეხთა-ქვეშ არ ჩასწყდომია, ნეტავი იმას, ვინც შენ რიგიანად მოგიხმარა³.

აკაკის ზემოთ დასახელებული წერილი და ილიას „მგზავრის წერილებიდან“ მოყვანილი ადგილი არსებითად ერთმანეთს ავსებს და მომავალი ცხოვრებისათვის საჭირო პერსპექტივებს სახავს. აქ ნათლად ჩანს მომავლისათვის საჭირო მკვეთრად ჩამოყალიბებული პოლიტიკური კონცეფცია, რომელთა ვაშლა-ვაფართობებამ ბრწყინვალე გამოხატულება პოვა საქართველოს XIX საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიურ ბრძოლებში.

სამოციანი წლებისათვის პეტერბურგის უნივერსიტეტში, აკაკის თქმით, ოცდაათზე მეტი ქართველი სტუდენტი სწავლობდა. ესენი იყვნენ შემდგომში ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მესვეურები და აქტიური მონაწილეები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე, ბესარიონ და ნიკო ლოღობერიძეები, ლუკა ისარლიშვილი, ვახტანგ თულაშვილი, გიორგი ჭავჭავიშვილი, დავით აბდუშელიშვილი, გიორგი მესხი და სხვა.

პეტერბურგის რევოლუციურმა გარემომ ახალი იმედებით აღჭურვა აკაკის თავისუფლებისმოყვარე სული, ახალი ეპოქის განმათავისუფლებელ იდეალებს აზიარა ჭაბუკი პოეტის ოცნება. მახვილი გონების ჭაბუკმა მალე აუღო ალღო ეპოქის რევოლუციურ მოვლენებს, რუსეთში მიმდინარე პოლიტიკურ სიტუაციებს.

აი, როგორ ახასიათებს აკაკი რუსეთის სამოციანი წლების ეპოქის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მიმდინარეობას: „ყირიმის ომმა თვალი გამოახელინა რუსეთს. პეტრე დიდისაგან გამოჭრილი სარკმელი მაშინ აიხადა და, როგორც იქნა, ძალაუნებურად შემოაშუქა განათლებამ ბნელეთში. თუ პარიზის ტრაქტატს არა, ბატონყმობა, ეგებ, დღესაც არ ყოფილიყოს გადავარდნილი რუსეთში. იმ დროს, ესე იგი მესამოცე წლებში, იტალია და უნგრეთი სცდილობდნენ განთავისუფლებას და ებრძოდნენ ავსტრიას. გარიბალდი, მაძინი და კოშუტი გაუხდათ ყველა შეგნებულ მამულიშვილებს იდეალად“. აკაკის თქმით, რუსეთში „დააგდო ძველი გზა და დაადგა ახალს“ (VII, გვ. 91).

აკაკის სწამს, რომ ერთა ძმურმა კავშირმა უნდა მოუტანოს ხალხებს უკეთესი მომავალი. ეს აზრია გატარებული 1859 წელს პეტერბურგში დაწერილ აკაკის ლექსში „ქართლის საღამო“.

აკაკი წერეთელი, ილიას მსგავსად, უსურვებდა სამშობლოს გამოღვიძებულყო, „ქართული ბუნების“ გამირულ სულს „დაღონება“ და „შიში“ არ შეეფერებოდა:

აღსდევ მამაცად და გაიმართე,
თუ რომ იშრომებ, გზები გაქვს ფართე!
ცეცხლის გემები, რკინისა გზები
და ტელეგრაფი თამამად მართე!
როგორ შეპფერის შენსა ბუნებას,
ისე აძლევდე შრომასა ნებას,
ხარბის თვალითა მიიტაცებდე
და ავრცელებდე მანდ განათლებას (I, გვ. 70).

³ ილია ჭავჭავაძე, თხზ. სრული კრებული ათ ტომად, ტ. II, თბ., 1950, გვ. 10.



აკაკი წერეთელი მთელი სიცოცხლის მანძილზე ეროვნული და სოციალურ-რევოლუციონერული ბრძოლისათვის იყო შემართული. ამ დიად საქმეში მას ყოველთვის გზას უნდა უხედავად მიჰყოლოდა საქართველოს წარსული და პეტერბურგის რევოლუციური წლების გამოცდილება. „ქართველმა სტუდენტობამ რომ ფეხი აიდგა, — იგონებს მოხუცე აკაკი, — თავი პირველად პეტერბურგში ამოჰყო. იმ გუნდში მეც ვერეი, ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე და იმედებით აღფრთოვანებული. მას აქეთ ნახევარი საუკუნეა, მაგრამ ჰოი საკვირველება, როგორც მაშინ, ახალგაზრდობის დროს, დღესაც კიდევ, ამ მოხუცებულობის დროს, ისევ ისე მიცემს გული მამულას ბედზე“ (IV, გვ. 346).

ილია ჭავჭავაძის თქმით, აკაკი წერეთლის შემოქმედება წარმოადგენს უნიკალურ ნიმუშს, ხელიხელ საგოგმანებელ მარგალიტს, სადაც აზრი და სიტყვა სოცარი ორგანული კავშირითაა ერთმანეთთან გადაჯაჭვული.

მგოსანი თავისი შემოქმედებით პატიოსნად ემსახურება საქართველოს ნაციონალურ-რევოლუციური განთავისუფლების საქმეს. აკაკის მთელი შემოქმედება ობიექტურად თვითმპყრობელობის წინააღმდეგაა მიმართული, რომელსაც იგი „დედინაცვალს“, „იუდას“, „გველეშაპს“, „ეკალს“, „ფარისეველს“ უწოდებდა. ცარიზმის წინააღმდეგ პოლიტიკური ბრძოლის ქადაგება უაღრესად პროგრესული, რევოლუციური მოვლენა იყო. ამიტომ აკაკი სასტიკად ილაშქრებდა ერის თავისუფლების დამახინჯებული, ეროვნულობის მოშლის კოსმოპოლიტიური გაგების წინააღმდეგ. პოეტის გაგებით, კაცობრიობის განვითარების ნორმალური დინება კი არ მოშლის ეროვნულობას, პირიქით, საკაცობრიო კულტურა სხვადასხვა ეროვნების მონაწილეობით გამდიდრდება.

მწერლის ღირსებად აკაკი წერეთელს მიაჩნდა ისეთი ნაწარმოებების შექმნა, სადაც ჰუმანიზმი, ხალხთა ძმობა, სხვადასხვა ეროვნებათა ძმური კავშირის იდეალების ქადაგება იქნებოდა. აკაკის თქმით, ლიტერატურა, რომელიც მოკლებულია ეროვნულ ნიადაგს, კარგავს თავის დანიშნულებას, ვინაიდან ეროვნული, პატრიოტული შინაარსი თავისთავში მსოფლიო ლიტერატურის გაგებასაც გულისხმობს. ლიტერატურული ნაწარმოები თუ ჯანსაღი პატრიოტული შინაარსისაა, იგი ყველა ხალხის კუთვნილებად ითვლება, ზოგადასაკაცობრიო მნიშვნელობას იძენს. ასეთი ლიტერატურა და საზოგადოებრივი მოძრაობა, პოეტის მართებული თქმით, ხალხში აღძრავს ეროვნულ გრძნობას, რომელიც წარმოშობს ერის „ნამდვილ მოღვაწეს“ და „გმირს“, ხალხის მომავალ წინამძღოლს. „ეს ახალი გმირი, — მიმართავდა აკაკი ახალგაზრდობას, — თქვენმა თაობამ უნდა წარმოშობოს და ეს მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ მუდამ ეროვნულ ნიადაგზედ გედგმებათ ფეხი: ვინც თავის გვარტომობას უარჰყოფს, ის ვეღარც სხვებს გამოადგება, უვარგისი იქნება შინაც და გარეთაც. გიყვარდესთ თქვენს ქართველობა, მაგრამ შოვინისტურის გრძნობით კი არა, ესე იგი რომ სხვისი დაკლებით რამე შესძინოთ თქვენს ეროვნებას, არა! იმ სიყვარულით, რომელსაც სარჩულად უნდა ედვას ძმობის, ერთობის და სიყვარულის სურვილი“ (XIV, გვ. 342).

სხვადასხვა ეროვნების ხალხთა შემაკავშირებელი სიყვარულის იდეა აკაკი წერეთელმა შესანიშნავად გამოხატა „უცხო ქვეყნის მიწის შვილისადმი“ მიძღვნილ ლექსში: „არის მხოლოდ ერთა შორის ერთი ძალი საკავშირო, ვით ღვთაება მადლმოსილი, უსახლგარო და უძირო. ეს ძალაა სიყვარული, სხივოსანი, მოელვარე: ყველასათვის ერთად-ერთი, როგორც ერთი მზე და მთვარე“ (III, გვ. 91).

სამშობლოსთან ერთად კაცობრიობისა და მთელი ქვეყნიერების სიყვარულს მოუწოდებდა აკაკი მომავალ თაობას. ასეთია მისი ლექსი „ბავშვებისადმი“. პოეტის თქმით ძალადობაზე და მარტო ჭამა-სმაზე დაფუძნებული ერი თუ ცალკეული პიროვნება „ქვეყნისათვის არ ვარგია“. აღამიანის ბედნიერება, მხო-

ლოდ სამშობლოს სიყვარულშია. იგი ურჩევს ახალგაზრდობას —
სამშობლოსთან ერთად ქვეყნიერება, მხოლოდ სიყვარულშია კაცის მფლობელობა“ (III, გვ. 351).

სამოციანი წლების რევოლუციურ-დემოკრატიული იდეალების ქომაგი მწერალი, სასტიკად ილაშქრებდა ცრუპატრიოტიზმის, ეროვნულობის მოსპობის ეულგარისზატორული გაგების წინააღმდეგ. ამ მხრივ საინტერესოა „აკაკის პასუხი მუშათა წარმომადგენლების სიტყვაზე“, რომელიც მან წარმოთქვა ბაქოში 1908 წლის 21 დეკემბერს, მწერლის საიუბილეო საღამოზე (გაზეთი „ჩვენი ხმა“, 1909, № 21). როგორც ცნობილია, აკაკისა და მის თაობას მესამე დასელები, სოციალ-დემოკრატები უსაყვედურებდნენ ნაციონალისტობას, პროლეტარიატისადმი გულგრილობას. ამაზე აკაკი გულისტკივილით შენიშნავდა: „მე რომ მოღვაწეობა დავიწყებ ამ 50 წლის წინათ მაშინ პროლეტარიატი არ იყო. ეს ახალი საქმეა. ამ ახალ საქმეში მე ხელი არასდროს არ შემიშლია. აბა მიჩვენეთ, სად არის ჩემგან დაწერილი „არ გაუმარჯოს პროლეტარიატს“—ო. მართალია, მე ჩემი აზრი მაქვს და ვერ შევცვლი მას, ვერ დავანებებ თავს ნაციონალისტობას, თავისუფლება მსურს მეც, მაგრამ მე სხვა გზით მივდივარ მის მოსაპოვებლად და თქვენ სხვა გზით“. ერთი მიზნის მისაღწევად, თავისუფლების მოსაპოვებლად, ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ძალები სხვადასხვა გზით მიდიან, მაგრამ — ყველა გზა რომში მიდისო.

ბაქოში ჩატარებულ ამ საიუბილეო საღამოზე შეკითხვა მიუციათ აკაკისათვის — ეროვნებათა გაქრობის, ეროვნული საზღვრების მოშლის თაობაზე. აკაკი წერეთლის პასუხი, რომელსაც ჩვენ ქვემოთ ვბეჭდავთ, არა მარტო ჰუმანისტურ-დემოკრატიული შინაარსის მატარებელია, არამედ ცხოვრების მთელი პროგრამაა, ეროვნული პრობლემის მეცნიერული გადაწყვეტაა. „აქ, — განაგრძობს აკაკი, — ერთმა დეპუტატმა, ბ. ხატისოვმა მითხრა, რომ „დადგება დადებული დრო, როცა აღარ იქნება არც ქართველი, არც სომეხი, არც მაჰმადიანი, არც რუსი და სხვა, არამედ იქნება ერთი დიდი კაცობრიობა, აგებული ძობა-ერთობა-სიყვარულზე და თანასწორობაზე — რა მშვენიერი სიტყვებია. ვინ დაიწუნებს ამას? მაგრამ ეს ადვილად არ მოხერხდება. თვით ბუნება არაა ერთფეროვანი. ის სხვადასხვა ადგილას სხვადასხვანაირია და ამის მიხედვით სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ერებიც სხვადასხვა ხასიათის და ზნე-ჩვეულებისაა, რაც აძნელებს მათ გაერთიანებას“ (XIV, გვ. 344).

ამ დიდი საკაცობრიო პრობლემის გადასაჭრელად აკაკის მიაჩნია ეროვნული მთლიანობა. „ჭერ საჭიროა თვით ერი შეერთდეს, ცალკე, ერთ მთელად და მერე შეიძლება სხვა ერებთან გაერთიანებაზე ფიქრი თავიანთი ეროვნების დაცვით. მე ვამბობ ამას თქვენ წინ გულახდილად და ვფიქრობ არ დამემდურებთ, რადგან თვითონაც ამბობთ საჭიროა გულახდილობაო. მე ორმოცდაათი წელი დავმდერი სამშობლოს და მშრომელ ხალხს და ამ დროის განმავლობაში, თუ სადმე მიჩვენებთ, რომ მე მუშის წინააღმდეგ დამიწერია, მაშინ ბოდისო მოვიხდი“ (XIV, გვ. 344—345).

აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე მართალნი იყვნენ ულტრა პატრიოტულ მარქსისტებთან ბრძოლაში, რომელთაც ილია ჭავჭავაძე „ცრუ მარქსისტებს“, „რუს მარქსისტებს“, „მარქსიზმის დამამხინჯებელთ“ უწოდებდა.

რევოლუციამდე (იგულისხმება 1905—1907 წლების რევოლუცია), რევოლუციის პერიოდში და მის შემდეგაც აკაკი წერეთელი მთელი თავისი შემოქმედებით გლეხობისა და ერის პროგრესული ძალების მხარეზე იყო და ხალხს ცარიზმის დამხობისაკენ მოუწოდებდა. ყველაფერ ამას აკაკი აკეთებდა საოცარი გულწრფელობით, უშუალოდ: თავის რწმენაში დაჭერებული პოეტი, მხოლოდ მშრომელი ხალხის უმრავლესობაზე დამყარებულ სამართლიან წყობილებას ეტრფოდა, ხალხს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ამზადებდა.



ფართო თვალთახედვით, ვრცლად განიხილავდა აკაკი წერეთელი ლიტერატურისა და ხელოვნების დანიშნულებას. მკაცრად აკრიტიკებდა 80-იანი წლების ქართველ ხალხოსნებს მწერლობის, კულტურის ნიჰილისტური შეფასების გამო. ასევე სააშკარაოზე გამოჰყავდა ქართველი სოციალ-დემოკრატები ანტი-ეროვნული, ევლგარული გამოხატობებისა და ერის ისტორიის მნიშვნელობას გაყალბებისათვის.

აკაკიმ არც ივანე გომართელი დაინდო, როცა იგი პოეზიას, ქართულ საგმირო ლექსებს ყალბ შეფასებას აძლევდა. ამის შესახებ მწერალი 1901 წლის „ივერიაში“ აღნიშნავდა: „აზრი, რომ სატრფიალო და საგმირო ლექსების წერა არც ნიჭსა და არც პოეზიას არ შეადგენსო“, მეტად მოცვეთილი აზრია! სამოციან წლებში, როდესაც ხელოვნებამ ისე გაიტაცა რუსეთის მწერლობა, რომ უკეთესი და უნიჭიერესი წარმომადგენელი ძირს ფეხს აღარ დგამდნენ და მხოლოდ მიმოფრენდნენ ცის ლაქვარდში, ცხოვრებისაგან მოსხლეთილნი, მუშინდელმა გამოჩენილმა მწერალმა ჩერნიშევსკიმ შენიშნა მათ, რომ ხელოვნება მარტო უნაყოფო ხელოვნებისათვის კი არ უნდა იყოს.. ცხოვრებას უნდა ემსახურებოდეს... მაგრამ ამ მეცადინეობამ, — აღნიშნავდა აკაკი, — მეორე უფრო სამწუხარო უკიდურესობა გამოიწვია: პისარევმა, ზაიცევმა და სხვათა თავი ვეღარ შეიკავეს, ზომა დაკარგეს და თითქმის სასაცილო უკიდურესობაში ჩაცვიდნენ: „უარჰყვეს საზოგადოდ ხელოვნება და დაჰგმეს პოეზია. უნიჭოები... პუშკინზე მალლა დააყენეს, „რაფაელის მადონას“ ტყაბუჭაკულინაკები ამჯობინეს და მიქელ-ანჯელოს მექანდაკეობაზე მეჭურჭლეობა უფრო სასურველად აღიარეს“ (XIV, გვ. 38—39).

აკაკი წერეთელს, ხელოვნებისა და ლიტერატურის დანიშნულება მართებულად მიაჩნია ხალხის ესთეტიკური აღზრდის საშუალებად; რომ მხოლოდ მალა და ჭეშმარიტ ხელოვნებას შეუძლია საზოგადოების სამსახური და ეროვნული კულტურის შექმნა. აკაკის თქმით „ნიჭი და ხელოვნება საგნის დიდობაში კი არ არის, მათ გამოხატვასა და გათვალისწინებაშია, გინდ დღევანდელი ვარაიმ იყოს ის და გინდ გადასული ძეგლებური ამბავი“ (XIV, გვ. 39). აკაკის, ტოლსტოის მსგავსად მიაჩნია, რომ შემოქმედის მიერ შექმნილი ლიტერატურა, თუ იგი ხელოვნების სიმადლეზე დგას, ერის საკუთრება ხდება, „შემდეგ კი ყველა ჭეყენის და ყველა დროის ადამიანთა ესთეტიკური ტკობის წყაროდ გადაიქცევაო“. თითოეულ ერს თავისი საკუთარი, ერთიმეორისაგან განსხვავებული სახე აქვს და მათ ლიტერატურასაც, როგორც სარკეს ამა თუ იმ ერისას, განსაკუთრებითი ელფერი უნდა ედვას. ჩვენი მწერლობა უტყუარი სარკე უნდა იყოს ქართველობისა: შიგ უნდა ისახებოდეს საქართველოს მრავალფეროვანი ბუნება მისი მიწა-წყლით... ქართველის გრძნობა-გონება ხორცშესხმულად უნდა მოძრაობდეს შიგ უმეტნაკლებოდ, ზომიერად; აწმყო წარსულს უნდა ეთანხმებოდეს და ორივე ერთად კი მომავლისაკენ მიიწვედეს“ (XIV, გვ. 29). აკაკი მიუთითებდა, რომ თავისი შემოქმედებით იგი არა მარტო საქართველოს, არამედ კაცობრიობას ემსახურება. „ფერადოვანი კაცობრიობა, სხვადასხვა ეროვნებისაგან არის შემდგარი და თვითეულმა მათგანმა თავისი საკუთარი „რამეობა“, ელფერი უნდა შეიტანოს“ საკაცობრიო კულტურაში (XIV, გვ. 340).

როგორც ვხედავთ, მწერალმა შესანიშნავად იცოდა მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის მოძრაობა. ღრმად იყო ჩახედული თავისი დროის მწერლობის კულტურის განვითარების რთულ და წინააღმდეგობებით აღსავსე ისტორიაში. ამიტომ, არა მარტო სამოციან წლებში, როცა საქართველოში გზას იკაფავდა და მკვიდრდებოდა რეალისტური ხელოვნება, შემდეგშიც არაერთი თეორიული ხასიათის წერილით გამოეხმაურა ხელოვნების მარადიულობის პრობლემას.



აკაკი წერეთლის პატრიოტიზმი გამდიდრებულია ხალხთა ძმობისა და მშობლიური კუთხის კეთილშობილური გრძნობით, მაღალი ჰუმანისტური იდეებით.

პოეტი უდიდესი სიყვარულითა და მადლიერებით ეპყრობოდა სხვა ერების კულტურის კორიფეებს, დიდ უკრაინელ კობზარს ტარას შევჩენკოს, პოლონეთის დიდებულ შვილს ადამ მიცკევიჩს; მომხიბლავი ძმური სოლიდარობის გრძნობით იყო გამსჭვალული აკაკი დიდი აზერბაიჯანელი განმანათლებლის პირზა ფატალი ახუნდოვისადმი, გამოჩენილი სომეხი მწერლის ოვანეს თუმანიანიისადმი. ყოველივე ამაში პოულობდა გამოხატულებას პოეტის ჰუმანიზმი, რაც, თავის მხრივ, ჩვენი ხალხის ხასიათისა და სულისკვეთების ერთ-ერთი უძვირფასესი თვისების ანარეკლს წარმოადგენდა.

აკაკის შთავგონებული, მაღალპატრიოტული და ინტერნაციონალური გრძნობების გამოხატველი სიტყვები შეიძლება გაიმეოროს ყველა დროისა და ყოველი ქვეყნის ქემარტმა პატრიოტმა. მაგრამ აკაკის პოეტური ხილვა ადამიანის სულიერი ცხოვრების მთელ სიღრმესა და მრავალმხრივობას მოიცავს. სამოქალაქო ლირიკის, მაღალპატრიოტული სოციალური იდეალების განმასახიერებელ უქცნობ ქმნილებათა გვერდით, მისი შემოქმედებითი შემკვიდრეობა შეიცავს ინტიმური, სატრფიალო ლირიკის ნამდვილ შედეგებსაც. ლირიკული პოეზიის ამ ყანრს მიეკუთვნება „საიდუმლო ბარათი“, რომლითაც აკაკი წერეთელმა ფეხი შემოდგა ქართულ მწერლობაში, „ალექსანდრა“, მისი საქვეყნოდ ცნობილი „სულიკო“ და „ციცინათელა“, რომელსაც აგერ უკვე საუკუნეა მღერის მთელი საქართველო და მღერიან ჩვენი სამშობლოს საზღვრებს მიღმაც. ამ ყანრის შედეგს წარმოადგენს „ქებათა ქება“:

მე მას ვუგალობ; ვისაც განგებამ
მშვენიერება უსხივცისკარა!
ვინც ვარდს ელფერი, იას სინაზე
და ბულბულს ენა ერთად მოჰპარა!
ის არის ჩემი ტკბილი სიზმარი
და მომხიბლავი მძლავრი ოცნება,
სიყვარული რომ ტახტად უდგია,
ეგვირგვინება პატისნება!..

ტრფიალების გრძნობა აკაკის პოეზიაში ამალღებულადაა გამოხატული, მაგრამ ეს გრძნობა ხშირად ისე ღრმად და ორგანულად არის შედღუდაბებული სამშობლოსადმი ერთგულების გრძნობასთან, რომ ძნელი გამოსაცნობი ხდება, თუ სად მთავრდება პოეტის სახალხო-პატრიოტული იდეალი და სად იწყება მისი პირად-ინტიმური განცდების სფერო. პოეტის პირადი განცდების სამყაროს ასეთი განუყოფელი ერთიანობა ხალხის საყოველთაო საბრძოლო იდეალებთან იშვიათი მოვლენაა პოეტურ აზროვნებაში:

მშვენიერო, შენ გეტრფი,
შენი მონა-ერთგული,
შენთვის სულდამულს, შენგანვე,
შენთვის მიძგერს ეს გული.

მაგრამ ეს გულის შეუწელებელი ძგერა ეკუთვნის მის ძველ „მიჯნურს“ — ბურანში მყოფ „ტურფა სამშობლოს“.

სწორედ ასეთი უმაღლესი პატრიოტული გრძნობის პოეტს უნდა შეექმნა სამშობლოს სიყვარულის სწორუპოვარი საგალობელი, ლექსი „განთიადი“. ქართული ლირიკული პოეზიის მთელ ისტორიაში აზრის სიღრმითა და პოეტური მეტყველების სრულყოფილებით მხოლოდ ნიკოლოზ ბარათაშვილის გე-

ნიალური ქმნილება „მერანი“ თუ შეედრება აკაკის პოეზიის ამ შედეგს. მ
ლექსში მთელი გრძნობით გაერთიანდა და გამოვლინდა აკაკის პოეტური გენიუ
ყველა თვისება. ქართველი კაცისათვის ფასდაუდებელია ამ ლექსის სილიბრძნობა

ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
სულის ჩამდგმელო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,
შენზედვე მგლოვიარეო.

პოეტის მრავალ ლირიკულ ქმნილებაში, ისტორიულ პოემებსა და დრამებსში („ნათელა“, „თორნიკე ერისთავი“, „ბაგრატ დიდი“, „იკოლას ნაამბობი“, „პატარა კახი“, „თამარ ცხიერი“ და სხვ.), თავის საუკეთესო ბელეტრისტულ ნაწარმოებ „ბაში-აჩუკში“ პოეტმა შთამაგონებლად წარმოსახა ქართველი ხალხის ისტორიული წარსულის ამბელევებელი ეპიზოდები და დახატა სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა მდიდარი გალერეა. ამ ნაწარმოებებით აკაკიმ მოგვცა იმის მეტყველი მაგალითი, თუ როგორ უნდა შეიძინოს ისტორიულმა თემატიკამ ღრმად თანამედროვე იდეური ელერადობა, მებრძოლი საზოგადოებრივი აქტუალობა.

ცარიზმის დიდმპყრობელური პოლიტიკით შევიწროებული პატარა ერები გამუდმებული ჩაგვრის ობიექტს წარმოადგენდნენ. ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები ხმას იმაღლებდნენ სოციალური და ეროვნული უსამართლობას წინააღმდეგ. აკაკი წერეთელი პირველი გამოეხმაურა მხ-იანის წლების პოლიტიკურ მოვლენებს და მისთვის ჩვეული სატირით დაგმო მოძალადეთა უსამართლობა. ასეთია ამ პერიოდის ლექსები: „მუშებს“, „გამოცვლილი დრო“, „ახალი გზა“, „თვალს მიხვევენ, ენას მგლეჯენ“, „ჩვენი მიხაკა“, „სიზმარი“, „ოცნება თარზე“, „დამდეგ მაისს დაიწყება“, „ღმერთო, წვიმა მოიყვანე“, „არაბი ფაშა“, „ხანჯალს“, „ამირანი“ და სხვ.

აკაკი თავგამოდებით იცავდა ქართველი ერის დამოუკიდებლობასა და მის ეროვნულ კულტურას. ცნობილია, თუ რა გამანადგურებელი ძალითაა დაწერილი აკაკის პასუხი რეაქციონერი კატკოვის მისამართით. სამშობლო ხალხს უდიდეს სიყვარულს გამოხატავს აგრეთვე აკაკის მიერ უდიდესი პატრიოტული გრძნობით გამოთბარი ლექციები, საჯარო გამოსვლები სალიტერატურო საღამოებზე და ქართლ-კახეთში მოგზაურობისას.

აკაკის პოეზიის ცხოველი ძალა წლების განმავლობაში კვებავდა ქართველ ხალხს მეამბოხე განწყობილებებით და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის ამზადებდა. როცა ეს ნანატრი დროც დადგა და ჭალარა პოეტმა თავისი თვალით იხილა აჯანყებული ხალხი (1905 წ.), მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მან აჯანყების მძლავრ გუგუნში თავისი მრწამსის განხორციელების შესაძლებლობა დაინახა და მისთვის ჩვეული ძალით უმღერა რევოლუციას:

ამ დღეს ველოდი, მოვესწარი!
ვიცინი, აღარ ვსტირი მე,
ახალგაზრდებო, აწ კი თქვენ
გამოდით, თქვენი ჭირიმე!
ნუ გამიმტყუნებთ იმედსა,
ხომ ხედავთ, აღარ ვტირი მე,
დროც მოდის — ერთად ვიცინოთ,
ვიცინოთ, თქვენი ჭირიმე!

ამ ლექსს, რომელიც რევოლუციურ ახალგაზრდობას ცარიზმის წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლისაკენ მოუწოდებდა, მოჰყვა აკაკის რევოლუციური პოეზიის შესანიშნავი ნიმუშები: „ნატვრა“, „ძირს“, „გაზაფხული“, „გურული ნა-

ნინა“, „ინტერნაციონალი“, „კოჭაობა“, „ვისი მადლობა, რისი მადლობა“ და სხვა.

აკაკი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ თვითმპყრობელობა და მის ნაცვლად სამართლიანი წესწყობილება დამყარდებოდა, მაგრამ ხალხს ჯერ კიდევ დიდი ბრძოლები, ეკლიანი გზების გადალახვა მოუხდებოდა, მსხვერპლის გაღება იქნებოდა საჭირო და ამისათვის მზად უნდა ყოფილიყო. ამის შესახებ ერთ თავის პუბლიცისტურ წერილში აკაკი აღნიშნავდა: „ვმადლობ ჩემს ბედსაც, რომ მომასწრო იმ ბედნიერებას, რასაც ამ ნახევარი საუკუნის წინეთ ვნატრობდი და მხოლოდ იდეალად ვისახავდი. დღეს ის შენობა, სადაც ვიყავით გამომწყვდეული, ირღვევა და იმის წილ ახალი, დროს შესაფერი უნდა აიგოს“.

ამავე წერილში აკაკი გარკვევით აღნიშნავდა, თუ რა უნდა მიეცა რევოლუციას ხალხისათვის. ამ მიზნის მისაღწევად, აკაკის აზრით, „რამდენიმე წრედ კი არ უნდა გავიყოთ“, არამედ ერის ყველა სასიცოცხლო ძალამ შეერთებულად უნდა იბრძოლოს საქართველოს თავისუფლების მოსაპოვებლად. მისი შეხედულებით, ყველა მებრძოლ პარტიას საბოლოოდ თითქოს ერთი მიზანი აქვს და მათ დროშებზე ერთი და იგივე უწერიათ: „ძმობა, ერთობა და სიყვარული!“ ამიტომ ცალ-ცალკე ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მს შეცდომად მიიჩნია. წერილის დასასრულს აკაკი მართებულად შენიშნავს თვითმპყრობელობის იმ იძულებითი „წყალობის“ შესახებ, რაც მათ 17 ოქტომბრის მანიფესტით მისცეს ხალხს.

იგივე აზრი გამოთქვა აკაკიმ შესანიშნავ ლექს „ნატვრაში“, სადაც პოეტი აფრთხილებს ახალ თაობას, რომ უსისხლოდ მთავრობა არ დანებდება.

1905 წლის ოქტომბერში ახალი ძალით იფეთქა მუშათა აჯანყებამ თბილისსა და მთელ საქართველოში. ლ. ტოლსტოი აღტაცებული ყოფილა ქართველი ხალხის გამირული ბრძოლებით. „რასაც მე ოცი წლის განმავლობაში ვჟადაგებდი, ახლა გურულები ასრულებენ“, — წერდა ლ. ტოლსტოი გურიის აჯანყების გამო.

როგორც ჩანს, ლ. ტოლსტოი ყურადღებით აკვირდებოდა ამ რევოლუციის მიმდინარეობას საქართველოში. ამიტომ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, აკაკისა და ტოლსტოის აზრთა თანაზიარობა რევოლუციისა და, კერძოდ, 1905 წლის დიდი მოვლენების გაგებაში. შემთხვევითი არ არის ისიც, რომ როცა 1910 წლის ნოემბერში ვარდაიცვალა ლ. ტოლსტოი, აკაკიმ ქართველ მოწინავე ინტელიგენციასთან ერთად გულმხურვალედ დაიტრია იგი და „სახალხო გაზეთში“ (1910, № 154) გამოაქვეყნა შესანიშნავი სტატია.

დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დღეებში, როცა რევოლუციური მუშები და გლეხები იარაღით ხელში ბარიკადებზე იბრძოდნენ, კვლავ გაისმა აკაკის შთამაგონებელი სიტყვები: „ძირს მთავრობავ, ძირს და ძირსო!“ აკაკის ეს ლექსი, ისე როგორც საფრანგეთის რევოლუციების პერიოდში შექმნილი ლექსები — „მარსელიოზა“ და „ინტერნაციონალი“, ერთბაშად აიტაცა აჯანყებულმა ხალხმა და პროკლამაციის ხასიათი მიიღო. ლექსის ყოველი სტრიქონი მთავრდებოდა შეძახილებით — „ძირს!“

ძირს, მთავრობავ უსამართლო!
ველარ ვიტანთ ვასაჭირსო, —
ყოველი მხრით გეძახიან:
„ძირს, მთავრობავ!... აწ კი ძირსო!“

1905 წლის რევოლუცია დამარცხდა. ამ გარემოებამ კიდევ უფრო გაამძვინვარა თვითმპყრობელობის რისხვა. საპყრობილები, ციხეები, გადასახლების



ქართველი
წიგნისწერების
კავშირთა
კავშირთა

ადგილები რევოლუციონერებით აივსო. სტოლიპინის ტერორი მთელი სიძლიერით ამოქმედდა.

1906 წლის იანვარი და თებერვალი საქართველოს, კერძოდ, იმერეთისა და გურია-სამეგრელოს, ხალხისათვის მძიმე განსაცდელის დრო იყო. ამ წლის 3 იანვარს ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი ჯარები მეორედ დაიძრნენ დასავლეთ საქართველოსკენ; ამასთანავე ალიხანოვ-ავარსკი დანიშნეს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორად, რომელმაც გადაწვა და მიწასთან გაასწორა დასავლეთ საქართველოს სოფლები და ქალაქები, ქვეყნის საუკეთესო შვილები დახვრიტეს და ჩამოახრჩვეს. ასეთ ვითარებაში მთავრობისათვის მადლობის გადახდამ, რაც იმერეთის თავადაზნაურობამ ჩაიდინა, აღავსო აკაკის მოთმინება. პოეტი არ შეუშინდა რეაქციის სასტიკ მძვინვარებას და გაბედულად აიმაღლა ხმა მთავრობის წინააღმდეგ. „ამ საშინელ დროს, — აღნიშნავდა აკაკი წერეთელი, — შინაური ღამურები იცით რას შვრებიან? მთავრობას დეპუტაციებს უგზავნიან და მადლობას უთვლიან... რისთვის?!...“:

ვისი მადლობა... რისი მადლობა,
ნეტავ რა არის სამადლობელი,
როდესაც უმწო უმწყვესურ ცხვრებში
დათარეშობდეს მსუნაგი მგელი.

მაგრამ აკაკიმ იცის, რომ ხალხის უმრავლესობა ტანჯვაშია, მადლობის მოქმელი მხოლოდ თითო-ორი ჯონდრის კაცი და ჩინ-ორდენების მამძიებელი ბიუროკრატები არიან:

ხალხი იტანჯვის, ხალხი ქვითინებს,
გადაბუგვია სახლი და კარი...
რა დროს მღერაა, რა დროს მადლობა,
უნდა საქვეყნოდ ისმოდეს ზარი...

„საქმე ისაა, — განაგრძობს აკაკი, — რომ მოსისხლე მგლის გაბატონება ამ ღამურებს არ აწუხებს. პირიქით, ისინი რეაქციის შავბნელი ძალების გაბატონებისაგან გამოელიან სიკეთეს და ჰგონიან, რომ რეაქციის „აღდგომა“ მათ გადაშენებულ წოდებასაც აღდგომას და კეთილდღეობას მოუპოვებს“.

ამავე წერილში აკაკი წერეთელი რეალისტურად აგვიწერს რეაქციის პერიოდში შექმნილ რთულ ვითარებას და ხალხის გაჭირვებას. „ამჟამად მთელი რუსეთი და კერძოდ ჩვენი სამშობლო ისეთ მდგომარეობაშია ჩაყენებული, რომ მხოლოდ ბნელ ძალებს შეუძლიათ მოულოცონ „აღდგომა“ ერთმანეთს. ისინი დიდ სიხარულში არიან, — გუშინ მიწაზე განარცხულნი და სულთმობრძავნი, დღეს ფეხზე წამოდგნენ, წელში გაიმართნენ, „მკვდრებით აღდგნენ“ და მხიარულობენ, რომ სიკვდილი, რომელიც ხალხის გამოღვიძებამ და საბრძოლველად ამხედრებამ მოუახლოვა მათ, თავიდან აიცილეს, ცეცხლითა და მახვლით მოწინააღმდეგე დაამარცხეს, ძველი წესი აღადგინეს და ისევ ძველებურად გაბატონდნენ... გამარჯვებით დამთვრალნი, ისინი ცეცხლით ანადგურებენ მთელ ქალაქებსა და სოფლებს, ცხადად, ყველას თვალწინ იტაცებენ ხალხის ქონებას, უქელავენ და უმურტლებენ ადამიანს პირად ღირსება-პატიოსნებას და უსპობენ განუკითხავათ არსებობას. არ არის განკითხვა, არ არის განსჯა, არც შებრალება. რეაქცია მკვდრებით აღდგომას დღესასწაულობს და ცდილობს საფლავში ჩამარბოს ხალხის ცხოველმყოფელი ძალა, ჩააქროს ხალხის თავისუფლებისადმი მისწრაფება“ („ივერია“, 1906, № 1).

ასეთივე შინაარსისაა და აკაკის წერილს ეხმაურება, აგრეთვე, „ივერიელის“

ფსევდონიმით დაბეჭდილი ილია ჭავჭავაძის წერილი „იმერეთის თავადთა უკუნიშნაურობის სულმოკლეობა“ („ცნობის ფურცელი“, 1906, 3034).

რეაქციის წლებში დაწერილ სხვა ლექსებში თუ ცალკეულ გამოცემებში პოეტი მრისხანებას გამოთქვამს თვითმპყრობელობის დამსჯელი რაზმების ველური თარეშის გამო. მის ყოველ ასეთ გამოსვლას თუ ლექსს პოეტის თვალწინ მომხდარი კონკრეტული ფაქტი უდევს საფუძვლად. ამაშია აკაკის პოეზიის სიდიადე საერთოდ და კერძოდ რევოლუციის დღეებში შექმნილი პოეტური ნიმუშების სიძლიერე.

მთელი საქართველო თვალყურს ადევნებს მსცოვანი პოეტის ნაბიჯებს. დიდი და პატარა სასოებით წარმოთქვამს საყვარელი მგოსნის სახელს, ნატრობენ მასთან შეხვედრას. 1908 წლის 25 მაისი... აკაკი ლექციას კითხულობს შოთა რუსთაველზე. დარბაზში ტევა არ არის. ლექციის შემდეგ აკაკი ზეპირად ამბობს იმედით სავსე ლექსს „ამირანს“... ტაში, შეძახილები... ხალხი ეხვევა მგოსანს, შეპყურებს მის ზეცადაპყრობილ ცრემლმორეულ თვალებს. ყვავილებით მოფენილ გასასვლელში ყველა გზას უთმობს ჭაღარა აკაკის.

1907 წლის სექტემბერი. რეაქციის თარეშმა იმსხვერპლა ერის ბელადი — ილია ჭავჭავაძე; დაობლებული აკაკი მოულოდნელი მწუხარებისაგან ავად ხდებდა. „ისარში“ 8 სექტემბერს იბეჭდება აკაკის წერილი „ნუ მიწამლავთ მოხუცს გრძნობას“. ილიას დასაფლავების პროცესია შეჩერდა „ძაძებში შემოსილ წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახლთან“. აივანზე გამოჰყავთ ავადმყოფი აკაკი და იგი თავისი დიდი თანამებრძოლისადმი მიძღვნილ სიტყვას ამბობს: „მშვიდობით, ძმაო! გარემოებამ გადაგვება ჩვენი ერთმანეთზე. ნახევარი საუკუნის განმავლობაში ერთს უღელს ვეწეოდით, ერთი გზით დავდიოდით. ახლა ჩემი მართოდ დარჩენა, დაობლება საქნელთა... შენი ქვეყნური ვილი შეასრულე და განისვენე სამარადისოდ, ამიერიდან ეკუთვნი ისტორიას... თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები... როგორც სიცოცხლე, ისე სიკვდილიც შენი გახდა მიზეზად ხალხს ამოძრავებისა და ამა საქართველოს ყოველ კუთხიდან თავმოყრილნი გვეხვევიან გარს... და, ვინ იცის, ეგება სიკვდილით მიინც განამტკიცო ის, რასაც შენი სიცოცხლე შესწირა!“.

ორი წლის შემდეგ — 1910 წლის 5 სექტემბერს აკაკი სიტყვას ამბობს ილიას საფლავზე. უსაყვედურებს საზოგადოების მმართველ წრეებს იმ გულგრილობის გამო, რომელსაც ისინი იჩენდნენ ილიას მიმართ. დარიბი ხალხი, აღნიშნავდა აკაკი, „ეეთილი გრძნობებით გამსჭვალული, რაც კი შეუძლია თავს არ იზოგავს. ის ვაებატონები, რომელთაც ჩვენი დაცემული ცხოვრების სათავე უჭირავს ხელში, ერთმანეთს მიდგომით ირჩევენ და საზოგადოებაზე არა ფიქრობენ!“.

გასული საუკუნის 90-იანი წლების სალიტერატურო ცხოვრებაში მომხდარ მოვლენებს შორის ილიასა და აკაკის უდიდესი მნიშვნელობის ფაქტად მიიჩნევა ნიკოლოზ ბარათაშვილის გადმოსვენებისადმი (1893 წ.) და რაფიელ ერისთავის იუბილესადმი მიძღვნილი სახალხო დღესასწაულების ჩატარება (1895 წ.). მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ღვაწლის ასეთ მაღალ დონეზე აღნიშვნა პირველად იხილა ერმა. ამით ილიამ და აკაკიმ პირველებმა დაუდგეს სათავე ახალი წეს-ჩვეულების ჩატარებას. 1898 წელს ილიასადმი მიძღვნილი საიუბილეო სამზადისი მთავრობამ ჩაშალა. ამიტომ, როცა ქართველი ხალხი აკაკის სამწერლო მოღვაწეობის 50 წლის იუბილესათვის მზადებას შეუდგა, პოლიციის საიდუმლო განყოფილება შეეცადა ხელის შეშლას. იგი თვალს არ აშორებდა აკაკისთან დაკავშირებულ ხალხმრავალ შეკრებებს.

მთელი საქართველო შეუდგა მგოსნის საიუბილეო სამზადისს. და ეს დღე



დადგა. 1908 წლის 7 დეკემბერი. თბილისი საზეიმოდაა მორთული. **ქურნალი** გაზეთები საესეა აკაისადმი მიძღვნილი წერილებით, მილოცვებით. იყიბება აკაის თხზულებანი, მგოსნის სურათები. ხალხის სიხარული, მისი საზეიმო განწყობილება მთავრობის საწინააღმდეგო ხასიათს ატარებდა. ვაკიდან სიონამდე ქუჩები ყვავილებითაა მოფანტული და ცოცხალ კედლებს შუა მოემართება აკაის პარტისაცემად ესკორტი, რომელსაც წინ საგანგებოდ მორთული, თეორცენწმებმული აკაის ლანდო მოუძღვოდა. ლანდოში მჭდომი, თეორად შევერცხილი, შავ ტანსაცმელში ჩაცმული პოეტი ზღაპრულ შთაბეჭდილებას ახდენდა მნახველზე. ტაშისცემა, ვაშას ძახილი არ წყდებოდა. სიონის პარაკლისიდან ზეიმმა ოპერის თეატრში გადმოინაცვლა. საიუბილეო სიტყვა წარმოთქვა აკაის ღირსეულმა თანამებრძოლმა იაკობ გოგებაშვილმა.

პირველად შესრულდა ზაქარია ფალიაშვილის მიერ ამ დღისათვის დაწერილი ქართული „მრავალკამერი“ ორკესტრმა სადღესასწაულო ჰიმნი უძღვნა აკაის. ღირიქობობდა ივანე ფალიაშვილი.

საიუბილეო გამოსვლებსა და მილოცვებს ბოლო აღარ უჩანდა. ერის ყველა ფენის წარმომადგენელი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, ერთმანეთს ეჯიბრებოდა პოეტის სიყვარულში. დელეგაციათა რიცხვი ორასს აღემატებოდა. პოეტს ულოცავდნენ სომხები და აზერბაიჯანელები, რუსები და უკრაინელები. რუსეთის იმპერიის სხვადასხვა გუბერნიიდან მოსულმა დეპუტების ტალღამ დაფარა საიუბილეო მაგიდა. წაკითხულ იქნა ზოგიერთი მათგანი: პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ენათა ფაკულტეტისა; ქურნალი „რუსკოე ბოგატსტვოს“; მოსკოვის სამხატვრო თეატრის დეპუტე ვ. ნემიროვიჩ-დანიჩენკოსა და კ. სტანისლავსკის ხელმოწერით; ა. სუმბათაშვილი-იუჟინისა — მოსკოვის სალიტერატურო წრის სახელით; პროფესორ საკულინის, მარჯორი უორდროპის, უკრაინული ქურნალი-გაზეთებისა და სხვა მრავალი. პოეტის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა სავანელმა გლეხებმა აკაის მისი აკვანი მიართვეს. გრანდიოზული შთაბეჭდილება მოახდინა ვაჟა-ფშაველას გამოჩენამ სცენაზე. გარინდებული, სიჩუმეში ჩაძირული დარბაზი ისმენდა ერის აკვნის დამრწევი მგოსნისადმი მიძღვნილ ვაჟას ლექსის სტრიქონებს:

მშობელი ქვეყნის მოზარევი,
უნდა გიმღერო მთურადა.
იმავ ჰორით ვარ სნეული,
რაც შენ გატყვია წყლულადა.

აკაისადმი მიძღვნილი საიუბილეო სახალხო დღესასწაული დამთავრდა მგოსნის სამადლობელი სიტყვით და ლექსის — „ჰალარას“ წაკითხვით. აკაი წინასწარმეტყველურად მიმართავდა ხალხს: აღძრულია ეროვნული გრძნობა, რომ მას ჰყავდეს ნამდვილი მოღვაწე და გმირი, რაც მე მხოლოდ მოჩვენებულადა ვარ. მის ამ დიად გრძნობას, აღნიშნავდა აკაი, შეეუერთებ ჩემს ნატვრასაც, რომ მოვლენოდეს ის სანატრელი გმირი. მე კი ის აღარა ვარ, რაც ვიყავი, თუმცა, „არა, არ ვკარგავ იმედსა, ვერ შემამინებს ჰალარა, გმირებს მოვლის თქვენგანვე ჩემი დაფი და ნალარა“.

აკაისადმი მიძღვნილი ეროვნული საიუბილეო დღესასწაულები გადახდილ იქნა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში და მის ფარგლებს გარეთ — პეტერბურგში, მოსკოვში, პარიზში, ხარკოვში, ბაქოში, ვლადიკავკავში და სხვ. აკაი, მიუხედავად მოხუცებულობისა, კვლავ საზოგადო საქმიანობაშია ჩაბმული; დღენიდავ ზრუნავს მოასწროს ყველაფერი, გამოსცეს თავისი ნაწერების სრული კრებული, დაიდგას ილიას ძეგლი, დააარსოს ახალი ქურნალი-გაზეთები, კვლავ მოგზაურობს საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭულში. მონიხსულა

რაფიელ ერისთავის საფლავი ქისტაურში; კვლავ საფრანგეთი, პარტიზანული რევოლუციის მონახულება როდენის სახელოსნოში, პარიზელ ქართველ-სტუდენტებთან შეხვედრა; აკაკის საღამო ბრიუსელში, ვარშავაში, სტამბოლში, ისევ პარიზში; უკან გერმანიისა და ქუენევაზე გამოვლით სამშობლოში მოემგზავრება, ტრაპიზონში შეჩერდა და სოლომონ მეფის საფლავი ინახულა.

1912 წლის ზაფხულში აკაკიმ ორი კვირა იმოგზაურა რაჭა-ლეჩხუმში. ესეც ხალხის დიდ ზეიმად გადაიქცა და რამდენად სასიამოვნოა, რომ აკაკის ეს ისტორიული მოგზაურობა ფირზე აღბეჭდა პირველმა ქართველმა კინოოპერატორმა ვასო ამაშუკელმა. ამავე წლის სექტემბერში აკაკიმ თავისი თვალით ნახა მისივე მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში. აღფრთოვანებულს სიხარულის ცრემლები სდიოდა.

მთელი საქართველო ყურადღებით ადევნებდა თვალს ხანდაზმული აკაკის ცხოვრებას. ხალხი ერთი წუთითაც არ ივიწყებდა თავის ეროვნულ შთამავლენებელს. ყურნალ-გაზეთები ხშირად ათავსებდნენ ცნობებს აკაკის ადგილსამყოფლისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

1915 წლის 27 იანვარს გაზეთებმა თავზარდამცემი ამბავი ამცნო ქართველ ხალხს:

„ქართველ ერს! 1915 წლის 26 იანვარს ღამის პირველ საათზე საქართველოს დიდება, ქართველი ხალხის ეროვნული გულთმისანი და მესაიდუმლე — აკაკი წერეთელი გარდაიცვალა. მისი მალმერთებელი სამშობლო გლოვის ნისლია დაჰბურა...“

მთელი ერი, ერთი აზრით გამსჭვალული, ერთ გრძნობად გადაქცეული, თვალ-ცრემლიანი და გულჩათხრობილი შემოიკრიბება აკაკის ძვირფასი ცხედრის თაყვანსაცემად, წმინდა ნეშტს ჩააბარებს ჩაფიქრებულ მთაწმინდის ისტორიულ აკლდამას...“

აკაკის ნეშტი საჩხერიდან თბილისში ჩამოასვენეს. ქაშუეთის ეკლესიაში დაასვენეს. 8 თებერვალს აკაკის ცხედარი უთვალავმა მგლოვიარემ მიაბარა მთაწმინდის სავანეს.

აკაკი დღესაც ჩვენს გვერდით იბრძვის, როგორც მარად ცოცხალი ეროვნული იდეალების მოტრფიალე, საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლი. გალაკტიონ ტაბიძე და შემდეგი თაობის პოეტები იხიბლებოდნენ აკაკის ლექსის სურნელებით. გალაკტიონის თქმით, დიდი პოეტის მადლით ანთება მუდამ იელვარებს საქართველოსათვის, ხალხისათვის:

იქნება ჩვენთვის, იქნება ჩვენში
იქნება ჩვენთან მარად და მარად!
ჩვენი სიზმრების სიდიადეში,
ჩვენი ფიქრების ლურჯ ნიაგ-ქარად.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ აკაკისა და ილიას იდეალების განხორციელება მთელი ასი წლით შეფერხდა. „წიწამურში დასრულდა ეპოქა დიდი“. მათი დანაპირები — საქართველოს მათზე უკეთესი მამულიშვილი დაებადებოდა — ოცნებად დარჩა. ეგების დაებადა კიდევ, მაგრამ ან ფრთები შეაკვეცეს ან „საუკულმართო“ გზით წავიდა, თავის გამოჩენის გზები დაუჩაშტეს. მაგრამ აკაკისა და ილიას თავისუფლების მარად ცოცხალი იდეალები როგორც „ღაღარში შენახული ნაკვერჩხალი“ მუდამ ღვიოდა და „სულის შებერვას“ ელოდებოდა. ღმერთმა იწება და აკაკის მიერ დატოვებული ერის თავისუფლების ნაპერწკალი — ხანძრად იქცა, საქართველო გაანათა... მგოსნის ნანატრი დამოუკიდებელი საქართველოს დღეები მოდის...

თამარ ნუცუბიძე

ბაბაქი წამრეთლის ერთი პერსონაჟის შემსახურული გენეზისი

ქართულ ლიტერატურაში შექსპირული თემების, მოტივების, მეტაფორებისა თუ სხვა მხატვრული სახეების რეცეპციის, ანუ მიღება-ათვისების საკითხი, შეუსწავლელია. ვივი გაჩეჩილაძის ისეთი დაკვირვებაც კი, როგორცაა — „შექსპირის მრავალი მონოლოგის მასალა და განწყობილება ბედნიერად დაემთხვა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტურ ტრადიციას“¹ (ალბათ უფრო სწორი იქნებოდა — ნიკოლოზ ბარათაშვილის მასალა დაემთხვა შექსპირის ტრადიციას), არ გამხდარა საგანგებო კვლევის საგანი. ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, რა მიიღო ქართულმა ლიტერატურამ შექსპირის სამყაროსაგან, თუმცა თავისთავად ეჭვს გარეშეა. რომ შექსპირის დრამატურგიას შეუძლებელია, რაიმე გამოძახილი არ ეპოვა ქართულ ლიტერატურაში. რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რაოდენ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა შექსპირის პიესებს ქართული სცენის რეპერტუარში, რაოდენ დიდი ყურადღება მიიპყრეს „მეფე ლირისა“ და შემდგომ — ივანე მაჩაბლის თარგმანებმა, უდავოა ისიც, რომ ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგის პერიოდის მწერალთა ცნობიერებაში უილიამ შექსპირი მუდმივი სულიერი თუ მხატვრული თანამგზავრის მნიშვნელობას იძენს.

გავიხსენოთ ტაეპები ვახტანგ ორბელიანის ლექსიდან „ძველს მეგობარს“ (1883):

მოდი, აქ მიძევს თვალთ წინა რუსთველის დიდი ქმნილება,
 იმის ფურჩხელის ლექსებით სული და გული დავიტკბოთ,
 გეტე, შექსპირი, შილერი კვლავ ერთად გადავიკითხოთ.

ქართულ ლიტერატურაში შექსპირის სამყაროს თავისებურ ანარეკლს წარმოადგენს აკაკი წერეთლის შემოქმედების ერთი საინტერესო მომენტი, კერძოდ, — მასხარას სახე მის ცალკეულ ნაწარმოებებში.

როგორც ცნობილია, სახალხო სანახაობათა და მირაკლების, კომედიურ ინტერმედიათა პერსონაჟი — მასხარა (ხუმარა) მტკიცედ დამკვიდრდა XVI—XVIII საუკუნეების ევროპულ დრამატურგიაშიც. განსაკუთრებით დიდია მასხარას ფუნქცია შექსპირისა და კალდერონის პიესებში. XIX საუკუნის დრამატურგიისათვის მასხარას სახე არაა დამახასიათებელი და მით უფრო საყურადღებოა, რომ ეს პერსონაჟი გვხვდება აკაკი წერეთლის ისტორიულ პოემაში „თორნიკე ერისთავი“ (1884) და ისტორიულ დრამატიულ პიესაში „თამარ-ბებერი“ (1885).

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მასხარას სახე აკაკის ნაწარმოებებში შექსპირის შემოქმედებით, უპირველესად — „მეფე ლირით“, არის შთაგონებული. როგორც ცნობილია, ამ დროისათვის „მეფე ლირი“ ქართულად უკვე თარგმნილი იყო. ჯერ კიდევ 60-იან წლებში თბილისში დაიდგა ცოცხალი სურათები ამ ტრაგედიიდან. 1879 წელს ილია ჭავჭავაძის თაოსნობით დაიწყო მუშაობა ამ ტრაგედიის სცენური ხორცშესხმისათვის. მრავალი რეპეტიციის შემდეგ პირველი

¹ გ. გაჩეჩილაძე, უილიამ შექსპირი, წიგნში: უილიამ შექსპირი, ტრაგედია, ტ. I, თბ., 1953, გვ. 10.

სპექტაკლი გაიმართა თბილისში 1880 წელს, ხოლო მოგვიანებით — ქუთაისში და ბათუმშიც. სპექტაკლი დიდხანს შერჩა ქართულ რეპერტუარს. ლიტერატურულ კოტე ყიფიანი ასრულებდა და დადგმას დიდი წარმატება ხვდა.

აკაკი წერეთელი, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქართულ თეატრთან, ბუნებრივია, კარგად იცნობდა ამ დადგმას, რომელიც უთუოდ ერთ-ერთი სტიმული იყო იმისა, რომ მის ნაწარმოებებში დამკვიდრდა მასხარას სახე. ამ პერსონაჟის დამკვიდრებას უთუოდ ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ მასხარა უკიდურესად კომედიური პერსონაჟია და დიდ სიახლოვეს ამკლავებს ფოლკლორულ ქანრებთან (ბერიკაობა და სხვ.), ანუ ისეთ ნაწიყისებთან, რაც ერთობ დამახასიათებელია აკაკი წერეთლის შემოქმედებისათვის. აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ აკაკი წერეთელი შეუძლებელია გულგრილი დარჩენილიყო „მეფე ლირის“ ივანე მაჩაბლისა და ილია ჭავჭავაძის თარგმანისადმი, რომელშიც მასხარას ტექსტი განსაკუთრებული ოსტატობით არის გაუმოტანილი.

„მეფე ლირის“ თარგმანში სინონიმურად არის ნახმარი სიტყვები „ხუმარა“ და „მასხარა“, თუმცა პერსონაჟთა ჩამოთვლაში გამოყენებულია „ხუმარა“.

„მეფე ლირში“ მასხარა თავის თავზე ამბობს:

„მე მართალია მასხარა ვარ, მაგრამ ვინც ამ ჩემს თქმულს მართლად მასხარობაში ჩამომართმევს, ამა მითხარი იმას რა უნდა.

წელს მასხარებს ლილახანა წაუხდათ,
მასხარობას ბრძენნი გვეცილებიან“.

ასევე სინონიმურად იყენებს „ხუმარასა“ და „მასხარას“ აკაკი წერეთელი თავის ნაწარმოებებში. მართალია, „თამარ-ცბიერი“ პერსონაჟთა ჩამოთვლაში ნახმარია „მასხარა“, მაგრამ საკუთრივ ნაწარმოების ტექსტში ამ სიტყვის სინონიმი — „ხუმარაც“ არის გამოყენებული. „თამარ-ცბიერში“ მასხარა თავის თავზე ამბობს:

და ნაცლად ყველა შედიღულება,
ხან დამცინიან, ხან მაიგნებენ.
მწარე ლექსია ხუმარას ლექსა.

„თორნიკე ერისთავში“ ძირითადად „ხუმარას“ ვხვდებით: „ყველას მეფის ხუმარა სჯობს“. „სოჭვი, ხუმარავ, თუ რას ნიშნავს ეგე შენი გამოცანა“; „ხუმარადაც ვარგებულხარ“; მაგრამ სიტყვის თამაშის (კალამბურის) სახით ამ ისტორიულ პოემაში „მასხარაც“ ვხვდებით: „ფეხებამდე მასხარაო“.

როგორც ვიცით, შექსპირის პიესებში მასხარა მხოლოდ გარკვეულ სცენებში მონაწილეობს, ხოლო შემდეგ, ასე ვთქვათ, უგზო-უკვლოდ იკარგება. მაგალითად, „მეფე ლირის“ მეხუთე მოქმედებაში მასხარა აღარ ჩანს. შექსპირის ტრაგედიის მსგავსად, პოემაში „თორნიკე ერისთავი“ მასხარა მხოლოდ პირველი კარის დასაწყისში ფიგურირებს, ხოლო სთმომქმედებიან დრამატულ პოემაში „თამარ-ცბიერი“ მეორე მოქმედება ხუმარას გარეშე მიმდინარეობს.

როგორც შექსპირის, ისევე აკაკი წერეთლის მასხარა აღჭურვილია ამ პერსონაჟის კლასიკური ატრიბუტით — ჩაჩით. „უსათუოდ ჩემი ჩაჩი უნდა გეხუროს... ნეტავ ორი ქალი მყოლოდა და თანაც ორი ჩაჩი მქონოდა“, — ეუბნება ხუმარა კენტს („მეფე ლირი“, II, 3). „თავზე მხურავს ჩაჩი სულელ მასხარის“, — აცხადებს მასხარა პოემაში „თამარ-ცბიერი“ (III).

როგორც ცნობილია, შექსპირისეული ხუმარები ხშირად მიმართავენ ისეთ კომედიურ ხერხებს, როგორიცაა ზმა, ანდაზები, ირონია, სარკაზმი და სხვ.

„მეფე ლირში“ ხუმარა ხშირად აყალიბებს ბრძნულ სენტენციებს, რომლებიც ყოველთვის ხალხურ ფოლკლორულ იერს ატარებენ. ამ მხრივ „მეფე ლირისა“ და აკაკი წერეთლის „თამარ-ცბიერის“ ხუმარები დიდად ენათესავებიან ბიან ერთმანეთს. შევადაროთ პარალელურად:

ბედი სწორედ უნამუსო ქალია,
ლარიბი სძავს, მდიდრის ეშხით მთვრალია („მეფე ლირი“, II, 3).

ეს სოფელი სწორედ საგივეთია:
ყველა სჩემობს ჭკუას, გრძნობას, გონებას...
ველარ ვარჩევთ მართალს და მოჩვენებულს („თამარ-ცბიერი“, III, 1).

ვინც სხვას მისცა თვისი საზრდო ჭონება,
ყველას ჩხირად თვალში გაეწონება („მეფე ლირი“).

ვინც ქვეყანაში გამოირჩევა,
ათვალწუნებს უმრავლესობა („თამარ-ცბიერი“).

შექსპირისეული მასხარას ტექსტი მუდამ ერთი და იმავე რიტმული საზომით როდი არის გამართული. ყველა სხვა პერსონაჟებისგან განსხვავებით, „მეფე ლირის“ ხუმარა ხან პროზას მიმართავს, ხან სხვადასხვა საზომით აგებულ ლექსს:

1. ჩიტსა გუგულის მზრდელსაო,
გუგული თავს მოკვინტსაო.
2. ფლიდი ბრძენი ჭირში გასულელდებაო,
სულელი კი, მოკლა, არ გაფლიდება.
3. რაც რომ იცი, სჯობს რომ იმას არ სთქმიდე („მეფე ლირი“).

ასევე რიტმული მრავალფეროვნებით ხასიათდება „თამარ-ცბიერის“ მასხარას მეტყველება:

1. მალღით ცეცხლის წვიმა მოდის,
დაბლა დგება სისხლის ღვარი.
2. კურდღელს რო ძალი ჩამოურჩება,
ალარავინ აჰმევს მაშინ იმ ძალს პურს.
3. მე აქ ჩემს თავს ვამცირებ და ვამდაბლებ:
თავზე მხურავს ჩაჩი სულელ მასხარის.

შექსპირის მასხარა, როგორც საერთოდ ამ დრამატულ პერსონაჟს მოეთხოვება, ხშირად მიმართავს სარკაზმსა და უხეშ, „ეულგარულ“ ხუმრობას. „შენი ვირები წავიდნენ ცხენების მოსაყვანად“, — ეუბნება მასხარა ლირს მისი ქალიშვილებისა და სიძეების შესახებ. ამ ტიპის ენამახვილობა არც აკაკის მასხარასათვის არ არის უცხო. გავიხსენოთ ის ორპირობანი მნიშვნელობა, რომელსაც იძენს პოემაში „თორნიკე ერისთავი“ სიტყვა „სულელი“ მასხარას გამაირებაში ორბელიძესთან:

ხუმარადაც ვარგებულხარ
ვაქაცობით პირველიო,
მაგრამ ვერ იქმ თორნიკობას,
თუმც მის ადგილს სულელიო.

საუკუნის მეორე ნახევარში ევროპული კლასიკური დრამატურგიიდან ქართული მწერლობის ყურადღების ცენტრში უპირველესად შექსპირის შემოქმე-

დება იმყოფებოდა. ამავე დროს იმ პერიოდის როგორც ქართული, ასევე რუს-
დროული რუსული დრამატურგიისათვის უცხო იყო ისეთი პერსონაჟი, როგორ-
რიცა მასხარა. ამგვარად, შექსპირის შემოქმედება, განსაკუთრებით „მეფე
ლირი“, წარმოადგენს იმ ერთადერთ წყაროს, რომელიც შეიძლება სტიმული
გამხდარიყო აკაკი წერეთლისათვის, რომ თავის შემოქმედებაში დაემკვიდრე-
ბინა ისეთი უცხო პერსონაჟი, როგორიცაა მასხარა.

ამგვარ ლიტერატურულ რეცეპციას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ
ხუშარა ერთობ ხელსაყრელი პერსონაჟია ზმების, ანდაზების, ბრძნული გამო-
თქმების, ოხუნჯობისა და სარკაზმის გამოყენებისათვის, ანუ ყოველივე იმისა-
თვის, რაც ეგზომ დამახასიათებელია აკაკი წერეთლის შემოქმედებისათვის. ის
გარემოება, რომ ა. წერეთელი დაინტერესებული იყო შექსპირის შემოქმედე-
ბით, თავისებურად ვლინდება შემდეგ ფაქტში: 1890 წელს თბილისში გასტრო-
ლებზე ჩამოვიდა იმ დროის შექსპირის როლების ერთ-ერთი საუკეთესო შემ-
სრულებელი იტალიელი ტრაგიკოსი მსახიობი ერნესტო როსი (1827—1896)
(უჩვენეს ტრაგედიები „მეფე ლირი“, „ოტელო“, „ჰამლეტი“, „მაკბეტი“, „ვე-
ნეციელი ვაჭარი“, „რომეო და ჯულიეტა“). ქართულმა საზოგადოებამ მას დი-
დი ბანკეტი გაუმართა, რომელზეც ქართულად სიტყვით მიმართა აკაკი წერე-
თელმა: „...შენ შენი ნიჭიერებით გვაგაძნობინე შექსპირის ძლიერება...“. აკაკიმ
როსის ექსპრომტიც უძღვნა:

ოცნებით ვკითხე შექსპირის აჩრდის:
შენ ხარ მთავარი, მგონათ უფროსი,
მაგრამ ვერ მივწვდი შენს მაღალ აზრებს,
და ვინ აგვიხსნის? — ერნესტო როსი!“...

Т. Ш. НУЦУБИДЗЕ

ШЕКСПИРОВСКИЙ ГЕНЕЗИС ОДНОГО ИЗ ПЕРСОНАЖЕЙ А. ЦЕРЕТЕЛИ

Резюме

Образ шута в поэме «Торнике Эристави» и в драме «Коварная царица» А. Церетели имеет шекспировский генезис, обусловленный особой популярностью трагедии «Король Лир» в грузинской общественной жизни второй половины XIX века и органичной близостью А. Церетели с народностью и комизмом, характерными для комического персонажа произведений Шекспира.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის
ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ქართულ-საზღვარგარეთულ ლიტერატუ-
რულ ურთიერთობათა განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა
ა. გვახარიაძემ

თელისაბედ ზარდიაშვილი

ბაკაკი წიგნების „ლაგურას“ შემოქმედებითი ისტორია და ტექსტოლოგიური ანალიზი

მრავალი მწერლის ნაწარმოებთა შემოქმედებითი ისტორიის შესწავლიდან ცნობილია, რომ მხატვრული ნაწარმოების საბოლოო სახე ხანგრძლივი შრომის შედეგად ყალიბდება. იშვიათია ისეთი თხზულება, რომელიც ავტორს თავიდანვე ისე სრულყოფილი სახით შეუქმნია, რომ შემდეგ მას არავითარი ცვლილება აღარ განუცდია. ჩვეულებრივ, მწერალს სხვადასხვა სახის ცვლილებები შეაქვს ნაწარმოებში: ზოგჯერ იგი მხოლოდ ენას ხეყვს ან მხატვრული თვალსაზრისით სრულყოფს ნაწარმოებს, ხან კი, თუ დროთა განმავლობაში ავტორის მსოფლმხედველობა იცვლება, ნაწარმოებიც ამის შესაბამისად არსებით ცვლილებას განიცდის. ასე მიიღება ერთი ნაწარმოების სხვადასხვა ვარიანტი და ზოგჯერ — სხვადასხვა რედაქცია.

შემოქმედებითი ისტორიის შესწავლა საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ იმ გზას, რომელიც ნაწარმოებმა გაიარა მისი პირველი ჩანაფიქრიდან საბოლოო სახით ჩამოყალიბებამდე.

„მწერლის შემოქმედებითი ლაბორატორიის შესწავლა მდიდარ მასალას იძლევა ამ მუშაობის მეთოდისა და პროცესის შესახებ. იგი საშუალებას გვაძლევს საყურადღებო დასკვნები გავაკეთოთ შემოქმედის მსოფლმხედველობასა და ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებებზე, გავარკვიოთ, თუ რა თვალსაზრისით ხელმძღვანელობდა მწერალი ნაწარმოებში ამა თუ იმ ცვლილების შეტანისას და ხშირად ისიც, თუ რა ფაქტორები მასალას ეყრდნობოდა ავტორი“¹.

შემოქმედებითი პროცესი იმდენად რთულია, რომ იდეალისტური მსოფლმხედველობის წარმომადგენლები მის შესწავლას საერთოდ შეუძლებლად თვლიან. პლატონის აზრით, თვით შემოქმედისაც კი, რომელიც ამ პროცესის ტყვეობაში იმყოფება, არ შეუძლია მისი გადმოცემა.

საბჭოთა ტექსტოლოგების საყოველთაო აზრით, შემოქმედებითი პროცესის სირთულისა და თავისებურებების მიუხედავად, მისი მეცნიერული შესწავლა მაინც შესაძლებელია. ეს კარგად ჩანს იმ ნაშრომებიდან, რომლებიც ცალკეულ მწერალთა შემოქმედებითი ლაბორატორიის შესწავლას ეძღვნება. ერთ-ერთი იმ მწერალთაგანი, რომლის მდიდარმა შემოქმედებითმა მემკვიდრეობამ ადრევე მიიქცია ქართველი ტექსტოლოგების ყურადღება, არის აკაკი წერეთელი. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია პროკლე კეკელიძის მონოგრაფია, მიძღვნილი აკაკის ისტორიული პოემების — „თორნიკე ერისთავისა“ და „ნათელას“ — შემოქმედებითი ისტორიისადმი². არსებული მემუარული მასალა და მწერლის შემოქმედებითი მუშაობის ამსახველი ხელნაწერები გვიჩვენებენ, რომ ამ მხრივ გასაკეთებელი კვლავაც ბევრია. მრავალ ნაწარმოებს საინტერესო შემოქმედებითი ისტორია აქვს.

შემოქმედებითი პროცესი მრავალსაფეხურიანია, შემოქმედებითი განწყობით დაწყებული და მწერლის უკანასკნელი ნებით დამთავრებული, რომელთა გათვალისწინებასაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს მწერლის შემოქმედებითი მუშაობის თავისებურების გასაცნობად. ამ მხრივ საინტერესო ცნობებს გვაწვდის დ. ფალავას მოგონება აკაკი წერეთლის შესახებ.

„დილობით, — წერს დ. ფალავა, — აკაკი გვიან იღვიძებდა, გაღვიძების

შემდეგ უთუოდ წერდა. საერთოდ, აკაკის წერა დილით უყვარდა. დღისით ვნ
სალამოთი იშვითად წერდა... სანამ წერას შეუდგებოდა, აკაკი ფუჭუნს მტკ
ყვებოდა. ფუჭუნი მეორე ოთახში კარგად ისმოდა, მაგრამ სიტყვებს „გარმნიკა“
არ შეიძლებოდა. ფუჭუნის შემდეგ მოჰყვებოდა ძალიან დაბალი ხმით სიმლე-
რას, თუმცა სიმღერისა აკაკის არა გაეგებოდა რა. მერე ფეხით დაიწყებდა ბა-
კუნს და მხოლოდ შემდეგ შეუდგებოდა წერას, წერის შემდეგ ძალიან უყვარ-
და ნაწერის სხვებისათვის წაკითხვა. ხშირად გამოიტანდა და წაგვიკითხავდა
ხოლომე...“³.

ანალოგიურ ცნობებს შეიცავს არისტო ქუთათელაძის მოგონება, რომელიც
გვაცნობს, თუ როგორ შექმნა აკაკიმ ლექსი „აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნე-
ლა“. „დიდებულ მგოსნის დიდებულ შემოქმედებითი ნიჭის ძალას მოწმობს,
სხვათაშორის, ის ფაქტიც, რომლის დამსწრე თვითონ მე ვიყავი, — იგონებს
ა. ქუთათელაძე, — 1875 წლის ზაფხულში, როცა რუსეთიდან დაებრუნდი,
ბ. აკაკიმ თავისთან დამაბინავა ქუთაისში „კოლხიდის“ სასტუმროში. ხელმოკ-
ლეობის გამო, ბ. აკაკის ეჭირა ერთი ოთახი. არც ოთახის სამკაული იყო სახარ-
ბიელო: ერთი კრაოტი, ორი ძველი სავარძელი, ორი სელის სკამი და ერთი
ტახტი.

ყოველ შემთხვევისათვის, მგოსანს მუდამ მზად ქონდა მაგიდაზე საწერ-
კალამი, ქალაღი და კარანდაში.

7 სექტემბერს (1875 წ.) დილით ადრე რაღაც არაჩვეულებრივი ჩურჩული
ჩამომესმა ყურში. ჩურჩულმა გამომადვიძა, და დავინახე შემდეგი თბრაათი:
მგოსანი ტუფლებში, პერანგისა და მისი ამხანაგის ამარა ზაფხულის სურლს
პალტოში ფრთხილად დადის ოთახში და ჩურჩულობს. მე თავი მოვიმძინარე და
სულ-განაბული თვალ-ყურს ვადევნებდი! ესტუმრა დიდებულ მგოსანს მისი
სანატრელი მუზა და მასთან საუბრობდა. ბოლოს, საუბარი გათავდა, გაქრა
მუზაც და ჩვენმა ყველასათვის საყვარელმა აკაკიმ მსწრაფლ გადმოძახა: „არის-
ტო, არისტო, ადგივი მალე და დასწერე!“.

„ჩემს აღტაცებას საზღვარი აღარ ქონდა... ყოვლად უცვლელად და გაუს-
წორებლად მიკარანახებდა ბ. აკაკი და მე გულის ფანცქალით გაჩქარებული
ვსწერდი ძვირფას ლექსს, რომელიც ქართულ მწერლობაში საუკეთესო განძია,
შედევრია, როგორც სხვა მისი მრავალი ლექსი („აღმართ-აღმართ მივდიოდი
მე ნელა“)“.

1876 წ. პოეტმა ამ ლექსს წინ წაუძმდვარა თავისი ჩვეულებრივი „ცხელ-
ცხელი ამბები“ და დაბეჭდა „დროებაში“ 9 იანვარს (1876), რომელსაც ქვე-
მოთ მიაწერა გიორგი ქართველიშვილი, 1876 წ. 1 იანვარი, ს. ახალ-გორი“⁴.

აღნიშნულ მოგონებებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ აკაკის
ჩვეულებად ჰქონია დილაობით წერა, ოთახში სიარული, შემოქმედებითი პრო-
ცესის დროს სიმღერა და „ფუჭუნიც“ სცოდნია.

აკაკი წერეთლის შემოქმედებითი მუშაობის დროს ერთი თავისებურება
იქცევს ყურადღებას: იგი ზოგჯერ ამბავს პროზად მოგვითხრობს, შემდეგ კი
პოეტურ ფორმას აძლევს მას. ასე შეიქმნა მისი ცნობილი ნაწარმოებები: „ლა-
მურა“, „გოგია მეჩონგურე“, „მედია“ და სხვა.

აკაკი წერეთლის დრამატული პოემის „მედიას“ შესახებ შალვა დადიანი
იგონებს: „საყურადღებო ის იყო, რომ აკაკიმ პირველად ეს პიესა მამას რომ
წაუკითხა, პროზად იყო დაწერილი და კარგად მახსოვს, შემდეგ ეს პროზა სი-
ტყვა-სიტყვით იყო გალექსილი. მაშასადამე, აკაკის ესეთი მანერა ჰქონია, უთუ-
ოდ მოუცულობით დიდ ნაწარმოებთა წერის დროს, — ჯერ პროზათ დაამუშა-
ვებდა და შემდეგ გალექსავდა...“⁵.



აკაკის შემოქმედებაში ხშირია ლექსნარევი პროზის ნიმუშები. მწერლის ფელეტონების დიდ ნაწილში ჩართულია ლექსები, რომლებიც შემდეგ დამოუკიდებელ ნაწარმოებებად იქცნენ, მაგალითად: „ჩემო ციციანთელა“ („დროება“, 1871, № 30), „ჩემო თავო, ბედი არ გიწერია“ („დროება“, 1871, № 32), „რათ მიწოდდა სითეთრე?“ („დროება“, 1871, № 38), „გამტანია ჩვენი ერი“ („დროება“, 1872, № 12) და ა. შ.

საინტერესო შემოქმედებითი ისტორია აქვს აკაკი წერეთლის ლექსს „ღამურას“. არსებობს მისი ორი რედაქცია: „ღამურა“ — ლექსნარევი პროზად და ლექსად.

პროზაულ რედაქციას მოეპოვება ასლი (ხელნაწერთა ინსტიტუტი, აკაკის ფონდი, H-1505), გადაწერილი მღვდელ გიორგი ზამბახიძის მიერ. ასლის ტექსტი სიტყვასიტყვით ემთხვევა კრებულ „საყმაწვილო ამბებში“ (1885) და ჟურნალ „ნაკადულში“ (1908, № 11) დაბეჭდილ ტექსტებს. ამიტომ საგარაუდოა, რომ ასლი ამ ერთ-ერთი ჟურნალიდან უნდა იყოს გადაწერილი.

„ღამურას“ პირველ ნაბეჭდ წყაროდ ითვლება ვაზეთ „დროების“ 1875 წლის № 66-ში დაბეჭდილი ტექსტი, მოთავსებული „ფელეტონის“ განყოფილებაში, სათაურით: საყმაწვილო ზღაპრებიდან, „ღამურა“. ბოლოში აქვს ხელმოწერა „აკაკი“. გარდა ამისა, აკაკიმ კიდევ ორჯერ დაბეჭდა „ღამურა“ პროზად: კრებულში „საყმაწვილო ამბები“ (1885 წ.) და ჟურნალ „ნაკადულში“ (1908 წ., № 11).

ზღაპარში აღწერილია „ერთის ციხე-დარბაზის ჭერ-ქვეშ“ მოხინაღრე თავგების საამური ცხოვრება: „ზაფხულში გრილი იყო მათი საშობლო და ზამთარში თბილი და მით უფრო სანეტარო, რომ მაზედ თავგებს შემცილებელი არავინა ჰყავდათ“⁶. მაგრამ თავგების საამური ცხოვრება დიდხანს არ გაგრძელბულა. ციხე-დარბაზის მცხოვრებლებმა ჯერ ზაფანგი დაუგეს თავგებს, მერე კატაც გაიჩინეს. თავგები გაჭირვებაში ჩავარდნენ, მაგრამ ბოლოსდაბოლოს შეეგუვნენ ყველაფერს. „თავგები ყოველთვის ბედნიერი იყვნენ, თავის ბედს სჭერდებოდენ და მეტს ვერ ეძებდენ“⁷.

„ერთხელ მხოლოდ ერთმა მათგანმა, სულელმა თავგმა იუკადრისა თავის თავგობა და მოინდომა ჩიტობა...“⁸. ამას მოსდევს იმის აღწერა, თუ როგორ აუსრულდა ნატერა და რა მოჰყვა მას: ის არც ჩიტებმა მიიკარეს და თავგებმაც გააძევეს. ღამურა ერთ ნანგრევში შეფრინდა და იქ დასახლდა. როცა ის გულსაკლავად წრიბინებს, თურმე ამბობს: „ვინც თავის გვარტომობას იწუნებს და გადარჯულებას სცილობს, ის ჩემსავით უბედური იქნება“⁹. ზღაპარში ორ ადგილას ჩართულია ლექსები: თავგების სიმღერა (4 სტროფი) და კატის მეტყარა (3 სტროფი). ნაწარმოები მთავრდება ხუთსტროფიანი ლექსით.

კრებულ „საყმაწვილო ამბებისა“ და ჟურნალ „ნაკადულის“ ტექსტები მცირედ განსხვავდება ვაზეთ „დროების“ ტექსტისაგან. 1875 წელს „დროებაში“ დაბეჭდილი ვარიანტი პოეტმა ხუთი სტროფით დაასრულა. აღნიშნულ ბოლო ორ გამოცემაში „ღამურა“ ბოლოვდება სამსტროფიანი ლექსით. კრებულ „საყმაწვილო ამბებისა“ და ჟურნალ „ნაკადულის“ ლექსებში არ არის „დროებაში“ დაბეჭდილი ლექსის მე-2 და მე-4 სტროფები.

განსხვავება პირველნაბეჭდ წყაროსა და ზემოთ აღნიშნულ ბოლო ორ გამოცემაში დაბეჭდილ ტექსტს შორის, თუ არ ჩავთვლით სტროფთა რაოდენობას, ძალიან მცირეა: „დროების“ ტექსტში არის „გადაკვარების“, კრებულ „საყმაწვილო ამბებისა“ და ჟურნალ „ნაკადულში“ — „ბოროტებისა მოსურნე“; „მიუა“ („დრ.“) — „მიუეა“, „თვის ტომს“ („დრ.“) — „მოყვრებს“, „თვით ჭიჭირობს“ („დრ.“) — „აპირობს“. ასეთ უმნიშვნელო განსხვავებებს იძლევა „ღამურას“ პროზაში ჩართული ლექსების შედარება.

ყველაზე საინტერესო ნაბეჭდ წყაროთა შორის არის 1880 წლის „დროება-ში“ (№ 226) დაბეჭდილი ტექსტი. აქ „ღამურა“ უკვე ოცსტროფიანი ლექსის სახით არის წარმოდგენილი. პროზად შექმნილმა „ღამურამ“ ავტორმა მერყეულმა და ამიტომ აკაკიმ იგი ლექსად გადაამუშავა. მაგრამ პოეტს მთლიანი პროზა კი არ გაუღექსავს, არამედ მხოლოდ ამ ადგილიდან: „ერთმა მათგანმა, სულელმა თავგმა“ რომ „იუკადრისა თავის თავგობა“. რა მოხდა? რატომ დაიწყო აკაკიმ პროზის გაღექსვა თითქმის ბოლოდან?

ამჟამად, რომ ზღაპარში მოთხრობილი თავგების მთელი თავგადასავალი სწორედ მის ფინალს ემსახურებოდა; მრავალი დიდი გაჭირვების გადატანის შემდეგ თავგები მაინც შეეგუვნენ თავიანთ ცხოვრებას, არც არსად წასულან და არც სხვა უკეთესი უნატრიათ, მაგრამ გამოჩნდა ერთი „სულელი“ თავგი და მან იუკადრისა თავის მოძმეებში ყოფნა, ჩიტად გადაქცევა მოინდომა. პოეტის მთელი სათქმელი, იგავის დედააზრი ჩაღებულა ზღაპრის ფინალში; ლოგიკური მახვილი ნაწარმოებისა ამ ადგილასაა. მთავარი აზრი, რისი მიტანაც ავტორს მკითხველამდე სურდა, აქედან იწყება. ამ მონაკვეთში დევს ნაწარმოების მთელი იდეა. აკაკიმაც ნაწარმოების გადამუშავება სწორედ ამ მონაკვეთიდან დაიწყო და მიზანსაც მიაღწია. ლექსით ავტორმა უფრო ადვილად მიიტანა მკითხველამდე თავისი აზრი. დახვეწა, ჩამოაშორა ლექსის ის ზედმეტი ნაწილები, რაც პროზას ახლავს დასაწყისიდან ფინალამდე. ლექსი უფრო მკვეთრად და ნათლად გამოხატავს ავტორის სათქმელს, ჩანაფიქრს, ვიდრე პროზა. გაღექსვით ნაწარმოების შემეცნებითი ღირებულება ამაღლდა და იდეაც უფრო გასაგები გახდა.

აკაკიმ თავის სიცოცხლეში „ღამურა“ დაბეჭდა სულ თერთმეტჯერ: მათ შორის პროზად — 3-ჯერ და ლექსად — 8-ჯერ.

1880 წელს აკაკიმ, მართალია, „ღამურა“ გაღექსა, მაგრამ 1884 წელს კრებულ „საყმაწვილო ამბებში“ და ჟურნალ „ნაკადულში“ (1908 წ.) ის ისევ პროზის სახით შეიტანა. ეს უნდა აიხსნებოდეს აღნიშნული კრებულების სპეციფიკით. ჯერ ერთი, „საყმაწვილო ამბებში“ დაბეჭდილი ყველა ნაწარმოები არის პროზა ან ლექსნარევი პროზა, ამიტომ აკაკიმ კრებულში „ღამურაც“ პროზაული სახით შეიტანა. მეორეც, პროზაში უფრო ვრცელადაა მოთხრობილი თავის თავგადასავალი და მას აქვს ზღაპრის სახე, რაც სრულიად აკმაყოფილებდა „ყმაწვილებისათვის“ საკითხავი კრებულის მოთხოვნებს. ამ ფაქტით ისიც დასტურდება, რომ „ღამურას“ გაღექსვის შემდეგ ავტორს პროზაული რედაქცია კი არ უარყვია, არამედ მასაც ბეჭდავდა საჭიროების შემთხვევაში.

1893 წელს „თხზულებანის“ II ტომში და 1913 წელს „ჩემი ნაწერების“ მეორე წიგნში პოეტმა შეიტანა „ღამურას“ სრული ტექსტები, ოცსტროფიანი ლექსი, როგორც სახითაც ის დაიბეჭდა გაზ. „დროებაში“ 1880 წელს. დანარჩენ გამოცემებში „ღამურა“ სხვადასხვაგვარად იბეჭდებოდა, კერძოდ, კრებულში „გოგია მეჩონგურე და სხვა ლექსები“ (1877) და „თხზულებანის“ I ტომში (1893) დაიბეჭდა ხუთსტროფიანი უსათაურო ლექსის სახით. „სულიკო და სხვა ლექსებში“ (1899) დაიბეჭდა 3 სტროფი, ისევ უსათაუროდ. 1903 წელს კრებულში „სიმღერა აკაკისა“ დაბეჭდილია 3 სტროფი (აქ ცენზურას ამოულია ერთი სტროფი), რომელიც დასათაურებულია: „კრულ იყოს“; 1908 წელს „ჩემულ ლექსებში“ დაბეჭდილია 5 სტროფი. ლექსი აქაც დასათაურებულია ასე: „კრულ იყოს“.

როგორც ვხედავთ, „ღამურას“ დასათაურებაც რამდენიმენაირია. ეს აიხსნება თვით ლექსის სპეციფიკით. ნაწარმოები (როგორც პროზა, ისე ლექსი) ორ ნაწილად შეიძლება გაიყოს: თხრობა ღამურას თავგადასავლისა და მორალი. განსხვავებას ლექსის დასათაურებაში სწორედ ეს ნაწილები იძლევა. მთლიან ვარიანტს ლექსისას ყოველთვის ჰქვია „ღამურა“, სათაურის ქვეშ ფრჩხი-



ლებში უწერია „ზღაპარი“. დანარჩენ გამოცემებში პოეტმა დაბეჭდა ლექსის მორალის გამომახატველი 5 სტროფი (ან ხუთზე ნაკლები). ეს ის ხუთი სტროფია, რომლითაც პოეტმა პროზა დაამთავრა, ზღაპრის მორალი ლექსად გამოყენებულია შემდეგშიც მცირედენი ცვლილებების გარდა ეს ბოლო 5 სტროფი აღარ გადაუყეთებია. როცა პოეტს „ღამურადან“ მორალი შეაქვს გამოცემებში, მას ან უსათაუროდ ბეჭდავს, ან დასაწყისი სტროფის პირველი ორი სიტყვა — „კრულ იყოს“ — გააქვს სათაურად.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აკაკიმ ზღაპარი „ღამურა“ გალექსა და 1880 წელს „დროებაში“ გამოაქვეყნა. ლექსი მთავრდება იმავე ხუთი სტროფით, რომელიც ერთვოდა ბოლოში პროზაულ ვარიანტს. ორივე რედაქციის ბოლო ხუთი სტროფი ერთმანეთისგან თითქმის არაფრით არ განსხვავდება, თუ აწ ჩავთვლით ძალიან მცირე ცვლილებებს, როგორცაა:

პროზის ჩანართი

ლექსი

„ვის ტომის დამწუნებელსა
ნურავინ **ისხავს** სხვის ქურქსა
და ნუ სცვლის **თავის** ენასა
თორემ ბოლოს დროს **მოიმკის**
უსუსტარ ცრემლთა დენასა“.

„თვის ტომის დამწუნებელსა
ნურავინ **ისხამს** სხვის ქურქსა.
და ნუ სცვლის **თვისხა** ენასა
თორემ ბოლოს დროს **მოიმკობს**
ჩემსავით ცრემლთა დენასა“.

გარდა ამისა, 1875 წელს გამოქვეყნებულ პროზის ფინალში სიტყვებ: „კრულ იყოს“, „ძველ ტომში“, „ახალ ტომშიაც“, „დედა ენასა“ ავტორს უწერია ცალ-ცალკე, 1880 წელს კი ლექსში ეს სიტყვები დეფისით არის წარმოდგენილი.

პროზაში ჩართულ ლექსში „ვის ტომის დამწუნებელსა“ — „ვის“ კორექტურული შეცდომაა, რადგან სხვა ვარიანტებში ყველგან არის „თვის ტომის დამწუნებელსა“. კორექტურაა აგრეთვე „და ახალ ტომშიაც გაჰკიცხვენ“, სადაც ერთი მარცვალი ზედმეტია. 1880 წლის პუბლიკაციის მიხედვით ჩანს, რომ უნდა იყოს: „და ახალ ტომშიც გაჰკიცხვენ“. ზმნაში გასწორებულია თემის ნიშანი სწორი ფორმით: „ისხამს“; „უსუსტარ ცრემლთა დენასა“ — სიტყვა „უსუსტარი“ პოეტს შეუცვლია სიტყვით — „ჩემსავით“. ასეთ უმნიშვნელო სხვაობებს იძლევა „ღამურას“ ორი რედაქციის — პროზისა და ლექსის ბოლო საერთო სტროფები — პირველი ნაბეჭდი წყაროების შედარება.

მიუხედავად „ღამურას“ ავტორგრაფების უქონლობისა, ლექსის შექმნის ისტორიის აღდგენა ადვილად ხერხდება პროზისა და ლექსის შედარებით.

პროზა

ლექსი

„ერთხელ მხოლოდ ერთმა მთვანმა,
სულელმა თავმა იუკადრისა თავის თავგობა და მოინდომა ჩიტობა. „რა არის ეს ჩემი სიცოცხლეო? ამბობდა — მუდამ მიწაზედ ვხობავ და მტვერში ვისვრები ჰერქვეშო! სხვაგან წასვლა რომ მიინდოდეს ერთს დღეს ერთს მანძილს ჭლივს წაფიტუნცულებ და ჩიტი კი ერთს შემოჰკრამს ფრთას და თვალის დახამხამებამდის მთა და ბარს გადავიღოს. მეც რომ ფრთები მქონდეს, მეც იმასავით ბედნიერი ვიქნებო“.

„ერთმა უგნურმა თავგუნამ
იუკადრისა თავგობა;
დასწყევლა თვისი გაჩენა...
ბუნების იწყო მან გმობა.
— იმ უსამართლო ბუნებამ
თავებთ რათ გააჩინაო?
მე სხვაგან ყოფნა მიინდოდა,
მან ჰერქვეშ მომცა ბინაო!
— ვის ეკადრება თავებთან
კულის ბზეკა და ლტენაო?
მე შემეგნოდა ჩიტობა,
რომ მეწყო აღმა ფრენაო“.

აკაკიმ პროზაში ნახმარი სიტყვა „სულელი“ „უგნური“-თ შეცვალა. მწერალმა აქ ყურადღება მიაქცია სიტყვების სემანტიკური მხარის დაზუსტებას.

ასე რომ არ იყოს, მას შეეძლო ეხმარა „უგუნურის“ ნაცვლად „სულელი“, ამ ორი სიტყვის მარცვალთა რაოდენობა თანაბარია.

პროზის ზემოთ მოყვანილ ნაწყვეტში თავი უკმაყოფილოა მხოლოდ სტერქე-ქვეშ ცხოვრებით: რომ მიწაზე ხოხავს და მტვერში ისვრება. სადმე წასვლა რომ უნდოდეს, „ერთს მანძილს ძლივს“ გადის და ჩიტი კი თვალის დახამხამე-ბაში მთა-ბარს გადაივლის. ლექსში ეს ადგილი უფრო მხატვრულად გახმაურ-და და, რაც მთავარია, სოციალური შინაარსით დაიტვირთა. საქმე მარტო მტვერ-ში ამოსვრას კი აღარ ეხება, არამედ:

„ვის ეკადრება თავებთან
კუდის ბზეკა და ლენაო?
მე შემშვენოდა ჩიტობა,
რომ მეწყო აღმა ფრენაო“.

პროზაში თავის ვედრება მხოლოდ ორი წინადადებით არის გადმოცემული: „დაიწყო ვედრება: ღმერთებო, ფრთები მომეცითო. შეუსმინეს ღმერთებმა, გამოება თავს ფრთები, გადაიქცა რალაც ცხოველათ, აღარც ჩიტი იყო და არც თავივი“. ლექსში ამ ვედრებას ორი სტროფი ეძღვნება:

„რომ ვინმე ჩიტად მაქცევდეს,
გამომამადეს ფრთებსაო,
გაფრინდებოდი, ერთს წამს
გადავივლიდი მთებსაო!...
რომ დაასრულა ეს ნატერა...“ და ა. შ.

პროზის ერთი წინადადება: „გახარებული მიფრინდა ჩიტებთან“ პოეტმა ლექსში უფრო მხატვრულად გადაიტანა, თავის ჩიტებთან ვაფრენის რეალუ-რი სურათი დახატა: „ზიზლით შეხედა თვის ტოლებს“, — წერს ავტორი. როცა იგრძნო, რომ ფრთები გამოესხა, თავგმა თავისი ტოლები არაფრად ჩაავდო და ზიზლით გადახედა მათ. პოეტი განავრძობს:

„დაუყოვნებლივ ავარდა,
ჩიტებში გამოერია,
იმანა ვაინავარდა“.

მაშასადამე, პროზის ერთი, ძალიან ჩვეულებრივი, წინადადება — „გახარებული მიფრინდა ჩიტებთან“ — აკაკიმ ერთი მთლიანი სტროფით შეცვალა და ამით აღნიშნული წინადადების მხატვრული დონე აამაღლა.

პროზა

ლექსი

„ჩიტებმა აათვალიერ-დაათვალიერეს“.

„ჩიტებმა ახედ-დახედეს,
სთქვეს: „— ვინ მოსულა ესაო?
რა რჯულის ცხოველი არის?
ჩვენთან ვინ გააწყისაო?“

„ათვალწუნეს, იმდენი კორტნეს, რომ
კინაღამ მოჰკლეს“.

„დაკლივლეს, ჩაუნისკარტეს,
გაჰკრეს-გამოჰკრეს ბრჭყალები,
სისხლი აღინეს ღამურას,
გამოუბნულეს თვალები!“

პროზის თითო წინადადება თითო მხატვრულ სტროფად გახმაურდა ლექსში. პროზის ყოველი წინადადების მხატვრული დონე უფრო ამაღლებულია ლექსში, აზრი დატვირთულია სოციალური შინაარსით.

„ღამურას“ ლექსად დაწერილი ვარიანტების შედარება მცირეოდენ განსხვავებებს გვიჩვენებს. თუ A ვარიანტად ჩავთვლით სიცოცხლისდროინდელ უკანასკნელ გამოცემას („ჩემი ნაწერები“, ტ. II, 1913), მაშინ ასეთ სურათს მივიღებთ: 1913 წლისათვის აკაკის შეუტყვლია ზოგიერთი ადრინდელი ფორმა. მაგალითად, გაზეთ „დროების“ ტექსტში ნახმარ „თავგუნას“ ნაცვლად ბოლო გამოცემებში შეუტანია „თავუნა“ („ერთმა უგუნურმა თავუნამ“), სამ ვარიანტში ზმნა „ღალატობს“ პირის ნიშნის გარეშეა ნახმარი (ვაზ. „დროება“, 1880; „სულიყო და სხვა ლექსები“, 1899; „სიმღერა აკაკისა“, 1903), 1913 წლის გამოცემაში მას 3- პრეფიქსი ახლავს: „ჰალატობს“, რაც ამ ზმნის სწორი ფორმაა. „მოიძვობს“ („დროება“, 1880) შეცვლილია სწორი ფორმით — „მოიძვის“. „მიუთა“ („დროება“, 1880) — „მიუთა“ ფორმითაა შესწორებული და ა. შ.

ამდაგვარი სწორებები აკაკის სხვაც ბევრი აქვს „ღამურაში“, მაგრამ, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია იმის გასაგებად, რომ მწერალი გამოცემიდან გამოცემაზე ტექსტის ენობრივ დამუშავებასაც მიმართავდა. საინტერესოა, ვითარებითი ბრუნვის ნიშნის საკითხი. 1880 წელს „დროების“ ტექსტში ორჯერ არის ნახმარი ვითარებითი ბრუნვის ნიშნად -დ (საკებნად, ერთად), დანარჩენ ხუთ შემთხვევაში არის -თ (თავგათ, რათ, ჩიტათ, ფრთხილათ, საჭირბოროტოთ). 1913 წლის გამოცემაში ყველა -თ გადაკეთებულია -დ-დ (თავგად, რად, ჩიტად, ფრთხილად, საჭირ-ბოროტოდ). ეს გარემოება დიდად საყურადღებოა მწერლის თხზულებათა მომავალი აკადემიური გამოცემისათვის, რადგან წინა აკადემიური გამოცემის თხუთმეტობეულში ნათქვამია, რომ აკაკის -თ დაბოლოება გადაკეთდა -დ-დ. თანამედროვე ნორმების მიხედვით გადაკეთება არც იყო საჭირო, რადგან ვითარებითი ბრუნვის ამ დაბოლოებას ბოლო ხანებში თვითონ მწერალი იცავდა. ამას ადასტურებს აკაკის სხვა ლექსების ვარიანტთა შედარებაც.

ლექსსა და პროზად დაწერილ ზღაპარ „ღამურას“ შორის არსებითი განსხვავებაა, მაგრამ პროზაში ჩართული ხუთი სტროფი შემდგომში თითქმის უცვლელად მეორდება ლექსში. ასეა 1880 წელს ლექსად დაბეჭდილ ტექსტში და სხვა გამოცემებშიც.

ოცსტროფიანი ლექსის შექმნამდე აკაკის ზღაპრიდან ამოღებული ხუთი სტროფი დაუბეჭდავს 1877 წელს კრებულში „გოგია მეჩონგურე და სხვა ლექსები“. შემდეგ ნაბეჭდ წყაროში („საყმაწვილო ამბები“, 1885) „ღამურა“ ისევ ლექსნარევი პროზის სახითაა დაბეჭდილი, მასში ჩართულია არა ხუთი, არამედ სამი სტროფი. „თხზულებანის“ I ტომში, „სულიყო და სხვა ლექსებში“, კრებულში „სიმღერა აკაკისა“, „რჩეულ ლექსებში“ დაბეჭდილია „ღამურას“ არა სრული ტექსტი, არამედ მხოლოდ მორალი, ხოლო სრული ტექსტი „ღამურასი“ დაბეჭდილია „დროებაში“, „თხზულებანის“ II ტომში და „ჩემი ნაწერების“ მეორე ტომში, ე. ი. აკაკი „ღამურას“ სხვადასხვა გამოცემაში სხვადასხვა სახით ბეჭდავს: ხან ვრცელ, ოცსტროფიან ლექსად, ხან კი კმაყოფილდება მხოლოდ ლექსის მორალის დაბეჭდვით. მაშასადამე, „ღამურა“ ცნობილია როგორც ვრცელი, ისე შემოკლებული ვარიანტით. მისი დაწერის თარიღად მიღებულია 1880 წელი, როცა აკაკიმ პროზა ლექსად გადააკეთა, მაგრამ პროზაში ჩართულ ხუთ სტროფს არავითარი იდეური ცვლილება არ განუცდია, ავტორმა იგი ყოველგვარი გადაკეთების გარეშე (მცირეოდენი ორთოგრაფიული შესწორებით) შეიტანა ლექსში. ამიტომ ლექსის დათარიღება მხოლოდ 1880 წლით არასწორია, რადგან ლექსის ნაწილი დაწერილია 1875 წელს. უფრო სწორი იქნება „ღამურას“ დათარიღება წყვეტილი თარიღით — 1875, 1880 წწ.

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ დასკვნის სახით შეიძლება ითქვას: „ღამურას“, რომელიც აკაკი წერეთლის სატირული ლირიკის ერთ-ერთი შედევრია, საინტერესო შემოქმედებითი ისტორია აქვს. იგი საშუალებას გვაძლევს, შევის-

წავლთ აკაკის შემოქმედებითი მუშაობის მნიშვნელოვანი თავისებურება, დავახსოვოთ ლექსის დაწერის თარიღი, განვსაზღვროთ მწერლის გენეზისი, ავტობიოგრაფია და ა. შ.

ა. წერეთლის შემოქმედებითი მუშაობის ერთ-ერთი გამოკვეთილი თავისებურება იყო ნაწარმოების ჯერ ლექსნარევი პროზის სახით წერა, ხოლო შემდეგ მისი გადამუშავება ლექსად. ლექსად დაწერილი „ღამურას“ ტექსტის ნაწილი პოეტმა შექმნა 1875 წელს და შეიტანა იგი პროზად დაწერილ რედაქციაში, ხოლო 1880 წელს ნაწარმოები გადაამუშავა და მთლიანად ლექსად აქცია, რომელიც იმავე წელს დაბეჭდა გაზ. „დროებაში“; ამიტომ ლექსი უნდა დათარიღდეს წყვეტილი თარიღით — 1875, 1880 წწ.

ლიტერატურა

1. ლ. სანაძე, ილია ჭავჭავაძის „გლახის ნამშობის“ შემოქმედებითი ისტორია, „ტექსტოლოგიის საკითხები“, 111, თბ., 1971.
2. პრ. კეკელიძე, აკაკი წერეთლის ისტორიული პოემები, „თორნიკე ერისთავი“, „ნათელა“, თბ., 1961.
3. დ. ფაღავა, ოთხი წელი აკაკისთან, „მნათობი“, 1936, № 7.
4. ა. ქუთათელაძე, „მოგონებებიდან“, აკაკი, „ფასკუნჯი“, ტფ., 1908, № 5.
5. შ. დადიანი, გაზ. „სიტყვა და საქმე“, თბ., 1935, № 3.
- 6.—9. გაზ. „დროება“, 1875, № 66, „ღამურა“.
10. ლ. კრელაშვილი, ვაჟა-ფშაველას თხზულებათა ატრიბუცია და შემოქმედებითი ისტორია, თბ., 1985.
11. ლ. ასათიანი, ცხოვრება აკაკი წერეთლისა, თბ., 1953.
12. ა. ხინთიბიძე, აკაკის ლექსი, თბ., 1972.
13. ა. იოვციძე, აკაკი წერეთელი (დოკუმენტური მასალები), თბ., 1953.
14. ს. ყუბანეიშვილი, აკაკი წერეთლის დრამატული პოემები („თამარ ციხერი“, „პატარა კახი“), თბ., 1969.
15. ც. ყიფშიძე, კოტე მაყაშვილი, თბ., 1983.
16. ტექსტოლოგიის საკითხები, ტ. I, II, III, V.
17. ტექსტოლოგიური წერილები, VII, თბ., 1978.
18. ტექსტოლოგიის საფუძვლები, II, თბ., 1983.
19. Вопросы текстологии (сборник статей), М., 1957.
20. Вопросы текстологии (сборник статей), М., 1960.
21. В. Виноградов, Проблема авторства и теория стилей, М., 1961.

Э. А. ЗАРДИАШВИЛИ

ТВОРЧЕСКАЯ ИСТОРИЯ И ТЕКСТОЛОГИЧЕСКИЙ АНАЛИЗ СТИХОТВОРЕНИЯ А. ЦЕРЕТЕЛИ «ЛЕТУЧАЯ МЫШЬ»

Резюме

Рассмотрен вопрос творческой истории стихотворения «Летучая мышь».

Как выясняется, поэтом проделана довольно сложная творческая работа. Сначала им было написано смешанное произведение (проза со стихотворением), затем — стихотворение, которое и явилось выражением последней авторской воли поэта. Установлена прерывистая датировка стихотворения: 1875, 1880 гг.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილება
წარმოადგინა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა

მარინე ფერაძე

ვასილ ბარნოვის ისტორიული რომანის „მიმგრალი შარავანდედის“ იდეურ-მსთმბიტკური სავფშკველი

ქართული ისტორიული რომანის, როგორც უანრული სახეობის კლასიკური ფორმის ჩამოყალიბება, უშუალოდა დაკავშირებული ვასილ ბარნოვის სახელთან. ამ უაღრესად ორიგინალური და თვითმყოფადი შემოქმედის სამწერლო მოღვაწეობა იწყება ვასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან. ეს არის პერიოდი უაღრესად მნიშვნელოვანი სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებებისა. ამდენად, თანამედროვეობის წარმოსახვა ნებისმიერი იმდროინდელი მწერლისათვის უკვე თავისთავად იქნებოდა შემოქმედებითი გამარჯვების ერთ-ერთი გამაპრობებელი ფაქტორი. ვ. ბარნოვა თავისი ტალანტი უმთავრესად წარსული დროის მოვლენების ჩვენებას დაუკავშირა. თემატურად მწერლის ქმნილებები ქართველი ხალხის წარსულის სხვადასხვა მონაკვეთს ეხება. ვ. ბარნოვა ქართული ისტორიული რომანი დახვეწა როგორც შინაარსობრივად, ასევე გარეგნული ფორმის თვალსაზრისით. საერთოდ, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მწერლის შემოქმედება ორგანული ნაწილი და გავრცელება კლასიკური ქართული მწერლობისა, რომელსაც ეროვნული ზეპირსიტყვიერების, წარმართობისა და ქრისტიანობის შორეულ წიაღში აქვს ფესვები გადგმული. უნდა დავეთანხმოთ პროფ. ს. ჭილაიას, ვ. ბარნოვი „სტილისა და ლიტერატურული ინტერესების მხრივ XI—XII საუკუნეების ქართული მწერლობის ტრადიციებიდან ამოდის“¹.

ისტორიული წყაროების შეჯერებიდან ჩანს, რომ ვ. ბარნოვი ზედმიწევნით იცნობს თავის რომანებში ასახულ ისტორიულ გარემოს, მაგრამ მისთვის უმნიშვნელოვანესია საკუთარი შემოქმედებითი კონცეფცია. ამიტომ აშკარად მთავარი — ჩანაფიქრის, იდეის განსახოვნებაა, რომელთა გამოვლენას წარმოადგენს ნაწარმოების პერსონაჟთა სახეები, ქცევები და მოქმედებები.

ვ. ბარნოვი ვირტუოზულად ფლობს ქართულ სიტყვას. იგი აღიარებულია ქართული რიტმული პროზის დიდოსტატად. ჰანკ ფენრიხი შენიშნავს — „მისი პროზა ლირიული პროზის შთაბეჭდილებას ახდენს“². ზოლო ო. ჩხეიძის აღნიშვნით, „ქართულმა რომანმა არ იცოდა ასეთი სტილი, არც ასეთი გაბედული ძიებები იცოდა. ძველი თუ ახალი პროზის გამოცილებიანი როდი იქმარა, ძილისპირნის, ფსალმუნთა და საგალობელთა მელოდიები ჩაუფინა და გამოძერწა სრულიად განსხვავებული, საკუთარი, ახალი სტილი“³.

ვ. ბარნოვის შემოქმედებისათვის ნიშანდობლივია მხატვრული სახეებისა და ხასიათების, ნაწარმოებების მთელი კომპოზიციური სტრუქტურის უმჭიდროესი კავშირი საკუთარ იდეურ-ესთეტიკურ კონცეფციასთან.

„ღმერთი სიყვარული არს“⁴ — იოანეს კათოლიკე ეპისტოლედან მომდინარე ეს სიტყვები არის ძირითადი საყრდენი ვ. ბარნოვის რომანებში გამოვლენილი მორალური პრინციპებისა. სიყვარულთან, ამ უდიდეს ადამიანურ გრძნობასთან დამოკიდებულებაში ხდება გმირის ჩვენება და პორტრეტის ჩამოყალიბება.

¹ ს. ჭილაია, ვასილ ბარნოვი, წიგნში: „ქართული მწერლობა“, თბ., 1972, გვ. 150.

² ზ. ფენრიხი, ქართული ლიტერატურა, თბ., 1981, გვ. 141 (გერმანულ ენაზე).

³ ო. ჩხეიძე, „ვასილ ბარნოვი“, თბ., 1976, გვ. 297.

⁴ კათოლიკე ეპისტოლე წმიდისა მოციქულისა და ლეთიმეტყველისა იოანესი, „ახალი აღქმა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი“, თბ., 1963, I, 4—8, გვ. 357.



მწერლის ქმნილებათა შორის საგანგებო ყურადღებას იმსახურებს რომანი „მიქრალი შარავანდედი“. ნაწარმოებში მწერლისეული მხატვრული განმარტების ისტორიულ ფაქტებს ემყარება, რაც განპირობებულია ავტორისეული იდეურ-ესთეტიკური მრწამსით და რეალიზებულია უაღრესად ორიგინალური მხატვრული სახეებისა და ხასიათების მეშვეობით. მხატვრულ ქსოვილში, ამ ასპექტის მიხედვით, გამოირჩევა ძირითადი პერსონაჟის — თინათინის სახე. ნაწარმოების ქარგისათვის მწერალი იყენებს „ქართლის ცხოვრებაში“ გადმოცემულ ცნობილ ამბავს: „ხოლო ლევან დაიპყრა კახეთი და მოიყვანა ცოლად ასული გურიელისა თინათინ. ამა თინათინისა იტყვიან, სიყრმესა შინა ნახა ჩვენება ესე: „შეგირთავს მთავარი ვინმე და მოსვლისა შენსა ადგილსა ერთსა“ უჩვენა ადგილი ნიშანი და რქუა ესრეთ: „და მუნ იქნება შინდი თეთრი ერთი. და უშენე მონასტერი ერთი დედასა ღმრთისასა“. ხოლო რაჟამს მოიყვანეს შუამთასა და ჩამოაჯიღნეს განსასვენებლად, და რაჟამს იხილა თინათინ ადგილი იგი, იყო ყოველივე ნიშნეული ჩვენებისა და შინდი თეთრიცა. რაჟამს იქორწინეს, შემდგომად აღაშენა ეკლესია შუამთასა და დაადგინა მოძღუარით-მოძღუარი და შუა ორი ძე: ალექსანდრე და ვახტანგ. და მიიცივალა თინათინ და დაიმარხა ეკლესიასა თვისსა შენებულსა. ამისთვის არა დაეფლა ქმრისა მისისა თანა, რამეთუ იყო ლევან კაცი მეძაღვი. შემდგომად ისუა ცოლი, ყარა მუსალას შამხალის ასული“⁵. რომანის კომპოზიცია სწორედ ამ ამბავს ეყრდნობა, მაგრამ უაღრესად თვითმყოფად მწერლისეული შემოქმედებითი კონცეფციის ზემოქმედებით მნიშვნელოვნად იცვლება ისტორიულ წყაროებში გადმოცემული ცნობები. აქ გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს ფილოსოფიური თვალსაზრისი, რომელიც ბნელისა და ნათელის, სიყვარულისა და სატანისებური პატივმოყვარეობის, ერთგულებისა და ღალატის ურთიერთდაპირისპირებას გულისხმობს, რომელიც ნაწარმოების იდეურ-ესთეტიკური ჩანაფიქრის კონკრეტულ მხატვრულ გახსნას განაპირობებს.

არისტოტელეს ცნობილი გამონათქვამი — „პოეტის საქმეა თქვას არა ის, თუ რა მოხდა, არამედ ის, რა მოხდება და რა არის ალბათობისა და აუცილებლობის მიხედვით შესაძლებელი“⁶ — გამოხატავს მხატვრული შემოქმედების უზოგადეს კანონზომიერებას და თავისთავად ვრცელდება შედარებით ისეთ ზუსტ და დოკუმენტური ყანრის სფეროზეც, როგორცაა ისტორიული რომანი. ამდენად, მწერალს საშუალება აქვს, ყანრის კანონების დაცვით, თავისუფლად, შემოქმედებითად გამოხატოს საკუთარი მხატვრული ჩანაფიქრი. როგორც ცნობილია, ლესინგმა კიდევ უფრო გააღრმავა არისტოტელეს მოსაზრება: მან დასაშვებად მიიჩნია თვით ხასიათების ცვლილებაც კი, ოღონდ არ დარღვეულიყო მხატვრული მთლიანობა. აღნიშნული თვალსაზრისები უნდა გავითვალისწინოთ თუ ვესურს სწორად გავიაზროთ თინათინის სახე, რომელიც ვ. ბარნოვის რომანის სტრუქტურის საფუძველია. მასში სრული სახით ვლინდება მწერლის იდეურ-ესთეტიკური მრწამსი, ეს უკანასკნელი კი განაპირობებს ისტორიულ ფაქტების მხატვრულ ტრანსფორმაციას.

რომანის დასაწყისში მწერალი გურიის სამთავროს, შემდეგ კი კახეთის სამეფოს ამბებს მოგვითხრობს. ნაწარმოების ეს ორი ნაწილი ორიგინალურად ერთიანდება ოსტატურად მოფიქრებული კომპოზიციით, რომლის ღერძსაც თინათინისა და ლევანის ქორწინება წარმოადგენს. „ქართლის ცხოვრებაში“

⁵ „ქართლის ცხოვრება“, ტ. 2, თბ., 1959, გვ. 353.
⁶ არისტოტელე, პოეტიკა, თბ., 1944, გვ. 161.



მოცემულ ცნობას ლევან მეფის მეორედ ქორწინების შესახებ ავტორი იყენებს ახალი სიუჟეტური რომანული ხაზისათვის, სადაც ძირითადი მხატვრულ-მორალური ფუნქციის მატარებელი ლეილ ყიზის სახეა. ეს კი თავის მხრივ ქმნის თავისებურ ფონს, სახელდობრ, უფრო ნათლად იკვეთება თინათინის სახე, რომელზეც ნაწარმოებში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძირითადი იდეურ-ესთეტიკური დატვირთვა მოდის. საერთოდ, თხზულებაში ოთხი რომანული წყვილია: თინათინი და ნოშრევანი, თინათინი და ლევანი, ლევანი და ლეილ ყიზი, კოპწია და მარიკა. ნაწარმოებში თინათინის, როგორც მთავარი გმირის, სახის გამოკვეთას ემსახურება ყველა დანარჩენი რომანული კომპონენტი, თვით უმცირეს დეტალამდე. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა მარიკასა და კოპწიას წყვილი. მათი ძირითადი მნიშვნელობა მკლავდება არა კომპოზიციასთან მიმართებაში, არამედ მწერლისეული ესთეტიკურ-მორალური კრდოს გამოხატვაში. ვ. ბარნოვი ერთგვარ პარალელს ავლებს თინათინ-ლევანის წყვილსა და კოპწიასა და მარიკას შორის, რათა უფრო ნათლად დაგვანახოს ძირითადი გმირების შეუღლების უბედურეუ ხასიათი.

ნაწარმოების დასაწყისშივე მწერალი საგანგებოდ უსვამს ხაზს თინათინის ხასიათის უძირითადეს წამყვან თვისებას — პატივმოყვარეობას, ლტოლვას დიდებისაკენ. სწორედ ეს განსაზღვრავს ძირითადად ამ გმირის სახის შინაარსს. საერთოდ, თინათინის სახე საფუძველია რომანის კომპოზიციური სტრუქტურისა, რომელშიც ვლინდება ავტორის იდეურ-ესთეტიკური მრწამსი; მასთანვეა ორგანულად დაკავშირებული ნაწარმოების სათაურიც.

რომანის დასაწყისშივე ისახება ჭიდილი პატივმოყვარეობასა და სიყვარულს შორის. იმარჯვებს პატივმოყვარეობა, რაც განაპირობებს გმირის ხასიათის შემდგომ გაშლა-განვითარებას, მოძრაობას. საგანგებო საგრძნობი ესთეტიკური დატვირთვა ენიჭება ნაწარმოების იმ ადგილს, სადაც წარმოსახულია თინათინის სიზმრები. პერსონაჟის ბედი უნდა გადაწყვიტოს იმან, თუ რომელ გზას იარჩევს თვითონ სიზმრის მიხედვით. ინტერესს აძლიერებს ის, რომ ავტორი ღიად ტოვებს მოსალოდნელ საბოლოო შედეგს და მოქმედების განვითარების პროცესში იძლევა მის გადაწყვეტას. ერთი მხრივ, მიწიერი დიდებაა გულის საფასურად, მეორე მხრივ, კი მხოლოდ სიყვარული, რომელიც, მწერლის მიხედვით, თვით ღმერთია და რომელიც „ძელი არს, ვითარცა სიკვდილი“⁷. რომანში გამონათქვამი იდეურ-ესთეტიკური კონცეფციის ამოსავალს წარმოადგენს ქრისტიანული ზნეობის ნორმები. თინათინის სძლევს პატივმოყვარეობა, იგი ღალატობს სიყვარულს და ამ ღალატის საფუძველი ამპარტავნება, დიდებისაკენ სწრაფვაა. ქრისტიანული მორალური მრწამსის მიხედვით ჩადენილია დიდი ცოდვა, რომელიც შედის მომაკვდინებელ შვიდ ცოდვაში, ხოლო სიყვარული კი არის სულიწმინდით ნაბოძები შვიდი ნიჭიდან პირველთაგანი, ე. ი. ნაწარმოების მთავარმა გმირმა ქალმა უღალატა რა სიყვარულს, ამით თავისთავად უღალატა ღმერთსაც, რადგან ღმერთი სიყვარულია. ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს იმის მხატვრულ ჩვენებას, თუ რა შედეგი მოჰყვა თინათინისათვის მის მიერ ჩადენილ ღალატს. ხატონადაა წარმოდგენილი საქორწინო ლხინი, სადაც აშკარად იჩენს თავს თუმცა ფარული, მაგრამ უაღრესად მძაფრი შინაგანი წინააღმდეგობა. მწერალი ახდენს პერსონაჟთა შინაგანი სამყაროს ფსიქოლოგიურ ანალიზს. ეს მონაცვლეობით ვლინდება, როგორც ავტორისეულ მსჯელობაში, ისე პერსონაჟთა ქცევებში, — იმ მომენტში, როდესაც დედოფალს მიართმევენ ოქროს თასს სიტკბოებისას წარწერით „ძელი არს სიყვარული, ვითარცა სიკვდილი, უტეხ არს შური სიყვარულისა, ვითარცა

⁷ ვ. ბარნოვი, თხზულებანი, ტ. 3, თბ., 1961, გვ. 269.
3. მაცნე, ვენისა და ლიტერატურის სერია, 1990, № 4 33



ჯოჯოხეთი“⁸. „ქება ქებათა სოლომონისა, რომელ არს კურთხევა ქვეყნისა, რომელსა ეწოდების ებრაელებ სირ ასირინ“-დან აღებული ეს სიტყვები სულის სიღრმეში ანათებს მეუღლეთა შემკრთალ სახეებს, რომელთაც „ნაცვლად უცვლელის სიყვარულისა, ნაცვლად მწიკვლთაგან განწმედილი საიდუმლო კავშირისა, ქალ-ვაჟთ შერჩათ ხელში მხოლოდ სიძვა ხორციელი, ზრწნადი, წარმავალი... არ იკურთხა მადლით იგი კავშირი უგულო“⁹. შემდეგ თავისთავად ხდება ახალი ცოდვის ჩადენა. ეს არის ცოლ-ქმრის ურთიერთობა, რომელიც თავისი შინაარსით, როგორც პოლიტიკურ საფუძველზე შექმნილი უგულო ქორწინების შედეგი, სიძვას უტოლდება. ლევანიც მოლაღატეა წმინდა გრძნობისა, მაგრამ მწერალი მას იმდენად არ უსვამს ხაზს, რამდენადაც მას თინათინის სახე უფრო აინტერესებს. უფრო მეტიც, თინათინის სიცივე განაპირობებს ლევანის შემდგომ საქციელს. ავტორი წვდება თინათინის სულის სიღრმეს, აწიშვლებს მის არსებას. ეს კი სახეობრივად გამოქერწილია ბიბლიური პარალელებით: „ევა იყო შემცოდნე, ლეღვის ფოთლით იფარავდა სიწმინდეს, ვარდის ბუჩქებში ემალებოდა ყველგან მყოფ მუუფეს, რომელ არს თვით სიყვარული. სცოდა თინათინმა, მიუძღვნა ლევანს ნაყოფი განგებისაგან სხვისთვის დანიშნული, დაარღვია ცნება, ამჯობინა სიყვარულს გარდუვალს დიდება წამიერი, შეწირა მსხვერპლი უსაზღვრო ამპარტავენებას, უარპყო ზეცა, როგორც სატანამ პირველყოფილმა. იმისთვის ჩამოეცალა მას ნათელი უმანკობისა, შიშველ იქნა, სირცხვილელული“¹⁰.

მწერალმა ნაწარმოების დასაწყისშივე მოახდინა მინიშნება იმაზე, რაც შემდეგ უნდა გამხდარიყო მეუღლეთა შორის წარმოქმნილი კონფლიქტის საფუძველი: უარყოფა წმინდა გრძნობისა, უსიყვარულოდ ქორწინება, დიდებისაკენ ლტოლვა პოლიტიკური მიზნებით. ნაწარმოების კომპოზიცია უაღრესად დინამიკურია. სიუჟეტური სიტუაციები თანდათან იძაბება და ზენიტს აღწევს მაშინ, როდესაც თინათინისათვის აშკარა ხდება, რომ იგი ვერ მიადწევს თავს სანუკვარ მიზანს, რომლის გამოც მან უარყო გული და მისი სახით თვითღმერთი. თუ აქამდე ლევანის დიდებით იყო დაპირდებული გურიელის უბრალო ქვეშევრდომი, ახლა მის წინაშე ცოცხლდება მივიწყებული სახე ნოშრევანისა და თანდათან იჩრდილება ლევანი, როგორც დიდი გვეგის, საერთოდ მისი იმედების ჩამშლელი. ერთდროულად ცნობიერდება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეც, რომელიც სახეობრივადაა გადმოცემული სატანასთან დიალოგის სახით. თინათინი ამოვად უხმობს საშველად ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს. ასეთ პირობებში უკვე მიზეზიდაა საჭირო, რომ გადმოიღვაროს დაგუბებული რისხვა. მეფის შეუფერებელი საქციელი დედოფლის მხეველის მიმართ მხოლოდ მიზეზია კონფლიქტისა, რომლის საფუძველიც გაცილებით ღრმაა. თინათინს ფაქტობრივად გამოეცალა ყოველგვარი საყრდენი, რომელსაც მისი დიდების ტახტი უნდა დაფუძნებოდა და რომელიც თავისთავად გამოორიქხავდა წმინდა გრძნობის ღალატს. ლევანი თავისი ბუნების გამო ვერასოდეს შეიქმნებოდა ერთიანი საქართველოს მეფედ; მან ისიც კი ვერ შეძლო, რომ წმინდად და ფაქიზად დაეცვა ეკლესიისაგან ნაკურთხი მეუღლეობრივი კავშირი. ლევანმა უარყო თინათინი მის მისწრაფებაში და ამით შეუტრაცყო, როგორც დედოფალი. ამის საპასუხოდ თინათინმა თავისი გადაწყვეტილებით თავზარი უნდა დასცეს მეფეს და კახეთის სამეფოს კარს: „უნდა მივიღო სახე ანგელოსებრივი და აქვე, შუა კახეთში, უნდა დავემკვიდრო, როგორც განხორციელება ლევანის სინდისის ქეჯნისა და კახთა უმადურობისა თუ შეუგნებ-

⁸ იქვე, გვ. 269, 270.

⁹ იქვე, გვ. 271.

¹⁰ იქვე, გვ. 273.



ლობისა“¹¹. როგორც პროფესორი ვ. ცისკარიძე აღნიშნავს, „ორმხრივად დამარცხებულმა ქალმა უარი თქვა ამქვეყნიურ ცხოვრებაზე და აღიკვეცა მონასტრის ვენად. ამ უკანასკნელ აქტშიც თინათინი თავისი ამპარტავანი ბუნების ერთგული რჩება“¹².

ნაწარმოების ფინალში ავტორმა თინათინის სარეცელთან ერთმანეთს დაუპირისპირა ორი ძალა. თინათინის მოქმედებიდან გამომდინარე, ბნელ ძალას უფლება აქვს სრული პრეტენზია განაცხადოს მის სულზე. მაგრამ იმარჯვებს ნათელი, განსახიერება სიკეთისა, რომელიც მოკვდავთ საშუალებას აძლევს ამქვეყნადვე გამოისყიდონ თავიანთი ცოდვები:

„ეშმამ შეიბერტყა მხრები და წარსდგა წინ.
— ჰმსახურებდა სული ესე დიდებასა ქვეყნისასა და მემსგავსა მე!
— იტანჯა ფრიად, განიცადა ძალი სიყვარულისა და აღსდგა მასში ხატება ღვთისა! — მიუგო ანგელოსმა და ანიშნა განშორებოდა“¹³.

ჩვენ მიერ ზემოთ თქმული საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ „მიმქრალი შარავანდედის“ იდეურ-ესთეტიკური საფუძველი განაპირობებს ისტორიული მასალის ტრანსფორმაციას. რაც მთავარია, რომანის სახეობრივი ქსოვილის ძირითადი კომპონენტი — ისტორიულ წყაროებში მოცემული სახე ნაწარმოებში არსებით ცვლილებას განიცდის. ვ. ბარნოვის პერსონაჟი ჩადის ცოდვას, დღაატობს სიყვარულს — ღმერთს, დიდებისაქენ ლტოლვის გამო. ნაწარმოების ბოლოს კი მწერლისეული თინათინი გამოისყიდის ამქვეყნიურ ცოდვებს. ამგვარად, ავტორი ფაქტობრივად მას უბრუნებს იმ ისტორიულ სახეს, როგორც იგი წარმოდგენილია „ქართლის ცხოვრებაში“.

М. Г. ПЕРАДЗЕ

ИДЕЙНО-ЭСТЕТИЧЕСКОЕ ОСНОВАНИЕ
ИСТОРИЧЕСКОГО РОМАНА ВАСИЛИЯ БАРНОВА
«МИМКРАЛИ ШАРАВАНДЕДИ»

Резюме

Истоки грузинского исторического романа, как классической формы этого жанра, непосредственно связаны с именем Василия Барнова. Для творчества писателя характерна тесная связь художественных лиц и характеров, всех композиционных структур его произведений с собственной идейно-эстетической концепцией.

С этой стороны особое внимание в творчестве писателя привлекает исторический роман «Мимкрали шаравандеди» («Угасающий венец»), в котором идейно-эстетическая основа обуславливает трансформацию исторического материала. Основной компонент образной ткани романа — персонаж — существенно меняется по сравнению с историческими источниками. Персонаж В. Барнова совершает грех — изменяет любви Богу из-за тщеславия и стремления к власти. В конце романа Тинათин искупает свои земные грехи. Таким образом, автор фактически возвращает ей то историческое лицо, которое представлено в «Картлис цховреба».

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ლიტერატურის თეორიის განყოფილება წარმოადგინა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა

¹¹ იქვე, გვ. 343.
¹² ვ. ცისკარიძე, ვასილ ბარნოვი, წიგნში: „ქართული ლიტერატურის ისტორია“, ტ. 5, თბ., 1982, გვ. 201.
¹³ ვ. ბარნოვი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 362.

მზია მარსაგოშვილი

თამარ მეფის მემკვიდრეობა და შოთა რუსთაველის
მიმართებისათვის

ქართულ ისტორიულ და ლიტერატურათმცოდნეობით მეცნიერებაში გამო-
თქმულია ვარაუდი, რომ შოთა რუსთაველს „ვეფხისტყაოსნის“ გარდა შექმნი-
ლი აქვს ისტორიული ხასიათის ნაწარმოებებიც. ამგვარი მოსაზრების საფუძველს
იძლევა: 1. უპირველეს ყოვლისა, თვით „ვეფხისტყაოსნის“ მაღალი მხატვრუ-
ლი დონე; 2. „ვეფხისტყაოსანშივე“ დამოწმებული მე-4 და მე-19 სტროფები,
რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი; 3. ანტონ I კათალიკოსის ცნობა შოთა
რუსთაველის მიერ თამარ მეფის ცხოვრების აღწერისა (თუმცა საკამათოა, მო-
აღწია თუ არა ამ თხზულებამ დღემდე და თუ მოაღწია, რომელია იგი).

ჯერ კიდევ თეიმურაზ ბაგრატიონი XIX ს. დასაწყისში სინანულით აღნიშ-
ნავდა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გარდა შოთა რუსთაველის თხზულებათაგან,
რომელთა არსებობაც სხვათაგან სმენოდა, მან ვერც ერთი ვერ ნახა¹.

კათალიკოსი ანტონ I „ქართული ღრამატიკის“ პირველი რედაქციის მე-16
თავში, განიხილავს რა შეთხზვის სხვადასხვა სტილს, მისი სიტყვებით „ძველთა
შეთხზვაობას“, გამოყოფს მის სამ სახეობას და ცალკე ჯგუფად ასახელებს იმ
ნაწარმოებებს, რომლებიც სრულიად ამაღლებული და რიტორული სტილით
დაწერილ თხზულებებს აერთიანებს, რის გამოც ყველანაირი მკითხველისათვის
გასაგები არ არის და, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „მხოლოდ მეცნიერთა
შორის აქუს ნაყოფი თვისი“². სწორედ ამ ნაწილში სხვა მოღვაწე-მთხზველ
კაცთა შორის მოხსენიებულია შოთა რუსთაველი, როგორც „გამომთქმელი
მეფის თამარის ცხოვრებისასა და სხუათა“³. ამ სახეობის თხზულების საილუს-
ტრაციოდ ძველი ქართული საღვთისმეტყველო, ფილოსოფიური და საისტო-
რიო თხზულებებიდან ანტონს მცირე ამონაწერები მოჰყავს, სულ 12 ავტორის
14 ციტატა, სადაც მეორე — შოთა რუსთაველს ეხება; კერძოდ, სათაურს „წე-
რილთაგან შოთასთა, რომელ აღწერა ცხოვრება მეფის თამარისა“ მოსდევს
მოკლე ციტატა ამ თხზულებიდან: „არა მოაკლდა შთაზიდუასა შინა საბლისა-
სა, არამედ მეტად დამდაბლებულმან გონიერისა გონებისაგან იყოვლისფერა
გარემოდ, რათა მოქცევი თვისი მარტიობით იხილვოს გუარსა შინა ანაგისასა
შეუყოფელად ენებათა“⁴. აღსანიშნავია, რომ ივ. ლოლაშვილის დაკვირვებითა
და სათანადო ავტორთა თხზულებების შესწავლის საფუძველზე ყველა დასა-
ხელებული ნაკვეთი შეესაბამება ანტონის მიერ დამოწმებულ ავტორთა თხზუ-
ლებებს⁵. საკამათოა მხოლოდ შოთა რუსთაველთან დაკავშირებული ექსცერ-
პტი. ეს უკანასკნელი კი ამოღებულია თამარის ცხოვრების (ბასილი ეზოსმო-
ძღვრისეული) ბოლო ნაწილიდან, რომელსაც მხოლოდ ვახტანგისეულ რედაქ-

¹ თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა“, გ. იმედაშვილის რედაქციით, თბ., 1960, გვ. 294.

² ილ. აბულაძე, ცნობა შ. რუსთაველის ისტორიული თხზულების შესახებ, ენიკის მოამბე, III, თბ., 1938, გვ. 206. ივ. ლოლაშვილი, რუსთაველი და თამარის ისტორიკოსთა ვინაობის პრობლემა, თბ., 1961, გვ. 9—10.

³ ივ. ლოლაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 10.

⁴ იქვე.

⁵ იქვე, გვ. 12—16.



ციაში ვხვდებით და რომელიც თამარ მეფის თვისებებისა და მოღვაწეობის, ფეოდალური ავადმყოფებისა და გარდაცვალების ზოგად დახასიათებას წარმოადგენს. **პირმოადგენს.**

როგორც ცნობილია, X—XIII სს-ის პაგიოგრაფიულ-ისტორიული თხზულებების უმრავლესობა იწერებოდა ტრადიციულად შემუშავებული გეგმით (ბერძნული ტრადიციისამებრ). თხზულება შედგებოდა სათაურისაგან („ხედ-წარწერილი“), სადაც მოხსენიებული იყო ის პიროვნება, ვის გამოც იწერებოდა ეს თხზულება და, ხშირად, თვით ავტორიც. საკუთრივ თხზულება იწყებოდა „თხრობის შესავლით“, სადაც ავტორი ავითარებდა ფილოსოფიურ-თეოლოგიურ მსჯელობებსა და აღნიშნული თხზულების მიზანდასახულობას. შემდეგ მოსდევდა თვით ამბის თხრობა, და ბოლოს — „დასასრული თხრობისა“, რომელშიც გადმოცემული იყო მთავარი გმირის ზოგადი დახასიათება — შეჯამება⁷. რამდენადაც ქართული საისტორიო მწერლობა უმეტეს შემთხვევაში განაგრძობს ამ ტრადიციას, ზემოთ აღნიშნული ბოლო მონაკვეთი თამარის ისტორიისა თავისი შინაარსისა და ფორმის მიხედვით თხზულების „თხრობის დასასრულია“ და „პროზაულ ქებათა ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს“⁸, რომელიც ივ. ჯავახიშვილმა, აღმოჩენა და პირველმა შემსწავლელმა თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულებისა, მის დაბოლოებად მიიჩნია.

1830 წელს მარი ბროსემ მიაქცია ყურადღება „ვეფხისტყაოსნის“ დასაწყისის მე-4 და მე-19 სტროფებში დაცულ ცნობებს, სადაც რუსთაველი აღნიშნავს: „თამარს ვაქებდეთ მეფესა, სისხლითა ცრემლდათბეული, ვთქვენ ქებანი ვისნი მე არ-ავად გამორჩეული“ და „ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია“. ამ ტაეპთა საფუძველზე მ. ბროსემ გამოთქვა ვარაუდი, რომ რუსთაველს, თამარ მეფის საქებრად, გარდა „ვეფხისტყაოსნისა“, სხვა თხზულებაც ჰქონია დაწერილი და, შესაძლოა, „თამარიანი“ არა ჩახრუხბადეს, არამედ სწორედ მას მიეკუთვნებო. ნ. მარის აზრით კი, ჩახრუხბადე რუსთაველის ნამდვილი გვარია, „რუსთაველი“ ხედწოდებოდა და „თამარიანის“ ავტორის სრული სახელია შოთა ჩახრუხბადე-რუსთაველი⁹. ნ. მარის ეს მოსაზრება გაიზიარა ი. ფანცხავამაც¹⁰.

მ. ჯანაშვილმა, შოთა რუსთაველი არა მარტო „თამარიანის“, არამედ „აბდულმესიანის“ ავტორადაც მიიჩნია. მისი აზრით, შავთელი რუსთაველს შავ მთაზე მოღვაწეობის გამო ეწოდა და, აქედან გამომდინარე, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ რუსთაველი, ჩახრუხბადე და იოანე შავთელი ერთი და იგივე პირია¹¹.

მ. ბროსეს, ნ. მარის და ნ. ჯანაშვილის თვალსაზრისით რუსთაველის სავარაუდო თხზულება სახოტბო ლექსთა კრებულს ან პოემას წარმოადგენდა.

ანტონ კათალიკოსის ზემოთ აღნიშნულ უაღრესად მნიშვნელოვან განცხადებას პირველად ყურადღება ალ. ცაგარელმა მიაქცია, მაგრამ არ მიიჩნია სანდოდ და, ივ. ლოლაშვილს რომ დავესესხოთ, „პირველმა აღმოაჩინა ცნობა რუსთაველის საისტორიო თხზულების შესახებ, მაგრამ მანვე „გააუფასურა“ ის და დიდი ხნითაც დამარბა“¹². ანტონ კათალიკოსის ამ ცნობით, რომელსაც ალ. ბარამიძემ „დიდად მნიშვნელოვანი ფაქტი და ანგარიშვასაწევი დოკუმენ-

⁶ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. 11, თბ., 1959, გვ. 146¹³—150⁵.

⁷ ივ. ლოლაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 40.

⁸ იქვე, გვ. 23.

⁹ Древне-грузинские описцы, „Тексты и рассказы“, IV, Спб., 1902.

¹⁰ ი. ფანცხავა, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის საკითხის შესახებ, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, თბ., 1941, გვ. 185—225.

¹¹ მ. ჯანაშვილი, თამარ მეფე და მისი ისტორიკოსი, „მოამბე“, 1904, № 2, გვ. 6.

¹² ივ. ლოლაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 11.

ტი“ უწოდან¹³, დაინტერესდა ილ. აბულაძე, რომელმაც პირველმა მიჯნველმა ყურადღება იმას, რომ აღნიშნული ნაკვეთი ამოღებულია თამარის მეორე მხარე-კოსის თხზულების დასასრულიდან (რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მხოლოდ ვახტანგისეულმა ნუსხამ შემოგვინახა) და გამოთქვა ვარაუდი, რომ შოთა რუსთაველი თამარის მეორე ისტორიის ავტორია¹⁴. ს. კაკაბაძეც ამ ბოლო მონაკვეთის მიხედვით შოთა რუსთაველს თამარის მეორე ისტორიის ავტორად ასახელებს¹⁵.

კ. კეკელიძე შენიშნავს, რომ რუსთაველის განათლებასა და დიპლომის თუ გავითვალისწინებთ, საფიქრებელია, რომ მას სხვა თხზულებებიც შეექმნას (რაც ანტონ პირველის განცხადებითაც ნათელია), მაგრამ დღეისათვის ამის დამამტკიცებელი „ურყევი საბუთი“ არა გვაქვს¹⁶.

3. ინგოროყვა ანტონ I კათალიკოსის ცნობას სრულიად უგულვებელყოფს, მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ გარდა შოთა რუსთაველის ნაღვანის არსებობის უცილობელ ფაქტს „ვეფხისტყაოსნის“ ზემოთ აღნიშნულ ტაეპებშივე ხედავს. მისი აზრით რუსთაველის თამარის სახოტბო ძეგლი უნდა იყოს პოემა-რომანი, როგორც „ვეფხისტყაოსანი“, და რადგანაც თვით რუსთაველი „ვეფხისტყაოსანშივე“ ამ ძეგლს „ქებას“ უწოდებს („ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ ვინცა მიქია, ... მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქვამს, მიქია“ — სტროფი XIX), ტერმინით „ქებანი“ მხოლოდ პოემა-რომანი აღინიშნებოდა, რომლის სინონიმიც „ამბავნი“¹⁷. ივ. ლოლაშვილის ვარაუდით კი „ქებანი“ შესაძლოა პროზაული ნაწარმოები ყოფილიყო, რადგანაც „ცნობილია, რომ კლასიკურ ხანაში სახოტბო თხზულებანი იწერებოდა არა მარტო ლექსად, არამედ პროზაულადაც“¹⁸. საძიებელ ძეგლსაც „ქებანი“ მხოლოდ სავარაუდოდ შეიძლება ეწოდოს და დასძენს, რომ პროლოგის ცნობიდან ირყევა მხოლოდ არსებობა შოთა რუსთაველის საქებარი თხზულებისა, რომელშიც თამარ მეფე იყო ხოტბაშესხმული¹⁹.

3. ინგოროყვას აზრს ემხრობა შ. ნუცუბიძე, რომელიც სავარაუდო თხზულებას „სიმღერებითა“ და „ჰიმნებით“ მოიხსენიებს, მაგრამ მისი დახასიათებისაგან თავს იკავებს, რამდენადაც არც ერთი შემორჩენილი თხზულება რუსთაველისეულად არ მიაჩნია²⁰.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კ. კეკელიძე არ უარყოფს შოთა რუსთაველის თამარის საქები ისტორიული თხზულების არსებობას, მაგრამ ამის დასამტკიცებლად თვით „ვეფხისტყაოსანში“ დაკულ ცნობებს ვერ ეყრდნობა, რადგანაც მასში სულ სხვა აზრს ხედავს. კერძოდ: „ვთქვენი ქებანი ვისნიმე“, მისი აზრით, ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ მე თამარის ხოტბა უკვე მაქვს აღწერილი თვით „ვეფხისტყაოსანში“, რომელსაც „ქებანს“ უწოდებს. ე. ი. „ქებანი“ თვით „ვეფხისტყაოსანი“ და არა რაიმე ცალკე არსებული თხზულება. ხოლო „მას ვაქებ, ვინ ცა მიქია“-ს კითხვისას იზიარებს ნ. მარისეულ ინტერპრეტაციას — „მას ვაქებ, ვინ ცამ იქია“, ე. ი. „Я воспеваю ту, кому небо отвело у себя место“²¹.

¹³ ილ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, თბ., 1966, გვ. 489.

¹⁴ ილ. აბულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 207.

¹⁵ ს. კაკაბაძე, შოთა რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“, თბ., 1966, გვ. 110—111.

¹⁶ კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1981, გვ. 127.

¹⁷ 3. ინგოროყვა, რუსთაველიანა, თხზულებანი, I, თბ., 1963, გვ. 285—286.

¹⁸ ივ. ლოლაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 9.

¹⁹ იქვე, ისტორიული თხზულების „ქება-შესხმით“ აღნიშვნის შესახებ იხ. ჩვენი სტატი: „ძველი ქართული საისტორიო მწერლობის რამდენიმე ტერმინის დაზუსტებისათვის“, ქართული წყაროთმცოდნეობა, VI, თბ., 1985, გვ. 53—56.

²⁰ Ш. Нуцубидзе. Творчество Руставели, Тб., 1958, გვ. 217—220.

²¹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1958, გვ. 123—124.



ქართული
ენციკლოპედია

აღ. ბარამიძე იზიარებს კ. კეკელიძისეულ თვალსაზრისს, თავის მხრივ კი დასძინს, რომ არსაიდან არ ჩანს შოთა რუსთაველის სახობო თხზულება უსათუოდ პოემა-რომანი რომ უნდა იყოს და „ქებას“ წარმოადგენდესო. «„ქებას“ შესაძლოა „ვეფხისტყაოსანიც“ იგულისხმებოდეს და ცალკე არსებული თხზულებებიც»²².

ივ. ლოლაშვილი, ეყრდნობა რა ანტონ I-ის ცნობას და მის სანდობას (როგორც უკვე აღნიშნეთ, ხომ ემთხვევა ანტონის მიერ მოყვანილი ყველა სხვა ციტატა დასახლებული ავტორების თხზულებათა ტექსტს), თამარის მართანთა ისტორიულ-ფილოლოგიური ანალიზის — „ისტორიანი და აზმანის“ და „ვეფხისტყაოსნის“ ენობრივ-სტილისტური და მხატვრულ-იდეური პარალელების — საფუძველზე²³ — გამოთქვამს ვარაუდს, რომ აღნიშნული „ბოლო მონაკვეთი“ წარმოადგენს არა ბასილი ეზოსმოძღვარის, არამედ „ისტორიანი და აზმანის“ დასასრულს და თამარის პირველი ისტორიკოსი შოთა რუსთაველია²⁴.

კ. გრიგოლიას აზრით, შოთა რუსთაველის „მემატიანე-ისტორიკოსობა“ უდავოა²⁵, მაგრამ ივ. ლოლაშვილისაგან განსხვავებით ე. წ. „ბოლო მონაკვეთს“ მიიჩნევს დასასრულად ჩვენამდე არმოღწეული თხზულებისა „ცხოვრება თამარისი“. ამ „ბოლო მონაკვეთში“ იგულისხმება ნაწილი თამარის ე. წ. მეორე ისტორიიდან, რომელიც იწყება სიტყვებით: „იცვალა ფერი ქართველთა მხიარულებისა...“²⁶. ეს მონაკვეთი თამარის ავადმყოფობისა და გარდაცვალება-დასაფლავების დაწვრილებით გადმოცემულ ამბებს მოსდევს უშუალოდ და მოიცავს მოკლე, მაგრამ მეტად ხატოვან დახასიათებას თამარის პიროვნებისა და მოღვაწეობის შესახებ, ხელმეორედ მოგვითხრობს დავით სოსლანის და თამარის გარდაცვალებისა და მათ მემკვიდრეებად ლაშა-გეორგის და რუსუდუნის დატოვების ამბავს. რამდენადაც დღეისათვის ცნობილი თამარისადმი მიძღვნილი ყველა თხზულება მკვლევარს ასე თუ ისე დამთავრებულად მიაჩნია, ეს ბოლო მონაკვეთი, მისი აზრით, როგორც ზემოთ უკვე აღნიშნეთ, არის დასასრული უცნობი ისტორიისა და მისი რწმენით „დიდი რუსთაველის ნახელავია“²⁷.

ს. ყაუხჩიშვილს არ გამოუთქვამს თავისი მოსაზრება თამარის ისტორიკოსებისა და შოთა რუსთაველის ურთიერთმიმართებაზე და ქ-ც-ს გამოცემისას აღნიშნული „ბოლო მონაკვეთი“ ბასილი ეზოსმოძღვარის თხზულებას მიაკუთვნა იმავე სახით, როგორც ივ. ჯავახიშვილმა გამოსცა.

როგორც დავინახეთ, აღნიშნულ საკითხზე მრავალგვარი მოსაზრება არსებობს. ისტორიული თხზულებების და „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მიმართების გასარკვევად შევეცადეთ შეგვეჩერებინა ძირითადი ტერმინები და სტილისტური კონსტრუქციები ამოკრებილი „ვეფხისტყაოსნიდან“, „ისტორიანი და აზმანის“ I და II ნაწილებიდან²⁸ და ე. წ. ბასილი ეზოსმოძღვარის თხზულებებისა.

²² აღ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი, თბ., 1958, გვ. 44, 362.

²³ ივ. ლოლაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 70—84.

²⁴ იქვე, გვ. 85.

²⁵ კ. გრიგოლია, თამარის კიდევ ერთი მემატიანე-ისტორიკოსი, თბ., 1977, გვ. 43—44.

²⁶ ქ-ც-ის აღნიშნული გამოცემა, ტ. II, გვ. 146₁₃.

²⁷ კ. გრიგოლია, დასახ. ნაშრ., გვ. 67.

²⁸ „ისტორიანი და აზმანის“ დაყოფაზე სამეცნიერო ლიტერატურაში რამდენიმე მოსაზრება არსებობს: 1. ს. კაკაბაძის აზრით, პირველი ნაწილი შაქჰორის ომამდე მოდის, შაქჰორის ბრძოლის ამბები ჩამატებულია ჩვენთვის უცნობი მატიანედან, თხზულების მეორე ნაწილი კი თამარ მეფის ქველმოქმედებათა აღწერით იწყება; 2. პ. ინგოროყვა თვლის, რომ თხზულების

ბიდან, რომელიც თავის მხრივ 2 ნაწილისაგან შედგება: პირველი მათის რაქ-
ნადინის ამბებამდე²⁹, ხოლო მეორე ნაწილი, ანუ ერაჯ ჰალაშვილისეული
თხრობა, იწყება სიტყვებით: „აივსებოდა ნილოსი და იეფობდა...“
მის „ბოლო მონაკვეთში“ დამოწმებულ ტერმინებს კი, რამდენადაც საისტო-
რიო მეცნიერებაში ეს ნაწილი საკამათოა და ზემოთ აღნიშნული მიზეზების
გამო დიდ ინტერესს იწვევს, ცალკე წარმოვადგენთ.

შეკრებილი მასალის თანახმად, ისტორიულ თხზულებათა, ისტორიკოსთა
და ისტორიის წერის აღსანიშნავად „ისტორიანი და აზმანის“ პირველ ნაწილში
გვხვდება: „ისტორია“, „აზმა“, „ქება“, „შესხმა-მითხრობა“, „ვასილოღრაფი“,
„შემსხმელი“, „მაქებელი“, „მითხრობელი“, „ისტორიათაღმწერელი“, „პირველ-
ნი სიტყვს-მოქმედნი“, „ისტორიათა მწერლობა“, „დიდსიტყუაობა“, „აღწერა“,
„ქება“, „თხრობა“, „მითხრობა“: მეორე ნაწილში კი — „ამბავი“, „დიდნი
სიტყვს-მოქმედნი“, „თხრობა“, „მითხრობა“.

ბასილი ეზოსმოძღვარის პირველ ნაწილში გვაქვს: „ცხოვრება“, „მოკსენე-
ბა“, „წერა“, „აღწერა“, „მითხრობა“, „უამთაღმწერელი“. ისიც გასათვალის-
წინებელია, რომ დასაწყისი ამ თხზულებას, სადაც მოსალოდნელი იქნებოდა
ჩვენთვის საინტერესო ტერმინების დამოწმება, აშკარად აკლია. იწყება პირ-
დაპირ, შესავლის გარეშე: „დაჰდა მეფედ გიორგი, ძე დემეტრისი...“.

ამავე თხზულების მეორე ნაწილში გვხვდება მხოლოდ — „თქმა“, „წარმო-
თქუმა“ და „მოკსენება“; ბოლო მონაკვეთში კი, რომელიც გაცილებით მოკ-
ლეა პირველ ორზე და სულ 3 გვერდს შეიცავს — „მატიანე“, „თხრობა“, „სა-
ხის მეტყუელება“ და „სიტყვსა წყობა“.

ამ სახის ტერმინები „გეფხისტყაოსანში“ საერთოდ არ გვხვდება, რაც მო-
სალოდნელი იყო. გვაქვს მხოლოდ „ამბავი“, რომელიც, რა თქმა უნდა, კიდევ
შეეფერება ტექსტს.

სამხედრო ტერმინოლოგია ბოლო მონაკვეთის ავტორთან საერთოდ არა
გვაქვს. მას თამარის ისტორიის გასაშუქებლად მისი სამხედრო მოღვაწეობის
ამსახველი ფაქტების აღწერა თხზულების დასასრულს საჭიროდ აღარ მიუჩნე-
ვია: „რადღა სჯმარ არს თქმად, რამეთუ კიდით-კიდემდე განისმნეს, ვითარცა
თვთ მოწამე არს ყოველი ჩუენ მიერ ხილული“, აცხადებს იგი და თამარის მო-
ღვაწეობის შესახებ მხოლოდ განზოგადოებულ მსჯელობას იძლევა. ამიტომ
საომარი ტერმინოლოგიიდან აქ მხოლოდ ერთი — „ბრძოლა“ გვაქვს დამოწმე-

ავტორს პირველი ნაწილის თხრობა შამქორის ომამდე მოჰყავს, მეორე ნაწილი კი შამქორის
ომის აღწერით იწყება: 3. თ. ჯორდანასა და ივ. ჭავჭავიძელის აზრით კი პირველი ნაწილი
მთავრდება თამარის ქველმოქმედებათა აღწერით და მეორე ნაწილი ყარსის ალების ამბით
იწყება.

ჩვენი ვარაუდით, ყარსის ალების ამბის თხრობა თხზულების პირველი ნაწილის ავტორს
უნდა ეკუთვნოდეს და მეორე ნაწილი კი იწყებოდეს სიტყვებით: „უდიდესნი საქმენი აღმო-
მინდეს და გონება ვიწყე უღონოებდ თხრობისა სიდიდითა საქმეთათა“ (ქც, დასახ. გამოც.,
ტ. II, გვ. 92). ამას გუფიქრებინებს ის ფაქტი, რომ ყარსის ალების თხრობისას მემბატიანე აღ-
ნიშნავს: „მეფემან აიღო და მიითულა კარი და დაუტევა კარის მცველად ახალციხელი ივანე,
და აიწა მონაპირედ, და უბოძა ათაბაგობა და ამირთა-ამირობა“ (იქვე). რამდენიმე გვერდის
შემდეგ კი ვრცლად არის ლაპარაკი იმის შესახებ, თუ როგორ ითხოვა ივანე მხარგრძელმა
თამარისაგან ამირსპასალარობის ნაცვლად ათაბაგობის პატივი, რომელიც აქამდე ქართველთა
შორის არავის მინიჭებია: „ყოცა მეფემან და უბოძა ათაბაგობა, რომელი არა ყოფილი იყო
საქართველოს მეფეთა წინაშე, არცა ვის ბოძებოდა“ (იქვე, გვ. 110). ქრონოლოგიური სიტუა-
ციისა და ფაქტების უტყუარობის დადგენა სცილდება ჩვენი სტატიის მიზანს. ჩვენ მხოლოდ
იმის თქმა გვსურდა, რომ საუკეთა ერთი პირის მიერ დაწერილ ნაწარმოებში ამგვარი წინააღ-
მდეგობა არსებობდეს. ამიტომ წინამდებარე წერილში მეორე ნაწილად მივიჩნიეთ მონაკვეთი
92-ე გვერდის მეთერთმეტ სტრიქონიდან ბოლომდე — 113-ე გვერდის მერვე სტრიქონის ჩა-
თვლით. ბოლოში დართული ლექსები, რომლებიც შემდგომში მიწერილად ითვლება, ბუნებრი-
ვია, მეორე ნაწილში არ შეგვიტანია.

²⁹ ქც, აღნ. გამოცემა, ტ. II, გვ. 131-24.



ბული, კერძოდ: „ბუნდ ჯდა შორის თავისა თვსასა და მეზობელთა მეფეთა, არა მიშუებად ბრძოლისა“³⁰. ყველა დანარჩენი ნაწილებიდან და „ვეფხისტყაოსნიდან“ სამხედრო ტერმინოლოგიასთან დაკავშირებული უხვი მასალა აღიარა წარმოვადგინეთ, რადგან იგი დასახულ მიზანს ახალს ვერაფერს უჭმს.

ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ განსხვავებები ტერმინოლოგიური თვალსაზრისით ზემოთ ჩამოთვლილ შესაძარებელ ძეგლებს შორის. ასე მაგალითად, ტერმინები „მატიანე“, „უამთააღმწერელი“, „სიტყვისაწყობა“ გვხვდება მხოლოდ ე. წ. „ბოლო მონაკვეთში“. მართალია, მათ „ვეფხისტყაოსანში“ მიანიცადამაინც არ ველოდით, მაგრამ ყველა სხვა ტექსტში საესებით დასაშვები იყო მათი ხმარება.

ასევე, ჩვენ აზრით, საინტერესოა, რომ პატრონ-ყმობასთან დაკავშირებული სოციალური ტერმინები გვხვდება მხოლოდ „ისტორია და აზმთა“ და ბასილი ეზოსმოდღარის მხოლოდ პირველ ნაწილებსა და „ვეფხისტყაოსანში“, ხოლო აღნიშნულ თხზულებათა მეორე ნაწილებსა და ე. წ. „ბოლო მონაკვეთში“ სრულებით არა გვაქვს. რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვამბობთ, რომ ამგვარი სოციალური ტერმინები მემატრიანებისათვის უცნობია. ჩვენ მხოლოდ გვინდოდა მათი თხრობის მანერის, სტილის განსხვავება გვეჩვენებინა.

განსხვავებული სტილისავე მაჩვენებელია „ისტორიანი და აზმანის“ ორგვე ნაწილსა და ბასილი ეზოსმოდღარის მხოლოდ პირველ ნაწილში დამოწმებული „ერანელი“, სხვაგან მხოლოდ „სპარსნი“ გვხვდება.

ცალკე უნდა გამოვყოთ ნაწილაკები „მუნ“, „მართ“ და სიტყვა „ხამს“, რომელნიც ასე ხშირად გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“. საინტერესოა, რომ „მართ“, რომლის დანიშნულებაა ხაზი გაუსვას წინადადების რომელსამე წევრს ან მთელ აზრს, გამოკვეთოს წინადადების აზრი, არ გვხვდება ისეთ რიტორიკულ თხზულებაშია ცი, როგორც „ისტორიანი და აზმანი“ და არც აღნიშნულ „ბოლო მონაკვეთში“, რომელიც თამარის აპოლოგიას წარმოადგენს. „ხამს“ — „საჭიროს“ მნიშვნელობით საესებით მოსალოდნელი იყო ნებისმიერ ნაწარმოებში, მაგრამ მხოლოდ „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება. რაც შეეხება „მუნ“ ნაწილაკს, დამოწმებულია „ვეფხისტყაოსანშიც“, ბასილი ეზოსმოდღარის მეორე ნაწილსა და „ბოლო მონაკვეთში“.

„მოყმე“ ვაჟყაცის მნიშვნელობით „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება არაერთგზის, ასევე „ისტორიანი და აზმანში“, ხოლო ბასილი ეზოსმოდღართან — არც ერთ მონაკვეთში. გმირის აღმნიშნელი ბერძნული სიტყვა „ირო“, დამოწმებული „ისტორიანი და აზმანის“ პირველ ნაწილში, არა გვაქვს არც მეორე ნაწილში, არც ბასილი ეზოსმოდღარის რომელსამე მონაკვეთში და არც „ვეფხისტყაოსანში“, თუმცა რუსთაველის მიერ ბერძნული ენის ცოდნა უეჭველია და შინაარსის მიხედვით იყო კიდევ მოსალოდნელი.

„მუყარი“ მოლას მნიშვნელობით გვხვდება „ისტორიანი და აზმანის“ პირველი ნაწილის ავტორთან და „ვეფხისტყაოსანში“, ბასილი ეზოსმოდღართან აიერთოდ არ შეგვხვედრია, ხოლო „ისტორიანი და აზმანის“ მეორე ნაწილში „მუეძინის“ მნიშვნელობით არის დამოწმებული.

მხატვრული შედარებებით, ბუნებრივია, გამოირჩევა „ვეფხისტყაოსანი“, რომელთა ჩამოთვლაც ძალიან შორს წაგვიყვანდა. აქვე აღსანიშნავია, რომ ასეთი რიტორიკული ნაწარმოები, როგორც „ისტორიანი და აზმანის“ პირველი ნაწილია, ამ შემთხვევაში დიდად ჩამორჩება თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულებას, სადაც მხატვრული შედარებები გვხვდება როგორც პირველ, ისე მეორე ნაწილში და „ბოლო მონაკვეთშიც“ კი, რომელიც, კიდევ ერთხელ ვი-

³⁰ იქვე, გვ. 148²¹⁻²².

მეორებ, სულ სამ გვერდს მოიცავს. ეს შედარებები განსხვავდებიან, როგორც ერთმანეთისაგან, ისე „ვეფხისტყაოსანში“ ნახსენებთაგან.

ავტორთა სხვადასხვაობაზე მიგვანიშნებს ის გარემოება, რომ „ვეფხისტყაოსანში“ დამოწმებული სტილური კონსტრუქციისა — „ენა მიხდა გამოთქმად, გული და ხელოვანება, ძალი მომეც და შეწევნა შენგნით მაქვს, მივსცე გონება“ (სტროფი VI), „ისტორიანი და აზმანის“ პირველ ნაწილში გვაქვს: „რა ენამან, ანუ რა გონებამან თვთოეულისა კელ ყო მოთბრობად“³¹, „ვისმცა გონებამან და ენამან აღმოთქუნა ქებანი. ზართა დიდებისათა...“³² და სხვა მისთანანი შეიღჯერ გვხვდება. ანალოგიური მნიშვნელობით ბასილი ეზოს-მოძღვარის სამივე ნაწილში არაერთგზის სხვა კონსტრუქცია გამოიყენება. საილუსტრაციოდ მოვიყვან ერსას: „ამიერთგან განგება ღირს, რომელმან შეუქალოს აღწერასა მიცემად წარმართებანი თამარის საქმეთანი, რამეთუ ვითარ თმანი თავისანი თვთეულად ვერავინ აღრიცხუნეს, ეგრეთვე ვერცავინ ესენი აღწერნეს, და რომელთაც, ოდენ შეუძლონ, საეჭუელ მიჩნს მომავალთაგან შემდგომად არა დარწმუნებდა“³³.

ამგვარად, მიღებული მასალის საფუძველზე შეიძლება ვთქვათ, რომ მსგავსება გამოწვეულია თხზულებათა შექმნის მხოლოდ საერთო ეპოქით, საერთო თემატიკით, განსხვავება კი — ავტორთა ინდივიდუალობით. შოთა რუსთაველის ისტორიული „თხზულების შინაარსისა და ჟანრობრივი ხასიათის შესახებ მსჯელობა კი ყოველთვის საკამათო იქნება, სანამ არ აღმოჩნდება თვით საძიებელი ძეგლი, ან მის შესახებ რაიმე სარწმუნო ზიბლიოგრაფიული ცნობა“³⁴. ილ. აბულაძე აღნიშნავდა, რომ თუკი „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს არაფერი აქვს საერთო თამარის არც პირველ ისტორიკოსთან, არც მეორესთან და არც „ბოლო მონაკვეთის“ მემბტიანესთან, „მაშინ ანტონს ციტატა კომისიის მიერ დადგენილი ტექსტიდან მოაქვს და ის ცნობა, რომ შოთა ავტორია „თამარის ცხოვრებისა“, რაღაც გადმოცემასა აგებული“³⁵.

რამდენადაც აღნიშნულ ძეგლებს შორის ავტორთა სტილისა და წერის მანერის რაიმე სერიოზული მსგავსება ვერ ვნახეთ, ანტონის საყურადღებო ცნობა შოთა რუსთაველის თამარ მეფის ისტორიკოსობის შესახებ კვლავ საკამათო არჩება.

М. В. МАРСАГИШВИЛИ

К СОПОСТАВЛЕНИЮ ЛЕТОПИСЦЕВ ЦАРИЦЫ ТАМАР И ШОТА РУСТАВЕЛИ

Резюме

Анализируется предполагаемая идентичность автора поэмы «Витязь в тигровой шкуре» — Шота Руставели и летописцев царицы Тамар.

В результате терминологических и стилистических сравнений идентичность вышеуказанных авторов не установлена.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის წყაროთმცოდნეობის განყოფილება
წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ილ. გვახარიაშვილმა

³¹ იქვე, გვ. 16₁₅.

³² იქვე, გვ. 64₁₀₋₁₁.

³³ იქვე, გვ. 123₂₂₋₂₃.

³⁴ ივ. ლოლაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 9.

³⁵ ილ. აბულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 205.

ი ა ა ნ თ ა ი დ

„გამფხისტყაოსნის“ მხატვრული დრო-სივრცის სტრუქტურული ფუნქციონირების ზოგადი ასპექტი

„გამონაგონი ორგვარი არსებობს: მოვლენის გამოგონება და იმ ხერხის გამოგონება, რომლის საშუალებითაც სრულდება მოვლენა.

მოვლენის გამოგონებას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც პოეტი თავიდან ბოლომდე შეთხზავს ისეთ ამბავს, რომელიც არც არსებობს და არც ოდესმე არსებულა.

მოვლენის გამოგონებაც ორგვარია: ერთი — უტყუარი, რომელიც გამოგონად არ წარმოგვიდგება, მეორეც — უტყუარი, რომელიც წარმოგვიდგება გამოგონად.

პირველი სახის გამოგონაში შემთხვევა ან თავგადასავალი, რომელიც სინამდვილეში არ მომხდარა, შეთხზულია ისტორიული თხრობის წესით და მას არ ერთვის რაიმე უჩვეულო, ან შეუძლებელი“¹.

მაგრამ „ისტორიკოსი მისდევს საგანთა ბუნებრივ რიგს და გადმოგვცემს თავდაპირველად იმას, რაც ადრე მოხდა, შემდეგ კი იმას, რაც მოხდა მოგვიანებით. ამის საპირისპიროდ, პოეტს შეუძლია თავისი თხზულების გაწყობა მხატვრული რიგით, მას უფლება აქვს, დაიწყოს ბოლოდან, დასასრული მოათავსოს შუაში, შუა ნაწილი — დასაწყისში, დასაწყისი კი — ბოლოში“².

ცხადია, რუსთაველისათვის უცხო არ იყო პოეტური ხელოვნების ეს კანონები, რომლებსაც XVIII ს. რუსმა საეკლესიო და საზოგადო მოღვაწემ პეტრე I-ის თანამედროვემ — ფეოფანე პროკოპოვიჩმა — თავი მოუყარა ამავე სახელწოდების ნაშრომში.

ჰომეროსი და ჰესიოდე, ალკეოსი და საფო ჯერ კიდევ მაშინ ქმნიდნენ შედეგებს, როდესაც მინიშნებაც არ არსებობდა ლიტერატურულ თეორიებზე. სამაგიეროდ, არსებობდა წარმოდგენები სიტყვიერი ხელოვნების არსზე, მიზნებზე, ამოცანებზე, თეორიებსა და წესებზე, რომლებიც არ საჭიროებდა თეორიულ ექსპლიკაციას. ლიტერატურული თეორიები ჩაისახა მაშინ, როდესაც ყოფით სიტყვებს გამოეყო ტერმინები — საგანთა განსაზღვრებანი (მაგ. „პოეზია პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი“).

სწორედ დეფინიციებია თხრობის გაბატონებული ფორმა არისტოტელეს შემოქმედებაში, სადაც ჩამოყალიბებული სახე მიიღო როგორც პოეტური ქანრების („პოეტია“), ასევე მხატვრული პროზის („რიტორია“) თეორიამ³.

ერთ-ერთი სერიოზული „ცოდნა“, რომელსაც მისდევს რუსთაველი და რომელმაც, ცნობიერმა თუ ქვეცნობიერმა, თავი იჩინა ჰომეროსის შემოქმედებაში, ამგვარად განისაზღვრა არისტოტელეს „პოეტიაში“: „ზოგიერთები ფიქრობენ, რომ ფაბულა მაშინ არის ერთიანი, როდესაც ერთი გმირის გარშემო ბრუნავს. სინამდვილეში, ერთს შეიძლება თავს გარდახდეს უამრავი მოვლენა, რომელთა ნაწილიც კი ვერ ქმნის ერთიანობას. ასევე, ერთი ადამიანის ქმედებაც მრავალფეროვანია, მაგრამ ეს არ არის საკმარისი მოქმედების ერთიანობის შესაქმნელად.

ამისდა კვალად... ერთიანი მიბაძვა არის მიბაძვა ერთი საგნისა, ასევე ფაბულაც, რომელიც ემსახურება მოქმედების მიბაძვას, უნდა გამოხატავდეს ერთ და მთლიან მოქმედებას, მოვლენათა ნაწილები კი ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ რომელიმე მათგანის შენაცვლების ან გამოცალკეებისას იცვლე-

ბოდეს და მოძრაობაში მოდიოდეს მთლიანობა, რადგან ის, რისი კონცეპტია არყოფნა შეუმჩნეველია, არ არის მთელის ორგანული ნაწილი“^{კომპოზიციური} „ვეფხისტყაოსნის“ კომპოზიციაში ასახულია, ერთი მხრივ, გმირის პიროვნული ბედი და, მეორე მხრივ, გმირის სულიერი ცხოვრება. პოემა სანიმუშო ერთიანობას ავლენს არა მხოლოდ სიუჟეტის, არამედ მთელი კომპოზიციის თვალსაზრისით.

შუა სიუჟეტების თეორეტიკოსები განასხვავებდნენ ამბის „ბუნებრივ“ და „ხელოვნურ“ დასაწყისს. ამასთან, უპირატესობას სწორედ ამ უკანასკნელს ანიჭებდნენ (ე. ი. ფაბულური თანმიმდევრობისაგან განსხვავებით ახალი სიუჟეტური თანმიმდევრობის შემოტანას, თხრობის დაწყებას ამბის შუაგულში შეჭრით), რაკილა მას მიიჩნევდნენ მოვლენათა იერარქიზაციის მძლავრ საშუალებად, ე. ი. მნიშვნელოვანის ხაზგასმის, წინ წამოწევის, ხოლო მეორეხარისხოვანი ამბების შეკვეცის, მათი მოკლე შინაარსის გადმოცემის საშუალებად.

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორი სარგებლობს ამ უპირატესობით და მწყობრ სიუჟეტს აგებს მხოლოდ ერთმანეთზე აკინძული ამბებით, რომელთა გადაადგილება ან უგულებელყოფა არღვევს ფაბულის განვითარების ლოგიკას, ე. ი. ქმნის ერთმანეთთან ლოგიკური აუცილებლობით დაკავშირებულ მოვლენათა სისტემას; პოემა იწყება თინათინის გამეფებით. არაბეთში არნახული დღესასწაულია, მეფე კი მოიწყენს. მას არ ეგულება ქვეყნის პატრონად თავისი სადარი ვეჯაკი, რომლის არსებობა დაამწვიდებდა სიკვდილის ყამს. ამას მოსდევს ნადირობა და როსტევისანი გულწრფელი აღტაცება ავთანდილით. მაგრამ ეს განწყობაც წარმავალია. სახლში დაბრუნებამდე არაბეთის ხელმწიფე და მისი მხლებლები იღუპილები ბურუსით შემოსილ უცხო მოყმეს წააწყდებიან. მეფე კვლავ მოიწყენს. მაგრამ როდესაც ერთი წლის შემდეგ ეს ღრუბელიც გადაივლის, თინათინი მოიხმობს ავთანდილს და გზავნის მას უცხო მოყმის მოსაძებნად. სიუჟეტის აგებისადმი ამგვარი დამოკიდებულება პოემის ბოლომდე გასტანს.

მაგრამ კომპოზიციური ერთიანობა თანაბრად მოიცავს როგორც სიუჟეტურ, ასევე პერსონაჟთა სულიერი ცხოვრების პლანსაც. აღსანიშნავია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ერთი მერვედი ნაწილი ეძღვნება პოემის გმირების მიერ საკუთარი განცდების გადმოცემას. „ვეფხისტყაოსნის“ ორგანული და შეუქცევადი ნაწილია წერილები, რომლებსაც რუსთაველის გმირები უგზავნიან ერთმანეთს, „ტარიელის ტირილი და დაბნედა“, „ანდერძი ავთანდილისა როსტევან მეფის წინაშე“, „ლოცვა ავთანდილისა“, „მბობა ტარიელისაგან ლომ-ვეფხის დახოცისა“. ამ ორი პლანის ერთიანობას აგვირგვინებს ქაჯეთის ციხიდან ნესტან-დარეჯანის მიერ გამოგზავნილი წერილის შინაარსი და სტრუქტურა. ეს ერთიანობა დასტურდება მეორე პლანის შემოკრის ნებისმიერ საფეხურზე: ავთანდილის ანდერძი როსტევან მეფის წინაშე უადგილო იქნებოდა არაბეთიდან მისი პირველი გამგზავრებისას, ავთანდილის მიერ დაბნედილი ტარიელის პოვნა — მათ გაცნობამდე, ნესტანის უკანასკნელი წერილის განწყობის გადმოტანა — მის აღრინდელ წერილებში და ა. შ.

ხოლო თუ „ნაწარმოებს თავიდან ბოლომდე დაჰყვება საოცრად დაძაბული ინტერესი, რადგან მისი დრამატული ერთიანობა არსად არ ირღვევა და არ ნელდება“⁶, ამ დრამატულ ერთიანობას ქმნის არა მხოლოდ სიუჟეტური, არამედ სწორედ კომპოზიციური ერთიანობა.

ამ უდავო ერთიანობის ფარგლებში ძალზე საინტერესოა კომპოზიციური ორგანიზაციის სხვადასხვა მხარეზე დაკვირვება, კერძოდ, დროის კონსტრუქციული ფუნქციის დასადგენად ე. წ. სამოქმედო და უმოქმედო დღეების მი-



ხედვით მოქმედების განაწილების განხილვა (უმოქმედოს ვუწოდებთ ისეთ მოქმედებებს, რომელთა განმავლობაში მომხდარი ამბების აღწერა არ გვხვდება პოემაში): I დღე — მეფე როსტევეანის თათბირი (34—39 სტრ.)⁷, გაურკვეველი დრო თინათინის გამეფებამდე (40—42), I დღე — გამეფება (43—55), I დღე — წვეულება (56—71), I დღე — ნადირობა (72—114), I წელი — უცხო მოყმის ძებნა (116), გაურკვეველი დრო — გლოვის მოხსნა (119), I დღე — თინათინისა და ავთანდილის შეხვედრა (122—139), I დღე — როსტევეანთან დამშვიდობება (141—146), 20 დღე — გზა ავთანდილის ქალაქამდე (147), 3 დღე — ნადირობა (149) და ა. შ.

ადგილის სიმცირის გამო ვწყვეტთ ჩამოთვლას და აღვნიშნავთ, რომ ამგვარი კვლევის ერთადერთ შედეგად მივიჩნევთ მისი უწყალოების აღიარებას.

გარდა ამისა, წარმოვიდგენთ რუსთაველის მიერ კონკრეტულად აღნიშნული დროის მონაკვეთების თანმიმდევრულ განლაგებას: 1—20—3—780—1—2—1—3—3—70—10—7—8—3—1—3. მეორე მხრივ კი (რეალურ თხრობით პლანში ჩართული დრო): 6—7—15—1—3—3—1.

რიცხვთა მოცემულ განლაგებაში არ ჩანს კანონზომიერება, არც კავშირი ერთი და იმავე ციფრით აღნიშნულ მოვლენებს შორის. მაგალითად, ციფრი „სამი“ სხვადასხვა შემთხვევაში აღნიშნავს ნადირობის, მგზავრობის, გმირის ძებნის, ქორწილის, უგონოდ ყოფნის და საომარი ლაშქრობის ვადას. ხოლო ციფრი „ერთი“ — უკაცრიელ ქვეყანაში მოგზაურობის, ქორწილის, გლოვის, გმირის უშედეგო ძებნის ვადას.

აშკარაა, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორისათვის დრო არ არის მოქმედების ორგანიზაციის უპირველესი საშუალება. უმოქმედო დღეების რაოდენობას ყოველი მკითხველის წარმოდგენა ინდივიდუალურად განსაზღვრავს, რაც, ბუნებრივია, მკვლევართა შეუთანხმებლობას იწვევს.

ასე, მაგალითად: დ. ქუმისიშვილის ნაშრომში — „რუსთაველის პოეტური ხელოვნების ზოგიერთი საკითხი“⁸ — დაწერილებითაა გადმოცემული მოქმედების განვითარების ხანგრძლივობა „ვეფხისტყაოსანში“. თინათინის გამეფებიდან ავთანდილისა და თინათინის შეუღლებამდე გავიდა 6 წელზე ცოტა მეტი⁹. ნესტან-დარეჯანის დაკარგვიდან 1 წლის განმავლობაში ტარიელი სატრფოს ეძებდა ზღვიდან ხმელეთზე გადმოუსვლელად. ხმელეთზე შეხვდა ფრიდონს, ხოლო როდესაც ფრიდონს ავთანდილი გაეცნო, მან 7 წლის განმავლობაში არაფერი იცოდა ტარიელის შესახებ. დ. ქუმისიშვილი 8 წელიწადს ამატებს საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდს, დაახლოებით 1 წელს, ვიდრე ტარიელი ფრიდონთან ცხოვრობდა, ხოლო ფრიდონის მენავენი ნესტან-დარეჯანს ეძებდნენ¹⁰.

„თუ ამ ცხრა წელიწადს მივუმატებთ იმ ერთ წელიწადს, რომელიც ავთანდილს დასჭირდა ნესტან-დარეჯანის აღმოსაჩენად და ამ ამბის ტარიელისათვის შესატყობინებლად, და აგრეთვე 1 წელიწადსა და 3 თვეს, რომელიც მონადომეს ნესტანის გამოხსნას და მულაზანზარში დაბრუნებას, დევთა გამოქვაბულში შესვლას, არაბეთში მისვლას და იქიდან სამ თვეში ინდოეთში დაბრუნებას, გამოვა, რომ ნესტან-დარეჯანის გატაცებამდე ინდოეთის ტახტზე ნესტანისა და ტარიელის გამეფებამდე 11 წელია გასული“¹¹.

ავტორის ვამოთვლით, ნესტან-დარეჯანის დაკარგვიდან 5 წლის შემდეგ რუსთაველმა პირველად შემოიყვანა ტარიელი ეპოპეაში¹².

აკად. მ. ბროსე კი „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წ. გამოცემის წინასიტყვაობაში პოემაში გადმოცემული ამბის ხანგრძლივობად თვლის 13 წელიწადს, 9 თვეს და „რაოდენსამე დღეს თუ მეტ-ნაკლებს“¹³.

„ვეფხისტყაოსნისაგან“ განსხვავებით, მოქმედების განაწილება სამოქმედო და უმოქმედო დღეთა მიხედვით კომპოზიციური ორგანიზაციის უნორველესი საშუალებაა ჰომეროსის „ილიადაში“. პოემის „პირველი სიმღერა იწყება ერთი სამოქმედო დღით — ქრისტეს მოსვლა, რომელსაც მოსდევს 9 უმოქმედო დღე, რომელთა განმავლობაშიც ჰირი მუსრავს აქაველთ. შემდეგ მოდის კვლავ ერთი სამოქმედო დღე — ავამემნონსა და აქილეესს შორის მომხდარი დავის გადმოცემა და იგი კვლავ 12 უმოქმედო დღით (რომელთა განმავლობაშიც ზეესი ეთიოპელთა ქვეყანაში იმყოფება) არის გამიჯნული პოემის სხვა ნაწილთაგან. ამას მოსდევს პოემის XXII სიმღერაში მოქმედების უწყვეტად განვითარება 8 სამოქმედო დღისა და ერთი სამოქმედო დღის განმავლობაში, ანუ მოქმედების დროის 9 მონაკვეთში. ოცდამეოთხე სიმღერაში აღწერილი ამბები გამიჯნულია ამ ნაწილისაგან 12 უმოქმედო დღით, რომელსაც მოჰყვება ერთი სამოქმედო დღე — პრიამოსის მისვლა აქილეესთან. ცხრა უმოქმედო დღე — ტაგრუცის აღმართვის — აშორებს მას პოემის ბოლო სამოქმედო დღისგან, რომლის განმავლობაშიც ხდება ჰექტორის დაკრძალვა. დღეთა განლაგების ეს მიმდევრობა ამგვარ სურათს იძლევა:

1—9—1—12—9—12—1—9—1¹⁴.

კონსტრუირების მოცემული პრინციპი — წრიული კომპოზიცია — რომელიც გეომეტრიული ეპოქის კერამიკის ორნამენტისაკენ მივლინებს დასტურდება — თავს იჩენს როგორც პოემის უმცირეს სტრუქტურულ ერთეულებში, ასევე „ილიადას“ მთლიან სტრუქტურაში¹⁵.

მოქმედების ორგანიზაცია სამოქმედო და უმოქმედო დღეების კანონზომიერი განლაგებით ჰომეროსის გენიის მიგნებაა და განპირობებულია გეომეტრიული ეპოქისათვის დამახასიათებელი არქიტექტურული სიციხადით და სიმეტრიულობის მკვეთრად გამოხატული სულით¹⁶.

მართალია, დროის აბსოლუტური კონსტრუქციული ფუნქციით „ვეფხისტყაოსანი“ პრინციპულად განსხვავდება ჰომეროსის პოემისაგან, მაგრამ ემსგავსება მას კომპოზიციური ორგანიზაციის ერთი ნიშნით: ორივე პოემაში დროის შედარებით მცირე მონაკვეთში მომხდარი ამბების სიუჟეტურ ქარგაში ჩართულია მხატვრულად დასრულებული ინფორმაცია დროის ვრცელი მონაკვეთის შესახებ¹⁷. როგორც ჰომეროსისათვის, ასევე რუსთაველისათვის ეს კომპოზიციური ხერხი (რომელიც „ხელოვნური“ დასაწყისის საშუალებით ფუნქციონირებს) იქცევა მოვლენათა იერარქიზაციის მძლავრ საშუალებად, კომპოზიციური ერთიანობის გარანტად.

თავის მხრივ, მოვლენათა იერარქიზაცია ეფუძნება მხატვრული დროისა და სივრცის ტრანსფორმაციას, რითაც მხატვრული ფორმა უპირისპირდება რეალურს და ქმნის მხატვრულ პირობითობას. ეს პირობითობა ფასეულია იმდენად, რამდენადაც გამოკვეთს შემეცნებით-შეფასებით მხატვრულ ინფორმაციას. დროსა და სივრცეს ხელოვნებაში ახასიათებს კუმშვის, გავრცობის, შეჩერების, სხვადასხვა სახის დეფორმაციის უნარი, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოითხოვს საკითხის დასმას მხატვრული დრო-სივრცის ტრანსფორმაციის ფუნქციონალური რაობის შესახებ.

„ვეფხისტყაოსანში“ ადგილი აქვს, ერთი მხრივ, დროის მცირე მონაკვეთში მომხდარი ამბების დაწვრილებით აღწერას, მეორე მხრივ, — დროის ხანგრძლივი მერიოდის განმავლობაში მომხდარი ამბების მოკლე და ზოგად გადმოცემას. იმისათვის, რომ გავარკვიოთ, რა ნიშნის მიხედვით ახდენს რუსთაველი ინფორმაციის არჩევანს შესაძლებლობათა ერთობლიობიდან, მოვიხმოთ ზოგადად ნაციონალური ეპოსის მახასიათებლები: „ნაციონალური



ეპოსი, ფაქტობრივად, უმაღლესი მხატვრული ფორმით გადმოცემული ენციკლოპედიაა ამა თუ იმ ხალხის ცხოვრების, მისწრაფებების და ვნებების; მასზე ფოკუსირებულია ყოველივე ის, რაც ამა თუ იმ ერის ფსიქოლოგიის და ხასიათის განმსაზღვრელია. აქ წარსული, აწმყო და მომავალი ერთმანეთს ერწყმის. ასეთი ნაწარმოები შეიძლება გადაიქცეს მთელი ერის, ... მისი კულტურის ხასიათის განმსაზღვრელ ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად“¹⁸.

ამ თვალსაზრისით წაკითხული „ვეფხისტყაოსანი“ იძლევა დაწვრილებით ინფორმაციას რამდენიმე რიტუალსა და წეს-ჩვეულებაზე:

1/ **გამეფება** (43—56) — როსტევანის ბრძანებით მთელი არაბეთიდან სტუმრების მოწვევა; სპასპეტისა და ვაზირის მიერ უძვირფასესი სამეფო ტახტის დადგმა; მამის მიერ თინათინის გვირგვინით შემკობა; სკიპტრის გადაცემა და მეფის სამოსლით შემოსვა, უკუდგომა და თაყვანისცემა მეფისა და „მისთა სპათა“; დალოცვა, ქება, ბუკისა და წინწილას თანხლება; როსტევანის მიერ დამოძღვრა; უნაგარიშო და უღვევი განძის გაცემა; პურობა — ხალხმრავალი წვეულება.

2/ **ნადირობა** (72—83) — ნიძლაევი; ნადირობისათვის წინასწარი მზადება („მონადირეთა უბრძანა: „მინდორი მოიარენით, დასცევით ჯოგი ნადირთა, თავნი ამისთვის არენით“); გამგზავრება, ალყა, ზარი და ზეიმი, 12 მონის თანხლება მშვილდის და ისრის მომწოდებლად და ნანადირევის დამთვლელად; ირმით, თხით, კანჯარით (გარეული ვირია), ქურციკით მინდვრის მოფენა; ნადირობა; დასვენება.

3/ **ომი** (387—389, 400—404, 420—478) — ტარიელის წერილით ხატაელებთან რამდენიმე კაცის გაგზავნა; მათი საპასუხო წერილით დაბრუნება; ლაშქრის წვევა; მარზპანთა (მაზრის მმართველთა) დაგზავნა; აღლუმი — ჯარის დათვალიერება; მეფის წითელ-შავი დროშის აღმართვა; დილით ბუკითა და ნობით ჯარის აყრის ნიშნის მიცემა; გამგზავრება; რამაზის ცრუ მონაწილეობა; თათბირი (დაწვრილებით); რამაზის მეორე მოციქული; მცირე რაზმით გამგზავრება, კონფლიქტი, ბრძოლა შუბით, ხმლით; საღამოს ინდოეთის ძირითადი ლაშქრის გამოჩენა; ხატაელთა გაქცევა; დასვენება და ტარიელის ქება; ალაფის აღება; ქალაქში უომრად შესვლა; სიმაგრეთა გადაცემა, განძეულის დათვალიერება; წერილის და 1000 დატვირთული ჯორ-აქლემის გაგზავნა მეფე ფარსადანთან; დაბრუნება და გზაში მეფის დახვედრა; ნადიმი, ქალაქში შესვლა; ხატაელთათვის შენდობა; ნადირობა (ძალიან მოკლედ); ქალაქის მცხოვრებთა გამოსვლა ტარიელის „საჭკერეტად“; ნადიმი; ამირბარის დასაჩუქრება.

4/ **ქორწილი** (1557—1567) — სუფრასთან პურის, ხავსზე მეტი ძროხის და ცხვრის მორთმევა; იაგუნდის ჯამები, ლალის ჭიქები, ნაირ-ნაირი წარმოშობისა და ნაკეთობის ჭურჭელი; ღვინის წყაროები; მომღერლები, წინწილას ხმა; ძღვენის გაცემა (ძალზე დაწვრილებით).

5. **ნაგრობობა** (1130—1136) — ვაჭრობის, ალებ-მიცემობის შეწყვეტა; მოკავშვა, ვალამაზება, პურობა-დარბაზობა; სამეფო კარზე ძღვენის მიტანა და იქვე საჩუქრის მიღება; ათი დღის განმავლობაში წინწილას სმენა, თამაში, „ბურთობა“, დოღი და მარულა.

როდესაც „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი ახდენს მოვლენათა იერარქიზაციას, განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს ზემოთ ჩამოთვლილი რიტუალების მიმართ. მაგრამ თითოეული მათგანის დაწვრილებით აღწერას პოემაში ერთგვარი ხასიათი აქვს და სხვა შემთხვევაში ამოიწურება მოკლე და ზოგადი ინ-



ფორმაციით. ორიოდე სიტყვით არის გადმოცემული ავთანდილის ნაღრობა უცხო მოყმესთან შეხვედრამდე, ავთანდილის და როსტევეანის ნაღრობა ნესტანის დაბრუნების შემდეგ, ტარიელის და მეფე ფარსადანის მრავალგზის ნაღრობა, ტარიელის და ნურადინ-ფრიდონის ბრძოლები¹⁹, ქაჯეთის ციხის აღება, ტარიელისა და ნესტანის ქორწილი ზღვათა სამეფოში, მულლაზანზარის ქვეყანაში და თვით ინდოეთში.

რუსთაველის ყურადღებას იპყრობს არაბეთის სპასპეტის ურთიერთობა თავის ქვეშევრდომებთან. ავთანდილის და შერმადინის ვრცელ საუბრებში მოცემულია ინფორმაცია სპასპეტის (ან მისი ნაცვალის) მოვალეობათა შესახებ:

„ლაშქართა და დიდებულთა აღაშქრებდი, პატრონობდი;
 დარბაზს კაცსა გაგზავნიდი და ამბავსა მათსა სცნობდი,
 წიგნსა სწერდი ჩემ მაგიერ, უფასოსა ძღვენსა სძღვნობდი,
 აქა სადმე არ-ყოფასა ჩემსა მათმცა რად აგრძნობდი!“ (156)
 „აწ მეფეთა სამსახურად პირველ თავი დაამზადე,
 სიკეთე და უკლებლობა შენი ერთობ გააცხადე;
 სახლი ჩემი შეინახე, სპათა ჩემთა ეთავადე,
 სამსახური აქანამდის კვლა გავლენა გააკვლადე.
 მტერთა ჩემთა ენაბირე, ძალი ნურა მოგაკლდების,
 ერთგულთათვის კარგი ნუ გშურს, ორგულმცა შენი კვების!“ (779—780)

ინფორმაციის გადმოცემის მსგავსი პრინციპია დაცული იმ შემთხვევებშიც, როდესაც რუსთაველი დაწვრილებით აღწერს ავთანდილის სამწლიანი მოგზაურობის და ტარიელის ათწლიანი ველად გაჭრის თითო ეპიზოდს, რომელთა მნიშვნელობა არ ამოიწურება მათი უდავო სიუჟეტური ღირებულებით. ავთანდილის შემთხვევაში ეს არის მისი მოგზაურობის ერთი ჩვეულებრივი დღე ხატაელ ძმებთან შეხვედრამდე, ხოლო ტარიელის შემთხვევაში — მისი ურთიერთობა ფრიდონთან. რა თქმა უნდა, თვისებრივად ეს ეპიზოდები პრინციპულად აღმატება იმ „ცარიელ დროს“, რომელიც კომპოზიციური სიმწყობრის დასაცავად ამბებისა და მოვლენებისაგან გამოათავისუფლა პოემის ავტორმა, მაგრამ ეს სიცარიელე თავადვე შეავსო მთელიდან გამოყოფილი ნაწილის დაწვრილებითი დახასიათებით.

გარკვეულ შემთხვევებში რუსთაველი სარგებლობს ინფორმაციის გადმოცემის სრულიად საწინააღმდეგო პრინციპით, რაც არ შეიძლება არ მიუთითებდეს მოცემული საზოგადოებისათვის ამ შემთხვევათა განსაკუთრებულ ღირებულებაზე. „ვეფხისტყაოსანში“ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ხელახალი აღნიშვნის და ხშირად დაწვრილებითი აღწერის საგანი ხდება:

1/ განძის და საბოძვარის გაცემა — თინათინის გამეფებისას (52—55), არაბეთში გლოვის მოხსნისას (119), ნესტანის დაბადებისას (324), ტარიელის მიერ მამის გლოვისას (326), ხატაეთის ომიდან დაბრუნების შემდეგ (486—487), ავთანდილის არაბეთში დაბრუნებისას (682; 686), აგრეთვე, ვაზირის მიერ ავთანდილისათვის ძღვენის მირთმევა (770), ავთანდილის მიერ ვაზირის დასაჩუქრება (771), ფრიდონის მიერ ავთანდილის შემოსვა და ძღვენის გადაცემა (1013; 1019—1020), ვაჰართაგან ავთანდილის დასაჩუქრება (1060), ძღვენის გაცემა და მიღება ნავროზობისას (1123—1124), უსენის მიერ მელიქ-სურხავის მონახულება (1163—1167), ფატმანის მიერ ნესტანის დასაჩუქრება (1177), ზღვათა მეფისათვის ქაჯეთის სამეფოს გადაცემა (1430), მელიქ-სურხავის მიერ ტარიელისა და ნესტანისათვის ქორწილის გადახდა, საბოძვარის და განძის გაცემა (1437—1440), ტარიელის მიერ ფატმანის დასაჩუქრება (1443). ქორწილი მულლაზანზარში (1465—1467), ტარიელის მიერ

ფრიდონისათვის გამოქვაბულის განძის ჩუქება (1499—1500), ქორწილი ატაბეთში (1553; 1559), ინდოეთში ნესტანისა და ტარიელის ქორწილი (1649—1661), 1641, 1644—1650, 1654, 1658—1659, 1664).

2. თათბირი — როსტევეან მეფისა (34—39), ტარიელისა ხატაეთის ომს წინ (424—425), ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა (517—547), ნურადინ-ფრიდონისა (1393—1396), ავთანდილისა (1397—1401), ტარიელისა (1402—1408).

3. გაცნობა, მისალმება, შეხვედრა-განშორება, დახვედრა წარმატებული ლაშქრობის შემდეგ — ავთანდილის და როსტევეანის მიერ უცხო მოყმის ნახვა (84—97), ავთანდილის და თინათინის პირველი შეხვედრა და განშორება გამეფების შემდეგ (120—124, 138), ტარიელისა და ავთანდილის გაცნობა (280—283), ნესტანის მიერ ტარიელის ხმობა (391—394, 396—399), ტარიელისა და ნესტანის პირისპირ შეყრა (406—409), ხატაეთიდან გამარჯვებით შემოქცევა (464—466, 478—479), ასმათისა და ტარიელის პირველი შეხვედრა ნესტანის დაკარგვის შემდეგ (567—569), ფრიდონისა და ტარიელის შეხვედრა და განშორება (591—597, 643—648), ავთანდილის მიერ ასმათისა და ტარიელის დატოვება (661—671), არაბეთში დაბრუნება (673—685), თინათინისა და ავთანდილის შეხვედრა და განშორება (692—694, 712—716), ავთანდილის მიერ არაბეთის ხელმეორედ დატოვება, რაც გავრცობილია შერმადინთან გამოთხოვებით, ავთანდილის ანდერძით, ლოცვით და მეფე როსტევეანის მიერ ავთანდილის წასვლის შეტყობით (774—829), ფრიდონისა და ავთანდილის შეხვედრა და გაყრა (984—988, 1015—1024), ავთანდილის გამოთხოვება უსენთან და ფატმანთან (1324—1326), ნესტანისა და ტარიელის შეხვედრა, ნესტანის მიერ ავთანდილისა და ფრიდონის გაცნობა (1420—1424), ნესტანისა და ფატმანის შეხვედრა მულაზანზარის ქვეყანაში (1428—1436), ასმათთან და დიდებულებთან შეხვედრა (1451—1454), არაბეთში დაბრუნება, როსტევეანის და თინათინის შეხვედრა სტუმრებთან (1503—1541), გამოთხოვება და ინდოეთს გამგზავრება (1568—1577), ინდოეთის დედოფალთან და დიდებულებთან შეხვედრა (1621—1631), გმირების ერთმანეთთან გამოთხოვება (1654—1661).

ინფორმაციის მოწოდების მოცემული პრინციპი 16 ეპისტოლესთან, ლოცვებთან. გმირთა განცდების და შინაგანი განწყობის გადმოცემასთან ერთად ქმნის „ვეფხისტყაოსნის“ ეპიკურობას და ანელებს სიუჟეტური დროის დინებას.

მხატვრული დროის შექმნაში, ნაწილობრივ, გრამატიკული დროც მონაწილეობს. „ქართულ ზმნას აქვს საშუალება, ერთი ფორმით აღნიშნოს არა მარტო მოქმედება, რომელიც ერთხელ მოხდა, არამედ ისეთიც, რომელიც მეორედბოდა. ამის მიხედვით ვვაქვს ჯერობა ერთგზისი და მრავალგზისი“²⁰. ე. წ. „ცარიელი დროის“ შესაცვებად რუსთაველი ხშირად იყენებს ზმნის ფორმას, რომელიც განმეორებლად მოქმედებას გამოხატავს და ქმნის მის მიერ მოკლედ აღწერილი სურათის განფენილობის, გავრცობის ეფექტს.

1. უცხო მოყმის საძებნელად წასულ ავთანდილს „მოუნდის გულსა და ცემა, ზოგჯერ მიჰმართის დანასა“ (179—2); „გულსა უთხრის, თუ: „დათმეო“ (180—2); „მგზავრთა ჰკითხვიდის ამბავთა“ (180—4); უჩნდის ქვეყანა ტახტად და მკლავი სადებლად თავისად, თქვის „საყვარელო, მოგშორდი“ (181—2—3)...

2. გამოქვაბულში დაძინებული ტარიელი შემკრთალი გამოიღვიძებს, წამოიჭრება: „იხახის და წამწამ იკრის გულსა ლოდი, თავსა კეტი“ (269—3).

3. ტარიელის შესაყრელად თინათინის ნებართვით წასული ავთანდილი „მივა და მიტირს გულ-მდულრად, ვერ ვიტყვი ცრემლთა მცრობასა, წამ-წამ



მობრუნდის, იაჯდის მისთვის მზისავე მზობასა, უჭერეტდის, თვალი ვერ მოჰხსნის, თუ მოჰხსნის, მიჰხდის ცნობასა“ (831—2—3—4)“; „რა მიეცნოს სულსა ნებად, ვერ ხელ-ჰყვის დაძრვად ენისად, მაგრა სდის ცრემლი თვალთაგან მსგავსად დიჯლისა დენისად, ზოგჯერ დაბრუნდის, იჭვრეტდის ღონედ პატიუთა თმენისად, რა გაემართის, არ იცის, მას თუ არბევდის ცხენი სად“ (832); „ამას მოთქმიდის, იწვოდის, ვითა სანთელი დნებოდის, დაყოვნებისა მოშიში ისწრაფდის, იარებოდის, რა შეუღამდის, ვარსკვლავთა ამოსვლა ეამებოდის, მას ამსგავსებდის, ილხენდის, უჭვრეტდის, ეუბნებოდის“ (838); „ღამე აღხენდის, დღე სჯიდის, ელის ჩასლვასა მზისასა, რა წყალი ნახის, გარდახდის, უჭვრეტდის ჰავლსა წყლისასა, მას თანაპრთვიდის ნაკედსა სისხლისა ცრემლთა ტბისასა, კვლა გაემართის, ისწრაფდის წასლვასა მისევე გზისასა. მარტო მოთქმიდის, ტროოდის ტანად აღვისა ხიანი, მინდორს თხა მოკლის, სადაცა ადგილი დაჰხვდის კლდინი, შეწვის, ჰამის და წავიდის პირ-მზე, გულ-მარიხიანი, იტყვის: „დაეყარენ ვარდნი და, აჰა მე ვაჯღახ, იანი!“ (840—841).

გმირების მრავალგზის ქმედებათაგან რუსთაველის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მათი ცრემლთა დენა, მწუხარე მოგონებები, პატიუთა თმენანი. უარყოფითი განცდების გადმოცემა ხშირად კიდევ მეტად დანაწევრებულია, აღწერა — სრული და ხანგრძლივი. გამომსახველობის გასაძლიერებლად რუსთაველი თხრობით წარსულს შეუნაცვლებს აღწერით აწმყოს და არ ერიდება მსგავსი სურათების მრავალგზის გამეორებას:

1. თინათინი: „ქალი ტირს და ცრემლსა აფრქვევს, ჰხრის ყორნისა ბოლო-ფრთათა“ (46—4), „ამდ ტირს, ბალი ვარდისა ცრემლითა აივსებოდა, მეფე სწვრთნის: „მამა ყოველი ძისაგან ითავსებოდა“ (47—2—3).

2. ასმათი, „ცალ-კერძ ზის და პირსა იხოკს ქალი მისი შენამჭვრეტი“ (269—4); ასმათს სდის ღვარი სისხლისა, დაწვთაგან ნახოკარისა, კვლა წყალსა ასხამს, უშველის, ხმა ისმის მუნ წკანწკარისა“ (498—3—4).

3. ტარიელი: „ასრე წვა, რომე არ ჰკვანდა მკედარი სამარის კარისა, ორგნით ჩანს ლები მჯილისა, მართ გულსა გარდნაკარისა“ (498—1—2); „ჰეა მხეც-ქმნილი ტარიელ ტირს, ჰირი ეათასების“ (497—1).

4. ფრიდონი: „აწ ფრიდონ იწვის სიტყვითა მის ყმისა ნაუბართა“ (1005—1); „ფრიდონ ტირს, მოთქვამს ხმა-მალღად, გაყრილი წლისა შვიდისა“ (1006—3); ფრიდონ მოთქვამს: „რა შეგასხა, ვერ საქებო, ვერ-სათქმელო“ (1007—1).

5. ავთანდილი: „მუნ ეძებს, ცრემლი მტირალსა სდის ზღვისა შესართავისად“ (181—1), „ამას იგონებს ტირილით გონება შეიწრებული“ (188—4), „პირსა იხოკს, ვარდსა აზრობს, ხელი მისი განემხოკლა“ (672—2), „ყმა წავიდა სევდიანი, მკერდსა იცემს, ამდ იღებს, რომე კაცსა მიჯნურობა ატირებს და აგულჩვილებს“ (713—1—2), „ამას მოსთქვამს, ცრემლსა აფრქვევს, ათრთოლებს და აწანწარებს, გულ-ამოსკენით, ოხვრა-სულთქმით მიხრის ტანსა, მიაწარებს, ვა, საწუთრო ბოლოდ თავსა ასუღარებს, აზწარებს!“ (716), „ყმა მივიდა, საწოლს დაჯდა, ზოგჯერ ტირს და ზოგჯერ ბნდების, მაგრა ახლავს გონებითა საყვარელსა, არ მოსწყდების“ (717). „ავთანდილ მისი გაყრილი ტირს, ხმა მისწვდების ცათამდის“ (952—1), „ვერ დაივსებდა სახმილსა, იწვის ცეცხლითა ხშირითა. კვლა თინათინის გონება ავსებს უფროვე ჰირითა, ბაგეთათ ვარდსა ანათობს ბროლი ძოწისა ძირითა“ (953—2—3—4), „მიმავალი ცასა შესტირს, ეუბნების, ეტყვის მზესა“ (957—1).

პერსონაჟების უარყოფითი ემოციების და განცდების გადმოცემის ამგვარი ხერხი მიზნად ისახავს მკითხველის ჩართვას თხრობაში, მის დაყენებას



გმირის გვერდით, თანაგანცდის, თანაგრძნობის გამოწვევას. მეორე მხრივ მომენტის ფიქსაცია და ზმნების სიმრავლე იწვევს მხატვრული დროის გავრცობას. გრამატიკული დრო დგება მხატვრული ჩანაფიქრის სამსახურში უშუალოდ მიემართება არა მხოლოდ ლინგვისტიკას, არამედ — პოეტიკასაც²¹.

აღსანიშნავია, რომ როგორც მრავალგზისობის გამომხატველი, ასევე აწყო დროის ფორმების შემოტანა თხზულებაში ნიშნავს ავტორის სინქრონულ პოზიციას გმირების მიმართ, მოვლენათა აღწერას არა შორიდან, გარედან, არამედ ამ მოვლენათა შუაგულიდან²². მანძილი გმირებსა და ავტორს შორის მყესეულად მცირდება და ავტორი მკითხველთან ერთად აღმოჩნდება პერსონაჟის გვერდით მისი გასაჭირის გასაზიარებლად. რაკი ავთანდილის ცხოვრება რუსთაველის თვალწინ მიედინება. მკითხველიც ხშირად ხდება მისი განცხადების მოწმე და თანამგრძნობელი (რასაც მოხმობილი მაგალითების სიმრავლე ადასტურებს). ხოლო ნესტანის გზა ბურუსითაა მოცული. რუსთაველი არ იტრება მისი ცხოვრების შუაგულში და აქ გრამატიკული დროის კატეგორია კარგავს პოეტიკის სფეროსათვის ღირებულ სპეციფიკურობას.

რუსთაველის დრო-სივრცული პოზიცია „ვეფხისტყაოსნის“ გმირების მიმართ მხოლოდ ვარკვეული თვალსაზრისით კულმინაციურ მომენტებშია სინქრონული, უფრო ხშირად კი რეტროსპექტულია, რაც, თავის მხრივ, მოიცავს ორმაგ დრო-სივრცულ პერსპექტივას²³:

1. ერთ შემთხვევაში ავტორი უჩინრად ფეხდაფეხ დაჰყვება გმირს და ზღვარს ადებს საკუთარ ცოდნას მისი მომავლის თაობაზე.

2. სხვა შემთხვევაში „ავტორი თვითონ ერევა თხრობის მდინარეებში და თავის შეხედულებებს გამოხატავს ამა თუ იმ საკითხზე“²⁴. ზოგჯერ ისეთ ცოდნას ამჟღავნებს, რაც დაფარულია გმირებისათვის (გულანშაროდან ავთანდილის დაბრუნებისთანავე ტარიელის ხსენება ინდოეთის მეფედ — 1362, 1363), ხოლო ზოგჯერ ამა თუ იმ ამბის გადმოცემას წაუძმღვარებს ერთსტროფიან ფონს, რომელზეც იკითხება და აღიქმება შემდგომი თხრობა (ნესტან-დარეჯანის ქაჯთაგან შეპყრობის ამბავს უძღვის სტროფი: „ვა, საწუთროო, სიცრუვით თავი სატანას ადარე! შენი ვერავინ ვერა ცნას. შენი სიმუხთლით სად არე; პირი მზისაებრ საჩინო სად უჩინო ჰყავ, სად არე?“ მით ვხედავ, ბოლოდ სოფელსა ოხრად ჩანს ყოვლი, სად არე!“ — 1213)²⁵.

„ვეფხისტყაოსნის“ დრო-სივრცული პერსპექტივა არ ამოიწურება ავტორის პოზიციის ფიქსაციით გმირების მიმართ. საზოგადოდ, პერსპექტივა გულისხმობს დამოკიდებულებას აღსაწერ მოვლენათა და აღმწერ სუბიექტს შორის. რუსთაველის პოემაში კი ამგვარი აღმწერი სუბიექტის ფუნქციას ავტორის გარდა ატარებენ ტარიელი, ავთანდილი, ნესტანი, ფრიდონი, ფატმანი, ასმათი, როშაქის მონა, ფატმანის გრძნეული მონები, ყოველი მათგანის თხრობა ეყრდნობა როგორც ობიექტურ, ასევე სუბიექტურ თვალთახედვას, ფაქტებთან ერთად ამ ფაქტების გრძნობით აღქმას. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი და პერსონაჟები არ ერიდებიან საკუთარი თუ ერთმანეთის შინაგანი მდგომარეობის რეკონსტრუირებას თხრობის პროცესში. ამის გათვალისწინებით უამბობს ავთანდილი როსტევანს და თინათინს ტარიელის ცხოვრებას (690, 683, 696—699), ფრიდონი — ტარიელს — ნესტანის ტყვეობის მცირე ეპიზოდს (627), ფატმანი — ავთანდილს — ნესტანთან ხანმოკლე ურთიერთობას (1145, 1160, 1176, 1214), ასმათი — ტარიელს — ნესტანის დაკარგვას (581, 583); როშაქის მონა — ვაჟურად ჩაცმულ „ბნელის შინათობელ“ ქალთან შეხვედრას (1230); ფატმანის გრძნეული მონები — „საჭკრეტად თვალშეუღვამის“, „მზის დარის“ ტყვეობას ქაჯეთის ციხეში (1239).

მოვლენების სუბიექტური აღქმა, სინამდვილის ასახვა მთხრობელის თვალსაზრისით უცხო არ არის არც „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟებისათვის,

არც თავად რუსთაველისათვის. ამიტომ განიცდის პოეტი როსტევეანის მიერ გამოვლენილი ვეზირის თვალცრემლიან ხუმრობას. „მიკვირს, ზანტაჰეფის წყლიანობად, რად არ გულსა შეიურვებს“ (764); ამიტომ ამხნევებს ავთანდილის სიყვარულით და სიფრთხილით ჭაშნავაძის მკვლელობის შემდეგ: „ესე მიკვირს, სისხლი მისი ასრე ვითა მოიპარა“ (117—3); და ამიტომ გულწრფელადაა აღტაცებული არაბეთიდან დაბრუნებული ავთანდილისა და ტარიელის ხელმეორე შეხვედრით: „ვიმოწმებ ღმერთსა ცხოველსა, მათებრივ არვინ შობილა!“ (872—4).

რუსთაველი დრო-სივრცული პერსპექტივის დაცვით მომავლიდან ერთეულადაა გმირების ცხოვრებაში, რომელიც, ჩვეულებრივ, აწმყოდან მომავლისაკენ იკვალავს გზას. მაგრამ ამასთანავე რუსთაველი სრულად იყენებს მხატვრული დრო-სივრცის ტრანსფორმაციის უნარს და ქმნის ტარიელის მონათხრობს, მაგრამ ქმნის იმგვარად, რომ იგი ვანუხრელად შინაგანი ლოგიკით ვითარდება, არა როგორც ავტორის სიტყვა, არამედ, როგორც სხვისი სიტყვა, გმირის სიტყვა²⁶. ტარიელი, რუსთაველისაგან განსხვავებით, დრო-სივრცული პერსპექტივით მიემართება არა მომავლიდან აწმყოს, არამედ — აწმყოდან წარსულს. ოდესღაც მომხდარი არ არსებობს დღევანდლობის გარეშე, წარსული აწმყოთია გაჯერებული. გმირის ტრაგიკული მსოფლშეგრძნება ავლენს დრო-სივრცის სუბიექტური აღქმის ნაირგვარობას, რომსრივი უკიდურესობით ამძაფრებს სამომავლო პერსპექტივას: „მე სიკვდილსა აღარ ვახსოვ, ვარ მისგანცა განწირული“ (284—4) და, ამასთან, „სიკვდილი მახლავს ხელ-ქმნილსა, სიცოცხლე არის წამისად“ (845—2). დროის სუბიექტური აღქმა სინამდვილის გამოხატვის ფორმაა²⁷. განწყობა გადამდებია. მკითხველი ვერ იზიარებს ეპიკური დროის დახშულობას და ჩაეცილობას, ხსნის წრეს და საკუთარი ტრაგიკული მსოფლშეგრძნებით, დროისა და სივრცის სუბიექტური აღქმით მომავლიდან შესცქერის ტარიელისა და ნესტანის, ავთანდილისა და თინათინის გარდასულ ცხოვრებას.

„გასრულდა მათი ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა.
გარდახდეს, გავლეს სოფელი, ნახეთ სიმუხთლე ჟამისა!
ვის გრძლად ჰგონია, მისთვისცა არის ერთის წამისა.
წერა ვინმე მესხი მელექსე მე რუსთაველისად ამისა.“ (1665)

შენიშვნები:

1. Прокопович Ф., О поэтическом искусстве, М.-Л., 1961, გვ. 402—403.
2. Там же, გვ. 401—402.
3. Аверинцев С. С., Литературные теории в составе средневекового типа культуры, в кн.: Проблемы литературной теории в Византии и латинском средневековье, М., 1986, გვ. 5.
4. Аристотель, Поэтика, Сочинения в четырех томах, Т. 4, М., 1983, გვ. 654—655.
5. Гаспаров М. Л., Средневековые латинские поэтики в системе средневековой грамматики и риторики, в кн.: Проблемы литературной теории в Византии и латинском средневековье, М., 1986, გვ. 125. ჩვენს ნაშრომში მოხმობილი აზრი ეკუთვნის XII ს. თეორეტიკოსს — „პარიზული პოეტიკის“, 4 გრამატიკული ტრაქტატის და 5 დიდი პოემის ავტორს — იოანე გარლანდელს, რომელიც 1195 წ. დაიბადა ინგლისში, განათლება მიიღო ოქსფორდში, ხოლო 1220 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა პარიზში.
6. ო. უ. ო. რ. ო. პ. ი., საქართველოს სამეფო (ნაწყვეტი), წიგნში: რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, ტ. 1, თბ., 1976, გვ. 332.

7. აქაც და ქვემოთაც სტროფები მოყვანილია 1957 წლის გამოცემის ნუმერაციითა და მართლწერით (სარედაქციო კოლეგია: ალ. ბარამიძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე).
8. დ. ქუ მ ს ი შ ვ ი ლ ი, რუსთაველის პოეტური ხელოვნების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1968.
9. იქვე, გვ. 114.
10. იქვე, გვ. 116.
11. იქვე.
12. იქვე, გვ. 118.
13. მ. ბ რ ო ს ე, „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემის წინასიტყვაობა, წიგნში: რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, ტ. I, თბ., 1976, გვ. 60.
14. რ. გ ო რ დ ე ზ ი ა ნ ი, ბერძნული ცივილიზაცია, თბ., 1988, გვ. 94.
15. იქვე, გვ. 91.
16. იქვე, გვ. 95.
17. როგორც ცნობილია, „ილიადას“ სიუჟეტის 54 დღე მოიცავს ათწლიანი ტროას ომის მიმდინარეობის სრულ სურათს.
18. რ. გ ო რ დ ე ზ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 85.
19. დაწვრილებით არის აღწერილი ავთანდილის ბრძოლა მეკობრეებთან, რაც გამოწვეული უნდა იყოს ზღვაზე ომის წარმოების სპეციფიკით.
20. ა შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკა ტ. I, თბ., 1955, გვ. 124.
21. Успенский Б. А., Поэтика композиции, М., 1970, გვ. 94.
22. Там же, გვ. 101.
23. ტერმინი მოხმობილია დ. ლიხაჩოვის დასახელებული ნაშრომიდან, გვ. 293.
24. ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი, შოთა რუსთაველი — დავით გურამიშვილი, თბ., 1974, გვ. 13.
25. იხ. აგრეთვე „ავთანდილისაგან მის ყმის ძებნად წასვლა“, „წასვლა ავთანდილისაგან ტარიელის შეყრად მეორედ“, „წასვლა ავთანდილისაგან ფრიდონისასა“, „ფატმანისაგან ავთანდილის გამიჯნურება“, „სამთაგანვე ქებასა მისლვა და მუნით არაბეთს წასვლა“.
26. Бахтин М. М., Проблемы поэтики Достоевского, М., 1979, გვ. 116.
27. Лихачев Д. С., Поэтика древнерусской литературы, М., 1979, გვ. 213.

И. З. АНТАДЗЕ

НЕСКОЛЬКО АСПЕКТОВ СТРУКТУРНОГО ФУНКЦИОНИРОВАНИЯ ХУДОЖЕСТВЕННОГО ВРЕМЕНИ И ПРОСТРАНСТВА В ПОЭМЕ Ш. РУСТАВЕЛИ «ВИТЯЗЬ В БАРСОВОЙ ШКУРЕ»

Резюме

Художественное пространство и время свойственны тем образным моделям действительности, которые создаются в художественных произведениях. В статье предпринята попытка отыскать несколько законов поэтического искусства Ш. Руставели, выяснить роль их структурного функционирования в поэме, показать корреляцию хронотопа и художественного стиля Ш. Руставели.

В статье, наряду с вопросами внутренней структуры, рассмотрена проблема отражения в этих структурах общественных культурно-исторических тенденций соответствующей эпохи.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ს. ცაიშვილმა

ენო კირთაძე

ჯადოსნური ზღაპრის ბმირი

ზღაპრის სიუჟეტების განხილვისას ვ. ი. პროპი გამოყოფს ფუნქციათა წრეებს, მოქმედ პირთა ფუნქციებს, როგორც ზღაპრის მთავარ ელემენტებს, და ასევე ის, რომ ყველა ჯადოსნური ზღაპარი თავისი აღნაგობით ერთნაირია. ის წერს: „ჯადოსნური ზღაპრების სტრუქტურის შესწავლა ნათელს ფენს ამ ზღაპართა ნათესაური კავშირის არსებობას. ეს ურთიერთკავშირი იმდენად ღრმაა, რომ ზოგ შემთხვევაში ჭირს სიუჟეტების ერთმანეთისაგან გამოცალკევება“¹. აქედან გამომდინარე, ის ასკვნის, რომ ცალკეული მოტივის თუ სიუჟეტის დამოუკიდებელი შესწავლა შეუძლებელია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში „მათ მიმართებას მთელთან“.

თითოეული სიუჟეტის, მოტივის თუ პერსონაჟის ორგანული კავშირი „მთელთან“, თუ ამ „მთელში“ ვიგულისხმებთ იმას, რაც ზღაპრის საფუძველში უნდა იდოს, გვაფიქრებინებს, რომ ზღაპარი უფრო მრავლისმომცველი და ღრმა მოვლენაა, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. ვარაუდობენ, რომ ზღაპარი მითის ან რიტუალის დესტრუქციის ედეგია. მაგრამ უცნაურად გვეჩვენება, რომ ზეპირი ტრადიციის და სიუჟეტთა მრავალფეროვნების გათვალისწინებით ზღაპარი არ ირღვევა და თავის ორიგინალურ სახეს ინარჩუნებს, მეტიც, მას თავისი მკაცრი კანონები აქვს. ცხადია, ზღაპარში შეიძლება იყოს ასახული საწესო-რელიგიური რიტუალური ფორმები, სხვადასხვა ხალხთა ზნე-ჩვეულებანი, მაგრამ მხოლოდ მათი, თუნდაც საფუძვლიანი შესწავლა ზღაპრის რაობის საკითხს ვერ ამოწურავს. ყოველივე ზემოაღნიშნული არის საშენი მასალა, რომლითაც „აიგება“ ზღაპარი. გაცილებით მნიშვნელოვანია დავინახოთ ის, რაც აიგო, ვიდრე ის, თუ რითი აიგო, წარმოვიდგინოთ ის მყარი ბირთვი, რაც ამთლიანებს და აწესრიგებს ზღაპრის ყოველ ელემენტს. ამ ბირთვს თუ ფუძეს სხვადასხვა სიუჟეტი სხვადასხვა კუთხიდან აშუქებს და თავისებურად წარმოგიდგენს იმ ჭეშმარიტებას, რომლის გადმოსაცემად მოწოდებულია ზღაპარი. „ზღაპარში ყველაფერი ისე ხდება, როგორც ჩვენი აზრით, ცხოვრებაში უნდა ხდებოდეს. ამით ზღაპარი სინამდვილეს უპირისპირდება“, — წერს ა. იოლესი². „ის, რომ ზღაპრული თხრობა არ უკავშირდება კონკრეტულ ადგილსა და დროს, ტენდენცია მოქმედ პირთა უსახელობისა, ესეც სავსებით ესადაგება სინამდვილესთან დაპირისპირების იოლესისეურ ფორმულას“, — წერს ა. ზაიცივი³.

იოლესი რომანტიკულ ტრადიციას უკავშირებდა ფოლკლორს და ჯადოსნურ ზღაპარსაც. მას მიაჩნდა, რომ ყველა წინააღმდეგობა გმირისათვის ადვილი დასაძლევია. დაჩაგრულის გამარჯვებაში ის ხედავდა ადამიანის მისწრაფებას, შეეცვალა არსებული უსამართლობა. მაგრამ ძნელი სათქმელია, რამდენად ერევა ადამიანი ზღაპრის ღირებულებათა საფუძველში. ადამიანური ღირებულებანი ცვალებადია, ხოლო ზღაპარი სწორედ უცვალებელ საფუძველზე დგას და ამიტომაც არ იცვლება. ყოველგვარი ძირეული ცვლილება იწვევს

¹ В. И. Пропп, Исторические корни волшебной сказки, Л., 1946, стр. 8.

² Фольклор и этнография, Л., стр. 72.

³ იქვე, стр. 73.

კონკრეტული ზღაპრის სიკვდილს, ან სხვა ლიტერატურულ ეანრად მის გადა-
ქცევას. მთხრობელის იმპროვიზაცია მხოლოდ დეტალებს ეხება.

ზღაპრის რაობასთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებები ჰქონდათ
გერმანელ რომანტიკოსებს. ისინი თვლიდნენ, რომ „ზღაპარი მოითხოვს გარე-
შე სინამდვილის მნიშვნელოვან გამორიცხვას შინაგანი, სულიერი სინამდვილის
სასარგებლოდ“, რომ „აქ ხდება ადამიანის სულის შემოკლება რეალობის გარ-
ღვევა, რომ „შეშარბიტი მეზღაპრე არის მომავლის განმჭვრეტელი“⁴.

საგანგებოდ არ შეეხებოდა ზღაპრის წარმოშობის საკითხს, თუმცა ეს არა-
ნაკლებ მნიშვნელოვანია. ვფიქრობთ, ზღაპრის ძირითად ღირებულებათა წარ-
მოჩენა თანდათანობით მის გენეზისსაც ნათელს მოჰყვანს.

ზღაპრის გმირი შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ყველაზე აუცილე-
ბელი პერსონაჟი, ურომლისოდაც არც ერთი ზღაპარი არ არსებობს. ვფიქ-
რობთ, მისი ენაობის დადგენა ბევრ რამეში დაგვეხმარება.

ვინ არის ზღაპრის გმირი?

პირველ რიგში ის განსაკუთრებული ადამიანია. ეს განსაკუთრებულობა
სხვადასხვა სიუჟეტში სხვადასხვაგვარად ვლინდება. განვიხილოთ ეს შემთხვე-
ვები.

უჩვეულო წარმოშობის გმირი უცნაურად ევლინება ქვეყანას. დიდი ხნის
უშვილო კაცს ან ქალს ასწავლიან, როგორ მოიქცეს, რომ გაუჩნდეს შვილი.⁵
აქ ზღაპრის გმირი ენათესაება ეპოსის ან მითოსის გმირს. ახალშობილი თავი-
დანვე არღვევს ზრდა-განვითარების ნორმალურ კანონებს. ის განსაკუთრებით
სწრაფად იზრდება, განსაკუთრებული ღონე აქვს, გარეგნობითაც გამოირჩევა.
ამას ემატება მისი აღმატებული შესაძლებლობანი, მას ხელუწიფება ის, რაც
სხვას არ ძალუძს.

**ჩვეულებრივად შობილი, მაგრამ თავისი სურვილებით, მისწრაფებებით
სხვებისაგან გამოირჩეული.** ასეთი გმირი უჩვეულო საქმეებს ჩადის, უკანას-
კნელ ლუკმას არწივს უწილადებს, იმთავითვე უიმედო საქმეს მოკიდებს ხელს,
ქმრად ამოირჩევეს ქაჩალს, ან პირიქით, ცოლად მოიყვანს ჩიტს ან გველეშაპს.
ერთი სიტყვით უცნაურად იქცევა.

ქალი უმეტეს შემთხვევაში ზღაპრული სილამაზის პატრონია. პირიდან ია-
ვარდი ეკვივა, მარგალიტის ცრემლით ტირის. ხანდახან საგანგებოდ აღინიშნება,
რომ ქალი „ამ სოფლის მიღმა“ ცხოვრობს და მასთან მისასვლელი გზა სიკვდ-
ლის გზას ემთხვევა. მაძიებელს არიგებენ: „ემ სოფლის ბოლოს რომ გახვიდყო,
ქალია, — უთხრა დევმა“⁶. „როდესაც გაივლი და ჩვენს საზღვარს გასცდები,
დაგხვდება იქ ერთი სახლი, სადაც ცხოვრობს ქალი“⁷.

თავის სამფლობელოში, ანუ იქ, სადაც „ამ სოფლის“ ბატონობა სრულდება.
ქალი ყოვლისშემძლეა. მას ემორჩილება დრო-ჟამი, სტიქია; ქალს ბოროტი ძა-
ლა დათრგუნული ჰყავს.

დღეი გმირს უყვება: „მივედი იმის სახლში და დავიმალე. მინდოდა მოტა-
ცება, მაგრამ გამიგო, ამიტეხა ქარი და სეტყვა. გამოვექეცი. ის იყო იმის სა-
ზღვარს უნდა გადმოვსულიყავ, ერთი ფეხი ჩემს მიწაზე მედგა, რომ დამკრა
ქარი და გამაქევა“⁸.

მაგრამ თუ ქალი თავის საბრძანისს დატოვებს და ამ სოფელში გადმოინაც-

⁴ „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება“, VIII, თბ., 1982, გვ. 28.

⁵ დ. ჩიქოვანი, ხალხური სიტყვიერება, ტ. II, თბ., 1952, § 100, § 86, § 76.

⁶ იქვე, გვ. 280.

⁷ იქვე, გვ. 124.

⁸ ალ. ლონტი, ქართული ზღაპრები, თბ., 1974, გვ. 60.

ვლებს, მაშინვე უბედურება დაატყდება თავს. ამიტომ ლარიზმ-ლატაკის შეიღობა რომ იყოს, ქალი მიიწვია საიმედოდ დაცულია და მისი არსებობა არაფერს ნიშნავს. ქალი ტოვებს კოშკს, როცა თხოვდება, რადგან ამიერიდან კოშკის ფუნქცია ქმარმა უნდა შეასრულოს. ხოლო თუ იგი გმირი მამაკაცის გზას დაადგება, ზღაპრის ბოლოს კაცად გადაიქცევა და ცოლს ირთავს⁹. უარეს შემთხვევაში კი ბნელი ძალის ტყვეობაში აღმოჩნდება, მას დაემორჩილება და თვითონაც ბოროტ არსებად იქცევა.

გმირი მამაკაცი აუცილებლად უნდა გავიდეს სახლიდან და „სიკვდილის გზას“ დაადგეს. საოცარია, რომ საწაღელს სწორედ ამ გზით წასული მიადწევს, გაიმარჯვებს და მეფობას დაიმკიდრებს, თუმცა ამავე გზაზე უახლოესი ადამიანების ღალატსა და მეგობართა გაუტანლობასაც გამოსცდის. რატომ უნდა იყოს „ამ სოფელში“ ქალი დაფარული, ხოლო გმირმა მამაკაცმა ადამიანური არსებობის ყველაზე მძიმე და ტკივილიანი მდგომარეობები უნდა გადაიტანოს და, თანაც, ასეთ ყოფაში იმათ გამო ჩავარდეს, ვისთვისაც თავისუფლება და სიკეთე მოაქვს? ამის ნათელსაყოფად რამდენიმე საკითხს უნდა შევხვთ. მზეთუნახავზე როდესაც ვსაუბრობდით, აღვნიშნეთ, რომ ის ამ სოფლის მიღმა ცხოვრობს და უნდა დავამატოთ, რომ მიღმა მხარის (ჯადოსნურის) ღირებულებები თითქმის უპირისპირდებიან „ამ სოფლის“ ღირებულებებს. იქ შებრუნებულად ლაპარაკობენ, ამ სოფლიდან მიღებული ოქრო მტერად იქცევა, აქაური ეგრეთ უოდებული „გმირები“ და აესულები იქ იღუპებიან, მხოლოდ ნამდვილი გმირისათვისაღია იმ სამყაროს კარი და ეს გმირი შეიძლება „ამ სოფელში“ უქნარად და ნაცარქექიად იყოს შერაცხული. ერთი სიტყვით, სინამდვილე „ჯადოსნურის“ უკუღმა ხატს იძლევა. ჯადოსნურ მხარეში დაუფარავად ცხოვრობენ მზეთუნახავები, იქაა სასწაულმოქმედი ნივთები, მარადიული ახალგაზრდობის ვაშლი, ოქროს ფრინველები, ისინი დროდადრო შემოიჭრებიან სოფელში, რომ თავისი არსებობა გაახსენონ წუთისოფლის ხალხს. ჯადოსნური სამყაროს არსებობა და სიკეთის უცილობელი გამარჯვება არის ის, რაც განასხვავებს ზღაპარს სინამდვილისაგან, თორემ ზღაპრის წუთისოფელი რეალური წუთისოფლისაგან დაღდად არ განსხვავდება; „სულ ბნელია, რასაც ელავს“.

გარდა ამისა, ზღაპარში გმირსა და საწუთროს შორის დაპირისპირება შეიმჩნევა. განსაკუთრებულად შობილ გმირებზე რომ ვსაუბრობდით, ვთქვით რომ მათი შესაძლებლობები ნორმალური ადამიანის შესაძლებლობებს აღემატება. ასევე, ჩვეულებრივად შობილი გმირების მისწრაფებები უპირისპირდება ნორმალური ადამიანის სურვილებს. ნორმალურში ის იგულისხმება, ვინც საწუთროს შეესაბამება, მის კანონებს მისდევს და ახორციელებს. საწუთროს მორჩილი ვერ იტვირთავს გმირის „მისიას“. ვაგვისენოთ, შუშანიკთან გამოსამშვიდობებლად მისული ჯოჯიკის სიტყვები: „თუ რაღამე შეგკოდეთ, ვითარცა კაცთა და საწუთროისათა და სოფლის მოყუარეთა მოგვიტყვენ“¹⁰.

საწუთროსმოყვარე ვერასოდეს გააკეთებს იმას, რასაც გმირი, რომელიც საწუთროს ურჩია.

რუსთაველი წერს:

„მიმწლინი საწუთროსანი მისთა ნივთთაგან რჩებიანი,
იშვებენ, მაგრა უმუხთლოდ ბოლოდ ვერ მოურჩებიანი,
ვაქებ ჰქუასა ბრძენთასა, რომელი ეურჩებიანი“¹¹.

როგორც კი საწუთრო ამ ურჩის არსებობას შეიტყობს, მაშინვე მდევნელს გამოუჩენს თავისი ღვიძლი შვილის „საწუთროსმოყვარის“ სახით.

⁹ მ. ჩიქოვანი, § 75, § 135.

¹⁰ ძველი ქართული მოთხრობა, თბ., 1979, გვ. 23.

¹¹ შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1951, სტრ. 347.

საწუთროს შვილთა მიერ საკუთარი უუნარობის განცდა გმირისადმი მძვინვარე სიძულვილად იქცევა.

ასფურცელამ გამოიხსნა და-ძმები დევის ტყვეობიდან. „ძმებმა და დამ და-გრიხეს წნელები, ააყენეს მძინარე ასფურცელა, მიაკრეს მუხაზე ისე, რომ თითის ფრჩხილებიდან სისხლი გამოსდრიოდა“¹².

„ბიჭი ელოდებოდა, ან ახლა ჩამოუშვებენ თოვს, ან ახლაო. მაგრამ აღარ ჩამოუშვეს. ძმებმა მოილაპარაკეს: ახლა ეგ რომ ავიყვანოთ, სულ მაგის სახელი იქნება და მამაჩენი აბუჩად აგვიგდებსო“¹³. ერთი სიტყვით, ათვალწუნების და დევისი მიზეზი არის ის საქციელი, რომლის გამო გმირი მადლიერების და პატივისცემის ღირსი უფროა. სიკვდილის გზის აღიარება სიცოცხლის და ჰუმანიტარული გზის აღმოჩენაა. გმირს ეჭვი შეაქვს სინამდვილის უტყუარობაში და ამ ეჭვით მის მოჩვენებითობას ააშკარავებს. ის აუქმებს წუთსოფლის წესებს და საფრთხეს უქმნის მის არსებობას. თვისებების და გარეგნობის განსაკუთრებულობა გმირს წუთისოფელთან აპირისპირებს და ამიტომ წუთისოფელი დევისის მას, როგორც უცხოს. გმირი ცდილობს დაეხმაროს ხალხს და „სოფელს“ უწესრიგობის და ბოროტების დაძლევაში, მაგრამ ზღაპრის გეროივით თავისი სიკეთის გამო იღვენება, რადგან წუთისოფელი, როგორც ზღაპრის დედინაცვალი, უწესრიგობას და ბოროტებას თავის თავში ატარებს. ასე ზრდის ის თავის ღვიძლ შვილებს, საწუთროსმოყვარეებს და ებრძვის გმირს, როგორც გერს, როგორც უცხო თესლს. ნებისმიერი გმირი, ქალი თუ მამაკაცი, ამ ასპექტით წარმოგვიდგება. გმირი მუდამ გერია, ხოლო საწუთრო — დედინაცვალი.

გავისხენოთ იოანეს სახარება: „უკუეთუმცა სოფლისაგანი იყევით, სოფელიმცა თვისთა ჰყუარობდა. რამეთუ არა სოფლისაგანი ხართ თქუენ... ამისათვის სძულთ თქუენ სოფელსა“ (15, 18).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გმირის არსებობა სოფელში განსაკუთრებულად დიდ საფრთხესთანაა დაკავშირებული. ზრდის ტემპი, თვალისმომჭრელი სილამაზე რჩეულობის ნიშნით აღბეჭდავს მას. წუთისოფელმა იცის მის შესახებ, ადვილად მიხვდება, ვინც არის მის წინაშე და ეცდება მოსპოს. ამიტომ ქალს სჭირდება საფარველი, ხოლო გმირს — დიდი სიფრთხილე და სიფხიზლე.

ქალისათვის სახლიდან გასვლის აკრძალვაც აქედან მოდის. თუ გმირი მამაკაცი ფიზიკურად ებრძვის საწუთროს, ქალს ამის უნარი არა აქვს. გმირი მამაკაცი ამ ბრძოლაში იწრთობა, ქალი — იღუპება. მამაკაცი თუ ფიზიკურად და მარცხდა, ეს კიდევ არ ნიშნავს საწუთროს საწუთროს გამარჯვებას, თუ ის ფიზიკურად მოკვდა, ადრე თუ გვიან ვაცოცხლდება, რადგან მასში ცოცხალია უკვდავი სული გმირის და გერის. ქალი შეიძლება ფიზიკურად არ მოკვდეს, მაგრამ ბოროტ არსებასთან იქორწინოს და ეს იგივეა, რაც მისი სულიერი სიკვდილი. ქორწინება სქესურ გამოცდილებას, შეცნობას გულისხმობს. ქალი, რომელიც საწუთროს თუ მისმა ღვიძლმა შვილმა შეიცნო, კარგავს თავის „გერობას“ და ხდება სოფლისმოყვარე.

გერი და-ძმა ბოროტ დედინაცვალს გაეჭყევა და მიუვალ ციხეში ცხოვრობს. ძმა სანადიროდ დადის. ძმის აკრძალვის მიუხედავად, ქალმა გააღო ჭიშკარი და ახალგაზრდა დევი დაინახა. ქალს და დევის ერთმანეთი შეუყვარდათ. ამის შემდეგ ქალი ცდილობს დალუპოს ძმა და დევზე იქორწინოს¹⁴. ეს დევი „საწუთროს შვილია“, ანუ სულხან-საბა როგორც იტყოდა: „მე დევი ვარ და კაცის

¹², ¹³ მ. ჩიქოვანი, დასახ. ნაშ., § 132, § 140.

¹⁴ იქვე, § 105.

სახედ ვიარები“. ძველევგვიბტურ ზღაპარში — „ორი ძმა“ — ნათქვამია, რომ ბათის ღმერთებმა შეუქმნეს ღვთიური სათნოებით შემკული მშვენიერი ძეგლები. ბათა აფრთხილებს: „სახლიდან არ გახვიდე, ზღვამ არ მოგატყუროს“¹⁵. მისგან თავს ვერ დაიცავ, შენ ხომ ქალი ხარ...“¹⁵.

წუთისოფელში მარტოდ დარჩენილი ქალი უმწეოა. ეს იცის დედინაცვალმა. დიდი წინააღმდეგობების გადალახვის ფასად მოპოვებული ქალი მარტოდ დარტყვის. „ქალი დარტყვის და თვითონ სანადიროდ წავიდნენ. ამ დროს მოვიდა ცეცხლბირიანი დევი და მოიტაცა ქალი“¹⁶.

უფლისწული, გაფრთხილების მიუხედავად, მოინდომებს გზაში დასვენებას და საცოლის კალთაში დაეძინება. უცებ შავი არაბის ქალი მოვა, ქალს მოტყუებით წყალში ჩააგდებს და თვითონ მის ადგილას დაჯდება.

მოხუცი ბანგით დაათრობს ქალის ქმარს. „დედაბერმა ეს ქალი მარტო რომ ნახა, მაშინვე წამოხტა ლოგინიდან, მამაკაცის სახე მიიღო, დაავლო თმებში ხელი, დითრია ქალი, გამოათრია კარში, დაისტვინა. გამოვიდა ერთი შავი კაცი, მოიტანა დიდი ჭურჭი, ქალი ამ ჭურჭელში ჩასვეს, შეუჯრეს თავი. დედაბერმა გაიღვა მხარზე და წავიდა, წაიყვანა“¹⁷. ესაა საწუთროს სახე. ზღაპარში ავი დედაბერების მოქმედება „თავფარავნელ ჭაბუკში“ ავსული ბებრის ქცევის ანალოგიურია — საწუთროს ტალღებმა უნდა ჩანთქას გმირი.

ყოველივე ამის გამო გმირის არსებობა სოფელში გასაიდუმლოებულია. დედინაცვალმა არ იცის, რომ კონკეტს მომავალი დედოფალი ატარებს; მეფემ არ იცის, რომ მისი მეჭინბე საოცარი საქმეების ჩამდენი გმირია; ძიძამ არ იცის, რომ მისი გაზრდილი მეფის მეუღლეა და ოქროსთმიანი ვაჟების დედა; შშობლებმა არ იციან, რომ მათი უნიათო ვაჟი ის საოცარი ჭაბუკია, ვისზეც მთელი ქალაქი ლაპარაკობს. ეს გასაიდუმლოებულია, ვიდრე არ მოვა ვაცხადების დრო. მანამ კი გმირი საფარველით გვევლინება და ეს მისი თავდაცვის ერთადერთი საშუალებაა.

საფარველდადებულები. „ამ ბიჭს თავზე ჰქონდა ჩამოცმული ტყავის ქუდი, არც დღე არც ღამე არ იხდიდა“¹⁸. „ვაჭრის ვაჟმა ივანემ ცხენი ნებაზე მიუშვა, ხარის ტყავით შეიმოსა, თავზე საქონლის ტყავი ჩამოიცივა და გზას დაადგა“¹⁹. „უფლისწულმა ქვეყნიერება შემოიარა, ვერავინ ნახა, ვისაც ფეხსაცმელი მოერგებოდა. შინ დაბრუნდა, „ღორისტყავას“ ეახლა, ფეხსაცმელი მოაზომა და მოერგო კიდევ“²⁰.

აღსანიშნავია, რომ გულანშაროს მისული ავთანდილიც მალავს თავის ვინაობას — „საქმე რამე მიც თქვენშიგა თავისა დასამალავი“²¹.

გულანშარო შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც საწუთროს ხატი. ამ ქალაქის კარი ყველასათვის ღიაა, ათასი ხალხი მიდი-მოდის, ქაჯები დათარეშობენ. გულანშაროში შესაძლებელია ღალატი, ყოფილი სატრფოს სასიკვდილოდ გამეტება, საიდუმლოს გათქმა და სხვა, რაც არაბეთში წარმოუდგენელია. ადამიანები ვერ არიან იმდენად ღირსეულნი და დიდებუნი, ვინაშინ, ისინი შემთხვევითობას და წამიერობას აპყობიან და ამგვარ უწყესრიგობაში მოხვედრილმა, უსაფრთხოების მიზნით, უმჯობესია თავის ვინაობა დამალოს. ავთანდილი ასეც იქცევა:

¹⁵ Фараон Хуфу и Чародей. Сказки древнего Египта, М., 1958, гл. 107.

¹⁶ მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური ზღაპრები, ტ. I, თბ., 1938, § 54.

¹⁷ მ. ჩიქოვანი, ხალხური სიტყვიერება, ტ. II, გვ. 158.

¹⁸ იქვე, გვ. 254.

¹⁹ А. И. Афанасьев, Русские народные сказки, М., 1958, § 295.

²⁰ იქვე, § 296.

²¹ შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1951, სტრ. 1057.

„ქამამდის ჩემსა ნუ იტყვიტ არ თქვენსა პატრონობასა,
„თვით თავადია ჩვენი“, თქვით, ნუ მიხმობთ ჭაბუკობასა“²².

საფიქრებელია, არც ველად გაჭრილი ტარიელის ვეფხისტყაოსნობაა ამ დატვირთვას მოკლებული.

გმირის უღიმვამო გარეგნობაც შეიძლება განვიხილოთ როგორც საფარველი. ის იმდენად შეუხედავია, რომ არანაირად არ შეესაბამება საზოგადოების წარმოდგენას გმირზე. როდესაც გველემშაპის მოკვლის ამბავი ქალიშვილმა აუწყა, „ხელმწიფემ აიგდო: არა, შენი ქმარი ქაჩალ-მებატე ისეთი იქნებოდაო!“²³.

შვილი ეუბნება მამას: „ბატონო ხელმწიფე, თქვენი ყელსახვევით რათა აქვს ჩემს ქმარს ხელი შეხვეულიო? — გასწი და გაეთრევეო. შენი ქმარი კი არა ვილაც იყო, ციდან ჩამოფრენილი და შენს ქმარზე იძახიო!“²⁴.

მეფეს ასული ეუბნება: „მამი, ვინც დევები დახოცა, ჩვენს ბაღში სძინავსო. — რას ამბობ, ქალო, ვილაც იმერელი დავაყენე და იმას როგორ შეეძლო მათი დახოცვაო?“²⁵.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით გვინდა გავიხსენოთ ესაიას წინასწარმეტყველება, რომელიც მესიის მოსვლას ეხება: „წამოიძარათა, როგორც მორჩი მის წინაშე და როგორც ფესვი დავალული მიწიდან. არც ღირსება ჰქონია და არც მშვენება, რომ ზედ შეგვეხედა, არც იერი, რომ მივეზიდეთ“ (53, 3); „საძულველი იყო და კაცთაგან ათვალწუნებული, გატანჯული და სნებამორეული, ერთი იმათგანი, ვისაც პირს არიდებენ. საძულველი იყო და არად ვაგდებდით“ (53, 3).

დაჩაგრული გერი, რომელიც დედინაცვლის სახლში ცხოვრობს. ჭუჭყიანი კონკები აცვია, გამურული ცხვირპირი აქვს. მას აკისრია მთელი შავი სამუშაო, ათასგვარ დამკირებას ხმის ამოუღებლად იტანს, რომ მოადუნოს დედინაცვლის ყურადღება და თავისი ნამდვილი ვინაობა არ გაამჟღავნოს. მისი კეთილი ბუნება, თავმდაბლობა, მოკრძალებულობა საკმარისად აღიზიანებს დედინაცვალს. ის გადაწყვეტს თავიდან მოიშოროს გერი და მხოლოდ განსაკუთრებული ცოდნა თუ დაიხსნის მას სიკვდილისაგან.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ცოდნა, რომლითაც საწადელი მიიღწევა, ამსოფლიური ცოდნისაგან, გამოცდილებისაგან განსხვავდება. დედაბრის ბანზე მოხვედრილი გერი აშმორებულ მწილს მოიწონებს, მყარალ ქვევრებს უქებს და ჭილდოვდება. გათოშილი, სიცივით გალურჯებული საბრალო გერი „მორთხოს“ შეკითხვაზე: ზომ არ გცივა, გოგონაო, უპასუხებს: არა, ჩემო ბატონო, მთბილა, ძალიან მთბილაო, და სახლში მორთულ-მოკაზმული ბრუნდება. „როცა ვიტყვი, ვიწვი, უფრო დაბლა ჩამწიეთო“, — ამბობს უმცროსი ძმა და გადაულახავ წინააღმდეგობას დაძლევეს. ეს გმირის ტექსტია. არაგმირი ამ სიტუაციაში იმას ამბობს, რასაც გრძნობს და ხედავს და ხელმოკარული რჩება. გმირის საქციელს სხვა ცოდნა მართავს. დედაბრის ბანი, ცხელი ხარო, სოფლის საზღვარი — ერთი რიგის მოვლენებია; ამ ადგილას ირკვევა, თუ ვინ არის გმირი.

ზოგჯერ ამ განსაკუთრებულ ცოდნას რჩეულს უმჟღავნებენ. გველემშაპი ქმარი ასწავლის ცოლს: „ჩვენს ქვეყანაში ქაჭურად ლაპარაკობენ. ჩემმა დედამ

²² იქვე. სტრ. 1058.

²³ მ. ჩიქოვანი, ხალხური სიტყვიერება, ტ. II, § 131.

²⁴ იქვე § 129.

²⁵ იქვე, § 103.



რომ ვითხრას, კოკა ვატეხეო, კოკა უნდა მოუტანო. წყალი დააქციეო, წყალი უნდა მიუტანო“²⁶.

გმირს რაში არიგებს, თუ როგორ მოიქცეს მზეთუნახავის საბრძანისში: „გზაზე ერთ მოწამლულ პანტას შეხვდები. შენ იმას ტკბილად უნდა დაუწყო ლაპარაკი, რა მშვენიერი გულაბი ხარ, ნეტავ მეცალოს, შენი ჭამით გავძღებოდო და გავიშვებს. თუ ეგრე არ უთხარ, მაშინვე მოგწამლავს და მოგკლავს“²⁷.

უქნარა და უხაქმური. გმირის ცოდნა გარშემო მყოფთა მიერ ხშირად განიხილება, როგორც გონებასუსტობასთან მიახლოებული სიბრყევე. მის გამოჩენას ამგვარი კომენტარი ახლავს ხოლმე: ის იყო ზარმაცი, არაფრის გამკეთებელი, ცოტა სულელი იყო, არ ჰკავდა უფროსი ძმებს.

„ივანე უეშმაკო და უქკუო იყო... მუშაობდა თუ არა, სულ ბუხარზე ეგდო, გვერდები გაისქელა“²⁸. „მაზლი საშინელი ზარმაცი და ზორბა ტანისა იყო. არაფრის გაკეთება არ შეეძლო, სულ ბუხართან იჯდა, ხელში ცხილი ეჭირა და ნაცარს ქეჭავდა. ამისათვის ნაცარქეჭია შეარქვეს“²⁹. „ყმაწვილი სახლიდან არ გამოდიოდა, სულ ბუხართან იჯდა, ნაცარში. დედა მას ნაცარქეჭიას ეძახდა“³⁰.

მოყვანილია მისი სისულელის მაგალითები, რომ უკანასკნელი ფულთი კატა იყიდა, სულელურ რჩევებში ბოლო გროში გადაიხადა, თავისი ულუფა ჭიანჭველას თუ მელიას შეაჭამა და მშვიერი დარჩა და ა. შ. შემდგომში ირკვევა, რომ ამგვარი ქცევით მომავალი გამარჯვების წინდი ჩაიდო და რომ გმირის მიმართ აგდებული დამოკიდებულება გარე სამყაროს პროფანული ხედვის ნაყოფია.

ეს ზედამიერული ხედვა წარმართავს საწუთროს ღვიძლ შვილთა მოქმედებას, როდესაც ისინი გერის საქციელის გამეორებას ცდილობენ, რადგან სურთ, ისინიც ისევე დაჯილდოვდნენ, როგორც გერი. დედინაცვლის შვილი ჭაში კვირისტავს განგებ ჩააგდებს, დედაბერთან ჩადის და (წინასწარი კონსულტაციის მიუხედავად) იქიდან ვირის ყურებით ბრუნდება. გმირის წაბაძვით მეფე ცხელ რძეში ჩახტება გასაახლგაზრდავებლად და იფუტქება. მეფისწული ცოლად მოიყვანს ღორს, რომელიც სინამდვილეში მზეთუნახავია. ვეზირი გადაწყვეტს: „მაგან ერთი ბეწო ღორი მოიყვანა, მე წავაღ და მთელ ფარაში ამოვარჩევ სულ დიდ ღორსო“³¹. ასეც მოიქცევა. იმ იმედით, რომ მზეთუნახავს ირთავს, საყდარში ჯვარს დაიწერს და ისე შეაწუხებს ალერსით, რომ ღორი ეცემა და ყელს გამოლადრავს.

უქნარასთან და შრომისმოყვარე ძმებთან დაკავშირებით, გვირდა მარიამისა და მართას სახარებისეული ეპიზოდი გავიხსენოთ, სადაც ნათლად ჩანს ორი განსხვავებული ცხოვრებისეული პოზიცია, ორი მიმართება სამყაროსადმი. ბეჯითი ძმების შრომა მატერიალურ, ნივთიერ ასპექტში განიხილება, ხოლო უქნარას შინაგანი მედიტაციური შრომა სულიერების ასპექტში მოიაზრება.

ამგვარად, ზღაპარში ორი სამყაროა „ეს სოფელი“ და „ჯადოსნური მხარე“, საიდანაც სასწაულმოქმედი ნივთები გამოჩნდებიან ხოლმე. ეს სამყაროები განიყოფებიან ზღვარით, რომელიც ამავე დროს ადამიანური შესაძლებლობების მიჯნაცაა (ცხელი ხარი, დედაბრის ბანი, სოფლის ბოლო და ა. შ.). ამ ზღვარს მხოლოდ განსაკუთრებული ადამიანი — გმირი (გერი) გასცდება. ის ამ ორ

²⁶ იქვე, გვ. 158.

²⁷ ალ. დლონტი, ქართული ზღაპრები, თბ., 1974, გვ. 25.

²⁸ А. Н. Афанасьев, დასახ. ნაშრომი, გვ. 296.

²⁹ ალ. დლონტი, ქართული ზღაპრები, თბ., 1974, გვ. 209.

³⁰ Folktales of Greece, Moskow, 1970, გვ. 99.

³¹ თ. რაჭიკაშვილი, ქართული ხალხური ზღაპრები, თბ., 1951, გვ. 92.



სამყაროს შორის ამყარებს კავშირს და თავისუფლება და სიკეთე მოაქვს. „ნორმალურზე“ ბევრად დიდი შესაძლებლობების გამო, წუთისოფელი მისში იმგვარ არსებას ხედავს, რომელიც მას ეწინააღმდეგება და თავისი არსებობით საფრთხეს უქმნის წუთისოფლის არსებობას. ამიტომ ის ცდილობს ურჩის და-ღუპვას. საწუთროსა და გმირის ურთიერთობა დედინაცვლისა და გერის ურთი-ერთობის ანალოგიურია. ყველა გმირს შეიძლება ვუწოდოთ გერი, ხოლო სა-წუთროს და „საწუთროსმოყვარეებს“ — დედინაცვალი თავისი ღვიძლი შეი-ლებით. ეს უნივერსალურია. გმირმა (გერმა) უნდა დიაცვას თავი და ამის ერთადერთი გზა არის საკუთარი ვინაობის გასაიდუმლოება, საკუთარი შესაძ-ლებლობების მალვა, საკუთარი გარეგნობის შენიღბვა. ამიტომ ზღაპარში თხრობის დროს გმირის აუგად მოხსენიება, მისი ჩათვლა სულელად და მახინ-ჯად არის გარე სამყაროს წარმოდგენა მასზე და არა უტყუარი პოზიციიდან გმირის წარდგენა.

ამჯერად აქ შევჩერდებით და შემდგომში ჯაღოსნური ზღაპრის გმირის იმ ასპექტებსაც წარმოვაჩინოთ, რომელიც მის დანიშნულებას, „მისიას“ უფრო ნათლად წარმოაჩენს.

Н. Э. КИРТАДЗЕ

ГЕРОЙ ВОЛШЕБНОЙ СКАЗКИ

Резюме

Герой волшебной сказки особенный человек. Манифестацией этой особенности является необычность желаний, внешности, знания и т. д. Благодаря этому он побеждает там, где погибают другие, упраздняет законы существующего мира и мир, для которого герой представляет опасность, борется с ним. Отношения между ними идентичны отношениям мачехи и пасынка (падчерицы). Поэтому герой обязан скрываться. О нем никто не знает или он появляется в таком виде, что обманывает «мачеху» и мир не узнает в нем героя.

Происходящие в сказке события не ограничиваются пределами этого мира — происходит прорыв и явление чудесного. Это и есть миссия героя, который побеждает зло и восстанавливает истинный порядок.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სა-ხელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთაველოლო-გიის განყოფილება
წარმოდგინა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტე-რატურის ინსტიტუტმა

ალგუჯა დაღუნაშვილი

პოეტური პაექრობის ძირითადი ფორმები ქართულ ფოლკლორში

(პოეტური პაექრობის ცნების დიფერენციაციის საკითხისათვის)

ტერმინით „პოეტური პაექრობა“ კამათის ხასიათის გალექსილი დიალოგება აღინიშნება ქართულ ფოლკლორისტიკაში. რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში იგივე კამათის ხასიათის პოეტური დიალოგები Прение-ს სახელწოდებითაა ცნობილი, გერმანულენოვან სამყაროში მას Streitgedicht-ს ან Streitlied-ს უწოდებენ, საფრანგეთში — Tenzona-débat-ს, იტალიელები — Contrasto-ს და სხვ.

როგორც საცნობარო თუ სხვა სახის სპეციალური ლიტერატურის მიხედვით ირკვევა, პოეტური პაექრობის ცნების დიფერენციაციის საკითხის კვლევა უცხოეთში კამათის ხასიათის პოეტური დიალოგების ქანრებად დანაწევრების ცდის ფარგლებს არ სცილდება¹. შეიძლება ითქვას, იგივე ვითარება გვაქვს ქართულ ფოლკლორისტიკაშიც, თუმცა, პაექრობის ცნებაში შემავალი ქანრები, მეორე მხრივ, აქ შედარებით მსხვილ ერთეულებადაც გვხვდება დალაგებული. მხედველობაში გვაქვს დიალოგური კაფიის, გაშიარებისა და გალექსების ქანრებისაგან გაბაასების ცალკე გამოყოფისა და რამდენადმე იზოლირებულად კვლევის აშკარად გამოხატული ტენდენცია ქართულ ფოლკლორისტიკაში, რომლის აუცილებლობაც სხვადასხვა შემთხვევაში ურთიერთისაგან მეტნაკლებად განსხვავებული არგუმენტებითაა დასაბუთებული. ვ. მაცაბერიძის აზრით, მაგალითად, კაფიისა და გაშიარებისაგან გაბაასების ცალკე გამოყოფას განსაზღვრავს ის, რომ „კაფია და გაშიარება... ამჟღავნებს მთქმელთა უპირატესობას ლექსის ექსპრომტულად თხზვის ოსტატობაში, გაბაასებაში კი ნაჩვენები უნდა იქნეს გაბაასების მონაწილეთა უპირატესობა მათთვის დამახასიათებელი ინდივიდუალური ნიშნების მიხედვით“². პოეტური პაექრობის ქანრების იმავე რიგით დიფერენციაციისას მკვლევარი ე. დავითაძე კი არსებით მნიშვნელობას უფრო იმ გარემოებას ანიჭებს, რომ კაფია-გაშიარების ტექსტი იმპროვიზებულადაა შექმნილი, აქვს საღალბო, ხშირად სატირულ-იუმორისტული შინაარსი და მცირე ფორმა, ხოლო გაბაასება საგულდაგულო, წინასწარი მომზადებისა და დინჯი ზეპირშემოქმედების ნაყოფია, ნაკლებად ახასიათებს იმპროვიზებულობა, გამოირჩევა შედარებით სრულყოფილი ფორმა-შინაარსითა და ხშირად სილაღესაც მოკლებულია³.

კამათის ხასიათის გალექსილი დიალოგების თვით მოცემული წესით დიფერენციაციის შემთხვევაშიც კი ძალაში რჩება შეხედულება იმის თაობაზე, რომ ზღვარი ზემოთ ჩამოთვლილ ქანრობრივ გჯუფებს შორის საკმარისი სიკეცეა-

¹ Brockhaus Enzyklopadie in zwanzig Bänder, Bd. 18, F. A. Brockhaus, Wiesbaden, 1973, გვ. 224; Wörterbuch den Literaturwissenschaft, Hrsg. von C. Träger, Leipzig, 1986, გვ. 512; Ф. А. Брокгауз, И. А. Ефрон, Энциклопедический словарь, т. 32а, Стб, 1901, გვ. 874; В. Шишмарев, Лирика и лирики позднего средневековья, Париж, 1911, гв. 122—128; История французской литературы, т. I, М.—Л., 1946, гв. 85.

² ვ. მაცაბერიძე, გაბაასება, ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, ტ. III, თბ., 1973, გვ. 208—209.

³ ე. დავითაძე, აპარული ფოლკლორი (შიარები), თბ., 1978, გვ. 79—80.

რით არ ხასიათდება. ასე, მაგალითად, ე. დავითაძის იმავე ნაშრომში ვკითხულობთ: „გაშიარების ტრადიციების შესწავლისას არ შეიძლება გვერდი ავუტოვოთ დიალოგური ფორმის იმ პოეტურ ნიმუშებს, რომელიც მართალია გაშიარებას არ წარმოადგენს, მაგრამ მასთან მჭიდრო კავშირშია. მხედველობაში გვაქვს გაბაასების ზოგიერთი ნიმუში. საერთოდ, გაშიარებასა და გაბაასებას შორის მკაცრი ზღვარის გავლება ძნელდება“, — დაასკვნის ავტორი⁴.

სიმპტომატურია ისიც, რომ გურული და ე. წ. ეკური ქალეაჟიანები, როგორც გაბაასების ჟანრის ნიმუშები, გაშიარების მაღალ ფორმებად, ხოლო ფშაური კაფიობა გაბაასების უმარტივეს სახელად მიჩნეული სპეციალურ ლიტერატურაში⁵. პოეტური პაექრობის სხვა დანარჩენი ჟანრებისაგან გაბაასების მხელად გამიჯვნის მიზეზად, ჩვეულებრივ, მათ საერთო საწყისიდან მომდინარეობას ასახელებენ ქართულ ფოლკლორისტიკაში.

პოეტური პაექრობის ფორმათა ისტორიული ურთიერთმიმართების საკითხს თავისი ადგილი ექნება დათმობილი წინამდებარე ნაშრომში, მანამდე კი შევეცდებით განსახილველ მოვლენათა შორის დამოკიდებულებების ის ფორმები იქნეს გამოჩვენებული, რომლებიც ამჟამად აღინიშნება ქართულ ზეპირსიტყვიერებაში.

პოეტური პაექრობის თანამედროვე ფორმათა შორის განსხვავებას ყველაზე ნათლად, ვფიქრობთ, დიალოგური კაფიისა და გაბაასების ურთიერთთან შეპირება უნდა გვიჩვენებდეს.

დიალოგური კაფიის ნიმუშია:

ჩარგლელი ქალი: ახლა კი გადაგეკიდე
ეშმაკი საღის კლდისაო,
ხიწვა: ლექსობით ვერას აჯობებ
ხიწვას, გიგაის შვილსაო.

ჩარგლელი ქალი: ლექსი გისწავლავ, ხიწვაო,
მარა გუთანით გიხნაო,
ეხლა სოფელში დადიხარ
გამოგლევია წმინდაო⁷.

გაბაასების ნიმუშია:

ცა და ქვეყანა შეიბნენ,
მოპყენენ თავ-თავის ქებასა,
ერთმანერთს პირში აყრიდნენ
თავ-თავის გულის ენებასა.
ცამ უთხრა დედა-მიწასა:
— ქებით არ ვიტყვი ამასა,
მე რომ ვარსკვლავებს დავისხავ,
შენ რას იზამ იმის ფასსა?
მიწამ უთხრა მალა ცასა:
— კვებით ნუ იტყვი მაგასა! და სხვ.

ლექსი საკმაოდ ვრცელია და ასე მთავრდება:

⁴ იქვე, გვ. 79.

⁵ ა. ცანავა, ვალექსება-გაშიარება და ფშაური კაფია, თბ., 1964, გვ. 5; მისივე, გაშიარება-ვალექსების ტრადიციის საკითხისათვის, ლიტერატურული ძიებანი, ტ. XIV, თბ., 1963, გვ. 287.

⁶ ბ. ქიქოძე, გაბაასება ძველ ქართულ ლიტერატურაში, ბათუმი, 1952, გვ. 13.

⁷ ქართული ხალხური პოეზია, ტ. IX, თბ., 1982, № 801.

კამათის ხასიათის ზემოთ დამოწმებული დიალოგებიდან პირველი რეალური პიროვნებების, ჩარგლელი ქალისა და ხიწვას (ხიწვა თურმანაულის) პირისპირ პაექრობის შედეგადაა შექმნილი. მას საქართველოში, განსაკუთრებით კი ფშავში, გავრცელებული გაკაფიავების ტრადიცია უდევს საფუძვლად, რომელიც კამათში მონაწილეთა მიერ სახელდახელოდ შეთხზული ლექსებით პირისპირ დავას გულისხმობს. აღნიშნული ტრადიციის თაობაზე პოეტი ვაჟა-ფშაველა ერთგან მიუთითებს: „საცა ორი ფშაველია და ორი სტაქანი არაყი, იქ ლექსიც აუცილებელია. უნდა გაუმკლავდეს ერთი მეორეს არა წინად გაგონილის და ნასწავლის შაირით, არა. მოპირდაპირენი კაფიად (ექსპრომტად) „ეპასუხებიან“ ერთმანერთს“⁹. საყურადღებოა ვაჟა-ფშაველასეული ცნობა გაკაფიავების მიზანდასახულობის თაობაზეც: „ეს ლექსით გაჭიბრება ჯობნებაზეა და ფუძნებული, — აღნიშნავს პოეტი, — რომ ერთმა მეორე ჩააჩუმოს, „სიტყვე მოუტრას“. ეს სახელია, ვაჟაკობაა“¹⁰.

გაკაფიავებისათვის რომ სწორედ ლექსის ექსპრომტულად თხზვის ოსტატობაში შეჯიბრია დამახასიათებელი, ეს დამოწმებული ტექსტის შინაარსიდანაც კარგად იკვეთება. მცირეოდენი სახეცვლილებით, იმავე ვითარებასთან გვაქვს საქმე გაშიარებისა და ვალექსების ტექსტების მიხედვითაც. ძირითადად ეს ითქმის მათ საწყის და ფინალურ სტროფებზე. როგორცია, მაგალითად:

წნელის სახლი ვაჟაკეთე,
ზედ დამიწყვია იფნები,
შენ რომ შაირში მაჯობო,
მე რალა ბივი ვიქნები¹¹.

ან კიდევ ვალექსების შემდეგი სტროფი:

...მე მალე ვაჟაშევიბნე,
ლექსებ იცოდი ბერია,
ნიადავ ჯეილ ვაჯობნებ,
ბებერ კაცი ხარ ძველია,
კვი მოლექსე შამოგზელი,
ბღავანთ დავითოს ფერია¹².

როგორც ირკვევა, გაკაფიავება რეალურ პიროვნებათა შორის პირადი უთანხმოების საფუძველზე წარმოშობილი იმპროვიზებული პოეტური დავა ყოფილა, რომელიც მასში მონაწილე მელექსეთაგან უკეთესის გამოვლენას ისახავს მიზნად. ამდენად, თუ პაექრობის ცნების განსაზღვრებისას გაკაფიავების ზოგადი თავისებურებებით ვიხელმძღვანელებდით, ლოგიკური იქნებოდა დავგესკვნა, რომ პაექრობის სახით, ამ შემთხვევაში, სპეციფიკურ შემოქმედებით პროცესთან გვაქვს საქმე ქართულ ფოლკლორში.

ზოგიერთ თავისებურებათა მიუხედავად, ასეთივე კვალიფიკაციას მოითხოვს

⁸ ქართული ხალხური პოეზია, ტ. II, თბ., 1973, № 159.

⁹ ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული, ტ. IX, თბ., 1964, გვ. 163.

¹⁰ იქვე, გვ. 164.

¹¹ ქართული ხალხური პოეზია, ტ. IX, № 911.

¹² იქვე, № 18.

პაექრობა მის ისეთ გამოვლინებათა მიხედვითაც, როგორც გალექსება და გაშაირებაა.

რაც შეეხება შესაღარებლად მოხმობილ მეორე ლექსს „ცისა და ქვეყნის ბაასი“, უპირველეს ყოვლისა, გაკაფიავებისაგან მის განმასხვავებელ შემდეგ თავისებურებებზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება: ერთი რომ, მოცემული ტექსტის მიხედვით პაექრობაში უსულო საგნები იღებენ მონაწილეობას და მეორეც, გარდა საკუთრივ დიალოგისა, ტექსტი ე. წ. ჩართულ ადგილებსაც შეიცავს. მაგ.: „ცა და ქვეყანა შეიბნენ, მოჰყენენ თავ-თავის ქებასა“; „ცამ უთხრა დედა-მიწასა“; „მიწამ უთხრა მალა ცასა“ და სხვ.

კამათის მონაწილეებად პერსონიფიცირებულ პერსონაჟთა გამოყვანა თუ დიალოგის მესამე პირის მიერ გარედან რეგულირება აშკარად იმაზე მიგვანიშნებს, რომ პაექრობა აქ ერთგვარი სტილისტური ხერხია, რომელიც მხატვრული ასახვის ობიექტთა შორის დამოკიდებულების თაობაზე შემუშავებული საერთო შეხედულების გადმოსაცემად გამოყენებული ანონიმი ავტორის მიერ. პაექრობის აღნიშნულ ფორმებს შორის არსებული განსხვავების შესაძლებელი სიზუსტით ფიქსირების მიზნით, მათგან პირველი „შემოქმედებითი“, ხოლო ეს უკანასკნელი „ავტორიზებული პაექრობის“ სახელწოდებით იქნება ჩვენ მიერ მოხსენიებული.

ვიდრე პაექრობის განხილულ ფორმებს შორის დამოკიდებულების საკითხთან დაკავშირებით ჩვენს შეხედულებებს დასკვნების სახით ჩამოვაცალიებდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია აღინიშნოს, რომ ის ტექსტობრივი ნიშნები, რომელთაც ავტორიზებული და შემოქმედებითი პაექრობის ურთიერთისაგან გასამიჯნად ვიყენებთ მოცემულ შემთხვევაში, შესაბამისი რიგის ლექსებში ყოველთვის არ გვხვდება წარმოდგენილი. ასე, მაგალითად, დასტურდება ავტორიზებული პაექრობის ისეთი ნიმუშები, სადაც სათქმელი მთლიანად დიალოგის ფორმითაა გადმოცემული:

— აღესაჲ, ვერ გაგიმეტებ,
თვარა ვერ მაჭობებ შურში,
ისთე იცი აყროლება,
კაცი ვერ ჩაგხედავს ჭურში.
— შენ რა გინდა, ჩემო ძმო,
მე ხომ არ გაწონებ თავსო,
სტუმარი რო მოვადგება,
მაშინ ჭე მადგები კარსო. და სხვ.¹³

ვითარებაში გასარკვევად საჭიროა ვითვალისწინებდეთ იმ გარემოებას, რომ ავტორიზებული პაექრობის ნიმუშთა სტილის თავისებურებანი, ჩვეულებრივ, მხატვრული ასახვის იმ ზოგადი კანონზომიერებებითაა განპირობებული, რომელიც მისი გვარობითი როგორობის გამსაზღვრელად გვევლინება კერძო შემთხვევაში. მაგალითად, დრამის კანონების შესაბამისად შექმნილი ავტორიზებული პაექრობის ნიმუშები, როგორც წესი, მთლიანად პერსონაჟთა მეტყველებაზეა აგებული, ამიტომ ამ ნიშნის მიხედვით მათი შემოქმედებითი პაექრობის ტექსტებისაგან გარჩევა არ ხერხდება.

დიალოგებს შორის ჩართული ადგილების არსებობა, როგორც ასეთი კანონზომიერი მოვლენა, მხოლოდ ავტორიზებული პაექრობის ეპიკური და ლირიკულ-ეპიკური ნიმუშებისათვის ჩანს დამახასიათებელი. თუმცა როგორც

¹³ ქართული ხალხური პოეზია, ტ. X, თბ., 1983, № 794.

სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნავენ, ზოგიერთი ეპიკური ხასიათის ტექსტი მთლიანად პერსონაჟთა მეტყველებათაზე შეიძლება იყოს აგებული¹⁴.

3. კოტეტიშვილის აზრით, აღნიშნული რიგის ნაწარმოებთა ჩვენთვის ფოლკლორში იმ პერიოდს უნდა უკავშირდებოდეს, როცა სინკრეტიზმის რღვევის გამო დიალოგური ლექსის ყველა პარტიის შესრულებას ერთი მოქმედი იღებს თავის თავზე და ინტონაციის შეცვლის გზით აღწევს კიდევ იმას, რომ სხვადასხვა პირის სათქმელი გადმოსცეს ერთდროულად¹⁵. მხატვრული შესრულების აღნიშნული წესი, როგორც ჩანს, შემდეგში მხატვრული ასახვის სპეციფიკურ ხერხდაც ქცეულა ფოლკლორში. თუმცა ისიც ვასთავალისწინებელია, რომ ამჟამად იგი უფრო ე. წ. ავტორმოქმელთა შემოქმედებაშია გამოყენებული და, ჩვეულებრივ, ლექსის წერილობით ან კიდევ მუსიკალური აკომპანიმენტის თანხლებით თხზვის მომენტს უკავშირდება¹⁶.

გარდა ჩართული ადგილებისა, ავტორიზებული პაექრობის ნიმუშებისათვის, ჩვეულებრივ, არც პერსონიფიციურებულ პერსონაჟთა არსებობა ჩანს ყველა შემთხვევაში აუცილებელი. ხდება ისეც, რომ ზოგიერთ ტექსტში აღნიშნულ ნიშანთა უქონლობის მომენტი ერთმანეთს ემთხვევა, თუმცა, კომპოზიციური სქემისა თუ შესრულების დრამატული ფორმის მიხედვით, შემოქმედებითი პაექრობის საფუძველზე შექმნილი პოეტური ნიმუშებისაგან მათი გარჩევა მაინც ადვილად ხერხდება. ასე, მაგალითად, დადგენილია, რომ ე. წ. ქალვაჟიანები, რომელთა უმრავლესობაც უშუალოდ პერსონაჟთა დიალოგებზეა აგებული, ქართულ ფოლკლორში ერთ გარკვეულ კომპოზიციურ სქემას მიჰყვება. ესაა, ვაჟის მიერ ქალისადმი სიყვარულის გამოხედა და ერთგვარი მუდარა, რაზეც ქალი ჯერ უარით, შემდეგ კი თანაგრძნობით პასუხობს¹⁷. ე. დავითაძის მართებული შენიშვნის თანახმად, ისეთი სიუჟეტური ნაწილების გამოყოფა დასახელებული რიგის ნიმუშებში, როგორცაა: ექსპოზიცია, კვანძი, კულმინაცია და სხვა, უკვე მათ ეპიკური ქანრებისადმი მიდრეკილებათზე უნდა მიგვაწინებდეს¹⁸.

შემოქმედებითისაგან ავტორიზებული პაექრობის განმასხვავებელ ნიშანთა შორის რიგი ამ უკანასკნელი ხასიათის ნიმუშებისათვის დამახასიათებელი დრამატული შესრულების წესიც იყო ზემოთ ნახსენები. უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ჩვენ მასში არა მარტო მსმენელთა წინაშე დიალოგის უბრალო დეკლამირებას, არამედ თითოეული შემსრულებლის მიერ საკუთარი თავის სხვადაგარდაქმნის მომენტის წინასწარ გაცნობიერებასაც ვგულისხმობთ, რაც დრამატული შესრულების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თავისებურებად უნდა ჩაითვალოს საზოგადოდ.

შემოქმედებითი პაექრობის, როგორც თავისი ფინალით ალტერნატიული, იმპროვიზებული დიალოგისა თუ მის შესაბამისად შექმნილი ლექსის შემდგომ-

¹⁴ მ. დუდუჩავა, ლიტერატურული გვარები და ვარები, ლიტერატურული თეორიის საფუძვლები, თბ., 1978, გვ. 389, იხ. სქოლიო.

¹⁵ ვ. კოტეტიშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. II, თბ., 1967, გვ. 214. შესრულების აღნიშნული წესის არსებობის თაობაზე ევროპაში იხ.: დასავლეთ ევროპის თეატრის ისტორია, ტ. I, თბ., 1961, გვ. 32.

¹⁶ ა. ახვლედიანი, ე. დავითაძე, ჩამოთქვი, ჩემო ჩონგურო, ბათუმი, 1979, გვ. 57, № 5; გვ. 62, № 2; გვ. 150, № 19, 20; შდრ.: ზ. თანდილაძე, ხალხური პოეტური ტრადიცია ქვანის ხეობაში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, VI, თბ., 1982, გვ. 16, 22.

¹⁷ ე. ვირსალაძე, ქართული ხალხური სატრფიალო ლირიკის ძირითადი სახეობანი, ლიტერატურული ძიებანი, ტ. VIII, თბ., 1953, გვ. 288; ე. დავითაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 84-85; К. Деканозидзшвили, Грузинское народное габасеба (авторферат), Тб., 1987, გვ. 20.

¹⁸ ე. დავითაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 85.



მი გავრცელების პროცესში მსგავსი რამ, ჩვეულებრივ, არ შეინიშნება. კაპიტალიზმში მონაწილე პიროვნებას, რომელიც პირადი ღირსების დამცველად გვევლინება და ამდენად მოვლენებისადმი მხოლოდ საკუთარ დამოკიდებულებას გამოხატავს პაექრობის პროცესში, ცხადია, როლის შემსრულებლად ვერ მივიჩნევთ. ასევე არ შეიძლება დრამატული შესრულება ეწოდოს შემოქმედებითი პაექრობის საფუძველზე შექმნილი დიალოგური ტექსტის შემდგომ განმეორებასაც, რაც, ჩვეულებრივ, თხრობით ხასიათს ატარებს. ამაზე მიგვანიშნებს სხვათა სიტყვის ო-სა და დიალოგების ურთიერთისაგან განმაცალკევებელ პროზაულ კომენტართა გამოყენების ფაქტები გაკაფიავების, გალექსებისა და გაშაირების ნიმუშთა შემდგომი გავრცელების შემთხვევაში. სანიმუშოდ დავიმოწმებთ ერთ-ერთი ინფორმატორის მიერ მონათხრობი გაკაფიავების ტექსტის შემდეგ ფონოგრამას: „ფშავლის ქალი ჩამოიდა თბილისში და ჯობნიდა ყველას. ხოდა თქვეს მთიულებმა, რომა წადიო, ჩოხელი დავითო ნახეთო. მოვიდა ჩოხელი დავითო და დაუჯდა პირდაპირ“:

— ორი კვირია ჩამოველ,
 აღარ მივსულვარ შინაო, — დავითომ უთხრა
 — მე კი არასა ვნალელულობ,
 ჩამოველ გუშინწინაო, — ქალმა უთხრა...

ან კიდევ, მისივე მონათხრობიდან: „ეხლა დავითომ შეუღერა“:

— შენ რომ კაი ქალი იყო,
 ჯარზე არ ჩამოვდებოდი-ო.
 — ხმელეთი რო გაწყვეტილიყო-ო
 შენ ცოლად არ დავიჯდებოდი-ო“ და სხვ.¹⁹

გამომდინარე ყოველივე ზემოთქმულიდან, შეიძლება დავასკვნათ, რომ, შემოქმედებითი და ავტორიზებული პაექრობის ნიმუშებს შორის ზოგიერთი ტექსტობრივი ნიშნის მონაცვლეობის მიუხედავად, აღნიშნული რიგის ფოლკლორული მოვლენები პრინციპულად განსხვავდებიან ურთიერთისაგან და მათი ნებისმიერი თვალსაზრისით იდენტიფიკაციის ყოველგვარი ცდა საფუძველს მოკლებულად შეიძლება ჩაითვალოს.

ამრიგად, პოეტური პაექრობის სახით ქართულ ფოლკლორში საქმე გვაქვს ორ ურთიერთისაგან თვისებრივად განსხვავებულ მოვლენასთან: ერთ შემთხვევაში — თავისებურ შემოქმედებით პროცესთან, რომელიც მელექსეთა პოეტური შესაძლებლობების გამოცდის მიზნით მოწყობილ, ფინალით ალტერნატიულ, ხოლო მიმდინარეობით იმპროვიზებულ პაექრობას ითვალისწინებს (შემოქმედებითი პაექრობა) და მეორე შემთხვევაში — სტილისტურ ხერხთან, რომელსაც საგანთა, მოვლენათა თუ პიროვნებათა შორის კონფლიქტური ურთიერთდამოკიდებულების თაობაზე წინასწარ შემუშავებული შეხედულების მხატვრულად ასახვის მიზნით იყენებს ანონიმი ავტორი (ავტორიზებული პაექრობა)

პოეტური პაექრობის ცნების მოცემული წესით დიფერენციაცია, როგორც ეს ჩვენ გვეჩვენება, გაცილებით მეტის მომცველი უნდა იყოს, ვიდრე მისი ტრადიციული დანაწილება, რაც კონკრეტულად კაფიის, გალექსებისა და გაშაირების ფორმებისაგან გაბაასების ცალკე გამოყოფას ითვალისწინებს.

ვასხვავებთ რა შემოქმედებითისაგან ავტორიზებულ პაექრობას, მიგვაჩნია, რომ ეს უკანასკნელი არაერთგვაროვანი სახითაა წარმოდგენილი ქართულ ფოლ-

¹⁹ შტამელი მიხეილ ლაერენტის ძე ჩოქერი, სოფ. იორი (ხაკუთარი მასალებიდან).



კლორში. ავტორიზებული პაექრობის ფორმების ურთიერთისაგან განსხვავებულ უპირველეს თავისებურებად ჩვენ მათი გვარეობითი ნიშნის შემსწავლელ სხვადასხვაობა გვესახება.

პოეტური პაექრობის ცნების დიფერენციაცია, განსახილველ მოვლენათა შორის ამჟამად არსებული თავისებურებების შესაძლებელი სიზუსტით კონსტატაციასთან ერთად, ჩვეულებრივ, იმ ისტორიული საფუძვლების თანმიმდევრული წესით შესწავლასაც გულისხმობს, რომელთაც მოვლენების ამგვარი განვითარება შეეძლო განვიპირობებია ზეპირსიტყვიერებაში.

პოეტური პაექრობის, ისევე როგორც ყოველგვარი ამებეურობის საწყისად, ჩვეულებრივ, სინკრეტიზმისდროინდელ ანტიფონურ შესრულების წესს მიიჩნევენ ფოლკლორისტიკაში.

ანტიფონიზმი, თავისთავად, ერთნაირად ხელსაყრელი საფუძველი ჩანს როგორც პაექრობის შინაარსის მქონე, ისე იმგვარი დიალოგური ნიმუშების გაჩენა-ჩამოყალიბებისათვის, სადაც კამათი, ცილობა არ შეინიშნება. ასეთია, მაგალითად:

— წუხელი სიზმარი ვნახე,
ნეტავ, დედა, რაო?
აღვის ხე რო წამოიქცა,
ნეტავ, დედა, რაო?
— შეილო, შენი ტანი არის,
ვაპ, შენ დედასაო!
— იმას ტოტები ემტვრევა,
ნეტავ, დედა, რაო?
— შეილო, შენი მკლავებია,
ვაპ, შენ დედასაო! და სხვ.²⁰

ანტიფონიზმთან ერთად, საგნებს, მოვლენებსა თუ პიროვნებებს შორის არსებული კონფლიქტური ურთიერთობების ასახვის საჭიროება, ჩვენი აზრით, ის მეორე აუცილებელი პირობა უნდა ყოფილიყო, რომელიც უშუალოდ განაპირობებდა კამათის ხასიათის პოეტური დიალოგების ჩამოყალიბებას ზეპირსიტყვიერებაში.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ პირვანდელი ხელოვნების დარგების (მუსიკის, ცეკვისა და სიმღერის) სინკრეტიზმის პირობებში ურთიერთისაგან არც ესთეტიკური და უტილიტარული კატეგორიები ყოფილა გამოიჯნული, უნდა ვიფიქროთ, რომ ამგვარი კონფლიქტის ასახვის საჭიროებაც, პირველ ყოვლისა, საზოგადოების ყოფით-უტილიტარული ინტერესებით იქნებოდა განპირობებული. საგულისხმოა, რომ სიტყვიერი დიალოგისა და მასთან სათანადო ქმედებათა სახით წარმოდგენილ პაექრობის ზოგიერთ ნიმუშს ამგვარი ფუნქცია ბოლო დრომდე აქვს შემორჩენილი ქართულ სინამდვილეში, ან არადა მისი პირვანდელი სახით რესტავირება ჯერ კიდევ შესაძლებელია. ამ მხრივ საყურადღებო ჩანს, მაგალითად, საბავშვო თამაშობა „ნიშხა-ნიშხა“. როგორც პროფ. ვ. ბარდაველიძე ფიქრობს, იგი მზისა და შავნელი ძალის, გველეშაპის დაუცხრომელი ბრძოლის კოსმოსურ-მითოლოგიურ სცენას უნდა წარმოადგენდეს, რომელიც ხალხს დღე-ღამისა და ბუნებრივი სეზონების ცვლის გამომხატველი, კეთილი და ავი ძალების ჭიდილის შესახებ არსებული უძველესი წარმოდგენების საფუძველზე შეეძლო შეექმნა²¹. საფიქრებელია, აღნიშნული საბავშვო

²⁰ ქართული ხალხური პოეზია, ტ. V, თბ., 1976, № 59.
²¹ ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ლექთაბა ბარბარ-ბაბარ), თბ., 1941, გვ. 111.

თამაშობა ადრე არსებული იმ მაგიური დანიშნულების მქონე რიტუალის თავისებურად ტრანსფორმირებულ ვარიანტს წარმოადგენდეს, რომელიც თავისი ფუნქციით ამინდისა და მოსავლიანობის მართვის ქმედებათა ციკლში უნდა ყოფილიყო გაერთიანებული.

ბუნების უღმობელი ძალების წინაშე უმწეო პირველყოფილი ადამიანი იძულებული იყო, მისთვის სასურველი შედეგის მიღწევის ერთადერთი გზა კეთილი ძალების მოხმობასა და ამ უკანასკნელთა მიერ ბოროტების, სიავის და მარცხების აქტის ინსცენირებაში ეძებნა. მას, როგორც ფრეზერი აღნიშნავს, უმეცარს მოვლენათა ნამდვილი მიზეზების მიმართ, სჯეროდა, რომ არ გააჩნდა სხვა საშუალება ბუნების დიად პროცესთა გამოწვევისა და დაჩქარებისა, თუ არა ის, რომ მიებაძა ამ უკანასკნელთათვის. მას სწამდა, რომ ის პატარა დრამა, რომელსაც იგი ტყეში, ველზე თუ ტბის ნაპირას შეასრულებდა, საიდუმლო სიმპათიისა თუ მისტიკური გავლენის კანონის ძალით, უფრო დიდი აქტიორის მიერ იქნებოდა გაგრძელებული და განმეორებული²².

გარდა ბუნების მოვლენებსა და უსულო საგანთა შორის ბრძოლა-პაექრობის აქტის ინსცენირებისა, საზოგადოების განვითარების იმავე საფეხურზე ადამიანები საკუთრივ ურთიერთ შორის არსებული კონფლიქტის განსახიერებასაც მიმართავდნენ ხოლმე. ასეთია, მაგალითად, ტომთა ორგანიზებული მტრობის ამსახველი რიტუალები, რომლებიც მათ შორის მანამდე არსებული არასანქცირებული და ამდენად კონფლიქტის გამომწვევი სქესობრივი ურთიერთობების ფიქციურ გამოხატულებადაა მიჩნეული სპეციალურ ლიტერატურაში²³.

ტომთა შორის აღნიშნულ საფუძველზე ჩამოყალიბებული რიტუალური ბრძოლის არაერთი ფაქტია ცნობილი მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა ყოფიდან²⁴. საგულისხმოა, რომ განსხვავებული ტომის წარმომადგენელთა შორის რიტუალური ბრძოლა-პაექრობის წესი ქართულ სინამდვილეშიც დასტურდება.

თუშეთში გავრცელებული საქორწინო რიტუალის ერთ-ერთი, შედარებით ადრინდელი, აღწერილობიდან ვგებულობთ, რომ, ჩვეულების თანახმად, საპატარძლოსას მისულ სიძესა და მის მყარიონს სახლის კარები დაკეტილი ხვდებოდათ. მყარები იწყებდნენ კარებზე კაკუნს, დამხვდურები მათ ვინაობას, სადაურბობასა და მოსვლის მიზეზს ეკითხებოდნენ. სიძის მყარები თავს მგზავრებად ასალებდნენ და შინ შესვლის ნებას ითხოვდნენ; იღებდნენ რა უარს თხოვნაზე, იწყებდნენ კარების მტკრებას; დამხვდურებსა და სიძის მყარებს შორის იმართებოდა სიტყვიერი დავა, რაც საბოლოოდ იმით მთავრდებოდა, რომ დედოფლის მყარები სტუმრებს კარს უღებდნენ და შინ იპატიებდნენ²⁵.

ვფიქრობთ, დავას არ უნდა იწვევდეს ის აზრი, რომ ბრძოლა-დაპირისპირების არც ერთი ზემოთ დამოწმებული მაგალითი სინამდვილის მხატვრული ასახვის, ან კიდევ მხარეებს შორის შემოქმედებითი ძალების გამოცდის საფუძველზე შექმნილი კამათის ხასიათის პოეტური დიალოგების არსებობის დამადასტურებლად არ გამოდგება. პაექრობა ამ შემთხვევაში მაგიური დანიშნულების მქონე საწესჩვეულებო ქმედებათა ერთ-ერთი ფორმაა. მისი ფუნქციიდან გამომდინარე, ასეთ პაექრობას ჩვენ რიტუალურს ვუწოდებთ.

საზოგადოების განვითარების შემდეგ ეტაპზე, როგორც ცნობილია, მუსიკა, ცეკვა და პოეზია თანდათანობით კარგავენ თავიანთ პირვანდელ საწესჩვეულებო ფუნქციას და, როგორც ხელოვნების დარგები, დამოუკიდებლად განა-

²² Дж. Фрезер, Золотая ветвь, вып. III, М., 1928, гл. 35.

²³ Ю. Семенов, Как возникло человечество, М., 1966, гл. 490—493.

²⁴ იქვე, გვ. 493—494.

²⁵ Ч., Свадьба у тушин, Кавказ, 1904, № 202, гл. 2.

გრძობენ არსებობას. სხვებთან ერთად შესაბამისი ცვლილებებს განიცდის რიტუალური პაექრობაც.

პირველყოფილი რწმენა-წარმოდგენების შესუსტებამ და მისგან გამომდინარე კამათის ხასიათის პოეტური დიალოგების საწესჩვეულებო-მაგიური რიტუალებისაგან ჯერ ნაწილობრივმა, ხოლო შემდეგ სრულმა იზოლაციამ თანდათანობით განსაზღვრა ის, რომ მოვლენათა, საგანთა თუ პიროვნებათა შორისი ურთიერთობების რეგულირების მაგიური საშუალებიდან პაექრობა ამ ურთიერთობათა მხატვრული ასახვის საშუალებად იქნა გააზრებული საზოგადოებაში. ქართულ სინამდვილეში არსებულ ზებირსიტყვიერ მასალებზე დაკვირვება პირვანდელი რიტუალური პაექრობის ამგვარი ევოლუციის საკმარისი სიზუსტით წარმოდგენის საშუალებას იძლევა.

როგორც ზემოთ მივუთითებდით, ტომებს შორის თავდაპირველად აკრძალული სქესობრივი ურთიერთობების შემდგომი სანქციონირების საფუძველზე შებრძოლებამ, რასაც ნამდვილად ჰქონდა ადრე მათ შორის ადგილი, თანდათანობით რიტუალის სახე მიიღო. სხვადასხვა ტომის წარმომადგენლებს, კერძოდ სიძისა და დედოფლის მხარეებს შორის ამგვარი რიტუალური ბრძოლის მაგალითები მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში, მათ შორის ქართულ სინამდვილეში, როგორც ითქვა, ამჟამადაც დასტურდება. იგივე ქართული სინამდვილიდან შეიძლება სიძისა და დედოფლის მხარეებს შორის შებრძოლების ისეთი მაგალითებიც იქნეს დამოწმებული, რომელთაც დაკარგული აქვთ ყოველგვარი რიტუალური ფუნქცია და ამჟამად მხოლოდ გასართობ ქმედებათა ციკლის ნაშეუბნებლად განეკუთვნებიან.

ასეთია, მაგალითად, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში „ქალტაციობის“ სახელწოდებით ცნობილი საფერხულო-დრამატული სანახაობა. როგორც აღნიშნული სანახაობის ერთ-ერთი, შედარებით ადრინდელი, აღწერილობიდან ვგებულობთ, იგი ქალთა გუნდის მიერ შესასრულებელი ერთგვარი ცეკვა-სიმღერა ყოფილა. „სოფლის ქალები ორ კერძით გაიყოფიან, — ვკითხულობთ აღწერილობაში, — ერთი პირი ცალ მხარეს დადგება და მეორე პირი — მეორე მხარეს, მათ პირდაპირ და დაიწყებენ სიმღერას, ასე რომ, ჯერ ერთი მხარე იტყვის სიმღერით ლექსს, თან სკუპით წინ წაიწევს და მეორე მხარე რომ პასუხს ეტყვის იმნაირათვე, პირველი უკან დაიწვევს იმ დროს...

პირველი მხარე: ა ნიშანი, მოგვე ქალი, გულას გარდამაო!
მეორე მხარე: არ მოგვეთ და არ ეკადრებთ, თამარ კარგა გვეყო!
პირველი მხარე: მეძროხის ცოლათ მინდოდა, გულას გარდამაო!
მეორე მხარე: მეძროხე ნეხვიანია, თამარ კარგა გვეყო!“ და სხვ.

დასასრულ ქალის მთხოვნელები მისცვივდებიან მეორე ნახევარგუნდს და ქალს ძალით წაიყვანენ²⁶.

თუ შური საქორწილო რიტუალისა და ქალტაციობის ურთიერთშედარებისას საჭიროა ხაზი გავესვას იმ გარემოებას, რომ პაექრობა პირველ შემთხვევაში რეალურად არსებული სიძისა და დედოფლის მხარეებს შორის მიმდინარეობს, ხოლო ქალტაციობაში მონაწილე ორი ნახევარგუნდი გამოგონილი, სინამდვილეში არარსებული მყარობის როლების პირობით განმასახიერებლად გვევლინება. შესაბამისად ამისა, თუ შური საქორწილო რიტუალის მიხედვით პაექრობის შესრულებას კონკრეტული ყოფითი სიტუაცია, ქორწინება და მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები განსაზღვრავს, ქალტაციობის სახალხოდ დე-

²⁶ გლეხური სიმღერები, ლექსები და ანგდოტები შეკრებილი რაფ. ერისთავისა და ილ. შავჭავჭავაძისაგან, წიგნი პირველი, ტფ., 1873, გვ. 9—10.



მონსტრირება კი რაიმე კონკრეტული აუცილებლობით მოტივირებულს არის. აღნიშნული განსხვავებანი იმაზე მიუთითებს, რომ თუშური საქორწილო რიტუალი, როგორც ტომებს შორის ადრე არსებულ წინააღმდეგობათა მარკუ-გულირებელი ფუნქციის მქონე რიტუალი, გაცილებით ძველია, ვიდრე გასართობი დანიშნულების ქალტაციობა, თუმცა პაექრობის ზემოთ განხილულ ნიმუშთა შინაარსობრივი მსგავსება იმასაც ნათელყოფს, რომ გენეტიკურად ესენი ერთი საერთო საწყისიდან უნდა მომდინარეობდნენ. თუშურ საქორწილო რიტუალსა და ქალტაციობას შორის გენეტიკური კავშირის აღიარებას ჩვენ ლოგიკურად მივყავართ დასკვნამდე, რომ პაექრობა იმ სახით, როგორც ეს ქალტაციობაშია წარმოდგენილი, სწორედ მოვეყვანათ, სავანათ თუ პიროვნებათა შორისი ურთიერთობების რეგულირებისათვის გამიზნულ ქმედებათა ერთ-ერთი ძირითადი ფორმის — მაგიურ-რიტუალური პაექრობის მხატვრული გადააზრების საფუძველზე უნდა ჩამოყალიბებულიყო ზეპირსიტყვიერებაში.

რიტუალური პაექრობის ესთეტიზაციის პროცესი ფოლკლორში მისგან მხოლოდ მხარეთა შორის დაპირისპირების ასახვის მიზნით გამოსაყენებელი პოეტური ხერხის გამოყოფა-ჩამოყალიბებით არ დასრულებულა. იგივე მაგიური რიტუალები, რომლებიც მხარეთა სიტყვიერი შებრძოლების ფორმით იყო წარმოდგენილი ფოლკლორში და შემსრულებელთა მიერ განსახიერებულ პერსონაჟთა შორის ურთიერთდამოკიდებულების საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისად რეგულირებას ისახავდა მიზნად, თანდათანობით საკუთრივ შემსრულებელთა, მელექსეთა შორის გამართული შეჯიბრების სახესაც იღებდა.

თუმცა პირველყოფილი რიტუალური პაექრობიდან შემოქმედებითი და ავტორიზებული პაექრობის ფორმათა გამოყოფა-ჩამოყალიბების ძირითადი მომენტები ერთმანეთს ემთხვევა, მათი ამოსავალი უძველესი ძირების ურთიერთ-თან სრული იდენტიფიკაცია არ შეიძლება. დიფერენციაცია აქ რიტუალური პაექრობის ნიმუშებს შორის იმთავითვე არსებულ შემდეგ განსხვავებას მიჰყვება: რიტუალური პაექრობის იმ ნიმუშებისაგან, რომელთა ფინალიც, გარკვეულ მიზეზთა გამო, წინასწარ იყო განსაზღვრული, ავტორიზებული პაექრობა უნდა ჩამოყალიბებულიყო ფოლკლორში, ხოლო კამათის ხასიათის იმ რიტუალებიდან, რომელთა ფინალიც, ასევე გარკვეულ მიზეზთა გამო, წინასწარ განსაზღვრული არ ყოფილა, — შემოქმედებითი პაექრობა.

რიტუალური პაექრობის ნიმუშებს შორის იმთავითვე არსებული ამგვარი განსხვავების განმაპირობებელ მიზეზთა ამოცნობა, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს დიდ სირთულეებთან დაკავშირებული. ადვილი მისახვედრია, რომ აუცილებლად წინდაწინვე მკაცრად განსაზღვრული იქნებოდა ფინალი იმგვარი პაექრობებისა, რომლებიც ბუნების ბოროტ ძალებზე კეთილის გამარჯვებას ისახავდა მიზნად (მაგალითად, ზამთარ-ზაფხულის ბრძოლის ამსახველი სიმღერათამაშობანი, რომელთა მიხედვითაც გამარჯვებული ყოველთვის გაზაფხული გამოდის²⁷). და, პირიქით, კამათში მონაწილე მხარეთა შორის გამარჯვებულის გამოვლენას არსებითი მნიშვნელობა არ შეიძლება ჰქონოდა მინიჭებული იმ

²⁷ A. Веселовский, Историческая поэтика, Л., 1940, გვ. 213—217; Н. Oetke, Der deutsche Volkstanz. Bd. I, Berlin, 1982, გვ. 447—450; Дж. Фрезер, დასახ. ნაშრომი, გვ. 30—31. ზამთარ-ზაფხულის ბრძოლის ამსახველ სხვა რიტუალებთან ერთად ფრეზერი აქ ესკიმოსების შემდეგ ჩვეულებასაც განიხილავს: წელიწადის გარკვეულ დროს ესკიმოსები აწყობენ შეჯიბრს ბაჯირის ვადაზიდვაში, აღნიშნულ შეჯიბრებაში მონაწილე ერთი გუნდი ზამთარში დაბადებულებისაგანაა შედგენილი, მეორე — ზაფხულში დაბადებულებისაგან. იმისდა მიხედვით, თუ ვინ გამარჯვებს მათ შორის, ესკიმოსები ადგენენ როგორი იქნება მომავალი ზამთარი — მკაცრი თუ რბილი. როგორც ვხედავთ, თავისი ფინალით ეს შეჯიბრი ალტერნატიულ ხასიათს ატარებს, თუმცა ისიც უდავოა, რომ აქ უფრო წინასწარმეტყველ-

რიტუალების მიხედვით, რომლებსაც მის მიერ გასულიერებულად წარმოდგენილ ბუნების ძალებში სქესობრივი ლტოლვის გამოწვევის მიზნით მიმართავდა პირველყოფილი ადამიანი.



საყოველთაოდაა ცნობილი ის ფაქტი, რომ მოსავლიანობისა და ნაყოფიერების ღვთაებათა გულის მოსაგებად, მათზე გავლენის მოხდენის მიზნით, პირველყოფილი ადამიანი, დარწმუნებული იმაში, რომ მის მიერ შესრულებული რიტუალი შესაბამის გაღიზიანებას გამოიწვევდა ღვთაებებში, წელიწადის გარკვეულ დროს საღვთო როსკიპობასაც კი მიმართავდა ხოლმე. საზოგადოების წევრთა შორის უწესრიგო სქესობრივი ურთიერთობების თანდათანობითი აღკვეთის შემდეგ, სქესობრივი აქტის ადგილი ასეთ რიტუალში მისმა მიმიკურმა და სიტყვიერმა გამოსახულებამ დაიკირა. აღნიშნულ საფუძველზე ჩანს ჩამოყალიბებული უწმაწური შინაარსის ის ლექს-სიმღერები, რომლებიც შაირების სახელწოდებითაა ცნობილი ქართულ ფოლკლორისტიკაში.

უწმაწური შაირების შესრულება, მართალია, ამჟამად შემოქმედებითი პაექრობის ხასიათს ატარებს, მაგრამ დასტურდება ცალკეული ფაქტები, რომელთა მიხედვითაც ირკვევა, რომ იმავე შაირებს მათი უძველესი ფუნქციაც უნდა ჰქონდეთ დაცული ქართულ ზეპირსიტყვიერებაში. ნინო დავითის ასულ ღრუბელაშვილის ცნობის თანახმად, ხენის დროს ტიპური ყოფილა შემთხვევები, როცა წინა მეხრე ახლგაზრდა ქალის მისამართით გვერდით მომუშავე ბიჭის მიერ ნათქვამ უშვერ ლექსს გუთნისდევაც შესაბამისი შინაარსის ლექსითვე პასუხობდა. ეს ისე მოხდებოდა, რომ წყენას არც პირველი მხარე დაიმჩნევდა და არც მეორე²⁸.

შრომის პროცესში შესასრულებელი ეროტიკული ხასიათის სიმღერების აგარაჟლ მავიასთან კავშირს პროფ. ე. ვირსალაძე სპეციალური კვლევის საკითხთა რიგს აკუთვნებს, თუმცა მეცნიერისათვის ისიც ცხადია, რომ „სამკალში და რთველში, ე. ი. მოსავლის აღების პროცესთან დაკავშირებულ სიმღერებში, ლირიკული ხასიათის ტექსტებს, ჩვეულებრივ, საკმაოდ კდემამოსილთ საქართველოში, მეტი თავისუფლება და ეროტიზმი ემჩნევა“²⁹.

გადაშენებული ორგიაზმის კვალს ეძებს ქართულ სამკალ სიმღერებსა და უწმაწურ შაირობაში ე. კოტეტიშვილიც³⁰.

მოსავლის აღებისა თუ საგაზაფხულო სამუშაოთა პროცესში სატრფიალო-ორგიასტული შინაარსის სიმღერების დიალოგური შესრულების ტრადიცია მსოფლიოს მრავალ ხალხთა ყოფაში ჩანს დაცული. ასეთია, მაგალითად, დიალოგური შემღერების იტალიური წესი სახელწოდებით „stornelli“, რომელიც მკის დროს სრულდება. შემღერების აღნიშნული ტრადიცია იმპროვიზებულად შექმნილი ორი ან სამტაეპიანი სატრფიალო ლექსების დიალოგურ მონაცვლობაზეა აგებული. მართალია, პირვანდელი ორგიაზმი შემღერების აღნიშნული წესის საფუძველზე შექმნილ შედარებით ბოლოდროინდელ ნიმუშებში შენიღბული, კულტივირებული სახითაა წარმოდგენილი, მაგრამ მინც ადვილად შესაცნობია³¹.

უძველესი ორგიაზმის კვალი თითქმის პირვანდელი სახით ჩანს დაცული

ბასთან გვაქვს საქმე, ვიდრე ბუნების პროცესთა მსვლელობაში ჩარევის ცდასთან; ასე რომ, მისი ზამთარ-ზაფხულის ბრძოლის ამსახველ რიტუალთა რიგში შეტანა ჩვენ გამართლებულად არ მიგვაჩნია.

²⁸ საკუთარი მასალებიდან, წითელწყაროს რ-ნი, სოფ. ქვემო ქელი.

²⁹ ე. ვირსალაძე, ლირია, ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, ტ. II, თბ., 1968, გვ. 265.

³⁰ ე. კოტეტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 299; მისივე, ხალხური პოეზია, თბ., 1961, გვ. 341.

³¹ A. Веселовский, დასახ. ნაშრომი, გვ. 419.

„მელია-ტულუფიასა“ და ბოსლობის ქართულ რიტუალებში. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებული რიტუალები უფრო შესაბამისი ხასიათის მქონე მიკურ ქმედებათა შესრულების წესს ემყარება და ვერბალური მასალა მათში შედარებით ნაკლებადაა წარმოდგენილი.

მიმიკურ ქმედებასთან ერთად, სიტყვიერი ტექსტის არსებობის თვალსაზრისით, ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებო ჩანს შეილიერებისა და ნაყოფიერების ღვთაების — კვირიას დღესასწაულთა ციკლში შემავალი ადრეცილამს რიტუალი. ჯ. ონიანის აღწერის თანახმად, ადრეცილამს სიმღერა-ფერხული ორი ურთიერთსაპირისპიროდ მდგომი გუნდის მონაწილეობით სრულდება. თითოეულ გუნდს ჰყავს თავისი მეთაური, რომელსაც ხელში ჯოხი ან წყნელი (იშვიათ შემთხვევაში — ხის ხმალი) უჭირავს. სიმღერას იწყებს ერთ-ერთი გუნდი, რომელიც ემუქრება მეორე გუნდს თავზე, ბეჭებზე, მკერდზე, მუცელზე, სასქესო ორგანოებზე, თქობებზე და ფეხებზე ჯოხის ცემით. მეორე გუნდი ზუსტად იმასვე იმეორებს, რასაც პირველი ამბობს. სიმღერის დამთავრების შემდეგ მოპირდაპირე მხარეები ერთმანეთს მივარდებიან, ცდილობენ ძლიერი და სწრაფი მიწოლით გაარღვიონ მოპირდაპირეთა აშკრავი და იქედან ტყვედ წამოიყვანონ იმდენი მომღერალი, რამდენსაც მოახერხებენ. სიმღერა, ისევე როგორც ბრძოლის სცენა, რამდენჯერმე მეორდება³².

განსაკუთრებით საინტერესოა ადრეცილამს ფერხულის სიტყვიერი ნაწილი. როგორც რიტუალის ზემოთ წარმოდგენილი აღწერიდან ირკვევა, იგი ერთი ჯგუფის მიერ მეორე ჯგუფის მომღერალთა სხეულის ნაწილებზე ჯოხის ცემით დამუქრებას გამოხატავს. სავსებით სარწმუნო ჩანს ჯ. ონიანის შეხედულება, რომ „გუნდის მეთაურის ხელში დაკავებული ჯოხები (ან ხის ხმლები) და თვით სასქესო ორგანოებზე ცემით დამუქრება პარალელური უნდა იყოს მელია-ტულუფიას მეთაურის (ჯუნ-ჯუნის მთქმელის) ჯოხის (ან წყნელის) და ზემოსვანური „საქმისაჲს“ ხის შამფურებისა, რომლებითაც ჩხვლეტენ დღეობის მონაწილეებს (უმეტესად ქალებს)“³³.

იმოწმებს რა ვ. ბარდაველიძის შეხედულებას, ამგვარი ჩხვლეტა მკვლევარს სქესობრივი აქტის გამოხატველ და, აქედან გამომდინარე, გამრავლება-ნაყოფიერების გამომწვევე მაგიურ მოქმედებად მიაჩნია³⁴.

განხილულ რიტუალთა ფუნქციისა და ძირითადი შინაარსის მიხედვით თუ ვიშკვლებთ, კამათი-დილოგი, რაც მათ მონაწილეთა მიერ ურთიერთზე სქესობრივი აქტის განხორციელებით ან ექსკრემენტით მოსვრით დამუქრებაში გამოიხატება, თავისი ფინალით იმდენად მნიშვნელოვანი არც ჩანს, რამდენადაც მიმდინარეობის ხანგრძლივობითა და ემოციურობით.

პაექრობის ფინალის ალტერნატიულობა განაპირობებდა იმას, რომ კამათის მონაწილეები რაიმე სიუჟეტური სქემით თავს შეზღუდულად არ გრძნობდნენ. აქ არსებითი მნიშვნელობისაა მეორე მომენტიც, კერძოდ ის, რომ ბუნებაში სასურველი ქმედების გამოწვევის მიზნით ჩასატარებელი რიტუალის პერსონაჟებად აღამიანებია გამოყვანილი. აღნიშნულ გარემოებათა არსებობას, როგორც ჩანს, იმთავითვე უნდა მოემზადებინა ნიადაგი იმისათვის, რომ მაგიურ-საწესჩვეულებო ფუნქციის მოშლის შემდეგ მსგავსი ხასიათის სინკრეტული პაექრობა უშუალოდ მის მონაწილეთა შორის შემოქმედებითი ძალების გამოცდის ფორმად გაეაზრებინა როგორც დამსწრე აუდიტორიას, ისე მის თითოეულ შემსრულებელს.

³² ჯ. ონიანი, სვანური მურყავამობა-კვირიაობა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შტამი, 1969, № 3, გვ. 70.

³³ იქვე, გვ. 71.

³⁴ იქვე, გვ. 71.

მოვლენათა განვითარების ამგვარი თანმიმდევრობა შეიძლება გამოიყაროს ამჟამინდელი ტრადიციის მიხედვითაც იქნეს დადასტურებული, სადაც ვხვდებით ნეთის გვერდითაა წარმოდგენილი, როგორც უძველესი რიტუალური პაექრობისათვის ნიშანდობლივი სიტყვიერი ფაქტურა (მხედველობაში გვაქვს უწმაწური შაირები), ისე აშკარად გვიანდელი ისეთი სტროფები, რომლებიც გამოირჩევის მონაწილეთა პოეტურ ოსტატობაზე ხაზგასმას ისახავს მიზნად. ერთი ასეთი სტროფი ზემოთაც გვქონდა დამოწმებული, მსგავსია აგრეთვე:

უღელი ხარი დავკარგე,
უნდა მოქებნო მთაზედა,
იღბალი შენი ეგ არი —
ნაკლებადა ვარ ხმაზედა;
სიკუას როგორ აჯობებ
ლექსების გამოთქმაზედა³⁵.

განსახილველი საკითხის ირგვლივ ჩვენ მიერ ზემოთ გამოთქმული მოსაზრებები მოკლედ ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:

პოეტური პაექრობის თანამედროვე ფორმათა საერთო უძველესი საწყისი სხვადასხვა მოწინააღმდეგე მხარეთა შორის ბრძოლა-დაპირისპირების ამსახველ მაგიურ რიტუალებშია საძიებელი (პაექრობის აღნიშნულ ფორმას ჩვენ რიტუალურს ვუწოდებთ).

პირველყოფილი რიტუალური პაექრობის ნიმუშები, მათი კონკრეტული ფუნქციიდან გამომდინარე, იმთავითვე დიფერენცირებული სახით იყო წარმოდგენილი ზეპირსიტყვიერებაში. სახელდობრ, გვქონდა კამათის ხასიათის ისეთი დიალოგები, რომელთა ფინალიც წინდაწინვე მკაცრად იყო განსაზღვრული და ისეთებიც, რომელთა მიხედვითაც მხარეთა შორის გამარჯვებულის გამოვლენას არსებითი მნიშვნელობა არ ექცეოდა.

პოეზიის საწესჩვეულებო-რიტუალური ფუნქციის მოშლისა და მისი ესთეტიზაციის საბოლოო ეტაპზე კამათის ხასიათის დიალოგის ფორმებს შორის აღრიდანვე დაწყებული დიფერენციაციის აღნიშნული პროცესი დასრულდა იმით, რომ პაექრობის სახით ორი ურთიერთისაგან თვისებრივად განსხვავებული მოვლენა იქნა ჩამოყალიბებული ფოლკლორში, სახელდობრ: ა) სპეციფიკური შემოქმედებითი პროცესი, რომელიც მელექსეთა პოეტური შესაძლებლობების გამოცდა-გამოვლენას ისახავს მიზნად და, ამდენად, მხარეთა შორის იმპროვიზებული შეჯიბრის ხასიათს ატარებს და ბ) მხატვრული ხერხი, რომელიც საგანთა, მოვლენათა თუ პიროვნებათა შორის არსებულ დამოკიდებულებათა თაობაზე წინასწარ შემუშავებული შეხედულებების გადმოსაცემად გამოიყენება ზეპირსიტყვიერებაში. მათგან პირველს ჩვენ შემოქმედებითს, ხოლო მეორეს ავტორიზებულ პაექრობას ვუწოდებთ.

Э. Г. ДАДУНАШВИЛИ

ОСНОВНЫЕ ФОРМЫ ПОЭТИЧЕСКОГО ПРЕНИЯ В ГРУЗИНСКОМ ФОЛЬКЛОРЕ

(Вопрос дифференциации понятия поэтического прения)

Резюме

Художественные явления, объединенные в понятие поэтического прения, в грузинском фольклоре можно разделить на две большие группы: а) поэтические диалоги, основой которых является

³⁵ ქართული ხალხური პოეზია, ტ. IX, № 964.



импровизированное словесное прение между стихотворцами (цель такого состязания — испытание поэтических способностей его участников); б) диалоги — как результат художественного отражения заранее выработанного мнения о взаимоотношении между различными предметами, явлениями природы или личностями.

Прение, судя по первой из этих групп диалогов, можно определить как специфический творческий процесс с участием нескольких лиц (назовем его творческим прением), тогда как по второй группе диалогов это определяется как своеобразный художественно-стилистический прием, используемый анонимным автором в фольклоре (авторизованное прение).

Исследуя корни этих форм поэтических прений, приходим к выводу, что они — результат эстетизации древних магических ритуалов, бытовавших на раннем этапе развития человечества.

Несмотря на то, что основные моменты переосмысления этих ритуалов в форме авторизованного и творческого прения совпадают, нельзя сказать, что они идентичны. Исходя из конкретных функций образцов ритуальных прений, они сначала же были представлены в дифференцированном виде в устной словесности. Имели место такие образцы диалогов, финал которых заранее строго определялся, и такие, в которых выявлению победителя между состязавшимися не придавалось существенного значения.

После утраты обрядово-ритуальной функции поэзии ранее существовавший процесс дифференциации форм прений завершился образованием в фольклоре двух вышеназванных, друг от друга существенно отличающихся художественных явлений: творческого и авторизованного прения.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის
ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილება
წარმოადგინა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტი-
ტუტმა

ენო ანანიაშვილი

საქართველოს რუსულენოვანი ჟურნალისტიკის სისტემისათვის
1900 — 1917 წწ.

3. ა. გოთუას გამოცემები

ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის შესწავლის თანამედროვე ეტაპზე თავს იჩენს მეტ-ნაკლებად საკამათო, ნაკლებად ცნობილი ფაქტების კონკრეტიზაციის პრობლემა; ჩნდება მთელი რიგი საკითხები, რომლებიც არათუ დეტალურად გამოუყველევია, არამედ საერთოდ არ ყოფილა განხილული.

ერთ-ერთ მეტ-ნაკლებად რთულ, კარგა ხნის წინათ მომწიფებულ ამოცანას წარმოადგენს XX ს-ის დასაწყისში კავკასიაში არსებული რუსული პერიოდული გამოცემების როლისა და მნიშვნელობის გააზრება, საქართველოს რუსულენოვანი ჟურნალისტიკის ისტორიის (როგორც ქართული ბეჭდვითი სიტყვის საერთო ისტორიის არსებითი ნაწილის) განვითარებული სისტემატური კურსის შექმნა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი. რუსული პერიოდიკის შესახებ მომზადებულია შემდეგი ნაშრომები: ნ. ა. მახარაძე — „პირველი რუსული გაზეთი კავკასიაში (1828—1832)“, საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი, 1968; „რუსული გაზეთი კავკასიაში XIX ს-ის 40—50-იან წწ.“, თბ., 1985; ჯ. ლ. ვათეიშვილი — „რუსული საზოგადოებრივი აზრი და გამოცემები კავკასიაში XIX ს-ის პირველ მესამედში“, მოსკოვი, 1970; გ. ო. ბაქანიძე — „ლიტერატურული კრიტიკა გაზეთ „ტიფლისკი ვესტნიკ“-ის ფურცლებზე“, საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 1984. მკვლევართა ყურადღება, ძირითადად, გამახვილებული იყო გასული საუკუნის ცალკეულ პერიოდულ გამოცემებზე („კავკაზ“, „ზაკავკასკი ვესტნიკ“, „ტიფლისკი ვედომოსტი“, „ობზორ“, „ტიფლისკი ვესტნიკ“). დღეისათვის XIX ს-ის მეორე ნახევრის რუსულენოვანი პერიოდიკის ზოგადკონტექსტში საკმარისადაა გაშუქებული წამყვანი ქართული ჟურნალისტების ნ. ნიკოლაძის და გ. თუმანიშვილის კრიტიკულ-პუბლიცისტური მემკვიდრეობა (გ. დ. ჭავჭავაძის — „ნიკო ნიკოლაძე და რუსული ჟურნალისტიკა“, თბ., 1978; ლ. ფ. ჩიქოვანი — „ნიკო ნიკოლაძე და XIX ს-ის 70—80-იანი წლების საქართველოს დემოკრატიული პრესა (ადგილობრივი გაზეთების მასალების მიხედვით)“, თბ., 1989; ზ. დ. გამეზარდაშვილი — „გ. თუმანიშვილი — ქართული ლიტერატურის კრიტიკოსი“, ჟურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები, თბ., 1975; ნ. ა. ანანიაშვილი — „გ. მ. თუმანიშვილის ლიტერატურულ-კრიტიკული მოღვაწეობა“, საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 1989). 1890—1900-იანი წლების რუსული პერიოდული პრესის ზოგიერთ ასპექტს ეძღვნება ჯ. ლ. ვათეიშვილის სადისერტაციო ნაშრომი — „პირველი ლეგალური ბოლშევიკური გამოცემები ამიერკავკასიაში. ჟურნალი „მოგზაური“ და გაზეთი „კავკაზკი რაბოჩი ლისტოკი“ და ამავე ავტორის მონოგრაფია — „მუშური გამოცემები საქართველოში 1910—1913 წწ.“, თბ., 1963.

ჩვენ წინაშეა რუსულენოვანი ჟურნალისტიკის კომპლექსური გამოკვლევისა და ისეთი მონოგრაფიული ნაშრომის შექმნის აუცილებლობა, რომელშიც წარმოდგენილი იქნება საუკუნის დასაწყისში საქართველოში არსებული რუსული საგაზეთო გამოცემების მთელი სისტემა. როგორც ბ. ი. ესინი აღნიშნავს, „საბ-

ქოთა პერიოდში თითქმის არ გამოსულა ზოგადი ხასიათის ნაშრომები რუსულენოვან ჯგუფში. მათგან უმეტესად, საგაზეთო საქმის შესახებ¹.

მოცემული ნაშრომის მიზანია 1900—1917 წწ. თბილისში გამოცემული რუსულენოვანი პრესის სისტემის, როგორც ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის ერთ-ერთი შეუსწავლელი ობიექტის, წარმოჩენა და შეძლებისდაგვარად დახასიათება.

XX ს-ის დასაწყისში კავკასიაში ქართული ბეჭდვითი სიტყვის წამყვანი ორგანოების გვერდით ჩნდება რუსულენოვან პერიოდულ გამოცემათა მთელი სერია. თუ XIX ს-ის განმავლობაში ტფილისში რუსულ ენაზე გამოცემული გაზეთებისა და ჟურნალების რაოდენობა ათს არ აღემატებოდა («ტიფლისკი ვედომოსტი», «კავკაზ», «ზაკავკასკი ვესტნიკ», «ტიფლისკი ვესტნიკ», «ოზორ», «ნოვოე ობოზრენიე», «კავკაზსკი კალენდარ»), 1905—1907 წლებისათვის რუსულენოვანი პერიოდული ორგანოების სავაიმომცემლო საქმეში მიმდინარეობს მკვეთრი გარდატეხა. საკმაოდ მოკლე დროში გამოვიდა ახალი, ორიგინალური გაზეთები და ჟურნალები, რომლებიც მიმართულებათა, პროგრამათა, აზრთა და განსახილველ საკითხთა მრავალფეროვნებით ხასიათდებოდა.

XX ს-ის დასაწყისის საქართველოს რუსული ჟურნალისტიკის სტრუქტურის განსაზღვრისას მიზანშეწონილად მივიჩნით მოგვეზიდა შემდეგი სახის პერიოდიზაცია²:

1. 1900—1907 წწ. XIX ს-ის მეორე ნახევართან გენეტიკურად დაკავშირებულ იმ გამოცემათა სერია, რომლებმაც განაგრძეს და შემოქმედებითად განავითარეს XIX ს-ის 80—90-იანი წლების დემოკრატიული ჟურნალისტიკის ტრადიციები — «კავკაზ», «ნოვოე ობოზრენიე», «ტიფლისკი ლისტოკი» (ილუსტრირებული დამატებებით), «ზაკავკასკოე ობოზრენიე», «კავკაზსკი კალენდარ», «კავკაზსკი კნიჟნი ვესტნიკ», «იზვესტია კავკაზსკოგო მუზეია», «დუხონი ვესტნიკ გრუზინსკოგო ეზარხატა», «ვესტნიკ ზაკავკასკიხ ელეზნიხ დოროგ», «ჟურნალ სოვეტა გლავნონაჩალსტვეიუშჩეგო გრაჟდანსკოი ჩასტიუნა კავკაზე»³.

2. 1900—1907 წწ. «რევოლუციური სიტუაციის» გამოცემები. 1906 წლის 24 ოქტომბრის პრესის შესახებ დროებითი წესების შემოღების შემდეგ ცენზურის გარეშე გამოსული პერიოდული გამოცემები — «ვოზროუდენიე», «ვენსენი პოტოკ», «გრუზინსკაია მისლ», «დევიატი ვალ», «ზარია», «ვესტნიკ ვოზროუდენიე», «ნა პოვოროტე», «ოზორ», «რასსვეტ», «სოვრემენიე», «სპრავედლივოსტ», «კავკაზსკოე უტრო», «ნოვაია რეჩ», «ზნანიე», «ბატუმსკი გოლოს», «ჩერნომორსკი ვესტნიკ», «ესტან ი იდი», «ჟუტე», «კრაპივა», «ნაში პონედელნიე», «კოლიუჩკა», «სვისტოკ», «ზა ნედელიუ», «ჩერნომორსკოე ეხო».

3. 1907—1914 წწ. პერიოდული პრესა, რომელმაც 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ აღმინისტრაციული ზემოქმედება განიცადა. ცენზურაგავლილი ტრანსფორმირებული პრესა — «კავკაზ», «გოლოს კავკაზა», «ტიფლისკი ლისტოკი», «ზაკავკაზე», «ნოვაია რეჩ», «ზაკავკასკოე ობოზრენიე».

¹ ბ. ი. ვსინი, რუსული გაზეთი და საგაზეთო საქმე რუსეთში, ამოცანები და შესწავლის თეორიულ-მეთოდოლოგიური პრინციპები, მოსკოვი, 1981, გვ. 6 (რუსულ ენაზე).

² მოცემული პერიოდიზაცია გარკვეულად ეწინააღმდეგება პროფ. ჯ. ლ. ვათიშვილის ვარიანტს, რომელშიც რუსული ჟურნალისტიკა კავკასიაში მკაცრად აღიფრთხილებული განმათვისდებოდა მოძრაობის ეტაპების მიხედვით (იხ. მისი ნაშრომი — «რუსული საზოგადოებრივი აზრი და გამოცემები კავკასიაში XIX ს-ის პირველ მესამედში», მოსკოვი, 1973, გვ. 19).

³ პერიოდულ გამოცემათა მოცემული სიები არ არის საბოლოო და უწყველი. ისინი გვიქმნის საერთო წარმოდგენას XX ს-ის დასაწყისის საქართველოს რუსულ გამოცემებზე.

⁴ ამ პერიოდში, აგრეთვე, ფუნქციონირებდა განაგრძობს როგორც სამთავრობო ოფიციალური, ასევე XIX ს-ის მეორე ნახევარში წარმოშობილი ტრადიციული გამოცემები.

„ზაკავასკია რეჩ“, „კურიერ-კოპეია“, „ტიფლისკი ტელეფონი“, „ვესტნიკ გრუზინსკოვო ეზარხატა“, „კავკასსკი ესპერანტიკი“, „კავკასსკოე ხარის-ტვო“, „ლისტოკ კავკასსკოვო ეკონომიჩესკოვო ობშჩესტვა“, „ივესტია-ტიფლისკოი გოროდსკოი დუმი“, „ეჟემესიაჩნი მეტეოროლოგიჩესკი-სტატისტიკენ ტიფლისკოი ფიზიჩესკოი ობსერვატორიი“, „ტრუდი ი პროტოკოლი იმპერატორსკოვო კავკასსკოვო მედიცინსკოვო ობშჩესტვა“.

4. 1914—1917 წწ. რუსული ჟურნალისტიკა საქართველოში — პირველი მსოფლიო ომის, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და ჩატარების პერიოდში — „კავკაზ“, „გოლოს კავკაზა“, „ზაკავასკია რეჩ“, „ტიფლისკი ლისტოკ“, „ზნაჟ ტიფლისა“, „ვეჩერნი ზონი“, „დენ ი ნოჩ“, „კავკასსკოე სლოვო“, „კავკასსკი ჟურნალისტიკი“, „სეკტანტსკი ვესტნიკი“, „ვესტნიკ გრუზინსკოვო ეზარხატა“, „კავკასსკოე ნასლედსტოკი“, „კავკასსკი ბლაგო-ვესტნიკი“, „ვერა ი ზაკონი“, „კავკასსკი მელორაციონი ბიულეტენი“, „კავკასსკი ვეტერინარნი ვესტნიკი“, „ივესტია გოროდსკოი დუმი“.

ამრიგად, XX ს-ის დასაწყისში საქართველოში არსებობდა რუსული პერიოდის არა ცალკეული გათიშული ორგანოები, არამედ რუსულენოვანი პრესის რთული სისტემა თავისი განშტოებებითა და მოდიფიკაციებით. პრესის სისტემაში ჩვენ ვგულისხმობთ „მოცემულ მომენტში გამოშვებული ყველა გამოცემის ერთობლიობას, რომელთა ფუნქციონირებაც განპირობებულია საზოგადოებრივი საჭიროებებისა და მკითხველთა აუდიტორიის მოთხოვნილებების ზეგავლენით. სისტემაში შემავალი პერიოდული ორგანოები განიცდიან ურთიერთგავლენას (წინააღმდეგობრიობის ჩათვლით) და ყველა ერთად აღებული, როგორც ერთიანი სოციალური ინსტიტუტი, უდიდეს გავლენას ახდენს საზოგადოებრივ შემეცნებაზე, აყალიბებს საზოგადოებრივ აზრს“⁵.

საქართველოში 1900—1917 წწ. გამოცემული რუსული პრესის სისტემას აქვს რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლები. რუსული პრესის დიფერენციაციისა და კლასიფიკაციის პირველი მცდელობა ეკუთვნის ბეჭდვითი სიტყვის ტფილისის კომიტეტის მუშაებს, რომელთაც შეადგინეს კავკასიაში 1908 წ.⁶, 1908—1909 წწ.⁷, 1910 წ.⁸, 1911—1914 წწ.⁹ გამოშვებული რუსულენოვანი გაზეთებისა და ჟურნალების რამოდენიმე ცირკულარული სია.

კავკასიის საცენზურო კომიტეტის (მას 1906 წ. ბეჭდვითი სიტყვის ტფილისის კომიტეტი ეწოდა) არქივში ინახება დოკუმენტი, რომელიც შეიცავს რუსულ დროებით გამოცემათა, უმთავრესად ოფიციალისა, („კავკაზ“) და ზოგიერთი კომერციული გაზეთის („ტიფლისკი ლისტოკ“) კვალიფიციურ ანალიზს. აქვეა მოცემული გაზეთების „გოლოს კავკაზა“, „კავკასსკია არმია“, „კურიერ ზაკავაზია“, „ტიფლისკიე ნოვოსტი“, „ინდუსტრია“ და სხვ. მოკლე ისტორია.

XX ს-ის დასაწყისის საქართველოს რუსული ჟურნალისტიკის ისტორიაში განსაკუთრებით გამოიყოფა 1905—1907 წწ., რომლებიც 1905 წლის რევოლუციის დრამატულ მოვლენებს ემთხვევა. ამ პერიოდში საინფორმაციო-განმანათლებლური ფუნქციების შემსრულებელი ოფიციალური გამოცემები და კომერციული ფურცლები დევნიან კერძო გაზეთებს, რომელთა ფურცლებზეც იგრ-

⁵ XX საუკუნის დასაწყისის რუსული ჟურნალისტიკის ისტორიიდან, რედ. ბ. ი. ელისი, მოსკოვი, 1984, გვ. 8 (რუსულ ენაზე).

⁶ საქართველოს ცსა, ფონდი 480, აღ. 3, შ. ერთ. 275.

⁷ იქვე, აღ. 2, შ. ერთ. 484.

⁸ იქვე, შ. ერთ. 505.

⁹ იქვე, შ. ერთ. 547.



ქნობოდა რევოლუციური სიტუაციის სული და რომლებიც არა მარტო ასახავდნენ ამა თუ იმ პარტიის შეხედულებებს, არამედ ეწეოდნენ რევოლუციური იდეების აშკარა პროპაგანდას. რევოლუციური მოძრაობის პერიოდის რუსული გაზეთის ბედი კავკასიაში ბევრ რამეში ემთხვევა ცენტრალურ პერიოდულ გამოცემათა ისტორიას. 1905 წლის შემდეგ შესაძლებელი გახდა პოლიტიკური გაზეთების გამოცემა წინასწარი ცენზურის გარეშე, რომელიც რევოლუციის დროს უბრალოდ ვაუჭმეს. „გაზეთი იქცა ღია პოლიტიკურ ტრიბუნად. რევოლუციამ უფრო აშკარა გახადა ყოველდღიური პრესის დაჯგუფება მისი პოლიტიკური შინაარსისა და კლასობრივი მიზნების შესაბამისად. თითქმის მთელმა ლიბერალურ-ბურჟუაზიულმა პრესამ აქცია ზურგი დემოკრატიას. ლეგალური რუსული პრესის გაბატონებულ სახეს წარმოადგენდა კადეტთა ბურჟუაზიული გამოცემები. დადავ დრო უმეტესად მძლავრი პოლიტიკური ბრძოლის პერიოდულ პრესაში“¹⁰.

1905 წლისათვის დაიხასიათებელმა საგაფიცვო აქციებმა გავლენა მოახდინეს ტდილისის პერიოდული პრესის გამოცემის რიტმზე. საგაზეთო საქმის ყველა მონაწილის ფუნქციონირება, რედაქტორიდან დაწყებული და ამწყობით დამთავრებული, რამდენადმე შეიცვალა გარემოებათა ზეგავლენით. ჩნდებოდა არასასურველი პაუზები. ამან აიძულა ქართველი ჟურნალისტები (ა. ყანჩელი, პ. ოპოჩინისი, ა. კალანტარი, ი. ალიბეკოვი, ა. ჯაბადარი) 1905 წლის 16 დეკემბერს მოეწვიათ ქალაქის ბეჭდვითი სიტყვის წარმომადგენელთა თათბირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო „ნოვოე ობოზრენიეს“, „ტიფლისკი ლისტოკის“, „ნორ დარის“, „მურჩის“, „ვოზროჟდენიეს“, „კავკასკოე სელსკოე ხოზაისტვის“ და სხვ. 90-ზე მეტმა წარმომადგენელმა. გაზეთ „კავკასის“ (1905, № 313) ცნობით, „საგაფიცვო დროში“ პერიოდული გამოცემების გამოშვების შეჩერება მიზანშეწონილად არ იქნა მიჩნეული. 1905 წლის რევოლუციური მოძრაობის პერიოდში ბევრ პროგრესულ ჟურნალისტს შეგნებული ჰქონდა კონსოლიდაციის აუცილებლობა. მიზნისა და შეხედულებათა ერთიანობამ მიიყვანა ისინი 1905 წლის ბოლოს კავკასიური ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა კავშირის ჩამოყალიბებამდე.

XX ს-ის დასაწყისის კავკასიის რუსულენოვანი ჟურნალისტების ისტორიაში ყველაზე პროდუქტიულ პერიოდად შეიძლება ჩაითვალოს 1908—1910 წწ. (ნიშანდობლივია, რომ ეს წლები განსაკუთრებით ხაზგასმულია საარქივო დოკუმენტებში), გაჩნდა მთელი სერია ახალი პერიოდული გამოცემებისა; ამასთან, გაიზარდა ისეთი ჟურნალების ხვედრითი წილი, რომლებიც თემატურად მკაცრად დიფერენცირებული იყო და მიესადაგებოდა ამა თუ იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკური დაწესებულების მოღვაწეობას.

ამ პერიოდში დაარსებული გაზეთები უმეტესწილად საინფორმაციო, საგანმანათლებლო, აღმზრდელი ფუნქციებს ასრულებდნენ. იზრდება ინტერესი ხელოვნებისა და ლიტერატურის საკითხებისადმი, ფართოვდება ბელეტრისტული განყოფილებები, თვისებრივად იცვლება განყოფილებების — „ბიბლიოგრაფია“ და „თეატრალური ქრონიკა“ — შინაარსი.

1907—1910 წლებში კავკასიის რუსულ პრესაში აღინიშნება ნეგატიური პროცესები: ზოგიერთი ჟურნალისტი (როგორც წესი, ისინი ერთდროულად, ბევრ პერიოდულ გამოცემებში თანამშრომლობდნენ) თავის მოღვაწეობას წმინდა კომერციულ მიზნებს უქვემდებარებს და არღვევს პროფესიულ ეთიკას. აქ მხრივ საინტერესოა ნ. ნიკოლაძისა და გ. ზდანოვიჩის პოლემიკა, რომელიც გაზეთების „ზაკავკასიისა“ (1910, №№ 64, 65) და „ნოვია რეჩის“ (1910,

¹⁰ ბ. ი. ესინი, XIX საუკუნის მეორე ნახევრის რუსული გაზეთი, სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, მოსკოვი, 1973, გვ. 17 (რუსულ ენაზე).

№№ 28—30) ფურცლებზე გაიშალა, და გაზეთ „ნოვია რეჩის“ 1910 წლის 31 იანვრის № 25-ში გამოქვეყნებული სტატია „ტფილისელ ჟურნალისტთა მოთხოვნა“, რომელსაც ხელს აწერდა „პრომეტი“ (პ. ა. გოთუას ფსევდონიმი). ეს მასალები 900-იანი წლების საქართველოს რუსულენოვანი პრესის ისტორიკოსის თვალსაზრისით საპროგრამოდ უნდა ჩაითვალოს. ხმები იმის შესახებ, რომ ტფილისის პრესის ნაწილი, — წერს „ნოვია რეჩის“ კორესპონდენტი, — მოსყიდულია, დიდი ხანია გავრცელდა; საზოგადოებამ აქაურ ჟურნალისტებს მეტსახელად „გამყიდველი მგალბნელები“ უწოდა. აქამდე არ გვქონია ფაქტობრივი მონაცემები და დოკუმენტური მტკიცებები. ანონიმური საზოგადოებას ოფიციალურმა წარმომადგენელმა ბ-ნ ბატალიმა პირდაპირ აღნიშნა, რომ ისინი მფარველობენ გაზეთ „ეჟენედელნოე ობოზრენიეს“, რომელიც გამოდის კონსტანტინე აბაშიძის, ანტონ ათანასიანის, ი. ზორინგის, დავით განკევიჩის, გრიგოლ დიასამიძის, მიხეილ ზვონოვის, მიხეილ ჯაბარის, დომინოს, ვიანესლავ ეგოროვის, ალექსანდრე ყანჩელის, ლევან ყიფიანის (Speransa), ჰუსეინ მინასაზოვის, ვლადიმერ ოსტროვსკის, ალექსანდრე სალარიძის, ილია ნაკაშიძის, ნიკოლოზ ნესტეროვის (ხანოზა), ივანე სუნდუკიანცის, მიხეილ წულუკიძის, სტეფანე ჭრელაევის და სხვათა თანამშრომლობითა და უშუალო მონაწილეობით.

გამგეობამ ჩაატარა ფართული გამოძიება. საქმე შემდეგში აღმოჩნდა: დაახლოებით ერთი წლის წინათ ტფილისელმა ჟურნალისტმა ლევან ყიფიანმა „ტიფლისკი ლისტოკის“, ხოლო ამჟამად გაზეთების „ზაკავკაზიესა“ და „ეჟენედელნოე ობოზრენიეს“ მუშაკმა, ჟურნალისტმა ვლადიმერ ნიგურსკიმ (ვლ. ნ-სკი, ბოი), „ტიფლისკი ლისტოკის“, ამჟამად კი „ზაკავკაზიესა“ და „ეჟენედელნოე ობოზრენიეს“ თანამშრომელმა (ახლახან გაზეთ „ზაკავკაზიეში“ წერილები გამოაქვეყნა), ტფილისში შექმნეს „პრესის სინდიკატი“ აქ უცხოელი კაპიტალისტებისა და უცხოური საწარმოებისათვის დახმარების აღმოსაჩენად¹¹.

1906—1910 წწ. კავკასიის რუსულენოვანი პრესა გარემოცული იყო საერთო არაკეთილდღეობით; კომერციულ ნიადაგზე აღმოცენებული ინტრიგები და კონფრონტაცია რამდენიმე პერიოდულ ორგანოს შორის („ტიფლისკი ლისტოკ“ — „ზაკავკაზიე“, „კავკასკი ვესტნიკ“ — „ჩერნომორეცა“), რიგი გამოცემების გაქრობა და ახლების, თუნდაც ნაკლებშიანარსიანის, მაგრამ უფრო შემოსავლიანის, გაჩენა, მწვავე კონკურენცია, რედაქციებში თანამშრომელთა მოქიშპეობა — ეს და მსგავსი ტენდენციები ახასიათებდა XX ს-ის დამდეგის როგორც რუსულ, ასევე სომხურ და აზერბაიჯანულ პრესას კავკასიაში.

საქმის ვითარება მეტად გართულა ადმინისტრაციის ზედამხედველობამ, რომლის ხელში იყო ყველა ბერკეტი პროგრესულად განწყობილ რედაქტორებსა და გამომცემლებზე ზემოქმედების მოსახდენად. „მეამბოხური მასალის“ პუბლიკაცია შეიძლება სისხლის სამართლის დანაშაულად ჩაეთვალოს. დიფამაცია, სასამართლო სასჯელი, გამოცემის დროებით შეწყვეტა ან სასჯელის უმალღესი ზომა — პერიოდული ორგანოს გაუქმება — იყო XX ს-ის დასაწყისის რეაქციულ-საგამომცემლო პროცესის დამახასიათებელი მომენტები.

10-იანი წლების პრესაში, უარყოფით ტენდენციასთან ერთად, აღინიშნებოდა დადებითიც, რომელიც გამოიხატებოდა პერიოდულ ორგანოთა წამყვანი მუშაკების პროფესიონალიზმის ამაღლებაში, კონტაქტების გაძლიერებაში, ცენტრალურ და დასავლეთ ევროპის ჟურნალისტისკასთან კავშირის გაღრმავებასა და გაფართოებაში, ბელეტრისტული განყოფილებების შემადგენლობის თვისებრივ შეცვლაში, გაზეთების ძირითადი რუბრიკების მოდერნიზებაში, საკო-

¹¹ „ნოვია რეჩი“, 1910, № 25, გვ. 3.



რექტორო განყოფილებისა და სასტამბო საქმის სრულყოფაში და ა. შ. ბუნებრივია, ამან გაზარდა ინტერესი ამიერკავკასიაში ტფილისური პერიოდული მოცემებისადმი, ამაღლა წამყვანი გაზეთებისა და სპეციალური ჟურნალების ავტორიტეტი. 900-იანი წლების კავკასიაში გამოშვებული რუსული გაზეთები და ჟურნალები ხასიათდებოდა მთელი რიგი თვისებრივი ნიშნებით და მიეკუთვნებოდა გამოცემის განსაზღვრულ ტიპს: ლიტერატურულს („ვესტნიკ ვრუზიი“); საზოგადოებრივს („ნოვოე ობოზრენიე“, „ტიფლისკი ვესტნიკ“, „ნოვიაი რეჩ“); ოფიციალს („კავკაზ“, „კავკაზსკი კალენდარ“); სპეციალურს (დარგობრივს) („იზვესტია კავკაზსკოე მუზეია“, „ვესტნიკ ზაკავკაზსკიხ ელეზნიხ დოროგ“, „კავკაზსკი კნიჟნი ვესტნიკ“, „კავკაზსკი ესპერანტისტ“). ჰქონდა გარკვეული მიმართულება: დემოკრატიული („ნოვოე ობოზრენიე“, „ობზორ“), რევოლუციური-დემოკრატიული („ვოზროდენიე“, „ვესტნიკ ვოზროდენია“, „ესტან ი ილი“), რევოლუციური („კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკი“), მარქსისტული („ნაშა ეჩინ“). ისინი გამოდიოდა განსაზღვრული პროგრამით: რსდმპ კავკასიის კავშირის ორგანო („კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკი“, „ელიზავეტოპოლსკი ვესტნიკ“), ქართველ ავტონომისტთა ორგანო („გრუზინსკაია მისლ“), ნაროდნიკების ორგანო („ზემლა“), თბილისის კადეტთა პარტიის ორგანო („კავკაზსკაია მისლ“), სოციალ-დემოკრატების ორგანო („ბატუმსკი გოლოს“).

გიზეთის გამოცემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თვისებრივი მხარეა მისი განოსვლის სიხშირე: ყოველდღიური („კავკაზ“, „გოლოს კავკაზა“, „ქურიერ-კოპეიკა“); ყოველკვირეული („კავკაზსკი ჟურნალ“, „სექტანტსკი ვესტნიკ“); ორკვირეული („ვესტნიკ ვრუზინსკოე ეკზარხაბა“, „კავკაზსკოე ხოზისტოვ“); ყოველთვიურ („კავკაზსკი ზლაგოვესტნიკ“, „ვერა ი ზნანიე“, „კავკაზსკი მელორაციონნი ბიულეტენ“, „იზვესტია ტიფლისკოი გოროდსკოი დუმი“).

საქართველოში რუსული პრესის, ისევე როგორც ქართულის, გამოცემის დინამიკას განსაზღვრავდა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია.

1904—1916 წლების განმავლობაში ტფილისში გამოდის გაზეთები პ. ა. გოთუას¹² ხელმოწერით (ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის ყოფილი ცენზორი). იგი მონაცვლეობით გვევლინება რედაქტორად, რედაქტორ-გამომცემლად, ფარულ თანარედაქტორად. „ზაკავკაზსკოე ობოზრენიე“, „ვოზროდენიე“, „ვესტნიკ ვოზროდენია“, „ნოვიაი რეჩ“, „ზაკავკაზსკაია რეჩ“ და მათი ტრანსფორმირებული ვარიანტები მიეკუთვნება XIX ს-ის დასაწყისის საქართველოს რუსულენოვანი ჟურნალისტიკის საერთო სტრუქტურის სხვადასხვა დონეს. ასე მაგალითად, „ზაკავკაზი“ მიეკუთვნება XIX ს-ის II ნახევართან დაკავშირებულ პერიოდულ გამოცემათა სერიას, რომელიც განავრცობდა და შემოქმედებითად ავითარებდა 80—90-იანი წლების დემოკრატიული ჟურნალისტიკის ტრადიციებს. „ვოზროდენიე“ და „ვესტნიკ ვოზროდენია“ წარმოადგენენ რევოლუციური სიტუაციის გაზეთს „ნოვიაი რეჩ“ და „ზაკავკაზსკაია რეჩ“ მიეკუთვნება პერიოდულ ორგანოებს, რომლებიც განიცდიდნენ ადმინისტრაციულ დაწოლას 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ, და ე. წ. ცენზურაგავილ ტრანსფორმირებულ პრესას.

ცენზურის მიერ შევიწროების შედეგად ზემოთ ჩამოთვლილი გაზეთების

¹² პ. ა. გოთუა — გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, ჟურნალისტი, პედაგოგი, გამომცემელი, ლიტერატორი, მისი სახელი დაკავშირებულია საქართველოს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან, ტფილისის დრამატულ წრესთან, სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. პ. გოთუას ეკუთვნის მდიდარი პედაგოგიური მემკვიდრეობა. ის არის ავტორი ორიგინალური ბელეტრისტული თხზულებებისა და აღიარებული დრამატურგი.

გამოცემა ეტაპობრივად ხორციელდებოდა¹³. ხშირად იცვლებოდა ვაჭარების დასახელება. ამასთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა: არსებობდა ერთი პერიოდული დღის ორგანო (თავისი ინდივიდუალური მიმართულებით) პ. ა. გომიჯის დაქვემდებარებით, თუ გამოიცა გაზეთების მთელი ჯგუფი, რომლის პროგრამა და მიმართულება განპირობებული იყო, ერთი მხრივ, ისტორიული პირობებით, ხოლო, მეორე მხრივ, — წინასწარი ცენზურის სიმკაცრით? დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით წარმოვადგენთ XX ს-ის დასაწყისის საქართველოს რუსული პრესის ფუნქციონირების საერთო სურათს, იმ პრესისა, რომელიც ცვალებადი წარმატებით გამოდიოდა პ. ა. გომიჯის მიერ ან მისი რედაქტორობით. აქ გამოიყოფა პერიოდულ გამოცემათა სამი დიდი სერია:

ა. გაზეთ „ზაქავაზის“ სერია

1. 1884 წ., მისი, „ზაქავაზი“ — რედ. გ. ი. ვოლსკი, გამომც. გ. ა. ბაგრატიონ-დავიდოვი;
2. 1895 წ., სექტემბერი, „ზაქავაზი“ — რედ. ი. ბახტაძე, გამომც. ნ. ჯამბაყურ-ობრევიანი;
3. 1905 წ., მისი, „ზაქავაზი“ — რედ. პ. ა. გოთუა, გამომც. ი. ჯ. ზუბალოვი;
4. 1906 წ., ნოემბერი, „ზაქავაზი“ — რედ. პ. ი. თუმანოვი, გამომც. პ. ა. გოთუა;
5. 1907 წ., ნოემბერი, „ზაქავაზი“ — რედ.-გამომც. პ. ა. გოთუა;
6. 1908 წ., მისი, „ზაქავაზი“ — რედ.-გამომც. კ. ა. თუმანოვი;
7. 1908 წ., ოქტომბერი, „ნოვოსტი ზაქავაზია“ (1908 წლის აგვისტოს პროექტში — „კავაზსკი ლისტკა“) — რედ.-გამომც. პ. ა. გოთუა;
8. 1909 წ., იანვარი, „ზაქავაზი“ — რედ.-გამომც. გ. ი. ამირეჯიბი;
9. 1909 წ., სექტემბერი, „ზაქავაზი“ — რედ. ა. ი. ყანჩელი, გამომც. გ. ი. ამირეჯიბი;
10. 1910 წ., აგვისტო, „ზაქავაზი“ — რედ.-გამომც. ვ. გ. გუროვსკი;
11. 1911 წ., სექტემბერი, „ზაქავაზი“ — რედ. ვ. დ. ვანჩაძე, გამომც. მ. ვ. მანაბელი;
12. 1912-1914 წწ., „ზაქავაზი“ — რედ.-გამომც. დ. პ. მუჟაფარიანი, ი. ი. რადიკე.

ბ. გაზეთ „ვოზროუდენის“ სერია

1. 1905 წ., ივნისი, „ვოზროუდენი“ — რედ.-გამომც. პ. ი. თუმანოვი;
2. 1905 წ., სექტემბერი, „ვოზროუდენი“ — რედ. პ. ა. გოთუა, გამომც. პ. ი. თუმანოვი;
3. 1906 წ., მარტი, „ვესტნი ვოზროუდენი“ — რედ.-გამომც. პ. ა. გოთუა;
4. 1906 წ., ნოემბერი, „ვოზროუდენი“ — რედ. ა. ე. მდივანი, გამომც. პ. ა. გოთუა;
5. 1906 წ., ნოემბერი, წარმონაქმნები — „კავაზსკოე უტრო“ — რედ.-გამომც. შ. ზ. დავი-დოვი, „სოურემენიკი“ — რედ.-გამომც. ა. ი. ყანჩელი;
6. 1917—1921 წწ., „ვოზროუდენი“ — რედ.-გამომც. ე. დ. გორდელაძე;

გ. გაზეთ „ნოვია რეჩის“ სერია

1. 1909 წ., აგვისტო, „ნოვია რეჩი“ — რედ.-გამომც. პ. ა. გოთუა;
2. 1909 წ., დეკემბერი, „ნოვია რეჩი“ — რედ. რ. დ. ბეგიევი, გამომც. პ. ა. გოთუა;
3. 1910 წ., „ნოვია რეჩისა“ და „ზაქავაზსკოე ობოზრენის“ რედაქტორობის შეთავსება;
4. 1911 წ., მარტი, „ზაქავაზსკაია რეჩი“ — I რედ. გ. ი. ფალავანდოვი, II რედ. დ. მ. დუმბაძე, გამომც. ე. დ. გორდელაძე;
5. 1912 წ., იანვარი, „ზაქავაზსკაია რეჩი“ — რედ. გ. ი. ფალავანდოვი, გამომც. ე. დ. გორდელაძე;
6. 1913 წ., აგვისტო — 1914 წ., ივნისი, „ზაქავაზსკაია რეჩი“ — რედ. გ. ი. ფალავანდოვი, დ. მ. დუმბაძე, კ. პ. თუმანოვი, გამომც. ე. დ. გორდელაძე.

ტიფლისის ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის საარქივო დოკუმენტების გამოყენებით შეიძლება აღვადგინოთ პ. ა. გომიჯის პერიოდულ გამოცემათა ფუნ-

¹³ პ. ა. გომიჯის რედაქციით გამოსული გაზეთები, როგორც წესი, გამოხატავენ მის სოციალურ-პოლიტიკურ პლატფორმას.



ქციონირების მთლიანი სურათი (გაზეთები „ზაკავაზიე“, „კავკასკი ლისტოკი“, „ნოვოსტი ზაკავაზია“, „ვოზროდენიე“, „ვესტნიკ ვოზროდენია“, „ნოვარეჩი“, „ზაკავაზსკაია რეჩ“).


ყოველი ზემოთ ჩამოთვლილი გაზეთის დასახელების ისტორიაში ვარირებს მთელი რიგი საერთო მომენტები, რომლებიც პ. გოთუას გამოცემებს ახასიათებს როგორც ორიგინალურ ტიპოლოგიურ სისტემას. მოცემულ შემთხვევაში, ამ მომენტებს მივაკუთვნებთ: 1. პროგრამის ჩამოყალიბებას; 2. მთავრობის საწინააღმდეგო და არაოფიციალური მასალების პუბლიკაციას; 3. ცენზურის გამკაცრებას და ამის შედეგად; 4. გაზეთის დასახელების და სარედაქციო-სამომცემლო შემადგენლობის შეცვლას; დაბოლოს, 5. გამოცემის ახალ ვარიანტს თავისი რეფორმირებული პროგრამით.

პ. ა. გოთუას გამოცემების ფუნქციონირების უმნიშვნელოვანეს თავისებურებას წარმოადგენს მათი მჭიდრო ურთიერთკავშირი და ურთიერთგანპირობებულობა (გაზეთის სისტემური ორგანიზაციის კიდევ ერთი დადასტურება)¹⁴, რასაც შედეგად მოსდევს სარედაქციო-სამომცემლო შემადგენლობის შეცვლა, გაზეთის დასახელების გამოცვლა, ადრეარსებული ორი პერიოდული ორგანოს მაგივრად ერთი ახალი ორგანოს შექმნა ან, პირიქით, გაზეთის დაყოფა რამდენიმე პერიოდულ გამოცემად, რაც ბეჭდვითი ორგანოს შიდა განხეთქილებას შედეგია.

სქემატურად ეს პროცესი ასე გამოისახება:

1. „ზაკავაზიე“ 1907—1908 წწ. (რედ. გოთუა და ამირეჯიბი);

2. განხეთქილება 1909—1910 წწ.



პ. ა. გოთუას გამოცემების ისტორიაში¹⁵ გამოიკვეთება ორი ტენდენცია: 1. გაზეთის დასახელების იძულებითი შეცვლა (ფაქტობრივად — ერთი ორგანოს პირობითი სათაურებით გამოცემა) — „ზაკავაზიე“, „ნოვოსტი ზაკავაზია“, „ვოზროდენიე“, „ვესტნიკ ვოზროდენია“; 2. სრულიად ახალი პერიოდული გამოცემის შექმნა, რომელიც თავისი წინამორბედის მიმართულებისა და პროგრამის ნიშნით გამოდის — „ვოზროდენიე“, „კავკასკი უტრო“, „სოვრემენიკ“, „ნოვია რეჩ“, „ზაკავაზსკაია რეჩ“.

ანალოგიური მოვლენები ახასიათებს 1905—1907 წწ. ცენტრალური რუსული ბეჭდვითი ორგანოების სისტემას, რომელმაც, ცენზურის, აკრძალვებისა და ადმინისტრაციული დაწოლის მიუხედავად, შეიმუშავა თავისებური თავდაცვითი საშუალებანი. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ისეთ ხერ-

¹⁴ ეს კიდევ ერთი დადასტურება XX ს-ის დასაწყისის კავკასიის რუსულენოვანი პრესის სისტემური ორგანიზაციისა.

¹⁵ პ. ა. გოთუას არ ჰქონდა 1905 წლის რევოლუციური მოვლენების განხილვის საშუალება ცენტრალურ პრესის ფურცლებზე, განსხვავებით „ვოზროდენიე“-ში (1905 წ.), „ვესტნიკ ვოზროდენიე“-ში (1906 წ.) და „ზაკავაზსკი ლისტოკი“-ში (1908 წ.) გამოვლენისაგან, და ამიტომ იგი მიმართავს თავისი მოქალაქეობრივი პოზიციის გამოხატვის ორიგინალურ საშუალებას და წერს ღრამას „Партийные ли люди?“, რომელმაც ფართო საზოგადოებრივი გამოხმაურება პოვა 1909 წლის ქართულ პრესაში („დროება“, „მომავალი“, „მათრახი და სალაშქრი“).

ზებს, როგორცაა ერთი და იმავე გამოცემის სხვადასხვა დასახელებით გამოშვება, ეზოებს ენა და სხვ.

პ. ა. გოთუას გამოცემებს აქვთ თავიანთი „შიდა“ და „გზეშის“¹⁶ პირველ მათგანს განსაზღვრავს სტრუქტურა, შინაარსი, სოციალურ-პოლიტიკური პროფილი, რიგი ტიპოლოგიური თავისებურებანი, რომლებიც გაზეთის კომპლექტის უშუალო შესწავლის დროს ვლინდება. მეორე, „გარეთა“ ისტორიაზე წარმოდგენას გვიქმნის სხვადასხვაგვარი მასალა, რომლებიც ბეჭდვითი სიტყვის ტფილისის კომიტეტის არქივში ინახება. მაგალითად — „საქმე გადაზღვარი ნადვორნი სოვეტნიკის პ. გოთუასათვის გაზეთ „კავკასკი ლისტოკის გამოცემის უფლების მიღების და ამ გაზეთისათვის ახალი სახელის — „ნოვოსტი ზაკავკაზიას“ დარქმევის შესახებ“¹⁶; „საქმე პ. გოთუასათვის რუსულ ენაზე გაზეთ „ნოვია რეჩის“ გამოცემის უფლების მიცემისა და ამ გაზეთის რედაქტორობის რ. დ. ბებიევსათვის გადაცემის შესახებ; მისი სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემა გაზეთისათვის „ზაკავკაზსკია რეჩის“ დარქმევის გამო“¹⁷; პოლემიკური წერილები და სადავო საქმეების განხილვა, რომლებიც ტფილისის სასამართლო პალატის მიერაა აღძრული „საეჭვო“ მასალების პუბლიკაციის გამო: „სხვადასხვა პირისა და დაწესებულებისაგან ბეჭდვითი სიტყვის ტფილისის კომიტეტში მიღებული მიმოწერა გაზეთებში უარყოფათა გადაბეჭდვის შესახებ და გაზეთ „ზაკავკაზიეს“ რედაქტორის პ. გოთუას პასუხისმგებაში მიცემის შესახებ“¹⁸.

Н. А. АНАНИАШВИЛИ

К СИСТЕМЕ РУССКОЯЗЫЧНОЙ ЖУРНАЛИСТИКИ В ГРУЗИИ 1900—1917 ГГ. ИЗДАНИЯ П. А. ГОТУА

Резюме

В статье аргументируется целесообразность дальнейшего изучения русской периодической печати на Кавказе в начале XX в. Автор исследует элементы разветвленной системы русскоязычной прессы, издаваемой в Тифлисе на протяжении 1900—1917 гг., как одного из перспективных объектов для изучения истории грузинской журналистики. Выработана новая периодизация газет и журналов; сделан акцент на позитивных и негативных тенденциях в развитии русского печатного слова в Грузии начала века. На основе архивных документов (фонд ЦГА ГССР № 480) реконструируется картина функционирования комплекса периодических изданий под редакцией П. А. Готуа. В истории «Закавказья», «Возрождения», «Новой речи» выявлен ряд общих моментов, характеризующих издания П. А. Готуа как оригинальную типологическую систему: 1. становление программы; 2. публикация антиправительственных и неофициальных материалов; 3. ужесточение цензуры; 4. перемена названия газеты и обновление редакторско-издательского состава; 5. новый вариант издания с его реформированной программой.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ეურნალისტიკის განყოფილება
წარმოადგინა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა

¹⁶ საქართველოს ცსა, ფ. 480, აღ. 2, შ. ერთ. 266.

¹⁷ იქვე, შ. ერთ. 387.

¹⁸ იქვე, შ. ერთ. 121.

თამარ მღებრიშვილი

ბ. ს. პუშკინის „მცირე ტრაგედიების“ ქართულად თარგმნის
ისტორიიდან

ქართველი ხალხი ყოველთვის დიდი ინტერესითა და ყურადღებით ეკიდებოდა სხვა ხალხების — ახლობელისა თუ შორეულის — შემოქმედებითს საქმიანობას, სწავლობდა მას, თავისთვის საჭიროსა და სასარგებლოს თვისებდა და სულიერად მდიდრდებოდა. ასევე გულგაშლილად და უხვად უზიარებდა მეგობრებსა და მეზობლებს საკუთარი სულისა და გონების ნაღვაწს. ეს იყო ერთადერთი სწორი გეზი საკაცობრიო საგანძურის შექმნა-გამოყენებაში აქტიური მონაწილეობისათვის. ამის მაგალითია ძველი კლასიკური (დასავლური და აღმოსავლური) ცივილიზაციების ბრწყინვალე ცოდნა და შემოქმედებითი ათვისება ძველ საქართველოში.

ამ დიდ საქმეში ფასდაუდებელი როლი ითამაშეს ქართველმა მთარგმნელებმა, რომელთა თხუთმეტსაუკუნოვანი ღვაწლი და გამოცდილება დღესაც გეზის მიმცემა ქართული თარგმანის განვითარებისათვის. ქართული თარგმანი არასოდეს არ ყოფილა წამბაძველობითი ხასიათის. იგი ყოველთვის შემოქმედებითი იყო. ეს იყო დიდი და სერიოზული განსჯა-გააზრება სხვა ხალხის გენიით შექმნილი სიმდიდრისა, — საკუთარი პოზიციებიდან, საკუთარი ხალხის ინტერესებით ნაკარნახევი გააზრება.

საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ეს მიმართება სწორი გამოდგარუსული ლიტერატურის, კერძოდ, დიდი პოეტის ა. ს. პუშკინის შემოქმედებას გაგებისთვისაც.

პუშკინის გენიამ პოეტის სიცოცხლეშივე მიიპყრო ქართველი მკითხველის ყურადღება და სათანადო გაგებაც დაიმსახურა. ეს არა მარტო მწერლის სიდიადეზე მეტყველებს, არამედ იმ ქართველი მკითხველის დონეზეც, რომელმაც რუსი მკითხველის თანადროულად გაიგო „Пробуждение“-ს, „Ангел“-ის, „Пророк“-ის მნიშვნელობა და უკვე 1830 წელს სცადა მათი გადმოქართულება¹. ეს გაგება და ინტერესი აგერ უკვე საუკუნენახევარზე მეტია, აკავშირებს ქართველ ადამიანს ა. ს. პუშკინის მდიდარ ლიტერატურულ მემკვიდრეობასთან. ეს კავშირი არც კონიუნქტურულია და არც ცნობისმოყვარეობის დონეზე გამოჩენილი. ეს არის ორი დიდი ლიტერატურის ურთიერთშეხება და ურთიერთგამდიდრება, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ ქართული თემის ძალუმ ფეოქვასა და მნიშვნელოვან ადგილს პუშკინის ცხოვრებასა და შემოქმედებაში.

ქართული მწერლობის თითქმის ყველა თაობის წარმომადგენელმა სცადა თავის მკითხველამდე მშობლიურ ენაზე მიეტანა პუშკინის ნააზრევი, დახმარებოდა მას დიდი რუსი მგოსნის პოეტური სამყაროს აღქმასა და გააზრებაში.

ქართულ ენაზე არაერთხელ აეღერდა პუშკინის ლექსები, მისი პროზაული თუ დრამატული ქმნილებები, თითქმის მთელი მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა.

პუშკინის შემოქმედებისადმი ქართველ მთარგმნელთა სწორედ ამ უდიდესმა ინტერესმა განაპირობა ის, რომ ქართული პუშკინიანა დღემდე ჩვენი ლიტერა-

¹ „Пробуждение“ — „სიხმარი“ — თარგმ. ალ. ქავჭავაძისა; „Ангел“ — „ანგელოზი“ — თარგმ. თ. ბაგრატიონისა; „Пророк“ — „წინასწარმეტყველი“ — თარგმ. ს. რაზმაძისა.



ტურათმცოდნეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და საინტერესო სფეროდ რჩება. პუშკინის პოეტურ ქმნილებათა გასული საუკუნის ქართულმცოდნეობაში ფართოდაა გაშუქებული ი. გრიშაშვილის, ტ. ტაბიძის, შ. დადიანის, ლ. ასათიანის, ს. დანელიას, ს. ხუციშვილის, ი. ენიკოლოპოვის, ვ. შადურის, თ. ბუჩაძის, ი. ბოგომოლოვისა თუ სხვათა საგაზეთო სტატიებსა თუ სამეცნიერო გამოკვლევებში. შედარებით ნაკლები ყურადღება აქვს დათმობილი პუშკინის ლექსების XX საუკუნის თარგმანებს; ხოლო რაც შეეხება პუშკინის პროზაულ თუ დრამატულ ქმნილებათა ქართულ თარგმანებს, შეიძლება ითქვას, რომ ისინი დღემდე თითქმის შეუსწავლელია. თუ არ ჩავთვლით თარგმანის გამოსვლასთან დაკავშირებულ საგაზეთო ინფორმაციულ გამოხმაურებებს. უნდა ითქვას, რომ ქართველ პუშკინოლოგთა ყურადღებას ყველაზე მეტად პოეტის უმნიშვნელოვანეს დრამატულ ქმნილებათა — „მცირე ტრაგედიათა“ თარგმანება მოკლებული.

რატომ მოხდა ასე? ამ მიზეზების კვლევა სცილდება ჩვენი კვლევის თემას. ერთი კი სათქმელია: პუშკინის ლექსთა ადრეული თარგმანების ნუსხა აშკარად მიგვანიშნებს ნაწარმოებთა შერჩევის სოციალურ ხასიათზე, რომელიც იმ დროს, ეტყობა, უფრო აქტუალურად ელერდა, ვიდრე „მცირე ტრაგედიათა“ ვანყენებული ფილოსოფიური და ზნეობრივი პრობლემები. ლიტერატურული კრიტიკაც უფრო მწვავე ეროვნული და სოციალური პრობლემებით იყო დაკავებული. თუმცა ეს მხოლოდ ჩვენი ვარაუდია...

პუშკინის „მცირე ტრაგედიებმა“ გასულ საუკუნეშივე მიიპყრო ქართველ მთარგმნელთა ყურადღება. „ძუნწი რაინდის“² რ. ერისთავისეული და „ქვის სტუმრის“³ მ. თუმანიშვილისეული თარგმანებით საფუძველი ჩაეყარა დიდი რუსი მგოსნის დრამატურგიის თარგმნის ტრადიციებს საქართველოში.

პუშკინის დრამატული ქმნილებების თარგმანთა პირველი ნიმუშების გამოსვლა ემთხვევა იმ პერიოდს, როდესაც პუშკინი უკვე თავის ადგილს იმკვიდრებდა ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში: ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში პუშკინის ისტორიული როლის წარმოჩენასთან ერთად საგანგებოდ აღინიშნებოდა მისი შემოქმედების მნიშვნელობა სხვა ხალხების სულიერი კულტურის განვითარებაში, სულ უფრო მეტი ინტენსივობით ითარგმნებოდა პოეტის ლექსები, გამოჩნდა მისი პროზაული ნაწარმოების „Выстрел“ („ნასროლი“) ანტ. ფურცელაძისეული თარგმანიც⁴ და, ამდენად, გაჩნდა პუშკინის დრამატურგიის ქართულად თარგმნის აუცილებლობაც, რასაც რ. ერისთავმა და მ. თუმანიშვილმა მოჰკიდეს ხელი და ქართველი მკითხველი მშობლიურ ენაზე პუშკინის მოღვაწეობის ამ სფეროსაც აზიარეს.

მოგვიანებით, პუშკინის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში⁵ დიდი რუსი მგოსნის დრამატურგია სწორედ ამ ორი თარგმანით იქნა წარმოდგენილი.

პუშკინის თხზულებათა საიუბილეო კრებულს უძღვის წინასიტყვაობა, რომლის ავტორი გრ. ყიფშიძე პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების მიმოხილვისას გარკვეულ ყურადღებას მის დრამატურგიასაც უთმობს და საგანგებოდ

² ა. ს. პუშკინი, ძუნწი გმირი, თარგმ. რ. ერისთავისა, „კრებული“, ტფ., 1872, № 10—11—12, გვ. 5—39.

³ ა. ს. პუშკინი, დონ ეჟანი, პუშკინის სცენები, თარგმ. მ. თუმანიშვილისა, გ. თუმანიშვილის აღმანახი, წიგნი მეორე, ტფ., 1879, გვ. 1—25.

⁴ ა. ს. პუშკინი, ნასროლი, თარგმ. ანტ. ფურცელაძისა, „ციხარა“, ტფ., 1861, გვ. 269—305.

⁵ თხზულებანი ა. ს. პუშკინისა, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ. გამოცემა № 36, ტფ., 1899; ძუნწი გმირი (скупой рыцарь), სცენები, თარგმ. თ. რ. ერისთავისა, გვ. 41; (დონ ეჟანი, სცენა III და IV), თარგმ. თ. მიხ. თუმანიშვილისა, გვ. 100



ჩერდება „ძუნწ რაინდზე“. იგი წერს: „პუშკინი მოვიდა თავის სოფელში 1824 წ., შემოდგომაზედ. მაგრამ სიამოვნება ვერ ჰნახა რა აქ. მშობლებს შეგუბნობდა შინდათ, დევნილმა შვილმა საფრთხეში არ ჩაგვაგდოს, უღმერთობაში შენიშნულმა შვილმა სხვა შვილებიც არ გაგვიუღმერთოსო. მთავრობამ მამას მიანდო შვილისათვის თვალყურის დევნა. ამან მეტად გადარია პუშკინი, როგორ? მამა კისრულობს იყოს ჩემი ჯამუში? ეს გარემოება შეიქმნა მიზეზი მამასა და შვილს შორის დიდის უსიამოვნებისა. მოჰხდა მათ შორის ისეთი სცენაც, რომელიც პუშკინმა აღწერა „ძუნწ რაინდში“⁶.

გრ. ყიფშიძემ შემთხვევით არ დაუკავშირა „ძუნწი რაინდი“ პუშკინის ბიოგრაფიულ ეპიზოდს. მოსაზრება, რომელიც მან ამ „მცირე ტრაგედიაზე“ გამოთქვა, აშკარად ნასაზრდოებია იმხანად უკვე ფართოდ ცნობილი პ. ანენკოვისეული „ბიოგრაფიული კონცეფციით“⁷, რომლის თანახმადაც „ძუნწი რაინდის“ სიუჟეტს საფუძვლად დაედო პუშკინის რეალური კონფლიქტი მამასთან.

რა შეიძლება ითქვას ამ ვერსიის თაობაზე? მსოფლიოს ლიტერატურის (და საერთოდ — ხელოვნების) ისტორიამ იცის მრავალი მაგალითი იმისა, თუ როგორ იქცევა ხოლმე შემოქმედის ბიოგრაფიის ფაქტი დიდი ლიტერატურის ფაქტად. მაგრამ ისიც ცხადია, რომ მალალი რანგის ლიტერატურული ქმნილების ბიოგრაფიულ ფაქტამდე დაყვანა მოვლენის მეტისმეტი გაუბრალოება და პრიმიტიული განსჯის მაგალითია მხოლოდ. ვფიქრობთ, მეტისმეტი გაზვიადება პოეტის მამის — საკმაოდ ხელმოკლე კაცის — თუნდაც ზედმეტი მომჭირნეობა ჩავთვალოთ ამ ღრმადილოსოფიური და ზნეობრივი დატვირთვის მქონე ნაწარმოების გაჩენის სტიმულად. თუ ამ ტრაგედიის საწყისებს განვიხილავთ სხვა „მცირე ტრაგედიების“ საწყისების საერთო ფონზე, უფრო დამაჯერებელ სურათს მივიღებთ. ოთხივე ტრაგედიას საფუძვლად უდევს ევროპაში ფართოდ გავრცელებული მთარული სიუჟეტები, რომლებიც პოეტმა გამოიყენა ახალა, ფაქტობრივად ორიგინალური ნაწარმოების შესაქმნელად. ოთხივე სიუჟეტს ერთი მამოძრავებელი ლიტეროტივი გასდევს: შური, შიში, სიძუნწე, სულწასულობა, თუ აბსურდამდეა მისული, ანგრევს ადამიანის სულს, შლის მის პიროვნებას, აყარგვინებს ადამიანისათვის აუცილებელ ისეთ ატრიბუტს, როგორიც ზნეობაა. იმდროინდელ რუსეთში ჭარბად იგრძნობოდა ამ მანკიერების ძალა.

მთავარი, ჩვენი აზრით, ეს უნდა იყოს. ბიოგრაფიული მომენტი კი უბრალოდ დამთხვევაა.

პუშკინის ღრამატურგისადმი ქართველ ლიტერატორთა ინტერესი XX საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევრამდე რამდენადმე განვლდა.

იმ დროს, როდესაც საკმაოდ ინტენსიურად ითარგმნებოდა პუშკინის პოეზია და პროზა, გამოჩნდა მხოლოდ ერთი, ისიც უკვე ნათარგმნი პიესის „ძუნწი რაინდის“ თარგმანი⁸, რომელიც ამჯერად დ. კესაშვილს ეკუთვნოდა.

პუშკინის გარდაცვალებიდან 100 წლის იუბილესათვის ჩვენმა მკითხველმა თითქმის ერთდროულად „მცირე ტრაგედიათა“ რამდენიმე თარგმანი მიიღო, რომელთა შორის პირველად ოთხივე „მცირე ტრაგედიის“ პ. იაშვილისეულ თარგმანებს⁹ ვაეცნო.

მართალია, ქართველი მკითხველი „ქვის სტუმრის“ მ. თუმანიშვილისეულ თარგმანსაც იცნობდა, მაგრამ იგი პიესის მხოლოდ III და IV სცენებს მოიცავდა და, ამდენად, ეს პიესა ჩვენმა მკითხველმა დასრულებული სახით მშობლიურ ენაზე პირველად პ. იაშვილისეულ თარგმანში წაიკითხა.

⁶ იქვე, გვ. 41, 26.

⁷ Аненков П., А. С. Пушкин, Материалы для его биографии и оценки произведений, СПб., 1873, გვ. 278.

⁸ ა. პუშკინი, ძუნწი გმირი, თ-ნი ლეტუ კესაშვილისა, ქუთაისი, 1913, გვ. 29.

⁹ ა. პუშკინი, ლექსები და პოემები, თარგ. პ. იაშვილისა, თბ., 1936, გვ. 111.



ქართულ ენაზე პირველად აქედრდა „მოცარტი და სალიერი“ და „ლხინი/ ჟამიანობის დროს“, ხოლო „ძუნწი რაინდის“ პ. იაშვილისეული თარგმანების პიესის უკვე რიგით მესამე თარგმანს წარმოადგენდა.

1937 წელს „მოცარტისა და სალიერის“ კიდევ ერთი, შ. ქართველიშვილისეული თარგმანი¹⁰ გამოჩნდა. ამავე წლის გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე კი „ძუნწი რაინდის“ ნ. თარხნიშვილისეული თარგმანის ფრაგმენტი¹¹ დაისტამბა, ხოლო იუბილედან ერთი წლის შემდეგ უკვე დასრულებული სახით გამოქვეყნდა პუშკინის რჩეულ თხზულებათა კრებულში¹².

ამავე კრებულში პუშკინის ბოლო მცირე ტრაგედია „ლხინი ჟამიანობის დროს“ უკვე ახალი, კ. ნადირაძისეული თარგმანით¹³ იქნა წარმოდგენილი.

1938 წლისათვის კი ჩვენმა მკითხველმა „ქვის სტუმრის“ ნ. თარხნიშვილისეული¹⁴ თარგმანი მიიღო და „ძუნწი რაინდის“ II სცენის არტ. ახნაზაროვისეულ თარგმანსაც¹⁵ გაეცნო.

როგორც ვხედავთ, პუშკინის გარდაცვალებიდან 100 წლის იუბილესათვის ქართველმა მკითხველმა მშობლიურ ენაზე მიიღო დიდი რუსი მგონის ის პიესები, რომლებიც მანამდე არ თარგმნილა, გაეცნო უკვე თარგმნილი ტრაგედიების ახალ თარგმანებსაც.

პუშკინის დრამატურგიის თარგმნის ისტორიაში, რომელიც აგერ უკვე საუკუნეზე მეტს ითვლის, ეს იყო ყველაზე ნაყოფიერი ხანა, როდესაც „მცირე ტრაგედიები“ ერთდროულად ხუთი მთარგმნელის ინტერესის სფეროში მოექცა და ჩვენს მკითხველს პუშკინის ამ თხზულებათა რამდენიმე თარგმანის წაკითხვის საშუალება მიეცა.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ „მცირე ტრაგედიათა“ თარგმნის საქმეში ჩატარებული ეს კოლოსალური სამუშაოები ძალზე მშრალად აღინიშნა იმდროინდელი პრესის ფურცლებზე, რომელიც მხოლოდ ინფორმაციული ხასიათის ცნობებს გვაწვდის ამა თუ იმ თარგმანზე. ეფიქრობთ, „მცირე ტრაგედიების“ თარგმანებისადმი ქართული სალიტერატურო კრიტიკის ეს უყურადღებობა შეიძლება ავსხნათ იმით, რომ იმ პერიოდისათვის მთელი სიმძაფრით იდგა პუშკინის დრამატულ ქმნილებათა თარგმნის საკითხი, ხოლო თარგმანთა კვლევის აუცილებლობა ჯერ კიდევ არ იყო მომწიფებული.

აღსანიშნავია, რომ „მცირე ტრაგედიათა“ პრობლემატიკას ქართველ პუშკინოლოგთაგან პირველმა ს. დანელიამ დაუთმო საგანგებო ყურადღება. პუშკინის თხზულებათა 1936 წლის კრებულის¹⁶ წინასიტყვაობაში იგი შეეცადა დახმარებოდა ქართველ მკითხველს ამ ურთულესი ფილოსოფიური თხზულებების გმირთა ხასიათებისა თუ იდეების გარკვევასა და სწორად გააზრებაში.

„მცირე ტრაგედიებზე“ მსჯელობას ს. დანელია ბოლო მცირე ტრაგედიიდან „ლხინი ჟამიანობის დროს“ იწყებს და მკითხველის ყურადღებას პირველ რიგში ნაწარმოების იდეაზე შეაჩერებს. იგი წერს: «„ლხინი ჟამიანობის დროს“

¹⁰ ა. ს. პუშკინი, მოცარტი და სალიერი, თარგმ. შ. ქართველიშვილისა, „მნათობი“, 1937, № 1—2, გვ. 56—62.

¹¹ ა. ს. პუშკინი, ძუნწი რაინდი, ნაწყვეტი ბარონის მონოლოგიდან, „კომუნისტი“, 1937, 10 მარტი.

¹² ა. ს. პუშკინი, რჩეული ნაწერები, თბ., 1938, გვ. 131.

¹³ იქვე, გვ. 126.

¹⁴ ა. ს. პუშკინი, ქვის სტუმარი, თარგმ. ნ. თარხნიშვილისა, „მნათობი“, 1938, № 8, გვ. 67.

¹⁵ ა. ს. პუშკინი, ძუნწი რაინდი, მეორე სცენა, თარგმ. არტ. ახნაზაროვისა, „ჩვენს თაობა“, 1933, № 7, გვ. 23.

¹⁶ ს. დანელია, წინასიტყვაობა წიგნისა — ა. პუშკინი, ლექსები და პოემები. თარგმ. პ. იაშვილისა, თბ., 1936, გვ. 20.



წარმოადგენს ადამიანის ბრძოლას სიკვდილთან და ამყლანებს პუშკინისათვის დამახასიათებელ იდეას. სიკვდილი სპობს ადამიანს ფიზიკურად, მაგრამ ადამიანი ანს, თუ ის ადამიანობის სახელს ამართლებს, შეუძლია დაამარცხოს სიკვდილი უფრო მაღალ კრიტერიუმების სფეროებში»¹⁷.

ნაწარმოების იდეის ს. დანელიასეული განმარტებიდან გამომდინარე მკითხველისათვის ნათელი ხდება, რომ ეს მცირე ტრაგედია გარდაუვალ სიკვდილის მოლოდინში მყოფი ადამიანების ფსიქოლოგიის გახსნას ემსახურება.

ჩვენ სავესებით ვეთანხმებით ს. დანელიას, რომ „შეცდომა იქნებოდა ამ ნაწარმოებში მოცემული სცენები გაგვეგო როგორც სასოწარკვეთილების ორგია“¹⁸, მაგრამ ბოლომდე ვერ გავიზიარებთ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ „სიკვდილის აბუჩად აგდება უდევს საფუძვლად ამ პიესაში გამოყვანილი გმირების „ლხინსა“ და რომ „განსაკუთრებით კარგად მოსჩანს ეს მერის სიმღერაში“¹⁹, ვინაიდან ვალსინგამის მეტროლო მოწოდებებსა თუ ახალგაზრდა კაცის უღარდელ შეძახილებშია ცი ძნელდება ამის ამოკითხვა და მით უმეტეს, მერის სიმღერაში, რომელიც საყვარელ ადამიანზე ზრუნვით შეპყრობილი ქალის ფიქრთა გაზიარებაა და არა „სიკვდილის აბუჩად აგდება“.

ს. დანელიას ეს თვალსაზრისი ერთგვარად ეხმიანება პუშკინისეულ „ლხინზე“ გამოთქმულ კ. არსენიევისეულ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც: «Пир во время чумы», страстный, огненный вызов Богу, насмешка над его карами и кощунственное отношение его к смерти»²⁰.

ვფიქრობთ, შავი ჭირის მძვინვარებისას გამართული „ლხინი“ სიკვდილის წინააღმდეგ მიმართული პროტესტი უფროა, ვიდრე მისი დაცინვა და „აბუჩად აგდება“.

მართალია, ამ პროტესტს პუშკინისეული პერსონაჟები ერთმანეთისაგან რამდენიმე განსხვავებულად ავლენენ, მაგრამ „ლხინში“ მონაწილეობით ისინი უკვე მორალურად იმარჯვებენ სიკვდილზე, თუმცა სიკვდილის წინაშე შიშის გრძნობა მაინც გამოსჭვივის თავდავიწყებამდე მისულ დროსტარებაში. ადამიანურად ეს ადვილი გასაგებია და სათაქილოც არაფერია, თუნდაც სასოწარკვეთილება. აქ მთავარია, როგორ, რა ფორმებითა და მოქმედებით ვლენდება ეს გრძნობა — ადამიანური ღირსების დაუკარგავად თუ სულიერი და ფიზიკური წახდენით, უკადრისის კადრებით. პუშკინის გმირები ბოლომდე ადამიანებად რჩებიან.

ს. დანელია „ძუნწი რაინდიდან“ მხოლოდ ერთ პერსონაჟს — ბარონს — გამოყოფს და მისი პიროვნების გახსნას საკმაოდ ვრცელ ადგილს უთმობს.

მსოფლიო ლიტერატურამ „ძუნწის“ არაერთი ტიპი შექმნა. აქ საკმარისია გავიხსენოთ შექსპირის, მოლიერის, ბალზაკის, დოსტოევსკის, გოგოლის გმირები, რომელთა შორის პუშკინის „ძუნწს“ მაინც გამოირჩეული ადგილი უკავია და ს. დანელიაც ბარონის ხასიათში, უპირველეს ყოვლისა, მისი ლიტერატურული პროტოტიპებისაგან განმასხვავებელ შტრიხებს ეძებს.

იგი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ „პუშკინმა თავისი გმირი რაინდად აქცია“²¹, და ცდილობს პუშკინისეული გმირის „სიძუნწესაც“ და „რაინდობასაც“ თავისი ახსნა მოუძებნოს.

„ფარ-ხმლის რაინდი ბარონი სიძუნწეშია ცი რაინდი რჩება ფსიქოლოგიურად, ოღონდ საგანი, რომლისკენაც მიმართულია მისი რაინდობა, განსხვავდება იმისაგან, რასაც ემსახურებოდნენ ჩვეულებრივი რაინდები და სწორედ ამით

¹⁷, ¹⁸, ¹⁹ იქვე.

²⁰ К. Арсеньев, Пир во время чумы, в кн: Пушкин А. С., т. 3, Спб, Брокгауз и Ефрон, С. Петербург, 1909, გვ. 166.

²¹ ს. დანელია, წინასიტყვაობა: გვ. 22.

არის დასაბუთებული ბარონის მარცხი. როგორც ყოველი რაინდუ, ბარონიც თავდაპირველად გატაცებული იყო სახელის ძიებით. მაგრამ ეპოქის განვითარება ამისათვის საშუალებად მან ოქრო აირჩია, ნელ-ნელა ხდება ფსიქოლოგიური მეტამორფოზა და საშუალება იქცევა თვითმიზნად²². — შენიშნავს ს. დანელია და, მართლაც, დავაკვირდეთ პუშკინისეულ „ძუნწს“, რომელიც, თავისი „რაინდული“ წარმომავლობის მიუხედავად, მაინც ვერ აღწევს თავს ეპოქის ცდუნებას — ფულის, ქონების დაგროვებას და, მთლიანად მის ტყვეობაში მოქცეული, იმდენად კარგავს ადამიანის სახეს, რომ მისთვის საკუთარი შეილიც კი აღარ არსებობს. პუშკინისეული „ძუნწი“ სწორედ სიმდიდრისადმი უსაზღვრო სიყვარულის მსხვერპლი ხდება.

საინტერესო პარალელს ავლებს ს. დანელია ბარონსა და სალიერს შორის. ამ განსხვავებულ გმირთა ხასიათებში იგი საერთოს პოულობს იმ მხრივ, რომ ბარონის სიძუნწესა და სალიერის შურიანობას ადამიანის დამღუპველ თვისებებად, მათ სულიერ ტრაგედიად მიიჩნევს.

ს. დანელიასათვის სალიერიც „რაინდია“, მაგრამ განსხვავებით ბარონისაგან, რომელსაც „გამდიდრების რაინდს“ უწოდებს, „ხელოვნების რაინდი“.

ს. დანელია ცდილობს ჩასწვდეს და ამოიკნოს სალიერის ფსიქოლოგია. პუშკინის ამ გმირში იგი მხოლოდ ბოროტმოქმედს როდი ხედავს. სალიერი, უპირველეს ყოვლისა, მისთვის ჩვეულებრივი მოკვდავია, რომელიც შრომობს, ქმნის, უყვარს თავისი საქმე. ს. დანელია მხოლოდ ამის შემდეგ ეძებს სალიერის პიროვნებაში ნაკლოვან მხარეებს და მას ადამიანთა იმ კატეგორიას მიაკუთვნებს, რომელიც მხოლოდ ჭეშმარიტი შემოქმედის გვერდით შეიცნობს თავის პროფესიულ სისუსტეს, და თუ მასში ოდნავადაც არის საწყისი ბოროტებისა, ბოროტმოქმედებამდეც კი შეუძლია მივიდეს, ოღონდაც არ დაკარგოს პირველობა.

სალიერის სიტყვები „Гений и злодейство, /Две вещи несовместные“, რომელიც ლაიტმოტივად გასდევს მთელს ნაწარმოებს, საყოველთაოდ ცნობადი და დიდგენილი ცხოვრებისეული კანონზომიერებაა.

სწორედ ამ იდეის წარმოჩენას ემსახურებიან პუშკინის გმირები: მოცარტი — გენია, სიმბოლო და განსახიერება სიკეთისა და სიდიადისა და სალიერი — მთელი თავისი მოქმედებით განსახიერება ბოროტებისა. თუმცა ისაც უნდა ვთქვათ, რომ სალიერი სულაც არ მიიღტვის ბოროტებისაკენ. ასეთად იგი აქცია შურმა, რომელსაც ვერ მოერია, რომლის სიმძიმეცაც გასრისა მისი ადამიანობა და მკვლეელი გახადა. ამიტომ სალიერი უბედური პიროვნებაა, სუსტი, ავი ვნებისაგან გათელილი და პატივყარილი. ამიტომ მისი ტრაგიზმი ასევე უსისხლბორცოა და სათაკილო.

ს. დანელიას ნაშრომში ყველაზე მეტად ისაა საყურადღებო, რომ „მოცარტისა და სალიერის“ იდეა სწორედ ამ ასპექტიდანაა დანახული და გახსნილი. პუშკინის ეს პერსონაჟები გააზრებულია როგორც განზოგადოებული მხატვრული სახეები და არა მხოლოდ განყენებული, რეალურად არსებული პირები.

საინტერესო, ჩვენი აზრით, ძალზე ორიგინალურ დახასიათებას აძლევს ს. დანელია „ქვის სტუმრის“ მთავარ გმირს. „თუ ბარონი სიმდიდრის გენიოსია, მოცარტი კი ხელოვნების გენიოსი, დონ ჟუანი არის სქესობრივი სიყვარულის გენიოსი“²³. — შენიშნავს ს. დანელია და ამჯერად დონ ჟუანსა და ბარონს შორის ეძებს მსგავსებას. იგი წერს: „ბარონი დაღუპა მისმა სიძუნწემ, დონ ჟუანი სიყვარულმა (ამდენად მათი სიკვდილის მიზეზი მათში იყო დაფარული), მაგრამ ორთავემ გამოსცადეს მაინც ის უმაღლესი ნეტარება, რო-

²² იქვე, გვ. 24.

²³ იქვე, გვ. 25.



მელიც კი მისაწვდომია ადამიანისათვის ამქვეყნად. ორთავეს ჰქონდათ ეჭვები წუთები, როდესაც მათ ფაუსტის მსგავსად შეეძლოთ ეთქვათ ეამთა სრბრბისათვის: „შესდექი წამო“, — წუთები, როდესაც ქრება სიკვდილის შიში და ხელსახები ხდება მარადიულობა“²⁴.

გავიხსენოთ ბარონისა და დონ ჟუანის ტრაგიკული აღსასრულის ამსახველი სცენები, მათ მიერ სიკვდილის წინ წარმოთქმული უკანასკნელი სიტყვები და ჩვენთვის ნათელი გახდება მათი ცხოვრების ძირითადი მიზანი, რომელსაც ორივე დალუპვამდეც კი მიჰყავს. სიკვდილის პირას მისული „ძუნწი რაინდი“ ოღნავადაც არ ნანობს შეილისაგან უარყოფას, მისი ფიქრი მხოლოდ და მხოლოდ სიმღღარით სავსე ზანდუეებს დასტრიალებს.

„Где ключи? ключи, ключи мои!“ — ამ სიტყვებით ტოვებს იგი ამქვეყნიურ ცხოვრებას.

დაუფკვირდეთ დონ ჟუანის ბოლო დრამატიზმით აღსავსე სიტყვასაც: „Вот она... тяжело / Пожатие каменной его десницы), / оставь меня, пусть — пусть мне руку... / я гибну — кончено — О, Дона Анна“. რომელშიც ფიზიკურთან ერთად მისი სულიერი ტკივილიც აისახება. დონ ჟუანს სიკვდილი არ აშიხნებს იმდენად, რამდენადაც სიყვარულთან განშორება, მისი დაკარგვა. სწორედ ამიტომაც, რომ იგი აღსასრულის უამს დონა ანას სახელს წარმოთქვამს — მას ემშვიდობება და მასთან განშორებას ნანობს.

ვფიქრობთ, „მცირე ტრაგედიათა“ პირველმა ქართველმა მკვლევარმა ზუსტად ამოიცნო და დამაჯერებლად ახსნა „ძუნწი რაინდისა“ და „ქვის სტუმრისა“ მთავარ გმირთა დალუპვის მიზეზი. ეს ალბათ იმიტაც უნდა აეხსნათ, რომ ს. დანელია, განათლებითა და აზროვნების ყალიბით ფილოსოფოსი და ანალიტიკოსი, თვითონაც რთული და ღრმა პიროვნება იყო და ადამიანის ბუნების ურთულესი ხლართების წვდომა მას არ ეძნელებოდა.

ამრიგად, პუშკინის ვარდაცვალებიდან 100 წლის იუბილესათვის ქართველ მკითხველს „მცირე ტრაგედიებთან“ ერთად მშობლიურ ენაზე ხელთ ჰქონდა გამოკვლევა, რომელიც უთუოდ დაეხმარებოდა მას დიდი რუსი მგოსნის შემოქმედებაში ამ მკვეთრად გამორჩეული, ურთულესი ფილოსოფიური თხზულებების თავისებურებათა აღქმასა და სწორად გააზრებაში.

პუშკინის დაბადებიდან 150 წლისთავისათვის ქართველმა მკითხველმა „მცირე ტრაგედიების“ ახალ თარგმანებთან²⁵ ერთად მშობლიურ ენაზე კიდევ ერთი გამოკვლევა მიიღო. იგი ამჯერად ვ. შადურს ეკუთვნოდა.

ვ. შადურის ნაშრომი, რომელიც პუშკინის მრავალმხრივი შემოქმედების ყველა სფეროს მიმოიხილავს, წინასიტყვაობად უძღვის დიდი რუსი მგოსნის თხზულებათა ოთხტომეულის პირველ ტომს²⁶.

მართალია, ვ. შადური „მცირე ტრაგედიებს“ მხოლოდ ორიოდ გვერდს უთმობს, მაგრამ იგი ნაშრომის ამ მცირე მონაკვეთში მაინც ახერხებს ქართველ მკითხველს დაანახოს „მცირე ტრაგედიებსა“ და მათ ლიტერატურულ პირველწყაროთა შორის არსებული განსხვავება და ამის საფუძველზე წარმოაჩინოს პუშკინის ამ დრამატულ ქმნილებათა თავისებურებანი.

პუშკინისეულ „ძუნწზე“ მსჯელობისას ვ. შადური ძირითადად ბ. ბელინსკის ეყრდნობა, თუმცა იგი საკუთარ თვალსაზრისსაც გამოთქვამს და პუშკა-

²⁴ იქვე.

²⁵ ეს თარგმანები დაისტამბა 1950 წელს პუშკინის რჩეულ ნაწერთა 111 ტომში, რომელიც მთლიანად პუშკინის დრამატურგიას დაეთმო. აქ ქართველი მკითხველისათვის მხოლოდ „ლზინი ეპიანობის დროს“ (კ. ნადირაძისეული თარგმანი) (გვ. 105) იყო ნაცნობი. „ძუნწი რაინდისა“ (გვ. 85) და „მოცარტისა და სალიერის“ (გვ. 117) თარგმანები კ. ჭიჭინაძეს ეკუთვნოდა, „ქვის სტუმრისა“ (გვ. 129) კი — კ. ნადირაძეს.

²⁶ ა. ს. პუშკინი, რჩეული ნაწერები ოთხ ტომად, ტ. 1, თბ., 1952, გვ. 5—63.



ნისეული „ძუნწის“ თავისთავადობას იმით ხსნის, რომ ფულისა და ოქროს ბატონობის სენს ვერც ეს „რაინდი“ გადაურჩა და ისიც, როგორც მრავალნივე „ძუნწად“ იქცა.

„ქვის სტუმრისა“ და „მოცარტისა და სალიერის“ მიმოხილვისას ვ. შადურის თითქმის მთლიანად ბ. ბელინსკის ციტირებას ახდენს და, ამდენად, ქართველი მკვლევრის შეხედულებებზე მსჯელობა პრაქტიკულად არ ხერხდება. თუმცა, ნაშრომის დასასრულში იგი მცირე ტრაგედიების სტრუქტურულ თავისებურებებზე ჩერდება და ზოგადად მაინც მიმოიხილავს ამ დრამატული თხზულებების ერთმანეთთან დამაკავშირებელ საერთო ნიშნებს.

ვ. შადური აღნიშნავს, რომ „პუშკინის პატარა ტრაგედიებში უდიდესი შინაარსი, ძლიერი ხასიათის გმირები, რომლებიც გამსჭვალული არიან „ბოროტი ვნებებით“, დიდი ფსიქოლოგიურ-ფილოსოფიური იდეები მოქცეულია ვიწრო ჩარჩოებში.

ტრაგედიებში არ არის არც ერთი ზედმეტი სიტყვა. მოქმედების ტემპი სწრაფია, დინამიკური, ტრაგედიები განსაკუთრებული სცენიურობით განირჩევა.“²⁷

თუ „მცირე ტრაგედიებს“ ამ კუთხით განვიხილავთ, უთუოდ შევნიშნავთ, რომ პუშკინი ცალკეული მცირე ტრაგედიის პერსონაჟთა ცხოვრებიდან ერთ ან ორ ეპიზოდს გვთავაზობს, მაგრამ ამ ეპიზოდით მათ პიროვნებას ისეთი სიღრმითა და სისრულით წარმოაჩენს, რომ რაიმე დამატებითი ცნობა იმის შესახებ, თუ რა გადახდა ამა თუ იმ გმირს ამ ეპიზოდამდე ან შემდეგ, სრულიად ზედმეტი ხდება.

„მცირე ტრაგედიათა“ ავტორის მთელი ყურადღება გადატანილია მოვლენის რომელიმე მხარის, პერსონაჟის რომელიმე თვისების განსახოვნებაზე. ყოველივე ეს კი განაპირობებს თხრობის ლაკონიზმსა და მოქმედების ექსპრესიას.

ვ. შადური ბოლო მცირე ტრაგედიას „ლხინი ეპიანობის დროს“ პუშკინის მიერ ბოლდინოში შექმნილ უმნიშვნელოვანეს თხზულებათა შორის მოიხსენიებს მხოლოდ და გვერდს უვლის მის პრობლემატიკას.

ეს ალბათ იმით უნდა ავხსნათ, რომ იმ პერიოდისათვის რუსულ პუშკინოლოგიაშიც კი „მცირე ტრაგედიათაგან“ ყველაზე ნაკლებად „ლხინი ეპიანობის დროს“ პრობლემატიკა იყო შესწავლილი²⁸ და ქართველმა მკვლევარმა ამიტომ არ გაუსწრო მოვლენებს, განზრახ აუარა გვერდი ამ პიესის პრობლემატიკის წარმოჩენას.

ვფიქრობთ, ამ მცირე ტრაგედიის ურთულესი, დღემდე ჭერ კიდევ ბოლომდე ამოუცნობი პრობლემატიკითვე უნდა ავხსნათ ისიც, რომ პუშკინისეულა „ლხინის“ თარგმნა მხოლოდ ორმა მთარგმნელმა სცადა, მაშინ, როცა დანარჩენი მცირე ტრაგედიები რამდენჯერმე ითარგმნა.

1965 წელს „ლიტერატურნაია გრუზიას“ ფურცლებზე დაისტამბა გ. ასათიანის წერილი²⁹ სტ. რასადინისადმი, რომელიც ერთი წლით ადრე ეჭრნ. „ვოპროსი ლიტერატურის“ ფურცლებზე პუშკინის დონ ეჟანის შესახებ წერდა: «Еще считающий себя соблазнителем, оказывается влюбленным сам, того пока не сознавая, и в речи его звучит ревнивая неприязненная

²⁷ იქვე.

²⁸ იხ. რ. პოდდუბნიას ნაშრომი — Р. Поддубная, Пир во время чумы А. С. Пушкина, Опыт целостного анализа идейно-художественной структуры, VIII, 1976, გვ. 19—43, რომელიც ერთგვარად თავს უყრის და აჯამებს — „ლხინი ეპიანობის დროს“, ირგვლივ პუშკინოლოგიათა მიერ წლების მანძილზე წარმოებულ კვლევა-ძიებას.

²⁹ Г. А с а т и а н и, О классических традициях, „Лит. Грузия“, 1965, № 7, გვ. 46.

зависть к «гордому гробу», и взгляд его с пристальностью, скорее грустной и нежной, чем чувственной, останавливается на Доне



Придет кудри наклонять и плакать.
Так может говорить тот, кто не просто представляет плачущую женщину, и переживает ее скорбь, ощущает больше себя от нее»³⁰.
გ. ასათიანი კი თვლის, რომ დონ ჟუანის ხასიათი პიესის საერთო კონტექსტში უნდა ამოვიკითხოთ, რომ მივხედეთ, უყვარს თუ არა მას დონა ანა და მხოლოდ სტ. რასადინის მიერ ციტირებულ ფრაგმენტს არ უნდა დავეყრდნოთ.
გ. ასათიანს მიაჩნია, რომ პუშკინის დონ ჟუანი მაინც კლასიკური დონ ჟუანის ხასიათია. „которому чуждо такое внутреннее раздвоение, он никогда не влюбляется, он просто каждый раз виртуозно играет в любовь, порой даже с таким артистическим вдохновением, как у Пушкина»³¹.

თავისთავად ორივე მკვლევრის მოსაზრება საინტერესო და საყურადღებოა, მაგრამ ძნელია იმის მტკიცება, თუ რომელი მათგანია ჭეშმარიტებასთან ახლოს. ვინაიდან, როგორც ვ. სოლოვიოვი შენიშნავს: „Любит он (Дон Гуан.—თ მ. ილი) не любит Анну — все споры об этом бессильны, потому, что никому не известно, где кончается воображение и начинается настоящая любовь. Анна верит Гуану, но на то он и Дон Гуан, чтобы ему верили. Он делает убедительные признания Анне, но без сомнения убедителен он и с другими женщинами»³².

პუშკინის დონ ჟუანი იმდენად მრავლისმომცველი ხასიათია, რომ იგი დღესაც ბოლომდე არაა გახსნილი და დღემდე აზრთა სხვადასხვაობას იწვევს.

პუშკინის გენიალობა სწორედ იმაშია, რომ მან დონ ჟუანის სახით „საფიქრალი“ დაუტოვა პუშკინოლოგთა მთელ თაობებს, რომელთაც ყველამ რაღაც ახალ, მანამდე ამოუცნობ ნიუანსს მიაგნო ამ ხასიათში. ვფიქრობთ, ამ მხრივ თავისი სიტყვა ქართველმა მკვლევარმაც — გ. ასათიანმაც თქვა.

1967 წელს დაისტამბა ი. ბოგომოლოვის წიგნი³³, რომელშიც ავტორმა XIX საუკუნის პირველი ნახევრის ლიტერატურულ ურთიერთობათა წარმოჩენისას საგანგებო ყურადღება დაუთმო მ. თუმანიშვილის მთარგმნელობით მოღვაწეობას და „ქვის სტუმრის“ მისეული თარგმანიც განიხილა.

ი. ბოგომოლოვი დონ ჟუანის არატრადიციულ ხასიათს საკვებით მართებულად მიიჩნევს „ქვის სტუმრით“ მ. თუმანიშვილის დაინტერესების ერთ-ერთ მიზეზად. თარგმანისა და დედნის შედარებითი ანალიზის საფუძველზე კ დაასკვნის, რომ მთარგმნელმა პიესის ბევრი მნიშვნელოვანი ნიუანსი სწორად ამოიკნო და მიიტანა თავის მკითხველამდე.

ი. ბოგომოლოვი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ „Туманишвили первым указал путь грузинским переводчикам к драматургии великого русского поэта»³⁴.

ვფიქრობთ, ი. ბოგომოლოვის ეს მოსაზრება ჭერჯერობით სადავოდ რჩება. ვინაიდან ჩვენთვის უცნობია თარგმანის შესრულების თარიღი, ცნობილია მხოლოდ მისი გამოქვეყნების წელი — 1879.

მ. თუმანიშვილის თარგმანი მთარგმნელის გარდაცვალებიდან (1875) მხო-

³⁰ Ст. Рассадин, Вперед к Пушкину..., „Вопросы литературы“, 1964, № 11, 33-30.

³¹ Г. Асатиани, О классических традициях, 33-47.

³² В. Соловьев, Одночество свободы (О „Каменном госте“), в кн.: В мире Пушкина, М., 1974, 33-241.

³³ И. Богомолов, Из истории грузино-русских взаимосвязей (первая половина XIX века), Тб., 1967.

³⁴ იქვე, 33-131.

ლოდ ოთხი წლის შემდეგ გამოაქვეყნა მისმა ვაჟმა, გ. თუმანიშვილმა და ჩვენს მკითხველიც „ქვის სტუმრის“ თარგმანს გაცილებით გვიან გაეცნო, ვიდრე „ძუნწი რაინდის“ რ. ერისთავისეულ თარგმანს, რომელიც 1872 წელს გამოაქვეყნა სტამბა.

სავსებით დასაშვებია, რომ მ. თუმანიშვილმა უფრო ადრე მოჰკიდა ხელი პუშკინის დრამატურგიის თარგმანს, მაგრამ მისი პირველობის დამადასტურებელი საბუთი ჩვენ ჯერჯერობით არ მოგვეპოვება.

1969 წელს ქართველი მკითხველი „მოცარტისა და სალიერის“ თ. ჩხენკელისეულ თარგმანს³⁵ გაეცნო. სულ მალე პრესის ფურცლებზე „ქვის სტუმრისა“³⁶ და „ძუნწი რაინდის“³⁷ თ. ჩხენკელისეული თარგმანებიც დაისტამბა. 1975 წელს კი ამ სამი მცირე ტრაგედიის აღნიშნული თარგმანები გამოქვეყნდა პუშკინის რჩეულ თხზულებათა კრებულში, რომელშიც თავმოყრილია პუშკინის ლექსების, მოთხრობებისა და დრამატული თხზულებების სხვადასხვა დროის თარგმანები.

კრებულს წინასიტყვაობად უძღვის თ. ბუაჩიძის წერილი „ჩვენი პუშკინი“³⁸, სადაც ავტორი პუშკინის ცხოვრებისა და შემოქმედების მიმოხილვისას მას დრამატურგიაზეც ჩერდება და გარკვეულ ყურადღებას „მცირე ტრაგედიებსაც“ უთმობს.

მართალია, თ. ბუაჩიძე ცალკეულ მცირე ტრაგედიას მხოლოდ თითო აზრს უთმობს, მაგრამ იგი მაინც ახერხებს დაგვანახოს პუშკინისეულ გმირებსა და მათ ლიტერატურულ პროტოტიპებს შორის არსებული განსხვავება.

პუშკინისეულ „ძუნწს“ თ. ბუაჩიძე ყველაზე ტრადიციული „ძუნწის“ ტიპს — მოლიერის ჰარპაგონს უპირისპირებს და აღნიშნავს, რომ „მოლიერის პირობით და სქემატურ გმირს მან გვერდით ამოუყენა სულ სხვა ცოცხალი ხატი ძუნწი რაინდისა“³⁹.

თ. ბუაჩიძე სავსებით მართებულად თვლის, რომ „ბარონის ხასიათში თავმოყრილია რაინდული თავმოყვარეობა და ვაჭრული სიხარბე, პოეტური ვნებათაღელვა და უსაზღვრო სისასტიკე“⁴⁰, ვინაიდან სწორედ ამ ურთიერთგამომრიცხავმა თვისებებმა განაპირობა ის, რომ პუშკინისეულმა „ძუნწმა“ მსოფლიო ლიტერატურაში თავისი დამოუკიდებელი ადგილი დაიმკვიდრა და „ძუნწის“ სრულიად ახლებურ, ორიგინალურ ტიპად მოგვევლინა.

„მოცარტისა და სალიერის“ მიმოხილვისას თ. ბუაჩიძე მხოლოდ იმის აღნიშვნით შემოიფარგლება, რომ პიესის „სიუჟეტს საფუძვლად უდევს ლევენდა სალიერის მიერ მოცარტის მოწამვლისა, მოცარტის სახით პუშკინმა მოგვეცა გენიოსის ტიპი, რომელსაც უპირისპირდება დიდების სურვილით შეპყრობილი სალიერი, ხელოსნად ქცეული ხელოვანი“⁴¹, მაგრამ ზოგადად მაინც წარმოაჩენს ამ მცირე ტრაგედიის მთავარ გმირთა ხასიათებს, რომელთაც ქართველ პუშკინოლოგთაგან ს. დანელიას შემდეგ, ფაქტობრივად უკვე აღარავინ მიბრუნებია.

„ქვის სტუმრის“ მთავარი გმირის თვითმყოფადობას თ. ბუაჩიძე იმით ხსნის, რომ, მისი წინამორბედი დონ ყუანებისაგან განსხვავებით, იგი „მზადაა

³⁵ ა. პუშკინი, მოცარტი და სალიერი, თარგმ. თ. ჩხენკელისა, „ციხარტყელა“, 1969, № 11, გვ. 173.

³⁶ ა. პუშკინი, ქვის სტუმარი, თარგმ. თ. ჩხენკელისა, „ციხარტყელა“, 1972, № 8, გვ. 85.

³⁷ ა. პუშკინი, ძუნწი რაინდი, დრამატული პოემა, თარგმ. თ. ჩხენკელისა, „საბჭოთა ხელოვნება“, 1974, № 6, გვ. 71.

³⁸ თ. ბუაჩიძე, ჩვენი პუშკინი, წინასიტყვაობა წიგნისა — ა. პუშკინი, რჩეული თხზულებანი, თბ., 1975, გვ. 5.

³⁹, ⁴⁰, ⁴¹ იქვე.



თავი გასწიროს სატრფოსათვის“ და ეს ასეცაა: მართალია, თავდაპირველად პუშკინისეული დონე უნაინე მხოლოდ სასიყვარულო თავგადასავლების მაძიებლად გვევლინება და დონა ანასთან ურთიერთობასაც იმიტომ იწყებს, რომ მისი ცდუნების უდიდესი სურვილი იყრობს, მაგრამ როგორც ი. ალტმანი შენიშნავს: «Он не боится погибнуть для того, чтобы доказать свое право на любовь. Он готов умереть, произносится «где твой кинжал? вот грудь моя». Он абсолютно честен, когда стоя на коленях перед Донной Анной, говорит о том, что любит ее первую. Он действительно готов умереть, когда говорит ей о смерти»⁴².

პუშკინის ბოლო მცირე ტრაგედიაა და მის პირველწყაროს — ვალსონის „შავი ჭირის ქალაქს“ შორის განსხვავებას თ. ბუაჩიძე ხედავს იმაში, რომ „პუშკინის გმირი აპოეტურებს ვაჟაკობას, გამბედაობას „უფსკრულის პირას“, იგი მოუწოდებს სუფრის წვერებს საკუთარი ნებისყოფით დათრგუნონ სიკვდილის წინაშე შიშის გრძობა“⁴³.

„ლზინი ჟამიანობის დროს“ პერსონაჟთაგან თ. ბუაჩიძე შემთხვევით არ ირჩევს ვალსინგამს. შავი ჭირის სადიდებლად წარმოთქმული ვალსინგამის პიშინი პიესის ის ცენტრალური და კულმინაციური წერტილია, რომელიც გარშემო იკრებს მთელი ნაწარმოების იდეას. „ლზინის“ მონაწილეთა შორის ყველაზე დამაჩერებლად და რეალურად ვალსინგამი მსჯელობს, ვინაიდან, როგორც დ. უსტიუჟანინი შენიშნავს: „Гимн председателя—прямое обращение к воле человека, побуждение его к действию и отсюда и воспевание счастья битвы“⁴⁴.

მართალია, ვალსინგამი, ისევე, როგორც „ლზინის“ ყველა მონაწილე, სასიკვდილოდაა განწირული, მაგრამ იგი მორალურად მინე იმარჯვებს სიკვდილზე, ვინაიდან, ამ საერთო განსაცდელის ჟამს ერთადერთ გამოსავალს სიკოცხლისათვის ბრძოლაში ხედავს.

პუშკინის დაბადებიდან 175 წლისთავისათვის ქართულ პუშკინიანას „ქვის სტუმრის“ კ. ნადირაძისეული თარგმანისადმი მიძღვნილი მ. ანთაძის ნაშრომიც⁴⁵ შეემატა.

ამ გამოკვლევაში, რომელიც მიზნად ისახავს რუსული ლიტერატურის იმ ქართული თარგმანების წარმოჩენას, რომლებიც XX საუკუნის 30-იან წლებშია შესრულებული, „ქვის სტუმრის“ კ. ნადირაძისეული თარგმანის ანალიზს საკმაოდ ვრცელი ადგილი უკავია.

ორიგინალთან თარგმანის შედარებისას მ. ანთაძე ყურადღებას უთმობს პუშკინის გმირთა მეტყველებას თარგმანში, ჩერდება თარგმანის საზომზე, დაწვრილებით განიხილავს მთარგმნელის მიერ დედნისეული იდიომებისა თუ ფრაზეოლოგიური გამოთქმებისათვის შერჩეულ შესიტყვეებებს, ეხება თარგმანის ემოციურ მხარესაც და კ. ნადირაძის მთარგმნელობით ხერხებს და საშუალებებს საბოლოოდ დადებითად აფასებს.

ჩვენ სავსებით ვიზიარებთ მ. ანთაძის მიერ „ქვის სტუმრის“ კ. ნადირაძისეულ თარგმანზე გამოთქმულ მოსაზრებებს, ვინაიდან ვთვლით, რომ პუშკინის ამ დრამატული ქმნილების ხუთი თარგმანიდან კ. ნადირაძისეული თარგმანი ერთ-ერთი იმათთაგანია, რომელმაც თავის დროზე ჩვენს მკითხველს უთუოდ აგრძობინა დიდი რუსი მგოსნის პოეტური ხმა და ხედეა.

⁴² И. Альтман, Пушкин и драма, „Литературный критик“, II, 1937, გვ. 93.

⁴³ თ. ბუაჩიძე, ჩვენი პუშკინი, გვ. 22.

⁴⁴ Д. Устюжанин, Маленькие трагедии Пушкина, М., 1974, გვ. 90.

⁴⁵ მ. ანთაძე, რუსული ლიტერატურის თარგმანები 1930-იან წლებში, „ლიტერატურული ურთიერთობანი“, V, თბ., 1974, გვ. 140.

1978 წელს „ძუნწი რაინდის“, „მოცარტისა და სალიერის“ და „ქვის სტუმრის“ თ. ჩხენკელისეული თარგმანები ცალკე წიგნადაც⁴⁶ გამოიცა. ამასთან დაკავშირებით პრესაში ქართულ და რუსულ ენებზე სრულყოფილად და პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტის რეცენზია⁴⁷, სადაც „მცირე ტრაგედიათა“ თ. ჩხენკელისეული თარგმანები საქართველოს კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენად იქნა მიჩნეული.

ამავე წელს გამოქვეყნდა „ქვის სტუმრის“ თ. ჩხენკელისეული თარგმანისადმი მიძღვნილი გ. პეტრიაშვილის რეცენზია⁴⁸, რომელსაც მოჰყვა თ. ჩხენკელის საპასუხო წერილი⁴⁹.

ვფიქრობთ, გ. პეტრიაშვილის მიერ ამ თარგმანისადმი წაყენებული მოთხოვნები ვრცელ კომენტარებს არ საჭიროებს, მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც თ. ჩხენკელმა ამომწურავად გასცა პასუხი ცალკეულ შენიშვნას.

ვფიქრობთ, გ. პეტრიაშვილის მოთხოვნა თარგმანში დედნის ყველა კომპონენტის (ჟანრი, სტილი, ლექსიკა, ზომა და სხვ.) შენარჩუნების აუცილებლობის შესახებ მართებულია და იდეალური თარგმანისაკენ მოგვიწოდებს, ოღონდაც რეალურად, პრაქტიკამ ასეთი რამ არ იცის. თუ დედნის კითხვისას მკითხველსა და ავტორს შორის არაფერ არ დგას, თარგმანის კითხვისას მათ შორის ჩნდება მესამე ფიგურა — მთარგმნელი, რომლის იგნორირებაც არ ხერხდება და მთარგმნელის ნიჭსა და გემოვნებაზე დამოკიდებული, რამდენად ხშირად ჩაენაცვლება იგი ავტორს და რამდენად გადაფარავს მისი ხმა ავტორის ხმას. იდეალურად ცხადია, ის მთარგმნელია საუკეთესო, რომლის კალმის ნაყოფიც აბსოლუტურად გაიმეორებს დედნისეულ ეფექტს და თვით მთარგმნელი კი სრულიად შეუმჩნეველი დარჩება, ასე ვთქვათ, „განზე იდგება“, მაგრამ თვით ისეთ კონვენციულ თარგმანებშიც კი, როგორცია ივ. მაჩაბლისეული შექსპირი, აბსოლუტური იდენტიფიკაცია ხერხდება არა დედნისა და თარგმანის კომპონენტების დაწყვილების გზით, არამედ მთელის მთელთან შედარებით. ასეთ მთლიანობაში შეიძლება ზოგი რამ დეტალებში არ დაემთხვეს ერთმანეთს, მაგრამ ერთი კომპონენტის დანაკლისი ანაზღაურდება მეორე კომპონენტის გაძლიერების ხარჯზე. პრაქტიკამ მრავალჯერ დამტკიცა, რომ დედნისა და თარგმანის კომპონენტობრივ შეპირისპირებას სიტყვასიტყვით თარგმანამდე, ანუ ბუკარდამდე, მიყვავართ და მხატვრული მთლიანობის ნაცვლად ვღებულობთ ნაწილთა რაღაც კონგლომერატს.

აქვე უნდა გავითვალისწინოთ ცნობილი დებულება, რომ ცოცხალი ადამიანი არ არის მისი სხეულის ნაწილების უბრალო ჯამი. მაგრამ, მეორე მხრივ, ამ ნაწილების გარეშეც ხომ არ იქნება ადამიანი. ასეა მხატვრული ნაწარმოებიც: იგი შედგება რაღაც კომპონენტებისაგან, მაგრამ არ არის მათი მექანიკური ნაერთი. ნაწარმოების მთლიანობა ნაწილთა ერთიანობაა და არა მათი გვერდიგვერდ გაწყობა. ეს სწორია, მაგრამ ისიც სწორია, რომ რომელიმე კომპონენტის დაკარგვა ან შეცვლა საზიანოა თარგმანისათვის.

მხატვრული თარგმანის შეფასებისას უმნიშვნელო ადგილი არც შემფასებლის ერთდღიანობას და კრედიტს უკავია. გააჩნია, ვის რა მიაჩნია სრულყოფილად და რა — ნაკლულადად.

ჩვენი აზრით, თ. ჩხენკელისადმი წაყენებული გ. პეტრიაშვილისეული შენიშვნების უმეტესობას იმპერატიულობის ელფერი დაჰკრავს. ამის დამტკი-

⁴⁶ ა. ს. პუ შკინი, მცირე ტრაგედები, თბ., 1978.

⁴⁷ „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1979, 9 ივნისი; „Молодежь Грузии“, 1979, 9 июня.

⁴⁸ გ. პეტრიაშვილი, ვისია სტილი ლამაზი?, „კრიტიკა“, 1979, № 2, გვ. 126.

⁴⁹ თ. ჩხენკელი, ფსევდონიმართლის ფასი, „ცისკარი“, 1979, № 12, გვ. 122.



ცემა თავადვე შესანიშნავად მოახერხა მთარგმნელმა, რომელიც აღნიშნულ წერილში მხატვრული თარგმანის ბრწყინვალე თეორეტიკოსად და პუშკინის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ღრმად ჩახედულ სპეციალისტად წარმოგვიდგა.

ამრიგად, ქართულ პუშკინიანაში „მცირე ტრაგედიათა“ ირგვლივ მოძიებული მასალების შესწავლის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგა: მიუხედავად იმისა, რომ „ქუნწი რაინდი“ და „ქვის სტუმარი“ გასულ საუკუნეშივე ითარგმნა, დიდმა რუსმა მგოსანმა ჩვენში დრამატურგის სახელი გაცილებით გვიან, XX საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიშკვიდრა, რაც ძირითადად იმით იყო განპირობებული, რომ პუშკინის დრამატულ ქმნილებათა ინტენსიური თარგმნა საქართველოში ამ პერიოდიდან დაიწყო და თხუთმეტ თარგმანთან ერთად მიიღო ქართველ პუშკინოლოგთა გამოკვლევებიც, სადაც პუშკინის ლირიკასა და პროზასთან ერთად მის დრამატურგიასაც დაეთმო საგანგებო ყურადღება.

„მცირე ტრაგედიების“ თარგმანებთან ერთად ეს გამოკვლევებიც, რომლებიც ძირითადად წინასიტყვაობებად უძღვის პუშკინის თხზულებათა კრებულების სხვადასხვა გამოცემებს, უთუოდ დიდ დახმარებას გაუწევს ქართველ მკითხველს ამ ურთულესი ფილოსოფიური თხზულებების სწორად აღქმასა და გააზრებაში.

ორიგინალისაგან განსხვავებით „მცირე ტრაგედიების“ ქართული თარგმანები დღეისათვის თითქმის შეუსწავლელია. ქართული პუშკინიანა მხოლოდ ერთი მცირე ტრაგედიის — „ქვის სტუმრის“ მ. თუმანიშვილისეული, კ. ნადირაძისეული და თ. ჩხენკელისეული თარგმანებით შემოიფარგლება.

ვფიქრობთ, პუშკინის ამ უმნიშვნელოვანეს დრამატულ თხზულებათა ყველა ქართული თარგმანი ყურადღებას იმსახურებს და სათანადო კვლევას საჭიროებს.

Т. Г. МГЕБРИШВИЛИ

ИЗ ИСТОРИИ ПЕРЕВОДА НА ГРУЗИНСКИЙ ЯЗЫК
«МАЛЕНЬКИХ ТРАГЕДИЙ» А. С. ПУШКИНА

Резюме

Грузинские переводы поэзии А. С. Пушкина прошлого столетия широко освещаются в исследованиях И. Гришашвили, Г. Леонидзе, М. Даднани, Л. Асатиани, С. Данелия, С. Хуцишвили, И. Ениколопова, В. Шадури, Т. Буачидзе, И. Богомолова и других. Что же касается переводов прозы и драматургии А. С. Пушкина, то, надо отметить, они изучены меньше. В большей степени это относится к грузинским переводам «Маленьких трагедий».

Данная работа ставит целью не только осветить историографию грузинских переводов «Маленьких трагедий», но и дать полную картину критического осмысления как оригиналов, так и переводов в грузинском литературоведении.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეროვნულ ურთიერთობათა კვლევის ცენტრის ლიტერატურულ ურთიერთობათა კვლევის განყოფილება
წარმოადგინა ეროვნულ ურთიერთობათა კვლევის ცენტრმა

მანია რაზავა

მფრემ მცირის „უწყებამ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა“
და „სადღესასწაულო წიგნი“

ეფრემ მცირის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში კარგადაა ცნობილი ორი-გინაღური ნაწარმოები „უწყებამ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენების“¹. აღნიშნული თხზულება, როგორც არაერთგზის აღინიშნა სამეცნიერო ლიტერატურაში, ფრიალ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ქართველთა ქრისტიანულ საარწმუნოებაზე მოქცევისა და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიის შესასწავლად. „უწყებამს“ საქართველოს ისტორიისა და კულტურის არა ერთი და ორი მკვლევარი შეხებია².

ჩვენი თემის მიზანს შეადგენს წარმოვაჩინოთ „უწყებამს“ კავშირი სხვა ლიტერატურულ ძეგლთან, წერილობითი ცნობებისა და ლიტერატურული პარალელების საფუძველზე განესაზღვროთ ამ ძეგლის რაობა, დავაზუსტოთ ამ ძეგლთან დაკავშირებული პიროვნების ვინაობა.

ჩვენთვის საინტერესო საკითხების წამოყენება მნიშვნელოვანწილად განპირობებულია იმ ცნობებით, რომლებიც დასტურდება „უწყებამს“ შესავალსა და ბოლოსიტყვაში.

მიუხედავად იმისა, რომ „უწყებამ“ მცირე მოცულობის ტექსტია, ეფრემი აქაც არ ღალატობს თავის ჩვეულ მწერლურ მეთოდს და მის მიერ შექმნილ თხზულებას ურთავს შესავალსა და ბოლოსიტყვას. „უწყებამ“ ასეთი შედგენილობისაა: 1. შესავალი (გვ. 3), 2. ძირითადი ტექსტი, რომელიც თავისთავად ოთხი ქვესაკითხისაგან შედგება: ა) ანდრია მოციქულის მიმოსვლის შესახებ, ბ) ნინოს მიერ ქართველთა მოქცევის ამბავი (გვ. 5—8), გ) კათალიკოსების ხელთდასხმა და მირონის კურთხევის უფლების კანონიერება (გვ. 8—10), დ) აფხაზთა მოქცევის საკითხი (გვ. 11); 3. ბოლოსიტყვა (გვ. 11—12).

შესავლიდან ირკვევა, რომ „უწყებამ“ ეფრემს შეუთხზავს როგორც მოსახსენებელი, რომელიც მას დაურთავს მის მიერ შეთხზული სხვა წიგნისათვის. ეფრემ მცირე ასე მიმართავს თავის ადრესატს: „ვინაძთვან მადლითა ღმრთისაძთა სრულ-იქმნა გულსმოდგინებამ შენი წიგნისა ამისთვის სადღესასწაულოჲსა, რომელი შენ იწროებასა შინა ეამთასა უხუებით განერცომითა გონებისაძთა მოუგე საზოგადოსა მაგის ნიჭსა ნათესავისა ჩუენისასა ეკლესიასა წმიდისა სუმეონ საკრველთმოქმედისასა... ჯერ-იყო ამასცა ზედა ჩემგან სრულ-ყოფად ბრძანებამ შენი, რაძთა წერით დაიდვას მას შინა მოსაცხენებელი ოდეს მოქცევისა ჩუენისა და თუ რომელთა წიგნთა შინა ბერძენთასა ვსენებულ არს იგი“ (გვ. 3).

¹ „უწყებამ“ გამოცემულია ოთხჯერ: ე. თაყაიშვილი, ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა ანუ მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა, ტფ., 1891, გვ. XXXVII—LVII. თ. ჟორდანიას, ქრონიკები, I, ტფ., 1892; გეორგიკა, I, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1961, გვ. 214—221. ეფრემ მცირე, უწყებამ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენების, თ. ბრეგაძის გამოცემა, თბ., 1959.

² კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1980, გვ. 262; ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, წიგნი I, ტფ., 1916, გვ. 108—111; თ. ჟორდანიას, ქრონიკები, I; ლ. შენაბდუ, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. II, თბ., 1980, გვ. 164.



ეფრემ მცირე გარკვევით ლაპარაკობს ორ ნაწარმოებზე: ერთი არის „წიგნი სადღესასწაულო“, მეორე თვით „უწყება“. ადრესატს დიდი გულმოდგინება გამოუჩენია, რომ ეს წიგნი სრულ-ყოფილიყო, ე. ი. შექმნილიყო ქართულ ენაზე. იმავე ადრესატს დაუვალვია ეფრემისთვის „უწყებას“ დაწერა და „სადღესასწაულო წიგნზე“ დართვა.

ტექსტის სხვა ადგილასაც ეფრემი იმეორებს, რომ „უწყება“ მოსაყენებელია, რომლის დაწერა მისთვის დაუვალვია იმავე ადრესატს: „მრავალ ჟამ ვდროებდ აღწერად ბრძანებულსა ჩემდა შენ მიერ მოსაყენებელსა ამას“ (გვ. 1).

„უწყებას“ შემცველი ერთ-ერთი ხელნაწერის, A 24-ის, გადამწერიც, რომელიც მე-12 ს. მოღვაწეა, ტექსტის ბოლოს არსებულ მინაწერში ამ ნაწარმოებს „მოსაყენებელს“ უწოდებს: „სრულ იქმნა ესეცა ქართველთა ოდეს მოქცევისა მოსაყენებელი...“ (გვ. 12).

„უწყება“ თავისი კომპოზიციითა და იდეური მიზანდასახულობით სავესებით ესადაგება იმ გაგებას, რომელსაც „მოსაყენებლის“ მნიშვნელობაში აქსოვდა ეფრემ მცირე. გავიხსენოთ, რომ თავის მეორე ორიგინალურ ნაწარმოებში — „მოსაყენებელი მცირე სუმონისთვის ლოლოთეტისა [და] თხრობა მთხუზთა ამათ საკითხავთა თარგმანისათა“ — ეფრემი განმარტავს, თუ რას ეწოდება „მოსაყენებელი“: სუმონ ლოლოთეტმაო „საეკლესიო თხრობათაგან და ხრონოლოგათა მცირედ-მცირედნი საკითხავები შექმნა და „მოსაყენებელ“ უწოდა“³.

ეფრემის განმარტებით, „მოსაყენებელი“ არის ისეთი კომპილაციური ძეგლი, რომელიც სხვადასხვა წყაროებიდან ამოკრეფილ ცნობებს ეფუძნება და ამა თუ იმ ამბის, მოვლენის ან პიროვნების ცხოვრების ფიქსაციის მიზნით არის დაწერილი. „უწყება“ გამოყენებული წყაროებისა და იდეური ხასიათის მიხედვით სავესებით შეეფერება ამ განმარტებას. იგი მოსახსენებელია.

როგორც ეფრემ მცირე მიუთითებს, მის მიერ „უწყებაში“ გამოყენებულია შემდეგი წყაროები: თეოდორიტე კვირელის „საეკლესიო ისტორია“, ევაგრე ისტორიკოსის „საეკლესიო ისტორია“ და ანტიოქური „ხრონოგრაფი“. დასახელებული წყაროებიდან ეფრემს გამოუტყრფელა ადგილები ერთი მიზანდასახულობით: დამტკიცებინა ქართველთა სარწმუნოების მართლმადიდებლური ხასიათი და ქართული ეკლესიის ავტოკეფალობა.

ეფრემ მცირის სიტყვებით, მას უწყებად წერით დაუღვია, ანუ ჩაურთავს „სადღესასწაულო წიგნში“. ამის შესახებ იგი ორჯერ ლაპარაკობს „უწყებას“ შესავალსა და ბოლოსიტყვაში. შესავალში სწერია: „მადლითა ღმრთისაათა სრულ-იქმნა გულსმოდგინებად შენი წიგნისა ამისთვის სადღესასწაულოსა, რომელი შენ... მოუგე... ეკლესიასა წმიდისა სუმეონ საკრველთმოქმედისასა“ (გვ. 8). ბოლოსიტყვაშიც ისევე იმ წიგნის მოგებაზე ლაპარაკი: „რომელნი... სიტყვით გინა საქმით მოლუაწე იქმნენს მოგებასა ამის წმიდისა წიგნისა“ (გვ. 12)⁴.

სიტყვები „წმიდისა წიგნისა“ „უწყებას“ არ ეხება. „უწყებას“ შინაარსა, მისი ისტორიული ხასიათი არ იძლევა იმის საფუძველს, რომ იგი წმინდა წიგნად გამოეცხადებინა ეფრემ მცირეს. შუასაუკუნეობრივი სამწერლობო ტრადიციების გავლენით და საკუთარი ეთიკური შეხედულებების კარნახითაც ეფ-

³ კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, თბ., 1957, გვ. 224.

⁴ A-24 ნუსხაში ეს ადგილი ცუდად იკითხება ფურცლის დაზიანების გამო. სიტყვა დაქარაგმებულია. გამოცემებში იგი არაზუსტად არის გახსნილი. ს. ყაუხჩიშვილის გამოცემაშია: „წმიდისა ადგილისა“ (გეორგიკა, I, გვ. 220). თ. ბრეგაძის გამოცემაში: „წმიდისა გიორგისა“ (გვ. 12).

რემ მცირე მის მიერ შეთხზულ ნაწარმოებს, როგორცაა „უწყება“⁵, წმინდა წიგნად არ მოიხსენებდა. წმინდა წიგნის ქვეშ ეფრემი გულისხმობს იმ „სადღესასწაულო წიგნს“. ამ უკანასკნელის შესახებ ეფრემი ისეთ კონტრექსტურულ საკობს, რომ აშკარად ჩანს მისი, როგორც ავტორის თუ შემდგენლის მიერ, თება იმ წიგნთან: „წიგნისა ამისთვის სადღესასწაულომასა“, „ჯერ-იყო ამასცა ზედა“, „ამის წმიდისა წიგნისასა“ — ამ სიტყვებიდან ნათლად ჩანს, რომ ეს წიგნი ეფრემს ხელთ უბყრია, მის მიერაა შექმნილი, შედგენილი ან თარგმნილი.

„უწყება“ რომ სადღესასწაულო წიგნთან იყო დაკავშირებული, ამას ადასტურებს A-24 ნუსხის გადამწერის ცნობაც. „უწყებას“ დასაწყისში, სათაურის გასწვრივ, არშიაზე წერია: „მე ესე სადღესასწაულომასგან გარდავეწერე“ როგორც ირკვევა, A 24 ნუსხის გადამწერმა „უწყება“ გადამწერა „სადღესასწაულოს“ ეფრემ მცირის ავტოგრაფული ნუსხიდან, რაზეც მიგვანიშნებს იმავე გადამწერის სხვა მინაწერი: „სრულ-იქმნა ესეცა ქართველთა ოდეს მოქცევისა მოსაკესენებელი თვით ღირსისა ეფრემის ნუსხისაგან“ (გვ. 12).

ამრიგად, ეფრემ მცირისა და A 24 ხელნაწერის გადამწერის ცნობები სრულიად ნათლად მეტყველებენ იმაზე, რომ ეფრემს შეუდგენია წიგნი „სადღესასწაულო“, რომლის ავტოგრაფული ნუსხა შეიცავდა „უწყებას“ ტექსტსაც. იბადება კითხვა, რომელი ნაწარმოები თუ ნაწარმოებები უნდა ვიგულისხმოთ „სადღესასწაულო წიგნის“ ქვეშ? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად გავიხსენოთ, თუ რა ვიცი სადღესასწაულოს შესახებ.

სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეული აზრი არსებობს სადღესასწაულოს შესახებ. სადღესასწაულოს ქვეშ, როგორც ცნობილია, იგულისხმებოდა ლიტურგიკული კრებულები. განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სადღესასწაულო სხვადასხვა შინაარსით ესმოდათ. როგორც ფიქრობენ, სადღესასწაულომ რომ რამდენიმე ჩამოყალიბებული სახე გაცილებით გვიან მიიღო, დაახლოებით XII—XIII ს-დან. ადრეული ქრონოლოგიური ზღვარის განსაზღვრა ჭირს, ხოლო ზედა საფეხურის მიჯნა, როცა დასრულდა სადღესასწაულოს ტიპი, XVII საუკუნეა. გამოთქმულია აზრი, რომ „ტრადიციული რედაქციის სადღესასწაულო გულისხმობს მხოლოდ და მხოლოდ ჰიმნოგრაფიულ მასალას (არა ყველა დღეზე), ლიტურგიკული ხასიათის მითითებებსა და საკითხავებს ბიბლიური წიგნებიდან. ამ პერიოდის სადღესასწაულოში სვინაქსარული ცხოვრებანი, იშვიათი გამოწყლისის გარდა, წარმოდგენილი არაა“⁶.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ეფრემ მცირეს მსგავსი ხასიათის ლიტურგიკული კრებული ჰიმნოგრაფიული მასალითა და ლიტურგიკული ხასიათის მითითებებით არ შეუქმნია. ამდენად საფიქრებელია, რომ ეფრემ მცირე ტერმინ „სადღესასწაულოს“, ტრადიციული გაგებისაგან განსხვავებით, სხვა შინაარსისა და შედგენილობის წიგნის მიმართ ხმარობს.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა, რომ სადღესასწაულო კრებულის მოდელს, პირველსახეს მრავალთავეს უკავშირებენ. როგორც ფიქრობენ, მრავალთავეები მხოლოდ საუფლო დღესასწაულებზე საკითხავად იყო განკუთვნილი. უძველესი მრავალთავეები თავდაპირველად მხოლოდ ჰომილიებს შეიცავდა, პაგოგრაფიული მასალა მერე დაემატა⁷. ამ მხრივ საყურადღებოა სინას მრავალთავის ანდერძი: „ამას შინა არს შემკობაა წელიწდისა დღესასწაულთა ყოველთაჲ, თქუმული წმიდათა მოძღუართაჲ“ (სინური მრავალთავი, გვ. 281).

⁵ მ. ქავთარია, ძველი ქართული პოეზიის ისტორიიდან, XVII—XVIII, თბ., 1977, გვ. 39.

⁶ M. van Esbroeck, Les plus anciens homéliaires géorgiens, Louvain La-Neuve, 1975, გვ. 1—19.

A 95 პარხლის მრავალთავის ზანდუკი ამასვე აღნიშნავს: „ზანდუკი წიგნის ამის მარტკლთა წმიდათა მეტაფრასისა და დღესასწაულთა საკითხავებშია (654r). აქ საყურადღებოა მარტკლთა მეტაფრასების და დღესასწაულთა საკითხავების ცალ-ცალკე დასახელება. ჰაგიოგრაფია და ჰომილეტიკური მასალა გამოიჯნულია.

ჰაგიოგრაფიული და ჰომილეტიკური კრებულების განვითარებისა და ურთერთშეგვების თვალსაზრისით X—XI საუკუნეები გარდატეხის მიჯნაა. მხედველობაში გვაქვს ამ კრებულების დამუშავება მეტაფრასულ კრებულებად. ეს საკითხი იმდენად რთული და სერიოზულია, რომ, როგორც ვიცით, მასზე დამოუკიდებელი კვლევა-ძიება მიმდინარეობს. ამჟამად ჩვენთვის ის არის საინტერესო, რომ ეფრემის მოღვაწეობის დროისთვის ადგილი აქვს მეტაფრასული კრებულების სხვადასხვა ჰომილეტიკური თხზულებებით შეგვების ფაქტს. გამოთქმულია აზრი, რომ საეკლესიო მამათა ჰომილიები სვიმეონ ლოლოთეტის მეტაფრასებში შეიტანეს XI ს-დანვე. შეიძლება ისინი თვით სვიმეონმა შეიტანათავის კრებულში⁷.

„სადღესასწაულო წიგნის“ რაობის დადგენის მიზნით უპირველესად უნდა გავითვალისწინოთ, თუ რომელ თხზულებებთან ერთად გვხვდება „უწყებად“, ანუ რამდენად შეეფერება სახელწოდება „სადღესასწაულო“ იმ ნაწარმოებებს, რომლებთანაც ერთად დღეს დასტურდება „უწყებად“.

ყველაზე ძველსა და სანდო ნუსხაში, როგორცაა A 24 (XII ს.), „უწყებად“ გვხვდება იოანე დამასკელის „წყაროე ცოდნისაისა“ და იოანე დამასკელი⁸ ცხოვრებასთან ერთად. მეორე ასევე ძველ ნუსხაში (ქუთ. 25, XIII ს.), იგი ერთვის არსენი იყალთოელის „დიდ შჯულისკანონს“. დანარჩენი ნუსხება (H 256, H 40, S 184, P 155) ყველა XVIII ს-ისაა. ტექსტი ყველგან ნაკლებია, წყდება ერთსა და იმავე ადგილზე⁸.

ვინაიდან აღნიშნულ ხელნაწერებში დადასტურებული არც ერთი ნაწარმოები არ პასუხობს სადღესასწაულოს არანაირ შინაარსს, ამდენად ისინი არ შეიძლება წარმოადგენდნენ იმ სადღესასწაულო წიგნს, რომელსაც ეფრემ მცირემ დაურთო თავისი „უწყებად“. ამ ნუსხებში „უწყებად“ შემდეგი დროის გადამწერთა მიერ იქნა შეტანილი⁹.

ვინაიდან ეფრემის მიერ შეთხზულსა თუ თარგმნილ არც ერთ წიგნს დღეს ეს სახელწოდება არა აქვს, შევეცადოთ სხვადასხვა მონაცემის საფუძველზე დავადგინოთ, რომელი ამ წიგნთაგანი შეიძლება იყოს სადღესასწაულო.

1. უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს სახელწოდება „სადღესასწაულო“. ხელნაწერებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ეფრემის დროისთვის გარკვეული ჰომილიები იწოდებოდა „სადღესასწაულოდ“. მაგალითად, ეფრემი „სადღესასწაულოს“ ხმარობს გრიგოლ ნაზიანზელის 16 ლიტურგიკული ჰომილის აღსანიშნავად¹⁰. ბერძნულ ხელნაწერთა ტრადიციით, მათ ლიტურგიკული ჰომილიები ეწოდებოდა, რადგანაც ეს საკითხავები საეკლესიო დღესასწაულის დღეებში იკითხებოდა ღვთისმსახურების დროს¹¹.

⁷ ნ. გ. ა. უ. ა. ძე, ძველი მეტაფრასული კრებულები (სექტემბრის საკითხავები), თბ., 1986, 83-19.

⁸ ეფრემ მცირე, უწყებად... თ. ბრეგაძის გამოცემა, გვ. 020.

⁹ A-24 ნუსხა რომ არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს „უწყებადს“ დედანს, იმიტომ მტკიცდება, რომ მისი დამკვეთი სხვა პიროვნებაა, „უწყებასა“ კი — სხვა. A-24-ის თხზულებები ეფრემს უთარგმნია მღვდელ ვაზრიელის ბრძანებით, ხოლო „უწყებად“ (როგორც შემდგომ დაინახავთ), მღვდელ იოანე კვირიკის ბრძანებით.

¹⁰ Ier 13,250r; A 292, 282v.

¹¹ G. Galavaris, The Illustrations of the liturgical Homilies of Gregory Nazianzenus, Princeton, 1969.



საკითხავთა სადღესასწაულო ტიპი რომ ტრადიციულად არსებობდა იმ დროისთვის, ამაზე მიანიშნებს იმავე გრიგოლ ნაზიანზელის პომილიეზულ¹² თული პერძენი ავტორების კომენტარები. ზოგიერთ მათგანს ახლავს მითითება იმის შესახებ, რომ საკითხავი წარმოადგენს სადღესასწაულო სახის, ანუ ეანრის, ნაწარმოებს:

სადღესასწაულოა სახე აქუნდა პირველსა მას სიტყუასა ნათლისღებისასა“ (Ier 13, 328r; A 109, 86r). „დღიღისა ათანასისთესი ესე სიტყუად, ცხად არს, ვითარმედ **დღესასწაულობისა სახისგანობითა შესხმა არს**“ (Ier 13, 338r; A 109, 121r). „**სადღესასწაულოა სახედ** აღიყვანების ესეცა სიტყუად“ (Ier 13, 346v; A 109, 139r); „სიტყუად ესე **სადღესასწაულოა პირხა და სახესა გჳადაგებს**“ (Ier 13, 381r; A 109, 211r); „აწინდელსა ამასცა სიტყუასა **სადღესასწაულოა ხატი ზედა აც**“ (Ier 13, 372v; A 109, 205r).

„სადღესასწაულო სახე ან ხატი“ მეტყველებს იმაზე, რომ იმდროინდელ ბიზანტიურსა და ქართულ მწერლობაში არსებობდა სადღესასწაულო პომილიეზუმი, როგორც გარკვეული ლიტერატურული ენარი.

„სადღესასწაულო“, როგორც საკითხავთა გარკვეული ენარი რომ აშკარად არსებობდა, ჩანს იქიდანაც, რომ ერთ-ერთ კომენტარში მას უპირისპირდება „სწავლითნი სიტყუანი“, ე. ი. დამოძღვრითი ენარის საკითხავი.

„ნათლისღებისათვის“ საკითხავს მიწერილი აქვს: „სადღესასწაულოა სახე აქუნდა პირველსა მას სიტყუასა ნათლისღებისასა, რამეთუ დაღათუ სწავლითნიცა რამე სიტყუანი შეეზავებოდეს, გარნა ეგრეთცა უმრავლესისა კერძოდაგან არს სახელისდებად. ხოლო შემდგომი ამისი ამისვე სახისად ჩანს, გარნა არა დაიცავს სახესა სადღესასწაულოდასა, ვითარმედ უფროსლა სწავლით კერძოდ არს პირი მისი, რამეთუ იხილე, ვითარ უმეტესისა ნაწილისაგან მაწუეველობითად ზედაწარწერილ არს“ (A 109, 86r).

ნათლისღების ორი საკითხავიდან პირველს (Or 39) თუმცა სწავლითი, ანუ დამოძღვრითი შინაარსიც აქვს შერეული, მაგრამ მისი სახელწოდება ძირითადად სადღესასწაულო არის. მეორე საკითხავიც (Or 40) სადღესასწაულო სახის ჩანს, მაგრამ რადგან ამაში მეტია დამოძღვრითი ნაწილი, ამიტომ სათაურში აქვს: მაწუეველობითი, ე. ი. მომწოდებელი, აპოლოგეტური. ამ კომენტარში აშკარად გამოიჩნულია სხვადასხვა ენარის საკითხავები: სადღესასწაულო და სწავლითი, ანუ დამრიგებლური.

ჩვენი ყურადღება მიიქცია სახელწოდება „სადღესასწაულომ“, რომელიც დასტურდება რამდენსამე მეტაფრასულ კრებულში.

H 1760 მეტაფრასული კრებულის ანდერძში წერია: „დღესასწაულთა საკითხავნი“ (225r). ქუთ. 8 ნუსხის ანდერძში: „წელიწადის დღესასწაულის მეტაფრასი“ (986r). Ier 30 მეტაფრასული კრებულის სახელწოდება ზანდუკის მიხედვით ასეთია: „შეწევნითა ღმრთისადათა ზანდუკი წიგნისა ამის, რომელსა უწოდიან სადღესასწაულოა“ (261r). კრებული გამოცხადებულია სადღესასწაულო წიგნად. კრებულში, მართლაც, დასტურდება სხვადასხვა საეკლესიო მამის მიერ დღესასწაულებზე გამოთქმული პომილიები. Ier 30, რომელიც ძირითადად ეფრემისეულ თარგმანებს შეიცავს, შედგენილობის მიხედვით მსგავსებას პოულობს სხვა მეტაფრასულ კრებულებთან. ესენია: Ier 23 (XII—XIII ს.), Ier 38 (XII—XIII ს.), H 1347 (XI—XII)¹². აღნიშნულ კრებულებში სადღესასწაულო ხასიათის პომილიები ცნობილი ბიზანტიელი მწერლები

¹² მათ შესახებ იხ. Catalogue des Manuscrits Géorgiens de la bibliothèque patriarcale Grecque à Jérusalem, par R. Blake, Paris, 1924.

ზისა ჩართულია სხვადასხვა მეტაფრასულ საკითხავში, წმინდანთა წამებებისა და ცხოვრებათა რიგში.

სადღესასწაულო ჰომილიების ეფრემისეული თარგმანების მეტაფრასულ კრებულეებში გავრცელების სურათს თუ დავაკვირდებით, ჩვენი აზრით, ნათლად იკვეთება, რომ მათ საერთო წყარო აქვთ, ისინი ერთი აღნაგობის დედნიდან არიან შეტანილი კრებულეებში. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეფრემ მცირეს სადღესასწაულო ჰომილიები დამოუკიდებელი კრებულის სახით უთარგმნია, ხოლო მეტაფრასულ კრებულეებში ისინი მოგვიანებით შეუტანიათ.

ამ ვარაუდისთვის გარკვეულ საფუძველს იძლევა ჩვენდა საბედნიეროდ შე-
მორჩენილი ხელნაწერი S 1276 (XI ს-ის II ნახევარი)¹³.

ხელნაწერი სპეციალურად არის შესწავლილი და დადგენილია, რომ ჩვენ-
თვის საინტერესო პირველი ნაწილის (ჰომილიტიკური საკითხავების) მთარგ-
მნელ-რედაქტორს არის ეფრემ მცირე. გამოთქმულია აზრი, რომ ხელნაწერი
ეფრემის ავტოგრაფს წარმოადგენს¹⁴. მთელი კრებული თარგმნის, გადაწერისა
თუ რედაქტირების თვალსაზრისით ეფრემ მცირის ნამოღვაწარია. ეს ფაქტი
ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია.

კრებულის შედგენილობისა და სხვა მონაცემების გათვალისწინების შედე-
გად ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ კრებული S 1276 ვალიაართ სადღე-
სასწაულო წიგნად. ჯერ ერთი, S 1276 ხელნაწერი შედგენილობით დიდ მსგავ-
სებას ავლენს იმ მეტაფრასულ კრებულეებთან, რომელთაგან ერთს (Ier 30-ს),
როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სადღესასწაულო წიგნი ჰქვია. ის გარემოება, რომ
S 1276-ს არა აქვს სახელწოდება „სადღესასწაულო“, არავითარ დაბრკოლებას
არ წარმოადგენს S 1276 ნუსხის სადღესასწაულო წიგნად აღიარებისათვის.
საქმე ისაა, რომ ხელნაწერი თავბოლონაკლულია, დაზიანების გამო მას არც
სათაური და შესავალი აქვს, არც ბოლო. ამდენად სრულიად დასაშვებია, რომ
მას ჰქონოდა ასეთი სახელწოდება.

მეორეც, S 1276 კრებულს აქვს ზოგი პარალელი „უწყებადში“ დაცულ რამ-
დენიმე ფაქტობრივ მონაცემთან. რა მონაცემები არსებობს იმისათვის, რომ
სადღესასწაულო წიგნად ვალიაართ S 1276 კრებული?

I. S 1276 ეფრემისეული კრებული თავისი შედგენილობით გვერდში უდგას
ზემოხსენებულ კრებულებს: Ier 23, Ier 38, ნაწილობრივ Ier 30-სა და H 1347-ს.
მართალია, შედგენილობის მიხედვით S 1276-ის ზუსტი ანალოგი არც ერთი
მათგანი არ არის, მაგრამ ყველა ის საკითხავი, რომლებიც დასტურდება
S 1276-ში, გვხვდება აღნიშნულ კრებულეებში.

S 1276-სა და აღნიშნულ კრებულებს შორის შემდეგი განსხვავება არსე-
ბობს: ა) S 1276-ში სადღესასწაულო ჰომილიები დასტურდება და ორი ჰაგიო-
გრაფიული თხზულება-ცხოვრება — იოანე დამასკელისა (42r—56r) და სოფ-

¹³ ჩვენდა საბედნიეროდ — ვამბობთ, რადგან აღნიშნული ხელნაწერი დღეს ნაკლულია და
გავრთიანებულ-აქინძულია სხვა ხელნაწერთან ერთად.

¹⁴ ე. მეტრეველი, ეფრემ მცირის ავტოგრაფი, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე,
I, თბ., 1959, გვ. 115—125. კრებულის 13 საკითხავიდან 9 სიტყვის მთარგმნელად ეფრემ
მცირეა გამოცხადებული (იქვე, გვ. 123). ერთი სიტყვის — ებიფანე კვიპრელის „მეტკალდე-
ბისათჳს ანაგისა“ მთარგმნელად ზოგნი თოფილუს მიიჩნევენ, ზოგნი კი მას ეფთვიმე მთა-
წმიდელს მიაწერენ (იქვე, გვ. 121). Ier 30 ნუსხის ზანდუკის ცნობის მიხედვით, მისი მთარ-
გმნელი ეფთვიმე მთაწმიდელია. სამი საკითხავიდან, რომელთა მთარგმნელის ვინაობა დაუდგე-
ნელი იყო, ერთ-ერთის, იოანე ოქროპირის „ჯვარის აპურობის“, მთარგმნელად იმავე Ier 30-ის
ზანდუკში ეფრემ მცირეა მითითებული. ამრიგად, 13 საკითხავიდან 10 უშეკვლად ეფრემის
თარგმნილია, 1 — ეფთვიმისი, 2 საკითხავის მთარგმნელის ვინაობა დაუდგენელია. საესებოთ
მოსალოდნელია, რომ ისინიც ეფრემის მიერ იყოს თარგმნილი, რადგან, როგორც ცნობილია,
ეფრემს სხვისი თარგმანები რომ შეეტანა კრებულში, იგი მთარგმნელის ვინაობას აუცილებ-
ლად გააცხადებდა (იქვე, გვ. 121).



რონ იერუსალიმელის შესხმა გრიგოლ ღვთისმეტყველისა (107r—115v) ხელ
 ლო მეტაფრასულ კრებულებში ჰაგიოგრაფიული მასალა ბევრად მეტაფრასულ
 ლიები ჩართულია მათ რიგში. ჩვენთვის საყურადღებო ისაა, სადღესასწაულო
 ჰომილიები, მცირე გამოხატვისის გარდა, ნუსხათა დასაწყისშია განლაგებული
 და თანაც იმ თანამიმდევრობით, რითაც ისინი დასტურდება S 1276-ში. გამო-
 ნაკლისი თანამიმდევრობის თვალსაზრისით ძალზე იშვიათია.

ჰომილიათა ერთნაირი თანამიმდევრობა გვაფიქრებინებს, რომ კრებულებს
 საერთო წყარო აქვთ; მეტაფრასულ კრებულებში ისინი S 1276 ნუსხიდან ან
 მისი მსგავსი დედნიდან არიან შეტანილი.

ბ) რაოდენობრივად მეტაფრასულ კრებულებში მეტია ჰომილიები, ვიდრე
 S 1276-ში; განსაკუთრებით ნუსხათა დასაწყისებში მეტია სამი ჰომილია. S 1276
 იწყება იოანე დამასკელის სიტყვით „სატფურებისათვის“, დანარჩენი კრებუ-
 ლები — ღვთისმშობლის შობის საკითხავებით¹⁵. ეს საკითხავები S 1276-ში
 საერთოდ არ დასტურდება. მაგრამ იკვლევა, რომ ხელნაწერში ღვთისმშობლის
 სამივე ჰომილია უნდა ყოფილიყო. ამაზე მიანიშნებს შემდეგი: პირველი ჰომი-
 ლის, დამასკელის „სატფურებისათვის“, სათაურის გასწვრივ უზის ასოთი სა-
 თვალაღი „დ“, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ მანამდე იქნებოდა ა, ბ, გ საკითხა-
 ვებიც. მოსალოდნელია, რომ ეს იყო სწორედ ღვთისმშობლის შობის ის სამი
 ჰომილია, რომელიც დღეს გვაქვს მეტაფრასულ Ier 38 კრებულში. ამრიგად,
 როგორც ჩანს, S 1276-იც იწყებოდა ღვთისმშობლის ციკლის საკითხავებით.

კრებულების ერთი და იმავე ჰომილიებით დაწყებაც იმაზე უნდა მიუთი-
 თებდეს, რომ მათ ერთი საერთო წყარო აქვთ, ეს წყარო უნდა იყოს S 1276
 ნუსხა, რომელიც, როგორც ჩანს, სპეციალური მიზანდასახულობის კრებულს
 წარმოადგენდა. მასში ეფრემ მცირეს გაუერთიანებია საუფლო დღესასწაულე-
 ბისადმი მიძღვნილი ჰომილიები. კრებული იწყება ღვთისმშობლის შობის სა-
 კითხავებით და მთავრდება (თუ მხედველობაში არ მივიღებთ გრიგოლ ღვთის-
 მეტყველის შესხმას) უფლის ნათლისღების საკითხავებით¹⁶.

ვინაიდან სრულიად ნათელია S 1276 კრებულთან მეტაფრასული კრებულე-
 ბის კავშირი, რომელთაგან ერთ-ერთს (Ier 30) შემორჩენილი აქვს სახელწო-
 დება „სადღესასწაულო წიგნი“, ამ მიმართების საფუძველზე შესაძლოდ მი-
 გვაჩნია განვაცხადოთ, რომ S 1276-იც, ალბათ, ატარებდა სადღესასწაულო
 წიგნის სახელწოდებას. მისი შედგენილობის მიხედვით ეს სრულიად დასაშვე-
 ბია.

II. „უწყებად“ S 1276 კრებულთან ან ანალოგიური შედგენილობის რო-
 მელიაც ნუსხასთან კავშირზე მეტყველებს შემდეგი ფაქტიც: A 24 ნუსხის
 ბოლოს, სადაც „უწყებად“ ტექსტი თავდება, არის გადამწერის ანდერძი, სინ-
 გურით ნაწერი: „სრულ იქმნა ესეცა ქართველთა ოდეს მოქცევისა მოსაყენე-
 ბელი თუთ ღირსისა ეფრემის ნუსხისაგან“ (147v). მას მოსდევს ფრაგმენტო,
 სადაც ლაბარაქია ელინური ფილოსოფიური სკოლების შესახებ. შემდეგ ისევ
 გადამწერის ანდერძია, სინგურით დაწერილი: „ლოცვა ყავთ ეფრემ მცირისთვის,
 რომლისა მიერ თარგმნილ არს წიგნი ესე სულთა სარგებელი ცხორებითურთ
 იოანე დამასკელისათ, რომლისა დაცვითა გვხსენინ ღმერთმან ტყუეობისაგან
 სულიერისა, ამინ“ (147v).

¹⁵ Ier 38-ში სამი ჰომილია ღვთისმშობლის შობისა: ანდრია კრიტელისა, იოანე დამასკე-
 ლისა და ისევ ანდრია კრიტელისა. Ier 23-ში ორი ჰომილია ღვთისმშობლისა: ანდრია კრი-
 ტელისა და იოანე დამასკელისა. H 1347-ში არის: სვიმონ მესვეტის ცხოვრება + ორი ჰომი-
 ლია: ანდრია კრიტელისა და იოანე დამასკელისა.

¹⁶ ვინაიდან კრებული ბოლონაკლულია, ვერაფერს ვიტყვით იმაზე, იყო თუ არა კრებულში
 სხვა სადღესასწაულო საკითხავები.



ბოლო ანდერძი აშკარად ეკუთვნის A 24-ში მოთავსებულ პირველ ორ ნაწარმოებს: „წყაროა ცოდნისაჲს“ და დამასკელის ცხოვრებას. ამ ანდერძში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ეფრემმა ისინი თარგმნა. „უწყებაჲ“ კი, როგორც ვიცით, ორიგინალური ნაწარმოებია. როგორც ჩანს, A 24-ის გადამწერმა „წყაროა ცოდნისაჲსა“ და დამასკელის ცხოვრების ტექსტებს გადაწერისას სხვა დედნიდან მიაყოლა „უწყებაჲ“ და პირველთა ანდერძი ბოლოში, „უწყებაჲს“ შემდეგ, მოექცა¹⁷.

„უწყებაჲს“ ტექსტს, როგორც აღვნიშნეთ, მოსდევს ფრაგმენტი, რომელშიც ჩამოთვლილია ელინური ფილოსოფიური სკოლები. აქ წერია: „[ა]. ამიერ დას-ცხრა აკადიმიაჲ, ამიერ დაღუჲმნა სტოვაჲ, ამის მიერ უქმ არს პერიპატოჲ, ამის მიერ მძრწოლარე არს ლუკიონ, ამის მიერ დათარგუნილ არს ათინაჲ, ესე იგი არს ქრისტეს გამოჩინებთა“. [ბ]. ესე ყოველნი სახელნი არიან ადგილთანი, რომელთა შინა სასწავლონი საწარმართოჲსა სიბრძნისანი და მათ შორის საკერპონი, რომელთა უზორვიდეს მოსწავლენი იგი სიბრძნისანი“¹⁸.

ეს ფრაგმენტი სრულად უადგილოდ გამოიყურება „უწყებაჲს“ ტექსტსა და ანდერძს შორის. საიდან გაჩნდა იგი A 24 ნუსხაში? როგორც გაირკვა, ეს არის ფრაგმენტი ერთ-ერთი სადღესასწაულო ჰომილიიდან, რომელიც დასტურდება ზემოხსენებულ მეტაფრასულ კრებულებში. ეს არის სოფრონ იერუსალიმელის „მიგებებისათჳს უფლისა და ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესისა“.

სოფრონ იერუსალიმელს ეკუთვნის ზემომოყვანილი ფრაგმენტის ა მონაკვეთი. ბ მონაკვეთი ყოფილა ეფრემ მცირის შეისწავე-სქოლიო, რომელიც მას განმარტების სახით დაურთავს სოფრონ იერუსალიმელის ტექსტის აღნიშნული ადგილისათვის. ეს შეისწავე მეტაფრასულ კრებულებში არშიაზება გატანილი. A 24-ის გადამწერს იგი შიგ ტექსტში ჩაურთავს¹⁹.

A 24-ში სოფრონ იერუსალიმელის ჰომილიის ფრაგმენტის „უწყებაჲს“ ტექსტთან არსებობა იმაზე მიანიშნებს, რომ ისინი A 24-ის გადამწერმა ერთი და იმავე დედნიდან გადმოწერა. ჩვენი აზრით, იგი უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი ზემოთ წარმოდგენილი კრებული, შეიძლება S 1276 ნუსხა. ის გარემოება, რომ S 1276-ში სოფრონ იერუსალიმელის „მიგებებისათჳს“ დღეს არ დასტურდება, არ არის დაბრკოლება ამ ვარაუდისათვის. ეს ჰომილია მოსალოდნელია ყოფილიყო S 1276-ში, მაგრამ ხელნაწერის დეფექტურობის გამო იგი დღეს არ ჩანს. S 1276 თავდება სოფრონ იერუსალიმელის ჰომილიით „შესხმა გრიგოლ ღვთისმეტყუელისა“. შესაძლოა აქ მომდევნოდ ყოფილიყო ამავე ავტორის „მიგებებისათჳს“, როგორც ეს დღეს არის H 1347-სა და Ier 38-ში (ეს უკანასკნელი ხომ შედგენილობით ყველაზე ახლოსაა S 1276 ნუსხასთან!).

III. „უწყებაჲს“ კავშირზე სადღესასწაულო ჰომილიების შემცველ კრებულთან მეტყველებს კიდევ ერთი ხელნაწერის მინაწერი. ეს არის მე-18 ს-ის Q 654 კრებული. კრებულის პირველ ნაწარმოებს, იოანე ოქროპირის „ოქტოს წყაროს“, დართული აქვს ზანდუკი. ზანდუკის შემდეგ მხედრულით დაწერილია „უწყებაჲს“ დასაწყისი ტექსტი (31—51). ტექსტს ახლავს მინაწერი: „ასე და-

¹⁷ A 24 ნუსხისთვის ს. გორგაძეს დაურთავს სარჩევი (გვ. 148), რომელსაც ახლავს პატარა მინაწერი, რომელშიც მკვლევარი იუწყება, რომ აღნიშნული ანდერძი და წარმართულ სკოლებზე ტექსტი უნდა წინათ მოთავსებული ყოფილიყო წმ. იოანეს ცხოვრების შემდეგ. ე. ი. მკვლევრის მოსაზრებით, აღნიშნული ანდერძი ეკუთვნის „წყაროა ცოდნისაჲს“ და დამასკელის ცხოვრებას.

¹⁸ Ier 38, 226v; A 129, 116r; A 162, 58r—66r; Ier 17, გვ. 35; A 1347, გვ. 239.

¹⁹ აღნიშნული ფრაგმენტის შემცველი ტექსტი, როგორც „უწყებაჲს“ დამატება, გამოქვეყნებულია ს. ყუხჩიშვილის მიერ, იხ. გეორგიკა, I, გვ. 220—221.



სრულდა დედანში. ღვთისმშობლის მეტაფრასში ასე სწერია* (100v—101r). ჩვენს ყურადღებას ეს მინაწერი იქცევს. „უწყებაჲ“ გადაწერილია რომელსაც ღვთისმშობლის მეტაფრასს უწოდებს გადაწერი. ჩვენი აზრით, ღვთისმშობლის მეტაფრასში ერთ-ერთი ზემოაღნიშნული კრებული უნდა იგულისხმებოდეს, რადგან ეს კრებულები იწყება სწორედ ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ჰომილიებით.

IV. „უწყებაჲს“ ტექსტის S 1276 ნუსხასთან ან მის ასლთან დაკავშირებისათვის ყველაზე საყურადღებო არგუმენტს უნდა წარმოადგენდეს ის, რომ, ჩვენი აზრით, პიროვნება, რომელმაც ეფრემ მცირეს დაუკვეთა „უწყებაჲს“ დაწერა, არის იგივე პირი, რომელმაც მას S 1276 კრებული ათარგმნინა. რა ვიცით „უწყებაჲსა“ და S 1276 კრებულის მომგებელთა შესახებ?

„უწყებაჲს“ დაწერის ინიციატივას ეფრემ მცირე მიაწერს იმ პირს, რომელმაც „სადღესასწაულო წიგნი“ მოუგო სიმეონ საკვირველთმოქმედის ეკლესიას. ეს არის ჩვენთვის ამოსავალი პოზიცია: ეფრემის სიტყვებით, „უწყებაჲსა“ და „სადღესასწაულო წიგნის“ დამკვეთი ერთი და იგივე პირია.

ვინ არის „უწყებაჲს“ დამკვეთი?

ეფრემი მას სათაურში ასე მიმართავს: „სულიერსა მამასა ჩუენსა და პატრიოსანსა ეკლესიარხსა ჩუენ ქართველთასა, მღვდელსა უფლისასა იოანეს კვირიკესსა ყოვლად მცირე და უღირსი სახისა და სახელისაჲ ეფრემ მონაზონი თაყუანისცემით მოგვიკითხავ“.

ეს პიროვნება ყოფილა სულიერი მამა, უფლის მღვდელი და ქართველთა ეკლესიარხი იოანე კვირიკესი, იოანე კვირიკესი, და არა იოანე კვირიკე, როგორც ასახელებს მას ყველა მკვლევარი, რომელიც კი „უწყებაჲს“ შეხებია. ორი სახელით შედგენილი ანთროპონიმი საკმაოდ ხშირია ძველ მწერლობაში. ოღონდ იმისგან განსხვავებით, როცა ორივე სახელი სახელობითი ბრუნვის ფორმით დასტურდება (იოანე ზოსიმე, გიორგი პრობორე...), ჩვენს შემთხვევაში მეორე სახელი ნათესაობითი ბრუნვის ფორმით გვაქვს. ასეთი სახელები საკუთარ სახელთა ბერძნული წარმოების კალკს წარმოადგენენ. მეორე სახელი ხშირად მამაზე მიუთითებს (ისუ ნავესი, იაკობ ზებედესი, ლევი აღდესი და ა. შ.). ასეთი სახელი დასტურდება ეფრემ მცირის მიერ თარგმნილ ძეგლებშიც: დომენტიანე უესპასიანესი²⁰. ეს არის რომის ცნობილი იმპერატორი დომენტიანე, რომელიც იყო ვესპასიანეს ძე. „აექსინიანე პოპლიოასისაჲ“ — აექსინიანე არის პოპლიოას ძე.

ანთროპონიმის მეორე სახელი შეიძლება სხვა რამეზეც მიუთითებდეს. გავრცელებული აზრის თანახმად, სასულიერო მოღვაწეს სახელი ერქმეოდა გეოგრაფიული ადგილის ან მასწავლებელის მიხედვით²¹.

ასეთი წარმოების სახელი „უწყებაჲს“ ტექსტშიც დასტურდება. „საეკლესიო ისტორიის“ ავტორი ევაგრე ისტორიკოსი მოხსენებულა, როგორც „ევაგრე ეპიფანესი“ (გვ. 11). რატომ ევაგრე ეპიფანესი? იმიტომ, რომ ევაგრე ისტორიკოსი დაბადებულია სირიაში, ქ. ეპიფანიაში²². მისი „საეკლესიო ისტორიის“ ბერძნულ ნუსხაში, საიდანაც ამოიღო ეფრემ მცირემ ცნობა აფხაზთა გაქრისტიანების შესახებ, ალბათ ისევე ეწერა, როგორც ბერძნულ გამოცემაში: *Εὐαγρίου Σχολαστικῆν ἐπιφανῆα...*²³ ეფრემ მცირემ გენტიეში დასმულ

²⁰ ქუთ. 4, გვ. 565. მაგალითები მოგვაწოდა ნ. გოჯაძემ, რისთვისაც დიდ მადლობას მუკახსენებთ.

²¹ Ф. Успенский, Очерки по истории византийской образованности, Спб., 1891.

²² Grand Larousse Encyclopédique, t. 4, Paris.

²³ PG 86, col. 2115.



„იოანე კვიციანის ხუცესი“ ზუსტად ისეთ კონტექსტშია მოხსენებული („ითარგმნა ბრძანებითა და წარსაგებელითა“), როგორც S 1276-ში სხვა ჰომილიასთან იხსენიება „იოანე კვიციანის ხუცად შესწავებული“ („ითარგმნა ბრძანებითა და საკმრითა“). ვფიქრობთ, რომ ორსავე ანდერძში ერთსა და იმავე პიროვნებაზეა საუბარი. Ier 38-ის ანდერძში იხსენიება S 1276-ის მომგებელი. რატომ თვით S 1276-ში არ არის ეს ანდერძი? არ არის იმ მიზეზის გამო, რომელიც ზემოთ მივუთითეთ: S 1276 თავსაკლულია, იოანე დამასკელის ღვთისმშობლის შობის ჰომილია აქ პირველ სამ ჰომილიათა შორის უნდა ყოფილიყო. Ier 38-ის ანდერძი S 1276-შიც აუცილებლად იქნებოდა. მოსალოდნელია, რომ ანდერძი სწორედ ამ უკანასკნელიდან, S 1276 ნუსხიდან, შევიდა Ier 38-ში.

ამრიგად, S 1276 კრებულის დამკვეთის ვინაობაა „იოანე კვიციანის ხუცად შესწავებული“ ან „იოანე კვიციანის ხუცესი“ (Ier 38-ის მიხედვით). ეს პიროვნება არის „მთელი კრებულის თარგმნის ინიციატორი“²⁵. მან დიდი ღვაწლი გასწია, რომ ეფრემ მცირემ შეედგინა S 1276 კრებული.

ახლა ვნახოთ, რა ვითარებაა „უწყებაში“! სადღესასწაულო წიგნის მომგებელია იოანე კვიციანის, იგი მბრძანებელია „უწყებას“ დაწერისა (ამაზე შესავალშია საუბარი, გვ. 3), მას სიტყვით და საქმით დიდი გულსმოდგინება გამოუჩენია სადღესასწაულო წიგნის შექმნაზე (ბოლოსიტყვა, გვ. 12).

პარალელები უეჭველად არის: ორივე წიგნის ადრესატის სახელია იოანე, მეორე სახელი (ალბათ მოღვაწეობის ადგილის მიხედვით) არის კვირიკესი. ორსავე წიგნში იგი ჩანს, როგორც მომგებელი და მთელი წიგნის თარგმნის მბრძანებელი. ორსავე წიგნში ეფრემ მცირე თანაბრად მოწიწებით იხსენიებს მას.

დაბრკოლებას, ერთი შეხედვით, ქმნის განსხვავება ტიტულატურაში, რომლითაც ეს პიროვნება მოხსენებულია S 1276-სა და „უწყებაში“. S 1276-ის ანდერძების მიხედვით ის არის: მამა, მღვდელი და მონაზონი. „უწყებას“ მიხედვით: სულიერი მამა, მღვდელი უფლისა და ეკლესიარბი. განსხვავებულია ეკლესიარბის ტიტული. ეკლესიარბი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ეკლესიის მატერიალურ გამგებელს, ზედამხედველს²⁶. იოანე კვირიკესს, როგორც ჩანს, საკმაოდ მაღალი თანამდებობა ჰქონია სვიმეონწმიდის მონასტერში.

ეკლესიარბის ტიტულის ახსნისა და იოანე კვირიკესის || იოანე კვირიკეს ხუცესის იდენტიფიკაციისათვის, ჩვენი აზრით, ერთგვარ გასაღებს წარმოადგენს A 24 ნუსხის გადამწერის ერთი ცნობა, რომელიც დატულია „უწყებას“ ტექსტის დასაწყისთან არშიაზე მინაწერის სახით. ამ ცნობის მიხედვით, ჩვენთვის საინტერესო საკითხთა წყებაში მესამე იოანე შემოდის. მინაწერი ასეთია: „უწყოდე, რამეთუ ამის [საკ]ითხავისა [მიზეზია] იოანე. და იოანე რაჲ გესმეს, მთავარაჲსქე. რამეთუ ნეტარისა ეფრემისა თარგმნობისა ჟამთა შავსა მთასა დახუდა და ესრე შეუდგა თარგმნობისათვის, რომელ თვნიერ მცირედთა წიგნთაჲსა, ყოველნივე მან ათარგმნინა მისითა საკმრითა და წარსაგებელითა, ვითარცა ყოველთა საკითხავთა ბოლოსა თვთ აღიარებს სანატრელი ეფრემ“ (A 24, 145v).

მაშ, „უწყებას“ (და ამდენად მთელი სადღესასწაულო წიგნის) თარგმნის ინიციატორად A 24-ის გადამწერი აცხადებს იოანე მთავარაჲსქეს. ე. ი. მისი აზრით, ეკლესიარბი იოანე კვირიკესი არის იოანე მთავარაჲსქე. თუ ეს სიმართლეს შეეფერება, მაშინ საფიქრებელია, რომ S 1276-ის იოანე კვირიკეს ხუცესიც ყოფილა იოანე მთავარაჲსქე. რამდენად რეალური ჩანს ეს გაიგივება?

²⁵ ე. მეტრეველი, ეფრემ მცირის..., გვ. 124.

²⁶ A patristik greek lexicon, ed. by G. W. Lampe, Oxford, 1961.

ამ საკითხს სპეციალური კვლევა სჭირდება, მაგრამ იმ ცნობების მიხედვითაც, რაც დღესდღეობით ჩვენთვის ცნობილია, ვფიქრობთ, ამ პიროვნებათა იდენტიფიკაციისათვის გარკვეული საფუძველი არსებობს.

იოანე მთავარაასძე ეფრემის ანდერძებით კარგად ცნობილი პირია.

ა. „ღავითნის თარგმანების“ ეფრემისეული ანდერძი 1080 წლისა: „დაიწერა კელითა [იოანე] ხუცისა მთავარაასძისაჲთა, უფალმან მიეცინ სასყიდელი გულს-მოდგინედ წერისაჲ“ (Q 37, I, 323v).

ბ. „ღავითნის თარგმანების“ მეორე ანდერძი გადამწერისა 1091 წლისა: „ეფრემ თარგმნისა მიერ ზემოვსენებულმან და პირველისა წიგნისა მისთვის დამწერელმან იოვანე ხუცესმან მთავარაასძემან ესე აწ ჩემთვის გარდამოვიწერე... დაიწერა კასტანას ეფრემის მამობასა“ (Q 37, II).

გ. გრიგოლ ღვთისმეტყველის პომილითა ანდერძი: „ლოცვა ყავთ იოვანეს-თვის ხუცისა მთავარაასძისა, რომელმან არა დაგვშურვა თვისი ქალაქი საწერელად და პური საზრდელად თანადგომითურთ თვისით, რაჲთა ესრეთ სრულ იქმნეს... ბრძანებაჲ სულეერისა მამისა ჩუენისა ბერისა კვრიკე ალექსანდრიელი-საჲ“ (Ier 13, 250r).

დ. შესაძლოა, იოანე მთავარაასძე იყოს ერთ-ერთი იმ იოანეთაგანი, რომლებიც იხსენიებიან იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ ანდერძში: „ლოცვა ყავთ... ამას თანა მზრდელთაცა და მსახურთა არსენი იყალთოელისა, იოვანე და იოვანე ხუცესთა, სტეფანესთვის დიაკონისა და უფროს ყოველთა ჩემ საწყალობელისა...“ (A 24, 137v).

ამ ანდერძების მიხედვით, იოვანე ხუცესი მთავარაასძე ხელნაწერთა გადამწერი ჩანს და ეფრემ შკირის აქტიური დამხმარე „საკმრითა და წარსაგებელითა“.

იოანე კვირიკესი და იოანე კვირიკეს ხუცესი კი თარგმნის მბრძანებლებიც არიან და მომგებლებიც. პირველი მათგანი ეკლესიარხია, ეფრემის მათდამი ტონიც უფრო მოწიწებითია.

ეს განსხვავებანი, ვფიქრობთ, არ წარმოადგენს დაბრკოლებას ამ სამი პირის იდენტიფიკაციისათვის, ვინაიდან სრულიად დასაშვებია, რომ იოანე მთავარაასძემ, რომელიც თავდაპირველად, ალბათ, უბრალო ხუცესი და გადამწერი იყო, თავისი მოღვაწეობის გარკვეულ დროს მალად მდგომარეობას მიაღწია სასულიერო იერარქიაში. ეს რომ დანამდვილებით ასე იყო, დასტურდება წერილობითი წყაროებით. მხედველობაში გვაქვს ცნობილი ბერთის სახარების (Q 906, XII ს.) წარწერების ცნობები.

ბერთის სახარებას ახლავს შემწირველის, იოანე ოპიზარის, საყურადღებო ანდერძი, რომელშიც იგი, იოანე ოპიზარი, სამგზის იხსენიებს იოანე მთავარაასძეს: „მე იოანე ოპიზისა მოძღუარმან დავწერე, გაზრდილმან და დისწულმან ბერისა იოანე მთავარაასძისამან“. შემდეგ: „სულკურთხეულსა ბერსა მთავარაასძესა სახარებაჲ ებოძა ძმისა ჩემისა“. და კიდევ: „მასვე ბერსა ებოძა ჭუარი ოქროსაჲ ჭეშმარიტითა ნაწილითა“.

იკვება, რომ ბერი იოანე მთავარაასძეს დისწულისათვის დაუტოვებია სახარება და ოქროს ჭვარი. უბრალო გადამწერი ბერისთვის ეს საკმაოდ დიდი ფუფუნებაა. და რომ იოანე მთავარაასძე უბრალო ბერი არ ყოფილა, ამას იმავე სახარების სხვა მინაწერი ადასტურებს.

ხელნაწერის ბეშქენ ოპიზარის მიერ მოქედილ ყდაზე, ზედა კიდევზე, არის წარწერა: „...ობასა იოანე მთავარაასძისსა, მ' გიორგისსა, დეკანოზობასა მიქელ კვრკაიძისსა, ვინცა რაჲ შეგვაწია წმუნისა ამის სახარებისა მოქედას, ყო- [ქ]ელთა შევდენ ღმერთმან“. ეს წარწერა განსაკუთრებით საყურადღებოა ჩვენთვის.

წარწერაში სამი ტიტული ჩამოთვლილი: ...ობა, მ და დეკანოზობა. ცხადია, აქ საეკლესიო ტიტულებია ჩამოთვლილი უფროს-უმცროსობის მიხედვით. ყდის დაზიანების გამო, პირველი სიტყვა, რომელიც, როგორც ჩანს, მთავარადასმის ტიტულს მიუთითებდა, არ იკითხება. დარჩენილია მხოლოდ სიტყვა ფიქსი -ობასა.

ამ სამი იერარქიული ტიტულის ამოკითხვა სიძნელეს არ წარმოადგენს, რადგან ანალოგიური ტიტულატურა დასტურდება იმდროინდელ ისტორიულ საბუთებში. „უდაბნოს წინამძღვრის რიგში“, რომელიც შიო მღვიმის მონასტრის დაუწერა სვიმეონ ბედიელ ალავერდელმა, მითითებულია შემდეგი თანამდებობანი: წინამძღვარი, მოძღუარი და დეკანოზი. იქვე აღნიშნულია თითოეული მათგანის ფუნქციები: „წინამძღვრისა და მოძღვრისა და დეკანოზისა კელთა არს ეკლესიისა საქმე და ძმთა სულიერთა ამათ სამთა კელთა არს“²⁷.

სხვაგან დამატებით ძიება რომ არ მოგვიხდეს, დავკმაყოფილდებით იმით, რომ აღნიშნული თანამდებობანი იმავე ბერთის სახარების შემოწირულობის ანდერძშიც მეორდება: „და მოწამე არს ამას ჩემსა დაწერილსა თავად ღმერთი... წინამძღვარი მიქაელ, მოძღუარი ოქროპირი, დეკანოზი სტეფანე და ყოველი ერი ბერთისაჲ, დიდი და მცირე“ (341r). ანდერძი, რომელიც ყდის მოჭედბედილობის წარწერაზე გვიანდელია, სამ თანამდებობას ასახელებს (მათ შორის ერთი პიროვნება, მიქელი, რომელიც მოჭედბედილობის წარწერაში დეკანოზი იყო, აქ უკვე წინამძღვრად ცხადდება).

როგორც ჩანს, ეკლესიის მმართველობის იერარქიაში გარკვეულ პერიოდში შედიოდნენ: წინამძღვარი, მოძღვარი და დეკანოზი.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ბერთის სახარების მოჭედბედილობის დაზიანებული წარწერა ასე უნდა აღვადგინოთ: „[წინამძღვარ]ობასა იოანე მთავარადასმისსა, მ[ოძღვრობასა] გიორგისსა, დეკანოზობასა მიქელ კვრკაიძისასა“. ჩვენთვის საინტერესო ისაა, რომ როგორც ირკვევა, იოანე მთავარადასმე მონასტრის წინამძღვარიც ყოფილა. ეს მდგომარეობა საშუალებას აძლევდა იოანეს „საკმრთოა და წარსაგებელითა“ წასდგომოდა ეფრემ მცირეს წიგნების თარგმნისა და შედგენის საქმეში. ამიტომ არც ისაა გამორიცხული, რომ, როცა იგი შვე მთაზე იმყოფებოდა ეფრემ მცირესთან ერთად, მას სხვა მაღალი თანამდებობა, მათ შორის ეკლესიარხისა, ჰქონოდა.

ყოველივე ამის გათვალისწინების შედეგად, დასაშვებად მიგვაჩნია იოანე მთავარადასმის გაიგივება „უწყებასა“ და „სადღესასწაულო წიგნის“ ინიციატორთან, სვიმეონწმიდის ეკლესიარხთან, იოანე კვირიკესთან და, ამდენად, დასაშვებია, იგი იყოს ეფრემ მცირის სხვა შრომების, მათ შორის S 1276 კრებულის, შექმნის მპრძანებელი და ინიციატორი.

„უწყებას“ იოანე კვირიკის დაკავშირება S 1276 კრებულის იოანე კვირიკეს ხუცესთან და მათი გაიგივება იოანე მთავარადასმესთან, ვფიქრობთ, საყურადღებო საკითხია და იგი ქმნის წინამძღვრებს, ახლებურად გავიზაროთ ამ პიროვნების მოღვაწეობის ხასიათი და მასშტაბები. ამჯერად ყველა საკითხს საბოლოოდ გადაწყვეტილად ვერ ჩავთვლით, მაგრამ, ვფიქრობთ, გარკვეულ საფუძველს იძლევა შემდგომი კვლევა-ძიებისათვის.

ჩვენ კი პირველსავე თქმულსა მივუბრუნდეთ:

ზემოთ განხილული არგუმენტების საფუძველზე ჩვენ მიგვაჩნია, რომ „სადღესასწაულო წიგნი“, რომელსაც ერთვოდა „უწყებაჲ“, არის ეფრემის მიერ თარგმნილი ჰომილიების შემცველი ავტოგრაფული კრებული S 1276. „უწყებაჲს“ ამ კრებულზე დართვა იდეური მიზანდასახულობითაც არ ჩანს მოულოდნელი.

27 თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, თფ., 1896, გვ. 19.

S 1276 კრებულში თავმოყრილია საუფლო დღესასწაულისადმი მიძღვნილი საკითხავები, რომელთა მსოფლმხედველობას შეადგენს ქრისტიანულ-მართლმადიდებლური მრწამსის უძირითადესი საკითხების ახსნა და პროპაგანდა. ღვთისმშობლის შობის, ჯვრის ამალღების, უფლის შობის, ნათლისღებისა და სხვა საიდუმლოებები მრავალრიცხოვანი მრევლის ცნობიერებას იბყრობდა. ის იყო საფუძველთა საფუძველი, რომელსაც ემყარებოდა ჭეშმარიტი ქრისტიანული მართლმადიდებლობა.

როგორც ჩანს, ეგრემ მცირემ შემთხვევით არ დაუკავშირა ასეთ კრებულს „უწყებაჲ“. ის, რაც დიდი ბიზანტიელი მოღვაწეების ჰომილიებშია განცხადებული, ასევე წმიდათაწმიდა და საზეო იყო ქართველებისთვისაც, რადგან ნათლისღებითა და მირონის კურთხევის ძალით ქართველი ერი ისევე მირონცხებულია და ჭეშმარიტი მართლმადიდებელი, როგორც ამ ჰომილიათა შემქმნელი ერი.

М. А. РАПАВА

«ПОВЕСТВОВАНИЕ ОБ ОБРАЩЕНИИ ГРУЗИН» ЕФРЕМА МЦИРЕ И «ПРАЗДНИЧНАЯ КНИГА»

Резюме

Оригинальное произведение Ефрема Мцире „Үцqebaј mizezsa kartvelta mokcevisasa...“—«Повествование об обращении грузин—о том, в каких книгах об этом упоминается», ставившее целью защиту автокефалии грузинской церкви, как известно, связано с другим произведением, именующимся самим автором «Праздничной книгой».

На основе разнородных письменных источников, в большинстве случаев памятных записей грузинских рукописей, нами установлено, что под «Праздничной книгой» подразумевается рукопись S 1276, гомилетический сборник, составленный Ефремом Мцире и дошедший до нас в виде автографа.

Инициатором составления как Үцqebaј, так и сборника S 1276, является одно и то же лицо—монах Иоанэ Квирикеси. Последний нами идентифицируется с известным по грузинским источникам монахом Иоанэ Мтаварайдзе, близким сотрудником Ефрема Мцире, подвизавшимся на Черной горе в XI веке.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ძველი ქართული ფილოლოგიის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა

თამარ ბაბაშვილი

„მაკრინას ცხოვრების“ ჟანრული განსაზღვრისათვის

„მაკრინას ცხოვრების“ ჟანრობრივ საკითხზე შეჩერება მით უფრო საჭიროდ მიგვაჩნია, რამდენადაც მეცნიერებას ამ საკითხზე დღემდე არ შეუძუმწავებია ერთიანი, შეთანხმებული აზრი.

უთუოდ შეცდომა იქნებოდა, „მაკრინას ცხოვრება“ რომ ეპისტოლური ჟანრისათვის მიგვეკუთვნებინა.

ნაწარმოები ოლიმპიოს მონაზვნისადმი მიწერილი ეპისტოლეს სახითაა ცნობილი. როგორც ჩანს, სწორედ ამ ოლიმპიოსს უთხოვია — ავტორისათვის მისთვის გაეცნო მაკრინას მრავალმხრივ საინტერესო და საყურადღებო ცხოვრებამოღვაწეობა, „რამთა არა დავიწყებად მოვიდეს ჟამთა სიგრძისაგან ესევეთარისა ცხოვრება და არცა დუმილისაგან დაფარული ურგებად წარვდეს“¹. აღსანიშნავია ისიც, რომ ავტორი ერთგვარად ბოდიშსაც კი იხდის ოლიმპიოსისადმი გაგზავნილი ეპისტოლეს დიდი მოცულობის გამო: „ხოლო სიტყუა უგოს ჩუენ წილ ძალმან და მიზეზმან საქმისამან, რომლისათჳს იგი გვიბრძანე ჩუენ აღწერაჲ ზეშთა საზომსა ეპისტოლისასა“².

ამრიგად, ჩვენ აქ საქმე გვაქვს გარკვეული პირისადმი მიწერილ ეპისტოლესთან და თითქოს უყოყმანოდ უნდა დაგვესახა ის გრიგოლ ნოსელის ეპისტოლური მემკვიდრეობის ერთ-ერთ ნიმუშად და, მაშასადამე, ამავე ჟანრისათვის მიგვეკუთვნებინა, მაგრამ აქ არაერთი დაბრკოლება იჩენს თავს.

თვით გრიგოლ ნოსელისათვის სრულიად ნათელი იყო, რომ მისი ქმნილება („მაკრინას ცხოვრება“) საგრძნობლად სცილდება ეპისტოლეს საზღვრებს, ამიტომ ავტორი თხზულების დასაწყისშივე შენიშნავს: „სახე წიგნისაჲ ამის წესითა აღწერისაჲთა ეპისტოლისა პირსა მოასწავებს, ხოლო სიბრავლე სიტყუათაჲ უმეტეს არს საზღუართა ეპისტოლისათა, აღწერისა სიგრცედ განვრცომილი“³. როგორც ვხედავთ, გრიგოლ ნოსელის აზრით, ის შესამჩნევად დასცილდა ეპისტოლური ჟანრის ფარგლებს და შექმნა ვრცელი მოთხრობა მაკრინას შესახებ.

ამრიგად, თვით ავტორს ეს ძეგლი სრულიადაც არ მიაჩნდა ეპისტოლური ხასიათის ქმნილებად. გრიგოლ ნოსელი, როგორც ჩანს, სავსებით იზიარებდა მეოთხე საუკუნის დიდი საეკლესიო მოღვაწისა და მისი უახლოესი მეგობრის — გრიგოლ ნაზიანზელის შეხედულებას, რომელიც შეუფერებლად და დაუშვებლადაც თვლიდა ეპისტოლეს დიდ მოცულობასა და კატეგორიულად მოითხოვდა საჭირო ზომიერების დაცვას (51-ე ეპისტოლე).

ზემოთ ვთქვეთ, რომ გრიგოლ ნოსელისათვის ოლიმპიოს მონაზონს უთხოვია მაკრინას ცხოვრების აღწერა. გრიგოლს ეს თხოვნა შეუსრულებია. რასაკვირველია, ადრესატმაც და ავტორმაც თავიდანვე კარგად იცოდნენ, რომ ეს მონათხრობი მხოლოდ ადრესატისათვის არ იყო განკუთვნილი და მკითხველთა ფართო წრეს გულისხმობდა. ამას ადასტურებს ოლიმპიოსის მიმართვაც („რამთა არა დავიწყებად მოვიდეს ჟამთა სიგრძისაგან ესევეთარისა ცხოვრება და

¹ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი A-142.

² იქვე, 54v.

³ იქვე.



არცა დუმილისაგან დაფარული ურგებად წარცდეს⁴) და საკუთრივ თხზულებაც, რომლის ბოლო ნაწილში მაკრინას მიერ აღსრულებული მხოლოდ ერთი სხვადასხვა წაუღია მოთხრობილი. საინტერესოა, რომ ამ სასწაულს ავტორი კი არ მოგვითხრობს, არამედ ნაწარმოების ერთ-ერთი პერსონაჟი. თხრობის დასასრულს კი ავტორი შენიშნავს: მაკრინას მიერ აღსრულებულ სხვა სასწაულებს მე აღარ ჩავრთავ ჩემს მოთხრობაში, რადგან მრავალნი მათი გონებრივი შესაძლებლობების მიხედვით აფასებენ ნაამბობის უტყუარობას. ისინი გამონაგონად თვლიან ყველაფერს, რის გავგებაც მათ ძალას აღემატებაო.

თავისთავად საინტერესო ეს დავკირვება კვლავ ადასტურებს, რომ თავისი ქმნილების მკითხველად გრიგოლ ნოსელი მხოლოდ ადრესატს არ გულისხმობდა. მას მხედველობაში ჰყავდა მკითხველთა ფართო წრე, რომლისთვისაც იწერებოდა ეს შესანიშნავი თხზულება.

მაგრამ ერთი მკვლევრის მართებული თქმით, ბიზანტიურ ეპისტოლოგრაფიაში ჩვენ გვხვდება „и такие произведения, формальные и порою даже смысловые признаки которых выходят за пределы этого жанра. Однако следует сказать, что подобные произведения в византийской эпистолярной литературе составляли ничтожную долю... Ознакомиться с такими письмами предстояло широкому кругу людей и потому их писали как художественное произведение...“⁴. იქნებ სწორედ ამ ტიპის ეპისტოლურ ძეგლთა რიგს განეკუთვნება „მაკრინას ცხოვრება“?

ამგვარ შესაძლებლობას უდავოდ გამოიციხავს ჩვენი ძეგლის მოცულობაც, სტრუქტურაც, შინაარსის მრავალფეროვნებაც და თხრობის სპეციფიკაც.

აკად. კ. კეკელიძე, „მაკრინას ცხოვრებას“ ჰომილეტიკურ თხზულებათა რიგში ათავსებს. ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილ ჰომილეტიკურ თხზულებებზე საუბრისას მეცნიერი შენიშნავს: „ამ დარგში, პირველ ყოვლისა, უნდა დავასახელოთ: 1. გრიგოლ ღვთისმეტყველის 17 ნაწარმოები, ამათგან 14 თქმული ან სიტყუა... 2. გრიგოლ ნოსელისა: ა) „ცხოვრებისათვის დისა თვისისა მაკრინასა“, ბ) „შესხმაჲ წმიდისა ბასილისი“...“⁵

აკად. კ. კეკელიძეს „მაკრინას ცხოვრება“ სპეციალურად არ განუხილავს. ამიტომ დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, რა ნიშნის მიხედვით აკუთვნებს ის ჩვენს ძეგლს ჰომილეტიკურ მწერლობას და ამ მწერლობის რომელი დარგის ნიმუშად სახავს მას, მაგრამ გარკვეული ვარაუდის დაშვება მაინც არის შესაძლებელი. ჰომილეტიკური მწერლობის განხილვისას აკად. კ. კეკელიძე წერს: „ჰომილია, საიდანაც წარმოიშვა სიტყვა ჰომილეტიკა, ეფრემ მცირის განმარტებით, „არს ზეპირად პირისპირ თქუმა“ და აღნიშნავს მოძღვრება-ქადაგებებს, რომელთაც მორწმუნეთა დასამოძღვრად, სხვადასხვა ადგილას, უფრო კი ეკლესიაში და სხვადასხვა პირი, უმეტეს ნაწილად, რასაკვირველია, სამღვდლონი წარმოთქვამდნენ ხოლმე... შინაარსის მხრივ ქადაგება შემდეგ დარგებად იყოფა: 1. საღმრთაწაულო ქადაგებანი, რომელთაც წარმოთქვამდნენ ხოლმე საუფლო-საღვთისმშობლო და ცნობილ წმიდანთა ღმრთაწაულებზე და რომელთაც უფრო ხშირად დოგმატიკური ხასიათი აქვს; 2. პანეგირიკები ან ხობტა-შესხმანი, ე. წ. ენკომიები, მოწამეთა და წმიდანთა სახელობისა, რომელთაც ჰაგიოგრაფიული საფუძველი აქვთ; 3. ეპიტაფიები, რომლებშიც ბიოგრაფიულ ელემენტს საგრძნობი ადგილი უჭირავს; 4. საკუთრივ ქადაგება ან ჰომილია,

⁴ Т. П. Попова, Византийская эпистолиграфия, в сб.: „Византийская литература“, М., 1974, гл. 181—182.

⁵ კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1980, გვ. 205—206.

8. მაიენი, ენისა და ლიტერატურის სერია, 1990, № 4

რომელშიაც განმარტებულია კვირა-უქმებებში წასაკითხავი ადგილი საღვთო წერილიდან და რომელსაც ეგზეტიკურ-მორალისტური ხასიათი აქვს. ამათგან, ცხადია, პირველი და უკანასკნელი უნდა გამოვრიცხოთ. გვრჩება შესხმანი და სამგლოვიარო სიტყვები. მართლაც, „მაკრინას ცხოვრებას“ სამგლოვიარო სიტყვათა რიგს მიაკუთვნებს არაერთი მკვლევარი (დელევი, ალენო, ვროლოვი). მაგრამ ეს შეხედულება მეცნიერებაში არ იქნა გაზიარებული. სხვას რომ თავი დავანებოთ, თვით გრიგოლ ნოსელის სამგლოვიარო სიტყვები საგრძნობლად განსხვავდება ჩვენი ძეგლისაგან როგორც მოცულობის, ისე სტრუქტურის, ფორმისა და შინაარსის თვალსაზრისით. იგივე ითქმის შესხმათა შესახებაც. მიუხედავად ამისა, უთუოდ სწორია მოსაზრება შესხმების ჰაგიოგრაფიული საფუძვლის თაობაზე. უფრო მეტიც, „მაკრინას ცხოვრებაში“ ჩვენ ვხვდებით ჰაგიოგრაფიული თხზულების მახასიათებელ ყველა ნიშანს. ეს კი მით უფროა საინტერესო და საყურადღებო, რომ მეოთხე საუკუნეში, როცა გრიგოლ ნოსელის თხზულება დაიწერა, ჰაგიოგრაფიული ტრადიციები ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ ჩამოყალიბებული და დამკვიდრებული. ამასთან მსგავს ნაწარმოებებში ნათლად შეინიშნებოდა ძველ ბიოგრაფიებთან სიახლოვე და ამ ბიოგრაფიების გარკვეული გავლენა. და მაინც, ჩვენი აზრით, „მაკრინას ცხოვრება“ ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა რიგს უნდა მივაკუთვნოთ. ამჯერად სწორედ ამ საკითხზე შევაჩერებთ ყურადღებას.

საანალიზო ძეგლის აგიოგრაფიულობის სასაარგებლოდ, პირველ რიგში, თხზულების სათაური მეტყველებს. ამგვარი დასათაურება ნიშანდობლივია ჰაგიოგრაფიული თხზულებებისთვის. სათაურის შესაბამისად ნაწარმოებში საკმაოდ ვრცელადაა გადმოცემული მაკრინას ცხოვრება მისი დაბადებიდან ვიდრე აღსასრულამდე. ამასთან, ყურადღება გამახვილებულია მაკრინას ცხოვრების ისეთ ეპიზოდებზე, რაც უდავოდ დაადასტურებს ამ დიდებული ქალის წმიდანობას.

მართალია, ასეთი მიზანი (ქების ობიექტის წმიდანად წარმოჩენა) შესხმის ან სამგლოვიარო სიტყვის ავტორსაც შეიძლებოდა ჰქონოდა, მაგრამ ძეგლის მოცულობა და ძირითადი თემიდან საკმაოდ ხშირი გადახვევები, ჩვენი აზრით, ამ ძეგლის ჰაგიოგრაფიულობაზე მეტყველებს, ხოლო „მაკრინას ცხოვრებაში“ ჩართული საკმაოდ მონაწილე მონაკვეთები (ნავარატიოსის, თვით ავტორის, ბასილი კესარიელის, მაკრინას დედისა და სხვათა შესახებ) თავისთავად გამოირიცხავს ამ ძეგლის შესხმებისა და სამგლოვიარო სიტყვათა რიგისათვის მიკუთვნების შესაძლებლობას. მეორე მხრივ კი, ამგვარი გადახვევები ჩვეულებრივია ჰაგიოგრაფიული თხზულებებისათვის, რამაც თავის მხრივ განაპირობა ჰაგიოგრაფთათვის დამახასიათებელი ფრაზის დამკვიდრება: „და ჩუენ პირველსავე სიტყუასა ზედა მოვიდეთ“.

აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ შესხმები და სამგლოვიარო სიტყვები ჰომილეთიკური მწერლობის დარგებია. ჰომილია კი, საიდანაც წარმოიშვა სიტყვა „ჰომილეთიკა“, ეფრემ მცირის განმარტებით არის „ზეპირად, პირისპირ თქმა“. „მაკრინას ცხოვრება“ კი წერილობითი ძეგლია. თვით გრიგოლ ნოსელის სიტყვით, ეს თხზულება გარეგნულად ეპისტოლეა, მოცულობით კი აღემატება ეპისტოლეს საზღვრებს და გრძელ თხრობად (მოთხრობად) წარმოგვიდგება. ამრიგად, ჩვენი ძეგლის ავტორს თავიდანვე განუზრახავს ვრცლად აღეწერა მაკრინას ღირსშესანიშნავი ცხოვრება და ეს განზრახვა შეუსრულებია კიდევ. ამიტომ ვამბობთ, რომ „მაკრინას ცხოვრება“ წერილობითი ძეგლია და არა „პირისპირ ზეპირად ნათქვამი“. ეს კი გამოირიცხავს თხზულების ჰომილეთიკურ ხასიათს და მის ჰაგიოგრაფიულობაზე მეტყველებს.



თხზულების დასაწყისში გრიგოლ ნოსელი შენიშნავს, რომ მან შეძლებდა დაგვარად მარტივი სტილით გამართა თავისი ნაწარმოები. ჩვენი აზრით, ესეც ჰაგიოგრაფიული თხზულების ერთ-ერთი მახასიათებელი ნიშანია. ავტორის მიზანი იყო მკითხველთა ფართო წრისათვის გასაგები ენით მოეთხრო მაკრინას ცხოვრება. ეს მიზანი გრიგოლ ნოსელმა ძირითადად წარმატებით განახორციელა და თხზულება სადა, ადვილად მისაწვდომი ენითა და მარტივი სტილით გამართა. ჰომილეტიკური მწერლობისათვის კი უპირატესად დამახასიათებელია ამალღებულები ან რამდენადმე მაინც ამალღებული სტილი და რიტორთა მიერ საუკუნეების მანძილზე შემუშავებული ხერხები ზეპირი მეტყველებისა. ესეც ქმნის განსხვავებას „მაკრინას ცხოვრებასა“ და სამგლოვიარო ან სახოტბო სიტყვებს შორის და ეს განსხვავებაც ადასტურებს ჩვენი ძეგლის ჰაგიოგრაფიული ქანრისათვის მიკუთვნების მართებულობას.

ჰაგიოგრაფიულ თხზულებას ჩვეულებრივ წინ უძღვის მოკლე შესავალი, რომელშიც ავტორი ზოგადად აღნიშნავს მთავარი პერსონაჟის ღვაწლის მნიშვნელობას, მისი აღწერის აუცილებლობას და მიუთითებს იმ წყაროებზეც, რომელთაც ის ეყრდნობოდა ნაწარმოების წერის დროს. ეს უკანასკნელი განპირობებულია ავტორის სურვილით, რომ დაამტკიცოს მისი მონათხრობის აბსოლუტური სისწორე და უტყუარობა (სანდობა). ამგვარი ტრაფარეტი საკმაოდ კარგადაა დატული „მაკრინას ცხოვრების“ შესავალში. აქ სრულიად გარკვევითაა მითითებული მაკრინას წმიდანობა, აღნიშნულია მისი ღვაწლის აღწერის აუცილებლობა, რათა დუმილმა ხალხის მეხსიერებაში არ წაშალოს ამ დიდებული ქალის დამსახურება. ბოლოს კი მითითებულია ის წყარო, რომელსაც შეუძლებელია ნდობა არ გამოვუცხადოთ: გრიგოლ ნოსელი წერს: „ხოლო უწყებასა მას არა უცხოთა სასმენელთა მოთხრობისაგან აქუნდა სარწმუნოება, არამედ რომლისა გამოცდილებამ იყო მოძღუარ, ამას გამოწულილვით წარმოაჩინებდა სიტყუად. და არა რას ზედაა წამებდა უცხოთა სასმენელთა, რამეთუ არცა უცხო იყო ნათესავობისაგან ჩუენისა მოცსენებული იგი ქალწული რადთამცა საჭირო იყო იგი უცხოთაგან ცნობამ საკრველებათა მისთად. არამედ მათვე ჩუენთა მშობელთაგან და ვითარცა პირმშობ ნაყოფი საშობსაგან დედისა პირველადმოცნებული“⁷. როგორც ვხედავთ, გრიგოლ ნოსელის წყარო პირადი გამოცდილება და მაკრინასთან უახლოესი ნათესაური დამოკიდებულება იყო.

ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში, ცხადია, მეტ-ნაკლები სისრულით ის ებოქა და გარემოც აისახება, რომელშიც ნაწარმოების მთავარ გმირს უხდება მოქმედება. ამ ქანრის თხზულებები ძვირფას ისტორიულ ცნობებს შეიცავენ არა მარტო საეკლესიო, არამედ პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური თუ კულტურული ცხოვრების გასათვალისწინებლად. ესეც ჰაგიოგრაფიული თხზულების ერთ-ერთი მახასიათებელი ნიშანია, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ხშირად ვხვდებით ისეთ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებს, რომლებშიც ყველაფერი ეს მინიმუმამდეა დაყვანილი. მაგრამ „მაკრინას ცხოვრება“ ამ უკანასკნელთა რიგა არ განეკუთვნება და სრულიადაც უდავოა მისი დიდი საისტორიო მნიშვნელობა. ამგვარი მრავალმხრივი დატვირთვაც განასხვავებს ჩვენს ძეგლს სახოტბო ან სამგლოვიარო სიტყვებისა და ეპისტოლური ქანრის ძეგლებისაგან. ამასთან, ეს განსხვავება ისევ და ისევ ადასტურებს „მაკრინას ცხოვრების“ ჰაგიოგრაფიული ქანრისათვის მიკუთვნების მართებულობას.

აქ აღარაფერს ვიტყვით ჰაგიოგრაფიული მწერლობისათვის დამახასიათებელ სხვა ნიშნებზე, რაც ნიშანდობლივია „მაკრინას ცხოვრებისთვისაც“. მხედვე-

⁷ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი A-142, 56r.

ლობაში გვაქვს სასწაულები, ლოცვები, წინასწარმეტყველური სიზმარი, გეტორის მიერ ყურადღების გამახვილება მთავარი გმირის ცხოვრების, სახელდობრ იმ მხარეებსა და ეპიზოდებზე, რაც ამ გმირის წმინდანობასა და ქრისტიანულ რწმენას წარმოაჩენს, ციტატები საღმრთო წიგნებიდან, ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში ფართოდ გავრცელებული ეპითეტები, მეტაფორები და შედარებები, რაც ისევ და ისევ გმირის იმ განსაკუთრებულ თვისებებს ნათელყოფს, მის წმინდანობას რომ ადასტურებს და სხვა. არაფერს ვიტყვი იმიტომ, რომ თუმცა ყველაფერი ეს ნიშანდობლივია ჰაგიოგრაფიული მწერლობისათვის, მაგრამ მეტ-ნაკლებად თავს იჩენს სხვა, ვთქვათ, პოშილეტიკურ ძეგლებშიც. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც საჭიროდ ჩავთვალეთ მათი დასახელება (თუნდაც უბრალო ჩამოთვლის სახით), რადგან თითოეული მათგანი უკლებლივ ყველა ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში შეინიშნება და ზემოთ ჩამოთვლილი სხვა ნიშნების გვერდით მყარი და საიმედო არგუმენტის მნიშვნელობას იძენს. ეს არგუმენტები კი, ვფიქრობთ, ადასტურებენ ჩვენი ძეგლის ჰაგიოგრაფიულობას.

ყველა ზემოთ თქმულის საფუძველზე „მაკრინას ცხოვრებას“ ჩვენ ვაკუთვნებთ ჰაგიოგრაფიულ ქანრს და ამ ქანრის ერთ-ერთ საუკეთესო ქმნილებადაც ვთვლით.

შეიძლება ამით დაგვესრულებინა საკვლევი თხზულების ქანრზე საუბარი, მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია, აქვე შევეხოთ ერთ, ჩვენი აზრით, სადავო საკითხს.

გრიგოლ ნოსელის ცნობილი ფრანგი მკვლევარი პიერ მარავალი „მაკრინას ცხოვრებას“ უყოყმანოდ მიიჩნევს ჰაგიოგრაფიული ხასიათის თხზულებად, მაგრამ ამ ძეგლს მაინც არ აკუთვნებს ჰაგიოგრაფიულ ქანრს. ის წერს: „...რა ყოფილა გრიგოლის მიერ წარმოდგენილი „მაკრინას ცხოვრება“? მას სურდა, როგორც ჩვენ დავინახავთ, წმინდანის ცხოვრების ჩვენება. ჩვენს წინაშეა არა შიშველი ბიოგრაფია, არამედ — ჰაგიოგრაფია — „წმიდა მაკრინას ცხოვრება“⁸. ეს აზრი ნაშრომში არაერთხელაა განმეორებული. მიუხედავად ამისა, მკვლევარი შენიშნავს: „მაშასადამე, „წმინდა მაკრინას ცხოვრება“ ჭეშმარიტად ჰაგიოგრაფიული ხასიათის თხზულებაა. მაგრამ ნაწარმოების ჰაგიოგრაფიული მიზანდასახულობა არ გულისხმობს იმას, რომ იგი განეკუთვნება გარკვეულ ლიტერატურულ ქანრს — ჰაგიოგრაფიას. კ. პოლმა გვიჩვენა, რომ პირველი ქრისტიანული ბიოგრაფიებით ბერძნულ სამყაროში ახალი ლიტერატურული ქანრი არ შექმნილა: მათ სრულყოფის ძველი ბიოგრაფიის რალაც გარკვეული ტიპი“⁹. ახალი ქანრის შექმნის ხანა კი შედარებით მოგვიანო პერიოდზე გადააქვს (დაახლოებით VI ს.). ეს მოსაზრება, ჩვენი აზრით, არაა ბოლომდე დამარწმუნებელი და ერთგვარ დაზუსტებას მოითხოვს.

თავდაპირველად უნდა გაირკვეს — რას ემყარება ამგვარი შეხედულება; რით არის გაპირობებული, ერთი მხრივ, ადრეული და, მეორე მხრივ, მეექვსე საუკუნისა და შემდეგდროინდელი ბიზანტიური თხზულებების გამიჯვნა და მათი ურთიერთდაპირისპირება.

აქ უპირატესად ორ ფაქტორს აქცევენ ყურადღებას. პირველ რიგში აღნიშნავენ ადრეულ ბიზანტიურ ჰაგიოგრაფიულ თხზულებებზე ძველი ბიოგრაფიების თვალსაჩინო გავლენას, როგორც ნაწარმოების სტრუქტურის, ისე მხატვრული ხერხების გამოყენების თვალსაზრისით. მეორე მხრივ, მიუთითებენ, რომ ჰაგიოგრაფიული ტრაფარეტის საბოლოო ჩამოყალიბება და დამკვიდრება ხდება მეექვსე საუკუნის დამდეგიდან. „Только в VI в. житийный жанр утрачивает непосредственность и своеобразие, приобретая трафарет-

⁸ Pierre Maraval, Gregoire De Nysse „Vie De Sainte Macrine“, Paris, 1971.

ные черты... во всех жизнеописаниях четко прослеживается схема житийного жанра, ставшая с этого времени традиционной. В начале в общей форме дается похвала святому... Далее рассказывается о месте рождения святого, его родителях (как правило, это самые благочестивые христиане), о том, как он становится монахом, потом продвигается далее по ступеням духовного сана или удаляется в пустыню и основывает там киновию. Изложение очень простое, стилистические украшения почти полностью отсутствуют... В VI в. создаются образцы и более изощренных по языку и стилю жизнеописаний с большим количеством стилистических украшений, часть из которых приобретают характер штампа». და შემდეგ დასკვნა: «таким образом, мы видим, что в смысле форм выражения мысли житийный жанр переживает эволюцию по нисходящей линии. Это не могло не сказаться и на содержании самих произведений. Если из «Жития Антония» (VI ს. ის ბიზანტიელი მწერლის ათანასე ალექსანდრიელის „წმიდა ანტონის ცხოვრება“ — თ. ბ.) мы узнаем о социальном происхождении героя (гл. 1) и об исторических событиях того времени — о гонениях на христиан при Максимине (гл. 46—47), о враждебных действиях ария и язычников (гл. 82), то ничего подобного мы уже не найдем у последующих авторов. Их занимают одни только деяния подвижника, совершенные им чудеса и подвиги...»⁹.

ახლა კვლავ მარავალის ზემოთ მოყვანილ შეხედულებას დავუბრუნდებით. როგორც ვთქვით, მარავალი „მაკრინას ცხოვრებას“ ჰავიოგრაფიულ თხზულებათა რიგს აკუთვნებს, მაგრამ უარყოფს მეოთხე საუკუნეში ჰავიოგრაფიული ეპარხის არსებობას. მის შრომაში მოყვანილია უაღრესად საინტერესო მაგალითები, რაც უდავოდ ადასტურებს ძველ ბიოგრაფიებთან „მაკრინას ცხოვრების“ გარკვეულ სიახლოვეს. მაგრამ ეს, ჩვენი აზრით, არ არის საკმარისი ავტორისეული დასკვნის გასაკეთებლად. მართალია, უდავოა ძველი ბერძნული ბიოგრაფიების გავლენა ახალ ქრისტიანულ ნაწარმოებებზე, მაგრამ მათ შორის ისეთი დაცილებებიც შეინიშნება, რაც არსებითი ხასიათის განსხვავებას ქმნის და ახალი ლიტერატურული ეპარხის ჩამოყალიბებაზე მიგვანიშნებს (სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ზოგ ასეთ დაცილებებზე მარავალიც მიუთითებს).

ქრისტიანული მოთხრობის (ჰავიოგრაფიული თხზულების) ავტორის მტკიცედ განსაზღვრული მიზანდასახულობა — წმიდანის ღვაწლის წარმოჩენა და მისი დასახვა ზნეობრივ იდეალად, საღმრთო წიგნებიდან ციტატების მოხმობა თუ სრულიად ახლებური რწმენა და დამოკიდებულება მოვლენებისადმი, — უთუოდ ქმნიდა არსებით განსხვავებას არა მხოლოდ იდეოლოგიის, არამედ ნაწარმოების კომპოზიციის, სტილისა და მხატვრულ-გამომსახველობით სფეროშიც.

ასეა თუ ისე, მარავალის მოსაზრება ორმა ფაქტორმა განაპირობა: 1. ანტიკური ბიოგრაფიების გავლენამ პირველი პერიოდის ქრისტიანულ მოთხრობებზე და 2. VI ს-ის დასაწყისში მომხდარმა ჰავიოგრაფიული ტრაფარეტის კანონიზაციამ. პირველთან დაკავშირებით შევნიშნავთ, რომ ანტიკური ბიოგრაფიების გავლენა არაა ნიშანდობლივი მხოლოდ მეოთხე-მეხუთე საუკუნეების ჰავიოგრაფიული ძეგლებისათვის, ის თავს იჩენს მეექვსე-მეშვიდე საუკუნეების ჰავიოგრაფიაშიც და, რაც უფრო საინტერესოა, მერვე-მეცხრე საუკუნეებშიც, როდესაც ბიზანტიელი ჰავიოგრაფები ცდილობდნენ ამ გავლენისაგან გათავისუფ-

⁹ „Памятники византийской литературы IV—IX веков“, М., 1968, გვ. 33. მართალია, სტატიის ავტორები ფრეიბერგი და პოპოვა ერთგვარად გამოიყენებენ მეოთხე და მეექვსე საუკუნეების ჰავიოგრაფიულ თხზულებებს, მაგრამ ამ ეპარხის წარმოშობისა და ჩამოყალიბების თარღი სრულიად არ გადააქვთ მეექვსე საუკუნეზე.

ლებას¹⁰. ამიტომ გაუმართლებელი იქნებოდა ამ ფაქტორისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობის მინიჭება.

სწორია მოსაზრება, რომ მეექვსე საუკუნის ბიზანტიაში ფართოდ ვრცელდება ჰაგიოგრაფიული ტრაფარეტი და ჰაგიოგრაფთა დიდი ნაწილი ამ ტრაფარეტით იფარგლება. თავის კლასიკურ, საბოლოოდ ჩამოყალიბებულ სახეს ეს ტრაფარეტი იღებს მეექვსე საუკუნის ცნობილი ბიზანტიელი მწერლის კირილე სციფოპოლელის ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში, რომლებიც ზუსტად ერთნაირი სქემის მიხედვითაა აგებული. მაგრამ აქ გათვალისწინებულ უნდა იქნეს რამდენადმე საგულისხმო პარემოება:

ფრეიბერგისა და ჰოპოვის სტატიის ზემოთ დამოწმებულ ციტატაში ზოგადად წარმოდგენილია უკვე კანონიზებული სქემა, ტრაფარეტი ჰაგიოგრაფიული თხზულებისა. მიუხედავად შინაარსობრივი მრავალფეროვნებისა და ჩართული ეპიზოდების სიჭარბისა, „მაკრინას ცხოვრებაში“ საკმაოდ კარგადაა გამოკვეთილი ეს ტრაფარეტი (ნაწარმოების დასაწყისში მთავარი გმირის ღვაწლზე მითითება, მისი დაბადება, მშობლები, აღმავალი გზით სვლა სულიერი სიწმინდისა თუ წმიდანობისაკენ, გარდაცვალება, ადვილად გასაგები ენა, მარტივი სტილი, შემდეგში შტამპად ქცეული ეპითეტები, მეტაფორები, შედარებები). ასევეა მეოთხე საუკუნის სხვა ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში და მათ შორის „წმიდა ანტონის ცხოვრებაშიც“, რომელიც ფორმის მხრივ საგრძნობლად განსხვავდება „მაკრინას ცხოვრებისაგან“ და რომელსაც ზემოთ დასახელებული სტატიის ავტორები ერთგვარად უპირისპირებენ მეექვსე საუკუნისა და შემდეგდროინდელ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებს. ეს კი იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ კირილე სციფოპოლელის თხზულებაში შემულავეებული ტრაფარეტი ძირითადად დამყარებულია პირველი პერიოდის ჰაგიოგრაფიულ თხზულებებზე და გამოკრების გზით არის მიღებული (უკუგდებულია ზოგი მახასიათებელი ნიშანი).

აქვე უნდა აღენიშნოთ ის უცილობელი ფაქტი, რომ ბიზანტიელი ჰაგიოგრაფები ყოველთვის როდი უნდა იფარგლებოდნენ კანონიზებული ტრაფარეტით. სხვადასხვა მწერლის შემოქმედებაში საკმაოდ ხშირად იჩენდა თავს ამ ტრაფარეტის ვარიაციები. არცთუ იშვიათად კი ჰაგიოგრაფი საერთოდ სცილდებოდა ტრაფარეტის საზღვრებს და თავის თხზულებაში შეჰქონდა ისეთი საკითხები თუ ამბები, რასაც სრულიადაც არ ითვალისწინებდა კანონიზებული სქემა. იგავე ითქმის ნაწარმოების ენისა და სტილის შესახებაც. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საგრძნობი განსხვავება შეინიშნებოდა არა მხოლოდ მეოთხე და მეექვსე (ან მომდევნო) საუკუნეების ძეგლებს შორის, არამედ ერთისა და იმავე საუკუნეების თხზულებებშიც.

ჩვენი აზრით, ერთგვარ დაზუსტებას მოითხოვს ფრეიბერგისა და ჰოპოვის ის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ჰაგიოგრაფიული ტრაფარეტის ჩამოყალიბებამ განაპირობა თხზულების შინაარსიც. ასე, მაგალითად, თუ „წმიდა მაკრინას ცხოვრება“ საკმაოდ კარგად გვაცნობს იმდროინდელ სინამდვილეს, მომდევნო ხანის თხზულებები სრულიადაც აღარ შეიცავს მსგავს ისტორიულ ცნობებს (ან უკეთეს შემთხვევაში, ძალზე მკრთალად წარმოგვიჩენს მთავარი გმირის თანადროული ცხოვრების ამა თუ იმ მხარეს).

ამგვარი შეხედულება საკვებით მართებულია VI—IX საუკუნეებში შექმნილი ჰაგიოგრაფიული ძეგლების მიმართ. მაგრამ ამავე პერიოდის ბიზანტიური ჰაგიოგრაფია იცნობს არაერთ ისეთ თხზულებასაც, რომლებიც საკმაოდ მდი-

¹⁰ Т. П. Попова, Античная биография и византийская агиография, в сб.: „Античность и Византия“, М., 1975.



დარ და საყურადღებო ისტორიულ ფაქტებს წარმოგვიდგენენ (როგორც სა-
 ეკლესიო, ისე საერო ხასიათისას). აქ შეიძლება დავსახელოთ „თეოდორე
 სტუდიტის ცხოვრება“, „ფილარეტის ცხოვრება“, „წმიდა იოანეს ცხოვრება“,
 „სტეფანოზის ცხოვრება“ და მრავალი სხვა. ამასვე დააღასტურებს ქართული
 ჰაგიოგრაფიული მწერლობის ისტორიაზე თვალის გადავინებაც. მეხუთე საუ-
 კუნეში შექმნილი „შუშანიკის წამებაც“ და შემდგომ საუკუნეებში დაწერილი
 ძეგლებიც — „ეგისტათი მცხეთელის მარტვილობა“, „აბოს მარტვილობა“,
 „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, „იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრება“, „გიორ-
 გი მთაწმინდელის ცხოვრება“ და სხვა, რომელთაგან თითოეული სამართლი-
 ნად ითვლება ჰაგიოგრაფიული ქანრის ბრწყინვალე ქმნილებად, ისე ცოცხლად
 და ფართოდ წარმოგვიდგენენ თანადროული ცხოვრების სურათებს, რომ ზოგი
 მკვლევარი მზადაა, ისინი ისტორიოგრაფიის კუთვნილებად გამოაცხადოს. ასე
 რომ, ჰაგიოგრაფიულ ტრაფარეტს, როცა არ უნდა მომხდარიყო მისი ჩამოყა-
 ლიბება და დამკვიდრება, რაიმე თვალსაჩინო გავლენა არ მოუხდენია ჰაგიო-
 გრაფიული თხზულების შინაარსზე. მისი გავლენა ძირითადად სხვა მხრივ გა-
 მოიხატა. მეექვსე საუკუნიდან მოყოლებული ჰაგიოგრაფთა უდიდესი უმრავ-
 ლესობა მტკიცედ იფარგლებოდა კანონიზებული სქემით, რაც განაპირობებდა
 ამ ქანრის ნაწარმოებთა ერთფეროვნებას. მაგრამ მათ გვერდით, როგორც
 ვთქვით, იწერებოდა ისეთი თხზულებებიც, რომელთა ავტორები ჰაგიოგრა-
 ფიულ ტრაფარეტის ვარიირებასაც ახდენდნენ და არცთუ იშვიათად ამ ტრა-
 ფარეტის ფარგლებსაც საგრძნობლად სცილდებოდნენ. მიუხედავად ამისა, ამ
 რიგის თხზულებები მათი მახასიათებელი ნიშნებით უდავოდ განეკუთვნებოდა
 ჰაგიოგრაფიულ ქანრს. ხოლო ის განსხვავებები, რაც უთუოდ შეინიშნება ჰა-
 გიოგრაფიულ თხზულებათა შორის როგორც შინაარსობრივი თვალსაზრისით,
 ისე მხატვრულ საშუალებათა გამოყენების მხრივ, განპირობებულია ამა თუ იმ
 ავტორის შემოქმედებითი ნიჭითა და შესაძლებლობით და არა ლიტერატურუ-
 ლი ქანრით. ამიტომაც არ უნდა იყოს მართებული ჰაგიოგრაფიული ქანრისა-
 თვის მხოლოდ ერთფეროვანი ტრაფარეტის ჩარჩოებში მოქცეული თხზულებ-
 ბების მიკუთვნება.

დასასრულს, ერთ საკითხსაც შევხებით, რომელსაც ალბათ გარკვეული
 მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს.

ჰაგიოგრაფიული ტრაფარეტი და ჰაგიოგრაფიული მახასიათებლები რამდენ-
 ნიმე პირობითი ცნებებია. ამასთან, ჰაგიოგრაფიული ტრაფარეტი ვერ ფარავს
 ჰაგიოგრაფიის მახასიათებელ ნიშანთა ერთობლიობით მიღებულ ქანრობრივ
 განსაზღვრას (მაგალითად, ტრაფარეტი არ გულისხმობს ძირითადი თემიდან
 გადახვევებს, გარემო სინამდვილის ასახვას, საყოფაცხოვრებო ეპიზოდების
 ჩართვას თხზულებაში და სხვა, რაც დამახასიათებელია მრავალი ჰაგიოგრაფი-
 ული თხზულებისათვის). ამიტომ ჰაგიოგრაფიულ-ქანრზე საუბრისას, ამ ქანრი-
 სათვის ამა თუ იმ ნაწარმოების მიკუთვნებისას ძირითადად ქანრის მახასიათე-
 ბელი ნიშნები უნდა გავითვალისწინოთ და არა მხოლოდ ტრაფარეტი, თუმცა
 ეს უკანასკნელი რამდენადმე მაინც უნდა იყოს დაცული ჰაგიოგრაფიულ თხზუ-
 ლებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ძალზე გავდარბიებთ ჰაგიოგრაფიულ
 მწერლობას.

ყველა შემთხვევაში თქმულის შემდეგ, ვფიქრობთ, გარკვეული საფუძველი გვაქვს,
 რომ გვეს ქვეშ დავაყენოთ პიერ მარავალის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც
 „მაკრინას ცხოვრება“, მიუხედავად მისი აშკარა ჰაგიოგრაფიული მიზანდასა-
 ხულობისა, არ განეკუთვნება ჰაგიოგრაფიულ ქანრს. აქვე დავსძენთ, რომ
 მკვლევართა უდიდესი უმრავლესობა სრულიადაც არ თვლის საეჭვოდ ჰაგიო-
 გრაფიული ქანრის არსებობას მეოთხე საუკუნის ბიზანტიაში.

К ОПРЕДЕЛЕНИЮ ЖАНРОВОЙ
СПЕЦИФИКИ СОЧИНЕНИЯ ГРИГОРИЯ НИССКОГО
«ЖИТИЕ МАКРИНЫ»

Резюме

Жанровая специфика сочинения Григория Нисского «Житие Макрины» в научной литературе оценивается неоднозначно.

Часть исследователей относит его к агиографической литературе, другая часть считает его эпистолярным произведением, а К. Кекелидзе склоняется к гомилетике.

Из самого произведения явствует, что Григорий Нисский считал адресатом своего сочинения не только монаха Олимпия (заказавшего автору «Житие Макрины»), но широкий круг читателей.

В статье высказывается мнение, что «Житие Макрины» агиографическое произведение, о чем первым делом свидетельствует название сочинения и факт описания жития Макрины с рождения до последних дней.

Особого внимания заслуживают характерные особенности «Жития», присущие агиографической литературе.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის ინსტიტუტის ბიზანტინოლოგიის განყოფილება
წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა
ა. გვახარიაშვილმა

ლოიზა რუხაძე

რამდენიმე თურქული ნასმსოზობისათვის
ძართულ სალიტერატურო ენაში

თურქობები ქართულ ენაში მეტად დიდი როდენობით არის დამკვიდრებული. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში დიდ უმრავლესობას მითითებული არა აქვს მათი თურქული წარმომავლობა, ე. ი. მიჩნეულია ქართულ ლექსიკურ ერთეულებად. ჩვენი კვლევის მიზანია თურქული წარმომავლობის ლექსიკის გამოვლენა, შესწავლა და მათი თურქულობის დასაბუტება.

ბავლი ს.-ს. ორბელიანის თანახმად: „დასავგეშავი ქორშეგარდნის მიერ პირველად დაქერილი ფრინველი“ (ქეგლ, I, გვ. 591¹). თურქულ სალიტერატურო ენაში 'ბავლი' არის: „1. გაწვრთნილი ნავარჯიშევი ფრინველი, 2. ფიტული, საფრთხობელა“². თურქულში ფუნქციონირებს მისი დერივატი ზმნა 'ბავლიმაქ' ძაღლისა და სანადირო ფრინველის გაწვრთნა, გავარჯიშება.

ვ. რადლოვის თანახმად, ოსმ. 'ბავლი' ოსმალური სიტყვაა და ეწოდება ფიტულს შევარდნის გასაწვრთნელად. ზმნა 'ბავლიმაქ' აღნიშნავს — ცხენისა და შევარდნის გაწვრთნას³ თურქული წარმოშობის სიტყვად მიიჩხევს 'ბავლი'-ს მ. რესენენი⁴.

ბელვა (ქეგლ, I, 1030), გადაბელვა (ქეგლ, II, 195), დაბელვა (ქეგლ, III, 195). ამ ლექსემათა მნიშვნელობა საერთოა: „ხის ტოტების მოჭრა, გაკაფვა“. სულხან-საბას ლექსიკონში⁵ „დაბელვა“ იდენტური მნიშვნელობითაა წარმოდგენილი — ხეთა გარდაკაფვა (საბა, 135). ვუკოლ ბერიძეს „სიტყვის კონაში“⁶ შეტანილი აქვს დერივატები — ბელვა, გადაბელვა, ჩამობელვა, შებელვა, რომლებსაც ახლავს განმარტება — „ხის გადაჭრა ტოტებზე“. ზემოთ მოყვანილ ლექსემებს, ასევე დერივატს „გადაბელილი“ (ქეგლ, II, 195), სულხან საბას ლექსიკონის გარდა, ყველგან მითითებული აქვს კუთხურობა (კერძოდ იმერულ-რაჭული), თუმცა „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ შეტანილია სიტყვა-ფორმები: ბელავს, ბელავდა, გადაბელავს, გადაბელავდა, გადაბელა, გადაბელავს და გადაბელილი, რაც ამ სიტყვებს ერთგვარად ანიჭებს ლიტერატურულ სტატუსს.

საყურადღებოა, რომ ზემოაღნიშნული სიტყვები წარმოადგენენ თურქული სახელადი ფუძის — 'ბელ' (ბარი) — ქართულ ვერბალიზაციას.

ჩვენთვის ცნობილია, რომ ქართულ სალიტერატურო, თუ დიალექტოლოგიურ ლექსიკონებში არსებითი სახელი 'ბელი' არ არის ფიქსირებული, გამოწკლის შეადგენს შ. ნიჭარაძის ნაშრომი „ქართული ენის აჭარული დიალექტის ლექსიკა“⁷, სადაც 'ბელი' განმარტებულია, როგორც „ორკბილა თოხი“ (ჩანგალივით) ოროკი ადგილების სათოხნად. ე. ი. აჭარულში თურქულ 'ბელ'-ს „ბარი“ სიტყვის მნიშვნელობა შეუცვლია.

ვფიქრობთ, 'ბელ' სიტყვა-ფორმის თურქულობა ექვს არ უნდა იწვევდეს. ფიქსირებულია იგი ძველი თურქული ენის ლექსიკონში⁸, ვ. რადლოვისა და ლ. ბუდაგოვის ლექსიკონებში⁹, ასევე თურქული წარმომავლობის სიტყვად მიიჩნევენ მას მ. რესენენი¹⁰ და ე. სევორთიანი¹¹.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბელ თურქულ ენაში წარმოადგენს ომონიმურ ძირს. სალიტერატურო თურქულში ფუნქციონირებს ბელ-ის ერთნაირი ფონეტიკური ვარსის, მაგრამ მნიშვნელობით და წარმოშობით ოთხი სხვადასხვა სიტყვა, თურქული ენის დიალექტებში ფიქსირებულია მისი თერთმეტი ომონი-

მური მნიშვნელობა (იხ. დს, II, გვ. 604—605). ამთავან ქართულ ენაში მოლღწევი ორ სიტყვას ერთ-ერთი (ბელ 'ბარი') ზევით გეჰონდა განხორციელებული ბოლო მეორის — ანატომიური ტერმინის — ბელ 'წელი' შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ იგი ქართულში თავს იჩენს სიტყვა-ფორმაში უბელო, რომელსაც ჩვენი ცნობილი ლექსიკოგრაფები ქართულად მიიჩნევენ და განმარტავენ, როგორც 'ცხენი აღუკაზმავი' (საბა), 'შეუკაზმავი ცხენი' (ნ. ჩუბინაშვილი¹², გვ. 1382, დ. ჩუბინაშვილი¹³, გვ. 1237), 'შეუკაზმავი, უუნაგორო ცხენი' (ქეგლ, VI, 1395).

ბორჯი — წარმომავლობის აღნიშვნის გარეშე ქეგლ-ში კონსტატირებულია ამ სიტყვის ორი მნიშვნელობა: 1. კუთხ. გურულ-იმერული მორიგეობის ვადა, ჯერი; 2. კუთხ. ვალი. თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ დ. ჩუბინაშვილი¹² და ნ. ჩუბინაშვილი¹³ მიუთითებენ ამ სიტყვის მნიშვნელობას.

ქართული „ბორჯი“ თურქული 'ბორჯ'/'ბორჩ'-ის ფარდი სახელია. თურქულ-გაგაუზურ, ყირგიზულ ენებში ყრუ ვარიანტით არის წარმოდგენილი: 'ბორჯ' ფორმით გვხვდება აზერბაიჯანულსა და ოსმალურში, 'ბორიქ' უიღურულში, 'ბორიშ' ყაზახურში, 'ბურჩ' უზბეკურში.

აღნიშნულია 'ბორჯი' სიტყვა ვ. რადლოვის ლექსიკონში, მნიშვნელობით: 1. წარმომავლობა, 2. ვალი¹⁴.

ბორჯ დასტურდება ჯერ კიდევ მე-12—13 საუკუნეების წერილობით ძეგლებში. რესენენი იზიარებს ა. ტელეგდის მოსაზრებას ამ სიტყვის სოლდურ წარმომავლობაზე. 'ბორჯი'/'ფორჩ', როგორც თურქული ნასესხობა, დადასტურებულია რუმინულში, ახალბერძნულში, ალბანურში.

იერიში (ქეგლ)-ის თანახმად ქართულში ნიშნავს სწრაფ თავდასხმას, შეტევას მოწინააღმდეგეზე.

ქართ. იერიში, თურქ. იურუმ, აზერბ. იერიშ (მსვლელობა, ლაშქარი, სიარული)¹⁴. შდრ. აგრეთვე თურქული ენების 'იურუმექ'¹⁵ (სვლა, სიარული). მე-15 საუკუნის ძეგლებში დადასტურებულია ფორმა 'იურუმ', რომელიც 'იურუმ' ძირიდან -უმ აფიქსით არის ნაწარმოები. თურქ. -უმ აფიქსი გარდაუვალ ზმნებში გამოხატავს რამდენიმე სუბიექტის ერთობლივ მოქმედებას.

'იურუმ', როგორც რთული ფუძის (იურუმ იაფმაქ) ნაწილი, დადასტურებულია მე-17 საუკუნის წერილობით ძეგლებში¹⁶. ვფიქრობთ, ქართული „იერიში“ თურქული 'იურუმ'-დან უნდა მომდინარეობდეს.

ტავარჯუხი ძვ. ზურგზე მოსაკიდებელი ტყავის ჩანთა, გუდა, ხალთა. ს.-ს. ორბელიანს აღნიშნული აქვს ეს სიტყვა ქართულ ლექსიკონში და თვლის, რომ სომხური სიტყვაა, კერძოდ, 'ტავარ' (ცხვარი, ცხვრის ფარა)-დან მომდინარე¹⁷. ასევე სომხური წარმომავლობისად მიიჩნევენ მას მოგვიანო ხანის ავტორებიც. თურქულში ეს სიტყვა გვხვდება 'დაღარჯიბ' ფორმით, რაც ნიშნავს ტყავის ჩანთას, ტომარას. ვირესენის, ტრაპიზონისა და რიზეს დიალექტებში აქვს 'დავარჯუს' ფორმა¹⁸, რაც ვფიქრობთ, უნდა იყოს ქართული ნასესხობის წყარო. თურქულმა თავიკიდურმა მკლერ-ხშულმა და-მ ქართულში, სიტყვის თავში, როგორც წესი, მოგვეცა მკვეთრი ყრუ-ხშული ტ. თურქული დიალექტური 'დავარჯუქ'-ი თავის მხრივ, თურქულ სალიტერატურო 'დაღარჯიქ'-ს უპირისპირდება, როგორც ყვიჩაღური ფორმა 'ოღურუს' გ-ვ-ს ელემენტების ურთიერთშენაცვლებით გვხვდება თვით სალიტერატურო თურქულსა და აზერბაიჯანულშიც. მათ დიალექტებში კი მეტად გავრცელებული მოვლენაა.

ლ. ბუდაგოვი მიუთითებს 'ტავარ'/'დავარ' სიტყვის ირანულ წარმოშობაზე; აღნიშნულია ცენენერის ლექსიკონშიც.

ძირითადი ჰიპოთეზები ამ სიტყვის წარმოშობის შესახებ ეკუთვნის ვ. დოერფერს¹⁹. მას მიაჩნია, რომ 'ტავარ' სიტყვა შესაძლებელია მომდინარეობს

რომელიმე უკვე გამჭარალი ენიდან, ვინაიდან არ არის აღნიშნული ძველ ირანულ დოკუმენტებში და არც მისი ეტიმოლოგიაცია ხერხდება ირანულ ნიშნულს დაგზე. გ. დოერფერს მიაჩნია, რომ 'დაგარა', როგორც ირანული ნასესხობა ოდესღაც მოხვდა თურქულ ენებში. თურქული დიალექტური 'ტაღარა', უზბეკური 'ტავარა'²⁰

მ. რესენენს თავის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში 'ტავარ' სიტყვა აღნიშნული აქვს და მიუთითებს მის მონღოლურ წარმომავლობას²¹.

თურქული 'დაგარ', როგორც თურქული ნასესხობა, ფიქსირებულია ბულგარულში (ტავარ), სერბიულში (დაგარს), ალბანურში (ტავარ), ახალბერძნულში, რაც მითითებული აქვს მიკლოშიჩს (გვ. 346).

თურქულ ენებში გავრცელებულია 'დაგარ', 'ტავარ'-ზე კნინობითი აფიქსის ჯიქ-ის დართვით ნაწარმოები სიტყვა დაღარჯი (ტყავის ჩანთა).

ჯიდა ძვ. ხიშტი (ქეგლ). ქართული „ჯიდა“ — თურქ. 'ჯიდა'.

თურქული 'ჯიდა' ფიქსირებულია ძველი თურქული ენის ლექსიკონში²¹ და მითითებულია, რომ მონღოლური წარმოშობის სიტყვაა. ვ. ბანგი ამ სიტყვის ყრუ ვარიანტს გვთავაზობს — 'ჯიდა', ალბათ იმ დაუსაბუთებელი მოსაზრების გამო, რომ მონღოლურ თავკიდურ ჯ-ს იმ ენებში, რომლებსთვისაც ტიპურია სიტყვის თავში ჯ, ენაცვლება ყრუ ხ.

3. მეღირანსკის აზრით, ეს სიტყვა მონღოლურია და იქედან შესულად თელის ამ სიტყვას თურქულ ენებში. ძველი თურქული ენის ლექსიკონის მონაცემებით ეს სიტყვა თურქულ ენებში დასტურდება მე-13 საუკუნის ძველში. ამ სიტყვის მონღოლურობა აღნიშნული აქვს შჩერბაკს ოლუზნამეში; ეტიმოლოგიურად მონღოლურია, მაგრამ ქართულში თურქულიდან შემოსული ჩანს.

თურქიზმები ქართულში თავს იჩენს, როგორც დამოუკიდებელ სიტყვებად, ასევე კომპოზიტის ნაწილებად. ქართულში კომპოზიტები შეიცავს მეტყველების ყველა ნაწილს. შემადგენელი კომპონენტების თანამიმდევრობის მიხედვით დასტურდება როგორც ქართულ-თურქული, ასევე თურქულ-ქართულ ჰიბრიდული კომპოზიტები.

ქართულ-თურქული ჰიბრიდული კომპოზიტი: **ერთბაშიად** — უცებ, უცერად, მყისვე, სწრაფად — ქეგლ-ში წარმომავლობა არ არის მითითებული. ჩვენთვის საინტერესოა, ამ სიტყვის მეორე ნაწილი 'ბაში', თურქული წარმომავლობის სიტყვა. რომელიც ქართულში ცალკე არ დასტურდება, მაგრამ ქართულ ნიღაგზე სიტყვა ერთ-თან კავშირში საინტერესო კომპოზიტს ქმნის — 'ერთბაშია'. 'ერთბაშიად' ზმნიზედაა ქართულში.

ოჯახქორი. ქართულ ენაში თურქული 'ოჯახ' სიტყვა ძალიან აქტიური ლექსემაა. დასტურდება დერივატებში, როგორც — დაოჯახება, მეოჯახე, უოჯახო, ოჯახიანი და სხვ. ასევე კომპოზიტებში — ოჯახისშვილი, ოჯახაშენებული, ოჯახდაქცეული და სხვ. ყველა ამასთან ერთად ქეგლ-ში ფიქსირებულია — „ოჯახქორი“ და განმარტებულია, როგორც სალანძღავი სიტყვა. ჩვენი აზრით, აღნიშნული კომპოზიტი წარმოადგენს არა ლანძღვას, არამედ წყევლას და არის „ოჯახდაცებულის“ სინონიმი. 'ქორ' ბრმას“ ნიშნავს თურქულში. ამ სიტყვის თურქულობა ექვს არ იწვევს და ქართულში „ოჯახქორის“ სიტყვასიტყვითი თარგმანი იქნება — ოჯახდაცებული.

ტანაჯორი. — 1. ერთი წლის ჯორი; 2. მცირე ზომის წყლის მწერი (ქეგლ). აღნიშნული ლექსემა დადასტურებულია ვეფხისტყაოსანში: „კაცი შენგან განატყორცნი, ბრუნავს ვითა ტანაჯორი“. დასტურდება ეზოპესთან: „**ტანაჯორი** არს იგი, რომელმაც უქნა ორბსა მას ესრეთ მტერობა“.

საკვლევ ტერმინს ვრცლად განიხილავს მ. ალავიძე (იხ. ჟურნალი „განთიადი“)²². იგი წერს: „შოთასეული „ტანაჯორი“ „ერთი წლის ჯორს ეწოდება“ ამასვე იმეორებენ ნიკო ჩუბინაშვილი (ქართული ლექსიკონი, 1961), დავით

ჩუბინაშვილი (ქართულ-რუსული ლექსიკონი, 1884), ლევან ლეონიძე (მეს-ქონლეობის ლექსიკონი, 1925).

თეიმურაზ ბაგრატიონიც წერს: „ტანად მომცრო ჯორი და მსწრაფლად მბრუნავი“ (განმარტება „ვეფხისტყაოსნისა“, 1961, გვ. 56).

მ. ალავეძისეულ განმარტებაში ჩვენთვის განსაკუთრებით ყურადსაღებია კუკოლ ბერიძის მოსაზრება: „ტანაჯორი ორ რასმე ნიშნავს: 1. ჯორის ერთგვარი ჯიშია, ბუნებით პატარა ტანისა, მაგრამ არაჩვეულებრივად წვივმგარი, ძველად გამოიყენებოდა ხორბლის საფქვევად — წისქვილის ქვეს გამოაბამდნენ და ირგვლივ ატარებდნენ. ქვა ბრუნავდა და ხორბალი იფქვებოდა; 2. „ტანაჯორი“ აგრეთვე ეწოდება მწერს, რომელიც წყლის პირს იცის და მარად ბზრიალასებერ ბრუნავს“. ამ ორივე მნიშვნელობაში ყურადღება სწრაფ ბრუნვაზეა გამახვილებული.

შემდეგ მ. ალავეძე იმომწმებს თეიმურაზ ბაგრატიონის განმარტებას: „ტანად მომცრო ჯორი და მსწრაფლად მბრუნავი“ (განმარტება „ვეფხისტყაოსნისა“, 1961). ჩანს, „ტანაჯორის“ ეს პირვენდელი მნიშვნელობა შემოუნახავს კახურ დიალექტს.

ენათმეცნიერ ალექსანდრე გვენცაძის თვალსაზრისით, „ტანაჯორში“ უნდა ვიგულისხმოთ არა კოლოსმაგვარი მწერი, არამედ სახედრის ნაშობი ერთი წლის ჯორი (დედალი). საკუთარ ჩანაფიქრს ავტორი დამაჯერებლად ასაბუთებს: 1. ტარიელის მიერ განატყორცილი კაცი მიწაზე დაცემის შემდეგ, ცხადია, სიმწრისაგან გადაბრუნდ-გადამობრუნდებოდა და გაბრუვდებოდა. ეს სურათი სახეობრივად უფრო გამოიხატება ცხოველის (ჯორის) სათანადო მოქმედებაში, ვიდრე მწერისაში; 2. მტრისადმი უარყოფითი განწყობა დასაშვებს ზღის, რომ მტერი შედარებული ყოფილიყო ჯორთან, ცხადია, ამავე დროს პოეტური ეფექტიანობისთვისაც; 3. „შაპ-ნამეს“ მთარგმნელსაც ასე უნდა ესმოდეს „ტანაჯორის“ მნიშვნელობა: გაამაყებული ქუმსი მეტოქეს ითხოვს. არავინ ვაჰყვა „შემუქარედ“ და ქუმსი „ბრუნავს ვითა ტანაჯორი“ (სტროფი 3602). აქ ქუმსი მიწაზე მდგომარე ჩანს და არა ჰაერში მბრუნავი.

ენათმეცნიერი გრიგოლ ბერიძე ამ საკითხზე წერს: „ტანაჯორს“ — მესხურ-ჯავახურში ეძახიან ერთ მხარეს წაწვეტილ ხეს. საბავშვო სათამაშოა, ურტყამენ და ბზრიალებს. ასეთი გავება უნდა ჰქონდეს ამ სიტყვას პოემაშიც.

ჩვენი აზრით, არ უნდა იყოს სწორი „ტანა“-ში ანატომიური ტერმინის „ტანის“ სემანტიკის ჩადება.

„ტანაჯორი“ წარმოადგენს ჰიბრიდულ კომპოზიტს. მისი პირველი კომპონენტი თურქულია. ეს არის 'ტანა' (ზო ერთი წლიდან ორ წლამდე). თურქული 'ტანა' / 'დანა' სწორედ სისწრაფის სემანტიკით გამოუყენებია შოთა რუსთაველს. ქიზიყურში „ტანაჯორის“ გარდა, ყოფილა კომპოზიტი „ტანავირი“. ვტიქობთ, თურქული 'დანა', აქაც იმავე მნიშვნელობას შეიცავს: დ-ს ტ-ში გადასვლა კანონზომიერი ფონეტიკური მოვლენაა.

დამოწმებული ლიტერატურა

1. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., ტ. I—VIII, 1950—1964.
2. Турецко-русский словарь, М., 1976.
3. В. Радлов, Опыт словаря тюркских наречий, т. I—IV, т. VI, ч. II, СПб., 1899, გვ. 1031.
4. M. R a s ä n e n, Versuch Eines Etymologischen Worter bughs Der Turkprachen, გვ. 9.
5. ს.-ს. ორბელიანი, სიტყვის კონა, თფ., 1949, გვ. 32.
6. ვ. ბერიძე, სიტყვის კონა, თბ., 1912.
7. ბ. ნიქარაძე, ქართული ენის აქარული დიალექტის ლექსიკა, ბათუმი, 1971, გვ. 112.
8. Древнетюркский словарь, Л., 1969, გვ. 51.

9. Л. Будагов, Сравнительный словарь турецко-татарских наречий, т. I, 1869, т. II, 1871, გვ. 1041.
10. M. Rasānen, დასახ. ნაშრომი.
11. Э. Севортян, Этимологический словарь тюркских языков, I, М., 1974.
12. ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961.
13. დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984, გვ. 705.
14. В. В. Радлов, დასახ. ნაშრომი, გვ. 1101.
15. Л. Будагов, Сравнительный словарь турецко-татарских наречий, т. I, 1869; т. II, 1871, გვ. 1011.
16. Шербак, Историческое развитие лексики тюркских языков, М., 1961, გვ. 127.
17. ს.-ს. ორბელიანი, დასახ. ნაშრომი.
18. Soz derleme dergisi cilt 3 Istanbul, 1947, 1540.
19. C. Doerfer, Turkische und mongolische elemente im Neuperssichen, Bd I, Turkische elemente im Neuperssichen, Wiesbaden, 1957.
20. Древне тюркский словарь, გვ. 51.
21. M. Rasānen, დასახ. ნაშრომი, გვ. 91.
22. ჟურნალი „განთიადი“, 1980, № 6.

Л. И. РУХАДЗЕ

О НЕСКОЛЬКИХ ТУРЕЦКИХ ЗАИМСТВОВАНИЯХ В ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

Статья представляет собой продолжение наших исследований, касающихся двух неродственных языков: грузинского и турецкого. На данном этапе представлена лексика, заимствованная грузинским из турецкого языка, в частности, приведены следующие примеры: груз. ბაული — «дрессированная птица для охоты, чучело», тур. bavli — «дрессированная птица»; груз. борджи — «заем», тур. borç — «заем»; груз. იერიშ — «приступ», тур. yürüş; груз. გადაბელვა — «вырезка деревьев», тур. bel + la — «работать лопатой, копать, переворачивать»; груз. დჯიდა — «копье», тур. cida; груз. оджахкер — «семья, очаг, слепой», тур. osak köğ — «слепой»; груз. дана — «теленок», тур. tana — «теленок».

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღ-
მოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თურქოლოგიის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა
ე. ჭავჭავაძემ

თბილისი

სპარსული ანდაზები

მსოფლიოს ხალხთა ფოლკლორი მრავალი საერთო ნიშნით ხასიათდება, მაგრამ იმავდროულად მკვეთრი თავისთავადობითაც გამოირჩევა. ფოლკლორის თითოეული ქანრი მისთვის ხელმისაწვდომი საშუალებებით წარმოდგენას გვიქმნის იმ ხალხის ზნე-ჩვეულებების, ტრადიციების, ყოფისა თუ მისწრაფებების შესახებ, რომლის წიაღშიც თავად იშვა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ანდაზები. ამ გარეგნულად სადა ფრაზებს მიღმა იკითხება ხალხის ზნეობრივი მრწამსი, საუკუნეების მანძილზე მიღებული გამოცდილება. რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა. ამდენად, ანდაზები ასახავს არა მარტო ხალხის ყოფას, არამედ მის აზროვნებასაც და ერთგვარი დებულებების სახით გვაწვდის ყოველივე იმას, რაც ამა თუ იმ ხალხში თავისი განვითარების ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე შეიგნო და უტყუარ ჭეშმარიტებად აღიარა. თავდაპირველად ანდაზა ალბათ რაიმე კონკრეტულ ვითარებაში იშვა როგორც ერთეული ინდივიდის პირადი გამოცდილებიდან მიღებული ლოგიკური დასკვნა. მაგრამ მასში სხვებმა აღმოაჩინეს ისეთი რამ, რაც თავადაც ენიშნათ და — კონკრეტული შემთხვევის ანალიზის შედეგად მიღებულმა კონკრეტულმა დასკვნამ საყოველთაო ხასიათი შეიძინა. ანდაზა მით უფრო პოპულარულია, რაც უფრო მეტი ადამიანის გამოცდილებას ასახავს. ალბათ საგანგებო გამოკითხვა არ დაგვჭირდება იმის დასამტკიცებლად, რომ ჩვენში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ანდაზაა „რაც მოგივა, დავითაო, ყველა შენი თავითაო“, რადგან ძნელად თუ მოიძებნება ადამიანი, რომელსაც ერთხელ მაინც არ მისცემია მისი წარმოთქმის საფუძველი.

ამა თუ იმ ერს თავისი მიზანი და განვითარების საკუთარი გზა აქვს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არსებობს ზოგადსაკაცობრიო იდეალები, რომელიც ერთნაირად ახლობელია ყველა ხალხისათვის. ასევეა ფოლკლორშიც და ეს განსაკუთრებული სიცხადით სწორედ ანდაზებში ვლინდება. ფორმალური თვალსაზრისით მსოფლიოს ხალხთა ანდაზები უდიდეს სიახლოვეს იჩენენ და მათი გარკვეულ ფორმულებამდე (კლიშეებამდე) დაყვანაც ხერხდება. უფრო მეტ მრავალფეროვნებას ანდაზების შინაარსი ქმნის, თუმცა ეს მრავალფეროვნებაც უმთავრესად რეალიებით არის განპირობებული. არცთუ იშვიათად იძებნება იდენტური ანდაზები ერთმანეთისაგან გეოგრაფიულად ძალზე დაშორებულ (ზოგჯერ ენობრივ-კულტურული, ეკონომიკური ან ისტორიული კონტაქტების არმქონე) ხალხთა ფოლკლორში. ასეთ შემთხვევებში მეტწილად უნივერსალიზებთან გვაქვს საქმე. თუ ვუდარებთ მეზობელი ან იმ ხალხების ანდაზებს, რომელთაც მჭიდრო ენობრივ-კულტურული, ეკონომიკური ან ისტორიული კონტაქტები ჰქონდათ, დამთხვევების ცალსახა ახსნა ძნელდება და მკვლევარს ბეწვის ხიდზე უხდება გავლა. მაშინვე წამოიჭრება სესხების პრობლემა და იბადება კითხვა — რა მიმართულებით მოხდა სესხება? ყოველივე ამას მიყვავართ ტიპოლოგიური ანალიზის აუცილებლობამდე და რაც უფრო მეტი ენის მონაცემებს მოიცავს ეს უქანასკნელი, მით უფრო საგულისხმო შედეგს უნდა მოველოდეთ. ტიპოლოგიური ანალიზი ანდაზებთან დაკავშირებულ არაერთ სხვა პრობლემასაც წაადგება (თუნდაც მისი რაობის გარკვევას). ამგვარი კვლევის თვალსაზრისით ძალზე საინტერესო სურათს ქმნის სპარსული და ქართული ანდაზების შედარება.



ვინც სპარსული ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს გაეცნობა, მას სპარსულ პოეზიის დიდებულება აღარ გააკვირვებს. ირანელ პოეტთა და მწერალთა მოქმედებაში, სადაც დიდაქტიკას მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა, ხშირად ვხვდებით ანდაზებს, ფოლკლორულ პოეტურ ხატებს. თავის მხრივ, პოეზიას არაერთი ნიმუში იქცა საყოველთაო სახალხო კუთვნილებად. ანდაზები მიმობნეულია სპარსული ლიტერატურის იმ ძეგლებშიც, რომელიც ჭერ კიდევ შუა საუკუნეებში თარგმნეს ჩვენმა წინაპრებმა და ამით ხელი შეუწყვეს მათ პოპულარიზაციას ჩვენს ქვეყანაში. ამ თვალსაზრისით თარგმნილი ლიტერატურა საგანგებო შესწავლას მოითხოვს.

ანდაზებისა და ხატოვანი თქმების მიმართ ირანელთა ინტერესი ადრეულ საუკუნეებში იჩენს თავს. უპირველეს ყოვლისა, მათ ვხვდებით სპარსულენოვან ძველ განმარტებით ლექსიკონებში. XVII საუკუნის დასაწყისიდან კი უკვე დგება პირველი კრებულები, სადაც თავმოყრილია მდიდარი ფრაზეოლოგიური მასალა. და მაინც, შემკრებლობითი მუშაობა, ძირითადად, XX საუკუნის 30-იანი წლებიდან გაჩაღდა. გამოდის კრებულები როგორც ირანში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. სპარსული ფრაზეოლოგია ითარგმნება ევროპულ ენებზე, გამოიცემა რუსული თარგმანის თანხლებით. სამწუხაროდ, ასეთი ინტერესი საქართველოში ნაკლებად იგრძნობა¹.

წინამდებარე თარგმანი შესრულებულია მეჭდი სოპიელის კრებულიდან „ირანის პოპულარული ანდაზები“². წიგნი 3000-იანი ტირაჟით გამოიცა თეირანში 1970 წლის აგვისტოში. მასში შესულია 1400-ზე მეტი ნიმუში, რომელთაგან ყველა ანდაზას არ წარმოადგენს. აქვე შეტანილია იდიომები, ირანელ პოეტთა იგავური და აფორისტული გამონათქვამები, არაკებთან დაკავშირებული ცალკეული ფრაზები, რაც სპარსულენოვანი კრებულებისათვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი მოვლენაა. ამის ერთ-ერთი მიზეზი არის ისიც, რომ ცნებების „ზარბ-ოლ-მასალ“, „მასალ“ ქვეშ ირანელები გულისხმობენ ანდაზას, სიტყვის მასალას, იდიომას, იგავურ გამონათქვამს, მყარ შედარებას, იგავ-არაკს³. ამ თვალსაზრისით არც მეჭდი სოპიელის კრებულია გამონაკლისი, თუმცა მის ძირითად ნაწილს სწორედ ანდაზები შეადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ ისინი სადა, სასაუბრო სპარსულით არის გადმოცემული. განსხვავებით სხვა შემდგენელთაგან, მეჭდი სოპიელი სალიტერატურო ნორმებისათვის მათ დამორჩილებას არ ცდილა, რაც განსაკუთრებულ ღირებულებას სძენს ამ წიგნს და გამოარჩევს მას მრავალ სხვათაგან⁴.

მეითხველს ვთავაზობთ ჩვენს მიერ თარგმნილ რამდენიმე ნიმუშს „ირანის პოპულარული ანდაზებიდან“⁵.

¹ მდგომარეობა უკანასკნელ ხანებში რამდენადმე გამოსწორდა. არაკებთან დაკავშირებული ანდაზები თუ ცალკეული გამონათქვამი სპარსულიდან თარგმნეს ნ. თარგამაძემ და რ. მიქელაძემ. იხ.: ამირ ყოლი ამინი, ანდაზები და არაკები, არშადანი, III, თბ., 1982, გვ. 228—248; სულ 28 ნიმუში და ამავე კრებულის სრული გამოცემა: ამირ ყოლი ამინი, ანდაზების არაკები, თბ., 1989.

² ზარბ-ოლ-მასალჰაე მარუჟე ირან, თა'ლიჟე მეჭდი სოპიელი, თეჰრან, შაჰრივარმაჰ, 1349. ეს კრებული სპარსული ანდაზებისა და ხატოვანი თქმების ერთ-ერთი ბოლო გამოცემაა.

³ ამის შესახებ უფრო ვრცლად იხ.: თ. შურღაია, „ანდაზის“ მნიშვნელობისათვის ქართულსა და სპარსულში, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1989, № 2, გვ. 110—119.

⁴ მეჭდი სოპიელის მიერ შედგენილი კრებული ხასიათდება რიგი ენობრივი თავისებურებებით. ეს საკითხი ცალკე მსჯელობის საგანია.

⁵ ყველა შემოთავაზებული ნიმუში წმინდა წყლის ანდაზა როდია. აქვე მოგვყავს ისეთი მაგალითებიც, რომელიც არაკებთან უფრო ახლოს დგას. იმის გამო, რომ ამ ტიპის ნიმუშები ქართული ანდაზების კრებულთა უმეტესობაშიც გვხვდება, ამასთან, მათ შორის გარკვეული მონარარსობრივი მსგავსებაც შეინიშნება, მეტ-ნაკლებად დასრულებული სურათის შექმნის მიზნით, ვარჩიეთ მათი აქ წარმოდგენა. ასეთია, მაგალითად, „სირაჟლემას უთხრეს“, „ქაჩალს ჰკითხეს“ და მისთ.

ავადმყოფის მოვლა ავადმყოფობაზე უარსიაო.

ათასი სიტყვის მიმცემი ერთხელაც არ შეასრულებს აღთქმულსაო.

ანჩხლი ცოლი აშვებული ძაღლიაო.

არავენ იტყვის, ჩემი დო მკავეაო.

არამკითხე ჭოჯობეთს წაიყვანეს და — შეშა ნედლიაო.

ას თავეს ერთი კატაც ეყოფაო.

ას წელიწადში ერთხელ შაბათი ნოურტუზე! მოვაო.

აქლემს უთხრეს, კისერი მრუდე რადა გაქვსო და — რა მაქვს სწორიო.

აქლემს ჰედდნენ და რწყილმაც ფეხი იშვირაო.

ახალ კოკაში ცივი წყალი იცისო.

ახლო მეზობელი ჯობს შორეულ ძმასაო.

ბრიყვის პასუხი დუმილიაო.

ბრმას, რაც თავის ჩანთაში აქვს, ამხანაგისაშიც ის ეგულებაო.

ბრმას ღვთისაგან რა უნდა და — ორი თვალი ხილულიო.

გამოცანა რომ ამოიხსნება, იოლი გამოჩნდებაო.

გაჭირვებისას ვირის უკანალსაც უნდა აკოცოო.

გველი ვიდრე არ გასწორდება, ხერტელში არ ჩავაო.

გველი ტყავს იცვლის, ზნეს კი ვერაო.

გიჟი გიჟს რომ ნახავს, ეამებაო.

დათვი მთაში აბუ ალი სინააო?

დათვისგან ბეწვიც ნადავლიაო.

დალაქებს საქმე რომ დაეღუვათ, ერთმანეთს გადაპარსავენ თავებსაო.

დანა თავის ტარს არ გაჭრისო.

დედა თუ არა გყავს, დედინაცვალს შეეწყვეო.

დედაბერი აღუჩას ვერ წვდებოდა და ძიხბდა: მკავეა, არ გამოდგებაო.

დედას გული დაეწვება, ძიხას — კალთაო.

დეიდაჩემს წვერი რომ ჰქონოდა, ბიძა-ბატონი იქნებოდაო.

ერთი გიჟი ორმოში ისეთ ქვას ჩააგდებს, ასი ბრძენიც ვერ ამოიღებსო.

ერთი დასახლებული სოფელი ჯობს ას გავერანებულ ქალაქსაო.

ერთი უწმინდურის გულისათვის მეჩეთს არ გამოკეტავენო.

ერთი ყვავილი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო.

ვინც მეზობლის იმედით ჯდება, მშვიერი წვებაო.

ვინც სახელგატეხილს მიუჯდება, ბოლოს თავადაც გაიტეხს სახელსაო.

ვირი ქერს რომ დაინახავს, ჩალას აღარ შევაძსო.

ვირი ქორწილში წყლის საზიდად მიჰყავთ, გასართობად კი არაო.

ვირის სიკვდილი ძაღლისთვის ქორწილიაო.

ვირმა ატლასის ჩელიკ³ რომ დაიხუროს, მაინც ვირიაო.

ვირმა თუ ღვინო დალია, კეხს გააჩუქებსო.

ვირობა მემკვიდრეობით არ მოდის, ეგეც ღვთის წყალობაო.

ვირს ვირის წიხლი არ ეწყინებაო.

ვირს ისეთ ალავს დააბამენ, პატრონს რომ მოეწონებაო.

ზაფრანა რომ მომრავლდება, ვირს მისცემენ საჭმელადო.

შურგს სხვა ვინ მომგხანს, თუ არა ისევე ჩემი ფრჩხილიო.

თაბაშირის მზიდავი სახედარი პარასკეობით მთიდან ქვას ეწევაო.

თავი რაც უფრო დიდია, ტკივილი მით მეტიაო.

თავის ქება მიჭარვაო.

თავს ზემოთ აფურთხებული პატრონს წვერზე მოუბრუნდებაო.

თოკი დაიწვა, სიმრუდე კი არ დაკარგაო.

თუ ბედი არ შეგეწყუო, თავად შეეწყევო.

თუ ქვაბი ჩემთვის არა დულს, შიგ თუნდ ძაღლის თავი მოხარშულაო.

თუ ძალა გაქვს, შენი სიტყვაც წინ იქნებაო.

ისეთი ორი არ არის, სამი რომ ვერ გახდებაო.

კარგი ყურძენი ტურას ერგებაო.

კატა და თავგი ერთმანეთს რომ შეეწყობა, მებაყლეს დუქანი დაეკეცვაო.

კატა თავს ღვთის ხათრით არ იჭერსო.

კატის სარჩო ფეთხეში ქალის ხელიაო.

კაცი კაცს „ალი“ რომ ეტყვის, „ომარს“ აღარ დაუძახებსო.

კაცი საბრძოლველზე გაჰყავდათ და ცოლი ეუბნებოდა, ვარდისფერი ჭვედაკაბა მომიტანეო.

კაცი ფულს ეძებს, ფული კაცს — არაო.

კაცს რომ ორი შარვალი აღმოაჩნდება, მეორე ცოლზე დაიწყებს ფიქრსაო.

კაცს სოფელში არ უშვებდნენ და მამასახლისის სახლს კითხულობდაო.

კედელს თავგი ჰყავსო და თავესაც ყური აქვსო.

კეთილი საქმე ისე ქენი, არც მწვადი დაწვა, არც შამფურიო.

კვარცხის ქურდი აქლემის ქურდად იქცევაო.

ლეილის მაჯუნის⁴ თვალით უნდა შეხედოო.

ლელეს ყველა ჩიტი არა ქამსო.

ლოცვა-კურთხევა თავისი პატრონის სახლს ცნობსო.
 ლერი ბაზარს თუ არ წეა, ბაზარი გახუნდებაო.
 მამალ ვირს ჩანასახიდანვე ცნობენო.
 მართალსა და ტყუილს შორის ოთხი თითის დაღებაო.
 მარტოკაცი გახუნდება, ან ქვეა გაუთხუნდებაო.
 მგლის აღსარება სიკვდილიაო.
 მგლის მოშიში ცხეარს არ იყოლიებსო.
 მგობრობა-მგობრობაში თავიდან ტყავს გაგაძრობენო.
 მეზობლის ვოგო რაც მეთად ჩერჩეტია, ჩვენთვის უყეთისიაო.
 მექოთნე გატეხილი ქოთნიდან სვამს წყალსო.
 მექლანე შეძახებით მეწალე ვერ გახდებაო.
 მთა მთას არ შეხედება, კაცი კაცს კი მიეწევაო.
 მონა ბატონის ქონებით იყვენის, ბატონი — ორივეთითო.
 მოსამართლის სახლში კაკალი ბევრია, მაგრამ თელავა აქვსო.
 მოტეხილი ხელი ივარგებს, გატეხილი გული კი — ვერაო.
 მოტეხილი ხელი კისრის გასაჭირიაო.
 მოცეკვავს ცეკვა არ შეეძლო და — მიწა დაქანებულაო.
 მტრით სავსე სახლს ცარიელი ჯობსო.
 მუქთ ღვინოს ყადიკა სვამსო.
 მშიერი ქათამი სიზმრად ფეტვს ხედავსო.
 მშიერს სანჯაქი? ესიზმრებაო.
 მწვანილი თავისსავე თესლს ემსგავსება, პასანი — მამას.
 მხედარმა ქვეითისა არა იცის რა, მაძარმა — მშიერისაო.
 ნაჩუქარ ცხენს კბილებს არ დაუთვლიანო.
 ნემსი ყველას აცმევს, თავად კი შიშველი რჩებაო.
 „ნეტავ“ დათესეს და არ იზარაო.
 ოთხშაბათ დღეს ზოგი ფულს კარგავს, ზოგიც — პოულბოსო.
 ორი მზარეულის ხელში წვნიანი ან მლაშე იქნება, ან — უმარილოო.
 ორი რძლის ტანსაცმელი ერთ ვარცლში ვერ გაირეცხებაო.
 ოქროს ფასი ოქრომჭედელმა იცის, მარგალიტისა — მარგალიტის ოსტატმაო.
 პატარა წყლიდან პატარა თევზი ამოვა, ის ვეშაპი ჯობს, ზღვიდან რომ გამოცურდებაო.
 პური ყველას აჭამე, მაგრამ ყველას პურს ნუ შეჭამო.

ქანგი სახლში ყველაფერს ჭამს პატრონის ჭავრის გარდაო.
რომელ ქებასაც ვერ დაძრავ, აკოცე და შეეშვიო.
რინდს⁸ ბორკილი არას არგებს, კახპას — ქვეის სწავლებაო.
რაც ქვაბშია, ჩამჩას ის ამოქვებაო.
რაც ქურდს გადაურჩება, მკითხავი წაიღებსო.
საესე კოკას ცარიელს ნუ დაჰკრავო.
სანამ დათეს არ მოინადირებ, მის ტყავს ნუ გაყიდო.
სანამ ერაყიდან თრიაქს⁹ მოიტანენ, გველის დაგვსლილი მოკვდებაო.
სანამ ჭკვიანი ხიღს ეძებდა, ვიქმა ფეხშიშველამ წყალი გადაიარაო.
საცა დათვია, იქ შიშიაო.
საცა წახვალ, ცა ყველგან ერთი ფერისააო.
სახედარი თავის ბავას არ დაკარგავსო.
სახლში ფილთაქვა თუ დაიკარგა, ან რძლის ხელობა იქნება, ანაც — დედამთილისაო.
სეავი, რაც დედა შეიქნა, ლეშით ველარ გამოძღაო.
სიკვდილი მდიდარს და ღარიბს არ არჩევსო.
სირაქლემას უთხრეს, ტვირთი წაიღეო და — სირი ვარო, უთხრეს — გაფრინდიო და —
აქლემი გახლავართო¹⁰.
სიტყვას სიტყვა მოაქვს, ქარს — თოვლი.
სტუმარი მასპინძლის ვირიაო.
სტუმარი სამი დღეა ძვირფასიო.
სტუმარი სტუმარს ვერ ხედავს და მასპინძელი — ორივესო.
სტუმარს სახე უნდა უცინოდეს, თუნდ მასპინძელმა ცრემლად სისხლი ღვაროსო.
სხვას ორმოს ნუ უთხარი, ჭერ შენ ჩავარდები, მერე — სხვაო.
სხვის საფლავში არავის ჩააწვეწენო.
სხვისი შვილი შვილობას ვერ გაგიწევს, ვინდაც ოჭროს ყელსაბამი შეაბიო.
ტურას მამალი თუ დილით მიაქვს, დაანებე, ღამით მანინე წაიღებსო.
უდროოდ ავიკვირებულ ჩიტს თავი უნდა წააქალოო.
უპურო სუფრა ჩუღია და უწყლო დოჭი თიხააო.
უშობელი სახედარი ჭერ კიდევ ჩოჩორიაო.
უწვრთნელი შვილი მეექვსე თითივითაა — თუ მოიჭრი, გეტკინება, არადა — უშნოაო.
უწყლობისას თავის ფსელი წისქვილს დააბრუნებსო.
ფეხი ხალიჩის ზომაზე უნდა გაიჭიოო.
ფულის პოვნა იოლია, შენახვა — ძნელიო.
ქალი, სანამ შობდეს, მიჯნურია, შობს და — დედააო.

ქარის მოტანილმა ფულმა „რამდენი“ და „როგორი“ არ იცისო.

ქაჩალს ჰკითხეს, ზილფებს რად არ მისტირიო და ეგეთი კოხტაობა გულზე არ ეხატებოდა?
ქაჩი! ჯობს არაფერსაო.

ქეციანი თბა წყალს სათავეიდან სვამსო.

ქოსა წვერს გამოეკიდა და უღვაშიც დაკარგაო.

ღმერთი მარჩენალი კია, მაგრამ ერთი ჩახველება შენგანაც უნდაო.

ღმერთი მოცემას რომ მოინდომებს, არა გკითხავს, ვინა ხარო.

ღმერთი ყველაფერს ერთ კაცს არ მისცემსო.

ღმერთი თოვლს ბანის ზომაზე იძლევაო.

ღმერთმა ვირის ამბავი იცოდა და რქა არ მისცაო.

ღმერთმა ნუ ქნას, ამ ხელს ის ხელი დასჭირდესო.

ღმერთს თუ მოუნდა, მამრიც შობსო.

ღმერთს რამდენიც ცუდი ყმა ჰყავს, იმდენივე კარგო.

ყვავე თავის ბუდეზე არ დაიჩხალებსო.

ყვაემა ძოვის სწავლა მოინდომა და ფრენაც დააიწყდაო.

ყვაეს რაც შეილი გაუჩნდა, მუცლის სიმაძღრე არ უნახავსო.

ყველა დაღმართს თითო აღმართი მოსდევსო.

ყველა ვირს ერთი სახრით არ გაირეკავენო.

ყველა ღრუბელს წვიმა არ მოაქვსო.

შვილი ნუშია, შვილიშვილი — ნუშის გულიო.

ჩემი მოკვეთილი ხელი გინდ ძაღლს უჭამია, გინდ — კატასაო.

ჩხუბში ჰალვას არ არიგებენო.

ცალი ხელი ხმას ვერ გაიღებსო.

ცალი ხელით ორ სახამთროს ვერ აიღებო.

ცარიელი კოკა მალევე ჩამოვარდება ბანიდანაო.

ცოლ-ქმარი იჩხუბებს, ბრიყვები დაიჭვრებენო.

ცუდი ქალი ბოთლშიც ჩასვან, თავის საქმეს მაინც იზამსო.

ძაღლი პატრონს კოჭში არ ეცემაო.

ძაღლს მამა არა ჰყავდა და ჰაჯ¹² ბიძას ეძებდაო.

ძველი მეგობარი შეკაზმული ცხენიაო.

ძმები იჩხუბებენ, ბრიყვები დაიჭვრებენო.

ქამისას დეიდა დისშვილს ვერა ცნობსო.

ქარხალი ხორცად ვერ იქცევა, მტერი ჩემი — მოყვრად.

ქვეინი ზორცა ქამს, უჭყო — ბადრიჯანსაო.

ზარჯს რომ სტუმრის ქისა ფარავდეს, ჰათემ თაიდ¹³ გახდომა იოლი იქნებოდაო.

ხელი გულობას ვერ იზამს და გული — ხელობასო.

ხელი რომ იმრავლებს, ბარაქა შემეცირდებაო.

ხელი სახელოში მოტყდება, თავი — ქედშიო.

ხელმოკვეთილმა იცის მოკვეთილი ხელის ფასი.

ზეითო ყველა გველს არა აქვსო.

ჯონსა ჰკითხეს, მამაშენი ვინ არისო და — ბიძაჩემი ცხენი გახლავთო.

„პალვას“ ძახილი პირს არ დაგიტკობსო.

„პაი“-ს პასუხი „პეი“-აო.



შენიშვნები

- 1 ნოურუზი — ირანული ახალი წელი. გაზაფხულის ბუნიობას ემთხვევა და აღინიშნება 21 მარტიდან.
- 2 აბუ ალი იბნ სინა (ავიცენა) — X საუკუნის უდიდესი ფილოსოფოსი, მეცნიერი, ექიმი, პოეტი (წერდა არაბულად და სპარსულად). დიდმა სიბრძნემ და განსწავლულებამ აღმოსავლური ზღაპრებისა და არაკების გმირად აქცია.
- 3 ჩული — ცხენის (ვირის...) ზურგზე უნაგირის ქვეშ დასაფენი ქსოვილი.
- 4 ლეილი და მაჯნუნი — არაბული ლეგენდის გმირები. ლეილისა და მაჯნუნის ტრაგიკული სიყვარულის ამბავი არაერთხელ დამუშავდა აღმოსავლურ ლიტერატურასა და ფოლკლორში. დიდი ყურადღება დაუთმეს მას ირანელმა ავტორებმაც. ცნობილია ნიზამი განჯევის, ხოსროუ დეჰლევის, ჯამისა და სხვათა პოემები ლეილისა და მაჯნუნის სიყვარულის შესახებ.
- 5 ლური — დასავლეთ ირანის ოლქის — ლურისტანის მკვიდრი. სასაუბრო სპარსულში — დოულაპია, ყუყუჩი ადამიანი.
- 6 ყადი — მოსამართლე.
- 7 სანჯაქი — პური, რომელსაც აცხობენ გაზაფხულს კენჭებზე სპეციალურ ღუმელში.
- 8 რინდი — მოქიფე, ლოთი, გაიძვერა.
- 9 თრიაქი — შხამსაწინააღმდეგო საშუალება.
- 10 სპარსული „შოთორმოზუ“ (სირაქლემა) კომპოზიტია, შედგება ორი კომპონენტისაგან — „შოთორ“ (აქლეში) და „მოზუ“ (ფრინველი). ამდენად შესაძლებელი ხდება სპარსული ანდაზის ქართულ ენაზე შედმიწვენიითი სიტყვებით გადმოტანა.
- 11 ქაჩი — ფქვილისა და რძისგან დამზადებული თხელი ტკბილი ფაფა, რომელსაც მელოგინე ქალს აჭმევენ.
- 12 ჰაჯი — მუსლიმი, რომელმაც მექა მოილოცა.
- 13 ჰათემ თაი — თავისი გულუხვობისა და ხელგაშლილობის გამო არაკად ქვეული არაბი თაის ტომიდან. ეს სახელი უკვე საზოგადოდ იქცა და გულუხვ, ხელგაშლილ ადამიანს ნიშნავს.

Т. И. ШУРГАЯ

ПЕРСИДСКИЕ ПОСЛОВИЦЫ И ПОГОВОРКИ

Резюме

Пословицы и поговорки дают представление об обычаях и традициях того или иного народа, о его быте и моральных устоях. В кратких, метких фразах сформулирован весь многовековой жизненный опыт нации и все то, что воспринимается ею как

безоговорочная истина. В пословицах и поговорках народов мира наряду с национальными, локальными ценностями наличествуют и общечеловеческие идеалы — универсалии соседствуют с реалиями. Их разграничение и различие является одной из задач типологического анализа. Типологическое исследование данных двух или более языков имеет важное значение не только с точки зрения изучения этих языков, но и для осмысления сущности пословиц и поговорок в целом. В этой связи встает непростой вопрос о заимствовании со всеми примыкающими к нему проблемами. Типологическо-сопоставительное изучение персидских и грузинских пословиц и поговорок имеет весьма интересные перспективы.

В работе приводится грузинский перевод персидских пословиц и поговорок из сборника Мехди Сохэйли «Популярные пословицы и поговорки Ирана» (Тегеран, 1970), что составляет небольшую часть материала к типологическому сопоставлению персидских и грузинских пословиц и поговорок.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ირანული ფილოლოგიის კათედრა
წარმომადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა
მ. ანდრონიკაშვილმა

თამარ მახაჩიძე

ალწერითი მნიშვნულის ფორმათა გამოყენებისათვის ახალ კარტულში

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში მრავალი საინტერესო გამოკვლევა ეძღვნება ზმნის აღწერით ფორმებს¹.

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ „ზოგიერთ ზმნას არ უხერხდება ვნებითის ფორმათა წარმოება. ამიტომ მათ მაგივრობას ეწევა აღწერილობითი, ანუ პერიფრასტული ფორმები, რომლებიც ასეა ნაწარმოები: საულღებელი ზმნა ვნებითის წარსულ-დროიანი მიმდევრის სახით არის წარმოდგენილი, ხოლო მწკრივის წარმოება მეშველ ზმნას აქვს დაკისრებული. მეშველად გამოყენებულია „იქნება“, „იქნა“. ამ მოვლენას სრულ-სახიანი ზმნებში აქვს ადგილი. მაშასადამე, აღწერილობითი ვნებითი არ შეიძლება აწმყოს წრეში შეგვხვდეს, რომელიც უსრულ-სახიანი ზმნის კუთვნილებაა“².

ამჯერად ჩვენს მიზანს წარმოადგენს პერიფრასტული ვნებითის გამოყენების მხოლოდ ზოგიერთი საკითხის ანალიზი.

საერთოდ, ქართულისათვის დამახასიათებელია ვნებითის სინთეზური წარმოება, მაგრამ არცთუ იშვიათად დასტურდება მათი ანალიზური ფორმები.

ქართულში პერიფრასტული ვნებითების ორი ჯგუფი გამოიყოფა: ა. აღწერითი ვნებითები, რომლებსაც მოეპოვება შესაბამისი ორგანული წარმოება (დაიკარგულ იქნა = დაიკარგა, დაწყებულ იქნა = დაიწყო და სხვა) და ბ. ანალიზური ვნებითები, რომლებსაც არ მოეპოვება შესაბამისი სინთეზური ფორმები (აღებულ იქნა, გამოყენებულ იქნა, მოტანილ იქნა და სხვა).

„იქნება“, „იქნა“ მეშველი ზმნებით ნაწარმოები პერიფრასტული ვნებითების შესაბამისი სინთეზური ფორმები ძირითადად ი- პრეფიქსიანი ვნებითებია: შემუსვრილ იქნა = შეიმუსრა, აღნუსხულ იქნა = აღინუსხა, დაწყებულ იქნა = დაიწყო, შექებულ იქნა = შეიქო, დამარხულ იქნა = დაიმარხა, გავრცობილ იქნა = გაივრცო, შევსებულ იქნა = შეივსო და სხვა.

იშვიათად „იქნება“, „იქნა“ მეშველი ზმნებით ნაწარმოები აღწერითი ვნებითის შესაბამისი სინთეზური ფორმა სუფიქსიანი ვნებითია: დაკმაყოფილებულ იქნა = დაკმაყოფილდა, დაარსებულ იქნა = დაარსდა, შესრულებულ იქნა = შესრულდა და სხვა.

¹ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, § 365; ივ. ჯავთაძე, ზმნის აღწერითი ფორმების ორგანული შეცვლის ისტორიიდან ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XIV, თბ., 1964; შიშიცე, მუჟადის ერთი სახეობის ისტორიისათვის ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XII, თბ., 1960; ქ. თევზაძე, აღწერითი ზმნები ძველ ქართულში, პუშკინის პედიანტიტეტის შრომები, ტ. XIII—XIV, თბ., 1959; ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, § 34, თბ., 1977; ე. ოსიძე, „ღაღად-ყო“ ტიპის ზმნები ძველ ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XII, თბ., 1960; რ. ენუქაშვილი, აღწერითი ზმნები ახალ ქართულში, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, თბ., 1975, № 2; თ. ლენაძე, ვნებითი გვარის ფორმათა გამოყენებისათვის თანამედროვე ქართული პრესის ენაში, ქართული სიტყვის ელტურის საკითხები, წიგნი მესამე, თბ., 1980 და სხვა.

² ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1973, § 365, გვ. 295.

აღწერითი ვნებითების ერთი ნაწილი მეშველ ზმნად იყენებს „აქვს“ ფორმას. ამ ტიპის პერიფრასტული ვნებითი სემანტიკურად შესაბამისი სინფიქსული ვნებითების I და II თურმეობითებს უტოლდება: შენგრეული აქვს = შეგნგრეული ვი, შერჩენილი გაქვს = შეგრჩენია, მოჭარბებული აქვს = მოსჭარბებია, მოწყვეტილი ჰქონდა = მოსწყვეტოდა და სხვა.

ზოგჯერ აღწერითი ვნებითები და მისი შესაბამისი ორგანული ფორმები შინაარსობრივად განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ უმეტესწილ ამ ფორმებს შორის სემანტიკური თანაფარდობაა.

შდრ.: ორგანული:

აღწერითი:

- განაჩენი გაუქმდა.
- მოთხოვნა დაკმაყოფილდა.
- ეს ნაკლიც შესაძლებელია შეივსოს.
- სამეფო შეიმუსრა.
- ხანა დაიწყო.
- პირობა ასრულდა.

- განაჩენი გაუქმებულ იქნა (ვახ. „კომუნისტი“).
- მოთხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა (ვახ. „კომუნისტი“).
- ეს ნაკლი შესაძლებელია შევსებულ იქნას (ვახ. „კომუნისტი“).
- სამეფო შემუსვრილ იქნა (ვაჟა, „სააღდგომოდ“).
- ხანა დაწყებულ იქნა (ი. ჯ., „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“).
- პირობა ასრულებულ იქნა (ვაჟა, „სოფლის სურათები“).

ზემოთ დასახელებულ ყველა შემთხვევაში შესაძლებელი იყო ორგანული ვნებითის ფორმათა გამოყენება (გაუქმდა, დაკმაყოფილდა, შეივსოს, შეიმუსრა, დაიწყო, ასრულდა), რომლებსაც სემანტიკურად ისეთივე მნიშვნელობა აქვთ, როგორც მათ შესაბამის აღწერით ვარიანტებს (გაუქმებულ იქნა, დაწყებულ იქნა, ასრულებულ იქნა...). მაშ, რისთვის განხა საჭირო პერიფრასტული ვნებითის მოხმობა? — როგორც ჩანს, ამის საფუძველი სტილისტურია. ზოგი ფორმა აშკარად კანცელარული სტილისთვისაა დამახასიათებელი (შდრ.: გაუქმდა, გაუქმებულ იქნა; დაკმაყოფილდა, დაკმაყოფილებულ იქნა; შეივსოს, შევსებულ იქნას და სხვა მრავალი).

გარკვეული სემანტიკური სხვაობა შეინიშნება „აქვს“ მეშველი ზმნით ნაწარმოებ პერიფრასტულ ვნებითებსა და მათ შესაბამის ორგანულ ფორმებს შორის:

ერთს დათოვლილს ხეზე დავსხედით, შტოები გაყინული ჰქონდა (ვაჟა, „ტრედები“).

„გაყინული ჰქონდა“ სემანტიკურად ბენეფიქტივზე (კუთვნილებაზე) მიუთითებს, ხოლო მისი ორგანული წარმოების ვარიანტი — „გაყინვოდა“ — თურმეობითის შინაარსის გამოხატვას უკავშირდება. ეს უკანასკნელი („გაყინვოდა“) სემანტიკურად შედეგობაზე მიგვანიშნებს. ასეთივე სემანტიკური დაპირისპირება შეიმჩნევა სხვა ამ ტიპის მაგალითებში:

შიგანური სულ შენგრეული აქვს (ი. ჯ. „ოთარაანთ ქვრივი“). „შენგრეული აქვს“ ბენეფიქტურია, „შეგნგრეულია“ — შედეგობის სემანტიკის გამოხატველი.

თქვენ რომ მოჭარბებული გაქვთ ყველაფერი, რატომ არ შეიბრალებთ ღარიბთა (ვაჟა, „მუცელა“). „მოჭარბებული გაქვთ“ ბენეფიქტურია, „მოგჭარბებიათ“ — შედეგობის სემანტიკის გამოხატველი.



აგრეა, მაგრამ შენ ის ცოცხალი ნახევარი გავიწყდება, რომელიც **შერჩენილი გაქვს** (ი. ჭ., „ოთარაანთ ქვრივი“). „**შერჩენილი გაქვს**“ ბენეფიქტივიზმი „**შეგრჩენია**“ — შედეგობის სემანტიკის გამომხატველი.

ოფლისაგან გაშვებული ხამის პერანგის საკინძი **ჩამოწყვეტილი ჰქონდა** (ვაჟა, „შთაბეჭდილებანი“). „**ჩამოწყვეტილი ჰქონდა**“ ბენეფიქტივია, „**ჩამოსწყვეტოდა**“ — შედეგობის სემანტიკის გამომხატველი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ზოგი პერიფრასტული ვნებითი ორგანული წარმოების ვარიანტებს ვერ იკეთებს. ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რომელიც ხელს უწყობს აღწერითი ვნებითების გამოყენებას, არის სწორედ მათი შესაბამისი სინთეზური წარმოების მქონე მოქმედებითი გვარის ფორმების თავისებურება. ასეთი მოქმედებითები ი-პრეფიქსიანებია³. **აღებული მაქვს და ავიდე; წაიკთხულ იქნა და წაიკითხეს; ამოტანილ იქნა და ამოიტანეს; გამოყენებულ იქნა და გამოიყენეს; მიჩნეულ იქნა და მიიჩნიეს.**

მაგალითები: ჩვენ საგნად **აღებული გვაქვს** არა ვანიკთხვა (ი. ჭ., „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“). განაჩენი რომ **წაიკთხულ იქნა**, სწორედ ამ დროს არწივმა ჩამოინაგარდა (ვაჟა, „ყორანი“). საგანგებოდ ვაღიანებული ხელნაწერებიც **ამოტანილ იქნა** სარდაფიდან (ვახ. „კომუნისტი“). ახალი დეტალები ერთ თვეში **გამოყენებულ იქნა** წარმოებაში (ვახ. „კომუნისტი“). ახალი ინჟინრის მიერ წარმოდგენილი მოდელი **მიჩნეულ იქნა** სანიმუშოდ (ვახ. „კომუნისტი“).

აღწერითი ვნებითები დასტურდება მაშინაც, როცა ფუძედ კომპოზიტია გამოყენებული: იმდენად იგი **პატივცემულ იქნება** და ნაყოფიერი ცხოვრებისათვის (ი. ჭ., „საქართველოს მოამბეზედ“). ამ ამბით კოდალაც **გულდაკოდილ იქმნა** (ვახ. „ლიტერატურული საქართველო“). **შეკრულ-შებოქილ იქნა** გაიოზი (ვახ. „ლიტერატურული საქართველო“). ასე **ცეცხლმოკიდებულ იქმნე** მთელი სიცოცხლე (ვახ. „ლიტერატურული საქართველო“).

გაანალიზებული მასალა შესაძლებლობას გვაძლევს, დავასკვნათ:

ა. აღწერითი ვნებითის ფორმათა გამოყენების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია ის სტილისტური სხვაობა, რომელიც შეინიშნება პერიფრასტულ და ორგანულ ვნებითებს შორის: აღწერითი ვნებითები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უმეტესად დამახასიათებელია კანცელარული სტილისათვის (ორგანული: **დაკმაყოფილდა**, აღწერითი: **დაკმაყოფილებულ იქნა**).

ბ. „აქვს“ მეშველზმნიანი ფორმებით ნაწარმოები პერიფრასტული ვნებითების გამოყენება დაკავშირებულია ბენეფიქტივის სემანტიკის გამოხატვასთან, ხოლო მათი შესაბამისი ორგანული ვნებითის I და II თურმეობითის ფორმები სემანტიკურად შედეგობაზე მიგვანიშნებს (**შერჩენილი გაქვს** ბენეფიქტივია, **შეგრჩენია** — შედეგობის სემანტიკის გამომხატველი).

გ. აღწერითი ვნებითების გამოყენების ერთ-ერთი მიზეზთაგანია აგრეთვე მათი შესაბამისი სინთეზური წარმოების მქონე მოქმედებითი გვარის ფორმების თავისებურება. ასეთი მოქმედებითები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ი-პრეფიქსიანებია (**წაიკთხულ იქნა, წაიკითხეს**);

დ. აღწერითი ვნებითები გამოიყენება მაშინაც, როცა ფუძედ კომპოზიტია (**გულდაკოდილ იქნა**).

³ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 295.

ОБ ИСПОЛЬЗОВАНИИ ОПИСАТЕЛЬНОГО
СТРАДАТЕЛЬНОГО ЗАЛОГА
В НОВОГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ



Резюме

1. Одна из причин употребления описательного страдательного залога в новогрузинском языке состоит в том, что существует значительная стилистическая разница между описательной и органической формой страдательного залога.

Описательная форма страдательного залога характерна для канцелярского стиля (органическая: *daqmaqorilda*, описательная: *daqmaqorilebul ikna*).

2. Те формы описательного страдательного залога, которые образованы при помощи вспомогательного глагола «есть», связаны с семантикой бенефактива, т. е. показывают имущественное значение, а их соответствующие органические глаголы связаны с семантикой результата (*šerčenili gakvs* — бенефактив, *šegrčenja* — результатив).

3. Одна из причин употребления описательного страдательного залога состоит в том, что соответствующие органические формы имеют действительный залог с префиксом *-i* (*caqitxul ikna*, *caiqitxes*).

4. Описательный страдательный залог употребляется и тогда, когда в основе слова имеется сложное слово (*guldaqodil ikna*).

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არს. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილება
წარმოადგინა არს. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა

დავით ციციშვილი

3. ჰუმბოლდტისა და დ. უზნაძის ენის შინა-ფორმის
კონცეფციათა დამოკიდებულებისათვის

ენის შინა-ფორმის საკითხი ერთ-ერთი ურთულესია ენათმეცნიერებაში. ჰუმბოლდტიდან მოყოლებული მრავალმა მეცნიერმა სცადა ამ ფენომენის არსის განსაზღვრა, მისი თვისებების დახასიათება. მაგრამ მიუხედავად ამისა, დღემდე ბევრი რამ ენის შინა-ფორმის შესახებ გაურკვეველი რჩება. შესაძლებელია ეს გაურკვეველობა ენის შინა-ფორმის ცნების მეცნიერებაში პირველად შემომტანის ვ. ჰუმბოლდტის წერის მანერით, ვადმოცემის ზოგადი სტილით აიხსნას, შესაძლოა თვითონ საკითხის სირთულეა დამნაშავე იმაში, რომ საკმარისი სიცხადე არ არის ამ მოვლენასთან დაკავშირებით. მაგრამ ერთი რამ კი ალბათ ნათელია, ვ. ჰუმბოლდტმა, მიუხედავად დიდი დამსახურებისა ენათმეცნიერების წინაშე, ვერ შეძლო სრული პასუხი მოეცა ენის შინა-ფორმის არსის შესახებ. ჰუმბოლდტის გამომცემელი და ინტერპრეტატორი, ცნობილი მეცნიერი შტეინთალი გონებამახვილურად შენიშნავს, — წერს ქართველი ფსიქოლოგი დ. უზნაძე — „ენის შინა-ფორმა ჰუმბოლდტისათვის მაღალი დანიშნულებისათვის დაბადებული, მაგრამ მის ხელში სამუდამოდ სუსტად დარჩენილი ბავშვია“¹. თუმცა მიუხედავად ამისა, — განაგრძობს დ. უზნაძე, მოჰყავს რა იმავე შტეინთალის ციტატა, — „მართალია, ჰუმბოლდტს უჭირს ამ ცნების განსაზღვრება, თეორიულად ფიქსირება და გამიჯვნა, მაგრამ ჰუმბოლდტის დაკვირვებები ენის შინა-ფორმისათვის, განსაკუთრებით მისი ფუნქციის, მისი ადგილისა და მისი სტრუქტურისათვის, უთუოდ უაღრესი ყურადღების ღირსია და არ ფიქრობთ, რომ მათი გათვალისწინების გარეშე ამ ცნების ნამდვილი შინაარსის წვდომა შესაძლებელი იყოს“². სწორედ ამ გზას გაჰყვა დ. უზნაძე და შეეცადა ჰუმბოლდტის შეხედულებების კრიტიკული ანალიზით ენის შინა-ფორმის შესახებ, გაეაზრებინა ეს რთული პრობლემა. მისი პოზიცია ამ შემთხვევაში ჩამოყალიბდა განწყობის თეორიის საფუძველზე, რომლის შემქმნელად და მსახურადაც გვევლინება იგი მეცნიერების ისტორიაში. იწყებს რა ჰუმბოლდტის შეხედულებების კრიტიკული გაანალიზების საფუძველზე საკუთარი თვალსაზრისის გადმოცემას ენის შინა-ფორმის საკითხთან დაკავშირებით, ქართველი მეცნიერი აღნიშნავს ერთ გარემოებას. ამ ფაქტორს მისი აზრით ენათმეცნიერებისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. ჰუმბოლდტმა ენის შინა-ფორმის მოვლენის არსებობის აღიარებით, თვლის უზნაძე, დაასაბუთა ენის შემსწავლელი მეცნიერების სხვა მეცნიერული დისციპლინებისაგან დამოუკიდებლობის იდეა. ეს საფრთხე კი, ამ მეცნიერის მიხედვით, ენის შემსწავლელი მეცნიერების წინაშე რეალურად იდგა. თუ ენობრივი შემოქმედება, ყოველთვის ადამიანთან არის დაკავშირებული, თუ ენა წარმოუდგენელია მის გარეშე, აქვს კი უფლება ენათმეცნიერებას თავისი სფეროს კვლევისას არ აღიაროს ფსიქოლოგიის ან ლოგიკის პრიორიტეტი — სვამს კითხვას უზნაძე. მაგრამ თუკი ვალიარებთ, პასუხობს იგი, რომ ენის სტრუქტურაში შინაგანი მხარე გამოიყოფა ენის შინა-ფორმის სახით, ეს ფენო-

¹ დ. უზნაძე, ენის შინა-ფორმა, „ფსიქოლოგია“, თბ., 1947, გვ. 166.² იქვე, გვ. 167.

მენი კი, მკვლევართა აზრით, ენაში მოქმედი კანონზომიერებების, მისთვის დამახასიათებელი თავისებურებების განმსაზღვრელად გამოდის, მაშინ ყველაზე ფერი თავის ადგილას დგება. ცხადი ხდება, რომ ენათმეცნიერებს უნდა დაეხმოს საკითხების განხილვისას არ მოუწევთ ენობრივი სფეროს დატოვება და დაბ-მარებისათვის სხვა მეცნიერებებისათვის მიმართვა. სწორედ ამიტომ, თვლის უზნაძე, ჰუმბოლდტმა ენის შინა-ფორმის ცნების შემოტანით მეტად დიდი სამ-სახური გაუწია ენათმეცნიერებას. თუმცა ამასთან, აღნიშნავს ფსიქოლოგი, ყველაზე დიდი სირთულე სწორედ ამის შემდეგ იჩენს თავს, როდესაც დგება საკითხი: მაინც რა არის ეს შინა-ფორმა? რას გულისხმობს ჰუმბოლდტი, რო-დესაც მის შესახებ ლაპარაკობს?

უზნაძე ჰუმბოლდტის კონცეფციაში ენის შინა-ფორმის შესახებ განსაკუთ-რებით რამდენიმე მომენტს გამოყოფს, როგორც ცნობილია აღნიშნავს იგი, ჰუმბოლდტისათვის ენობრივი მასალა ორგვარია: ერთი მატერიალურ-ბგერითი, ხოლო მეორე კი საფუძვლად უდევს გრძნობითი შთაბეჭდილებისა და სულის მოძრაობის ერთობლიობა. პირველი ენის გარე ფორმებს აძლევს დასაბამს, მეორე კი შინა-ფორმას. ენის შინა-ფორმის ჰუმბოლდტისეული თვალსაზრი-სის განსაგებად ასევე, აღნიშნავს იგი, სასურველია, ყურადღება გამახვილდეს: თუ როგორ ახასიათებს ის სიტყვის წარმოშობის პროცესს. ჰუმბოლდტისა-თვის, განაგრძობს ქართველი მეცნიერი, სიტყვის წარმოშობისას ორი მომენ-ტია აღსანიშნავი. ინდივიდი ამ დროს, თან ითავისებს, თავისებურად აღიქვამს, გარე სამყაროდან მომდინარე გამლიზიანებლებს, თან კი ცდილობს შესაბამისი ბგერითი ფორმა მიანიჭოს განციდის. სწორედ პირველი მომენტიდან გამომ-დინარე, ხელმძღვანელობს რა ამასთან ჰუმბოლდტის ცნობილი გამოხატეა-მებით, რომ „სიტყვა საგნის ეკვივალენტი კი არ არის, არამედ იგი უფრო იმის ეკვივალენტი, თუ როგორ ასახავს მას ინდივიდი“³, რომ „აღამიანი სა-განს კი არ ასახელებს, არამედ ცნებას მის შესახებ“⁴, უზნაძე მიიჩნევს, რომ ჰუმბოლდტისათვის ენის შინა-ფორმა ინტელექტუალური ხასიათისაა. შესაძ-ლოა, არ იყოს გამართლებული ენის შინა-ფორმის შესახებ ჰუმბოლდტის ნა-აზრევის გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევა და მისი თუნდაც ერთი ტიპის მოვლე-ნად გამოცხადება, ჩვენ გვეჩვენება, რომ ჰუმბოლდტის კონცეფცია ენის შინა-ფორმის შესახებ შეუდარებლად უფრო რთულია და არ შეიძლება მისი მხო-ლოდ ინტელექტუალურ მოვლენად წარმოსახვა. ამის ერთ-ერთი დამადასტუ-რებელია, ჩვენი აზრით, ჰუმბოლდტის გამოხატეაში, რომელშიც იგი მიუთი-თებს, რომ „საგნის ან მოვლენის კონკრეტულ აღნიშვნაში აშკარად მონაწი-ლეობს ხან ფანტაზია ან ემოცია გრძნობითი ჩაღრმავებით განპირობებული, ხან კიდევ ზედმიწევნით გამომადიფერენცირებელი გონება, ხან კიდევ სული“⁵. როგორც ვხედავთ, ის პროცესები, რომლებიც ასე ღრმად არის დაკავშირებუ-ლი სიტყვის წარმოშობასთან და, აქედან გამომდინარე, ენის შინა-ფორმასთან, სულაც არ ამოიფურება ჰუმბოლდტთან ინტელექტუალური მახევენებლებით. ამიტომაც ჩვენთვის ძნელად მისაღებია უზნაძის აზრი, რომ ჰუმბოლდტის კონ-ცეფციით ენის შინა-ფორმა ინტელექტუალური ხასიათისაა. თუ იმასაც გავი-თვალისწინებთ, რომ ჰუმბოლდტთან ენის შინა-ფორმა და საერთოდ ენობრივი მოვლენები დიდად არის დაკავშირებული ეროვნულ სულთან და ეს კავშირი იმდენად არსებითია, რომ ზოგიერთი მკვლევარი, თვითონ ჰუმბოლდტიც კი, ზოგჯერ ტოლობის ნიშანს სვამს ეროვნულ სულსა და ენას შორის, მაშინ, ალბათ, მასთან დაკავშირებული ენის შინა-ფორმის მხოლოდ ინტელექტუა-

³ იქვე, გვ. 168.

⁴ იქვე.

⁵ В. Гумбольдт, Избранные труды, М., 1984, гв. 104.



ლურ მოვლენად გამოცხადება სარისყო საქმეა. ხაზს უსვამს რა ჰუმბოლდტის ენის შინა-ფორმის კონცეფციის ინტელექტუალურ ხასიათს, უზნაძე ამას მტკიცედ სერიოზულ ნაკლად მიიჩნევს. იგი თვლის, რომ ამ შემთხვევაში აზრი ეკარგება იმ მეტად პრინციპულ გამონათქვამს, რომ ენის შინა-ფორმა ასაბუთებს ენათმეცნიერების სხვა მეცნიერებისგან დამოუკიდებლობის იდეას. თუ ეს შინა-ფორმა განაპირობებს ენობრივ მოვლენებს, ხოლო იგი კი ინტელექტუალური ხასიათისაა, მაშინ ენათმეცნიერებმა თავიანთი პრობლემების კვლევისას ლოგიკას ან ფსიქოლოგიას უნდა მიმართონ, — მსჯელობს უზნაძე, — რაც მისი აზრით მიუღებელია. ჩვენ არაკომპეტენტური ვართ და ვერ ვიტყვივით, უზნაძის ინიციატივით, ენის შინა-ფორმის საშუალებით ენათმეცნიერების დამოუკიდებლობის იდეის დასაბუთება, თუ მანამდე იყო ეს აზრი გავრცელებული მეცნიერებაში, მაგრამ მაინც შეიძლება ალბათ დაისვას საკითხი: ასაბუთებს კი ენის შინა-ფორმის არსებობა ენათმეცნიერების დამოუკიდებლობის იდეას? ან საჭიროა კი ამ კუთხით იქნეს დანახული ამ მეცნიერების ყოფნა-არყოფნის საკითხი?

უზნაძისათვის ენის შინა-ფორმის განსაზღვრება სამ მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს: იგი ვასაგებს უნდა ხდიდეს, თუ როგორ ხდება სიტყვაში, ორი თვისებრივად განსხვავებული მხარის: იდეურის და ბგერითის სინთეზი; ანგარიშს უნდა უწევდეს იმ გარემოებას, რომ ენა, ერთი მხრივ, ადამიანის ნებასურვილისაგან დამოუკიდებელი ნიშანთა სისტემაა, ხოლო, მეორე მხრივ, კი იგი წარმოუდგენელია მეტყველი სუბიექტის გარეშე და აუცილებლად ამ ფენომენს ენობრივი ხასიათის მატარებლად უნდა წარმოაჩინდეს. ქართველი მეცნიერის აზრით, ენის შინა-ფორმის განმარტების ვერც ჰუმბოლდტის და ვერც სხვა მეცნიერთა ცდები ვერ აკმაყოფილებენ ამ მოთხოვნებს. სულ სხვა ხასიათს ღებულობს ენის შინა-ფორმის პრობლემა, თვლის უზნაძე, თუ განწყობის თეორიის თვალსაზრისით განვიხილავთ მას. ამ მეცნიერისათვის ენობრივ პროცესებში, გარდა იდეური და ბგერითი მხარეებისა, საყურადღებოა ერთი მომენტი, რომელსაც იგი მეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. საუბროს დაწყებამდე, აღნიშნავს ქართველი მეცნიერი, ჩვენში გარკვეული ცვლილებები ხდება, რის შემდეგაც იმ ენის სიტყვები, გრამატიკული წესები გვახსენდება, რომელზე ლაპარაკსაც ვაპირებთ. ამ მოვლენითაა გამოწვეული ის, რომ ადამიანს უცხო ენაზე მეტყველებისას სწორედ შესაბამისი და არა გონებაში უფრო მტკიცედ ჩაბეჭდილი მშობლიური ენის სიტყვები ახსენდება. ამ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ ადამიანი გარკვეულ ენაზე სალაპარაკოდ განწყობა. განწყობა განაპირობებს იმ ფაქტსაც, რომ ადამიანს მეტყველებისას ყოველ ნაბიჯზე ცნობიერების ჩარევა არ სჭირდება ამა თუ იმ სიტყვის მოსაგონებლად. განწყობის მონაწილეობის ფაქტი ენობრივ პროცესებში ექსპერიმენტულადაც მტკიცდება. სუბიექტი, რომელიც ფსიქოლოგიურ ექსპერიმენტში ლათინური შრიფტით დაწერილ გერმანულ სიტყვებს კითხულობს, მათში რუსული სიტყვების შერევის შემთხვევაშიც, ისევ გერმანულად აგრძელებს კითხვას, რადგან მას სწორედ ამ ენაზე კითხვის განწყობა აქვს დაფიქსირებული.

მაგრამ დგება საკითხი, აღნიშნავს უზნაძე, კონკრეტულად როგორ უკავშირდება განწყობის ფენომენი ენის შინა-ფორმის პრობლემას. რათა ნათელი მოკვინოს ამ საკითხს, უზნაძე განიხილავს, თუ რა როლი უნდა ეთამაშა განწყობას ადამიანთან პირველადი ენობრივი შემოქმედების დროს და როგორია მისი მნიშვნელობა თანამედროვე ადამიანთან ენის შეთვისების პროცესში. განწყობის თეორიის თანახმად, აღნიშნავს ქართველი ფსიქოლოგი, ადამიანს მოქმედების ორი დონე ახასიათებს: განწყობისეული და ობიექტივაციის. განწყობისეული დონე გულისხმობს ორი მომენტის არსებობას: ერთი ის, რომ პიროვნებას გარკვეული მოთხოვნილება აქვს და მეორე, რომ გარემო საყა-

როში არის ის ობიექტი, რომელიც შეესაბამება ამ მოთხოვნილებას. ინდივიდ ამ დროს რაიმე ქცევის განხორციელებისათვის განწყობა. მისი მოქმედებაში შემთხვევაში მექანიკურად ცნობიერების მონაწილეობის გარეშე უნდა მოხდეს, მაგრამ შესაძლებელია ინდივიდის ქცევა რაიმე ფაქტორით შეფერხდეს, მაშინ იგი ჩერდება და ცდილობს ხელისშემშლელი ფაქტორის ობიექტივაცია მოახდინოს. იმპულსური ქცევა აზროვნების აქტივ გაშუალებული მოქმედებით იცვლება. უნდა ვიფიქროთ, წერს უზნაძე, პირველყოფილ ადამიანს შრომის პროცესში მოთხოვნილება გასჩენოდა სხვისთვისაც გაეზიარებინა ის სიძნელებები, რისი გადალახვაც მას უწყევდა. ამ დროს კი მასთან მეტად მძაფრად უნდა დამდგარიყო სიტყვის საჭიროება. სიტყვის წარმოქმნის შემთხვევაში, კი მიიჩნევს უზნაძე, იგი შედეგი უნდა ყოფილიყო გარკვეული განწყობის მქონე სუბიექტის მოთხოვნილებისა — სხვისთვისაც გაეზიარებინა სათქმელი. „როდესაც ესა თუ ის ობიექტივირებული შინაარსი საბოლოოდ გარკვეული იდეის სახით ყალიბდება, იგი კომუნიკაციის მოთხოვნილების შემთხვევაში ზემოქმედებას იწყებს სუბიექტზე და მასში გარკვეულ განწყობას იწვევს, სიტყვა, როგორც იდეისა და ბგერით მოტორული ფორმის განაწევრებული მთლიანობა, ამ სპეციფიკური განწყობის, ენობრივი განწყობის რეალიზაციას წარმოადგენს. მას ობიექტივირებული შინაარსითა და კომუნიკაციის მოთხოვნილებით პირობადებული ენობრივი განწყობა უდევს საფუძვლად. ის განსაზღვრავს მას, როგორც მთელს; ის აძლევს მას სპეციფიკურ ბგერით სახეს, საზოგადოდ მთელს გარე ფორმას. მაშასადამე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისაა არსებითად ის, რაც სიტყვის ე. წ. შინა-ფორმის როლს ასრულებს.“⁶ — წერს უზნაძე.

განწყობის თეორიის თვალსაზრისით, განწყობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბავშვის მიერ ენის შეთვისების პროცესში. ვის არ შეუძენია, რომ ის ხშირად უფრო მეტ ცოდნას ამტკიცებს, ვიდრე შეიძლება მისგან მოელოდე. „ენის სწავლა ბავშვის მიერ სიტყვების მიზომვა კი არაა, მათი შესიერებაში ჩაწყობა და შემდეგ ტუჩებით მათი ამოტივტივება, არამედ იგი ზრდაა ენის უნარისა, ასაკისა და ვარჯიშის წყალობით“, — მოჰყავს უზნაძეს ჰუმბოლდტის ცნობილი გამონათქვამი და აღნიშნავს, რომ საკითხი თვითონ ენობრივი მასალის შეთვისებას კი არ ეხება, არამედ რაღაც სხვას, მის არსებაში ღრმად მდებარე ფენის მომწიფებას, რის ნიადაგზეც გრამატიკული ფორმებისა და სიტყვების აღმოცენება თავისთავად ხდება. ჰუმბოლდტის ენაზე რომ გველაპარაკა, ჩვენ არ შევცდებოდით, თუ ვიტყვოდით, რომ ენის შესწავლის პროცესი არსებითად ენის შინა-ფორმის დაუფლებაში მდგომარეობს“⁷. — წერს ქართველი მეცნიერი. მაშასადამე, ენის შესწავლა თვითონ სუბიექტის, როგორც მთელის, გარდაქმნის პროცესია: იგი მისი ენობრივი განწყობის განვითარებასა და დაზუსტებაში პოულობს რეალიზაციას.

ბუნებრივია, ისმის კითხვა, როგორ პასუხობს უზნაძე ენის შინა-ფორმის წინაშე წამოყენებულ თავისისავე მოთხოვნებს? განწყობის თეორიის თანახმად, სიტყვის შინაარსობრივი და ბგერითი მხარის შემაკავშირებლად განწყობის მოვლენა გამოდის. ეს ფენომენი განაპირობებს ზოგ შემთხვევაში ადამიანის ცნობიერებაში გარკვეული იდეის გაჩენისას შესაბამისი ბგერითი ფორმის ძიებას. როდესაც სუბიექტს რაიმე ცნება ან იდეა უმუშავდება კომუნიკაციის მოთხოვნილების ნიადაგზე, მასში გარკვეული ენობრივი განწყობა, ე. ი. გარკვეული მიმართულებით ამეტყველების მზაობა, ჩნდება და შემდეგ, როგორც

⁶ დ. უზნაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 179.

⁷ იქვე, გვ. 180.



ამ განწყობის რეალიზაცია, გარკვეული ბგერითი მთლიანობა, გარკვეული სიტყვა აღმოცენდება. ამგვარად აღწერს უზნაძე, თუ როგორ შეიძლება წარმოიქმნას ვიდგინოთ სიტყვაში ორი განსხვავებული მხარის — იდეურის და ბგერითის შეკავშირება. აქ, ალბათ, მართებული იქნება აღინიშნოს ვ. ჰუმბოლდტის ერთი გამოხატულება: „ბუნებით განსხვავებული იდეის და ბგერის შეერთება შერთოვს რაიმე მესამის შუამდგომლობას, რომელშიც მოხდებოდა მათი შერწყმა“⁸. ადვილი შესამჩნევია, რომ თუმცა უზნაძე არაფერს ლაპარაკობს ამის შესახებ, დიდი მსგავსებაა ჰუმბოლდტისა და ქართველი მეცნიერის იმ იდეას შორის, რომ აუცილებელია სიტყვაში, შინაარსობრივი და ბგერითი მხარის გარდა, გამოიყოს კიდევ ერთი ფაქტორი. უზნაძემ შეიძლება ითქვას დააკონკრეტა ეს იდეა იმით, რომ ეს მესამე ფაქტორი განწყობის ცნებით აღინიშნა, ჰუმბოლდტს კი იგი არც უცდია. მიუხედავად იმისა, რომ ქართველმა მეცნიერმა თავისებურად ხორცი შეასხა თავის ჩანაფიქრს, ჩვენი აზრით, ამ საინტერესო შეხედულების პირველ გამოთქმულად მაინც ჰუმბოლდტი უნდა ჩაითვალოს. მოთხოვნას, რომ ენის შინა-ფორმის განსაზღვრება უჩვენებდეს ამ ფენომენის ენობრივ ხასიათს, უზნაძე შემდეგნაირად პასუხობს: განწყობის თეორიით, ადამიანის ყოველგვარი აქტივობის საფუძვლად განწყობა გვევლინება. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთი სახის განწყობასთან გვაქვს საქმე. ყოველ ცალკე აღებულ შემთხვევაში ჩვენ შესაბამის განწყობაზე ვლაპარაკობთ. ამიტომაც ენობრივი პროცესების განხილვისას უნდა ვილაპარაკოთ არა განწყობაზე საზოგადოდ, არამედ ენობრივ განწყობაზე, რომელიც მეტად არსებითად არის დაკავშირებული მეტყველებასთან. მაშასადამე არაფერი გვიშლის ხელს განწყობა უცხო რეალობად როდესაც ჩავთვალოთ ენისათვის, არამედ სინამდვილის სახედ, რომელსაც სწორედ ენობრივ სამკვიდროში აქვს თავისი გარკვეული ადგილი, აღინიშნავს უზნაძე.

მესამე მოთხოვნა, რომელიც უნდა დააკმაყოფილოს ენის შინა-ფორმის განსაზღვრებამ, არის ის, რომ გასაგები გახდეს, თუ როგორ არის ენა, ერთი მხრივ, ადამიანის ნება-სურვილისაგან დამოუკიდებელ ნიშანთა სისტემა, ხოლო, მეორე მხრივ კი, წარმოუდგენელია მეტყველი სუბიექტის გარეშე. უზნაძის მიხედვით, ინდივიდის განწყობაში ორი მომენტია გამოსაყოფი: ობიექტური და სუბიექტური. განწყობა, ერთი მხრივ, ასახავს, ანგარიშს უწევს ობიექტურ გარემოს, ხოლო, მეორე მხრივ, გულისხმობს მიღებული ინფორმაციის სუბიექტურ გადამუშავებას. უნდა წარმოვადგინოთ, მიიჩნევს ქართველი მეცნიერი, რომ აღრინდელი ადამიანის ენობრივი შემოქმედებისას სიტყვებში მეტ-ნაკლებად უნდა ასახულიყო ეს ორივე მომენტი. არსებობდნენ სიტყვები, რომლებშიც უფრო მეტად იყო ობიექტური მხარე წინწამოწეული, რის გამოც ისინი ყველასთვის ადვილი გასაგები იქნებოდა, და სიტყვები, რომლებიც უფრო ინდივიდის სუბიექტურ განცდებს გამოხატავდნენ. ობიექტური გარემოს უკეთ ამსახავი სიტყვები დროთა განმავლობაში უნდა ვიფიქროთ, მსჯელობს უზნაძე, თავისი ხასიათის გამო მთელი კოლექტივის ერთვნილება უნდა გამხდარიყო, ხოლო მეორე სახის სიტყვები კი დაფიქრებას უნდა მისცემოდა: „მაშასადამე ენა, ერთი მხრივ, დამოუკიდებელია ადამიანისაგან, რამეთუ იგი ობიექტურ გარემოს ამსახველად გვევლინება, და ეს ფაქტი მას ინდივიდისაგან დამოუკიდებელ ობიექტურ ხასიათს აძლევს, ხოლო მეორე მხრივ კი მასში არაფერია ისეთი, რაც სუბიექტის მეტყველებაში არ იბადებოდეს“⁹.

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ სრულად ავსახეთ ჰუმბოლდტისა და

⁸ В. Гумбольдт, დასახ. ნაშრომი, გვ. 108.
⁹ დ. უზნაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 190.



უზნადის ენის შინა-ფორმის კონცეფციათა ურთიერთდამოკიდებულების
 ანსები, მაგრამ, ვფიქრობთ, თავისთავად ორი მეცნიერის შეხედულებათა
 თად განხილვაა საინტერესო. შეიძლება ამ დროს ისეთმა მომენტმა
 თავი, რასაც ადგილი არ ექნებოდა მეცნიერთა კონცეფციების ცალ-ცალკე გან-
 ხილისას.

დ. გ. ციციშვილი

О ВЗАИМООТНОШЕНИИ КОНЦЕПЦИИ
 ВНУТРЕННЕЙ ФОРМЫ ЯЗЫКА
 В. ГУМБОЛЬДТА И Д. УЗНАДЗЕ

Резюме

В понятии вопроса внутренней формы языка в настоящее время
 многое остается неясным, чем и обуславливаются разногласия среди
 ученых в толковании данного феномена.

Грузинский психолог Д. Узнадзе, критически анализируя впервые
 введенные В. Гумбольдтом понятия в языкознании относительно
 внутренней формы языка, выдвигает по этому вопросу собственную
 концепцию, опираясь на созданную им же теорию установки.

Следует предположить, что одновременное рассмотрение взглядов
 двух ученых ново, актуально для освещения проблемы внутренней
 формы языка, чего могло бы не быть при обсуждении их концепций
 раздельно.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეც-
 ნიერების ინსტიტუტის ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილება
 წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა
 ბ. ჯორბენაძემ

რუსულად გაბეჭდილი

რთვა-ქსოვის ლექსიკის შესწავლისათვის სვანურში

სვანური ენის დარგობრივი ლექსიკის შესწავლა საინტერესოა სურათს იძლევა. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია რთვა-ქსოვის პროცესთან დაკავშირებული მასალა.

მოპოვებული ლექსიკა დავალაგეთ შემდეგნაირად:

1. ნასესხები მასალა, რომელიც სვანურში შესულია ქართულიდან;
2. მასალა, რომელსაც ქართულში მოეპოვება სათანადო შესატყვისი, ე. ი. სვანურ-ქართული ფუძეები საერთოა;
3. სვანურსა და ქართულში სხვადასხვა ფუძეებია გამოყენებული;
4. სათანადო ცნების აღსანიშნი სიტყვა მხოლოდ სვანურში მოიპოვება, ხოლო ქართულში აღწერითი წარმოებაა.

რთვა-ქსოვისა და შალის დამზადებას სვანურში საერთო სახელი აქვს: **ლიკვლტარი** || **ლიკვლტარი** (ბზ), **ლიკვლტარ** (ბქ), **ლიკვლტარი** (ლშხ), **ლიკვლტარი** (ლნტ) — ფეიქრობა (ზედმიწ. ხელსაქმე).

ლიკვლტარის შევსისგა ზურალზარ გარ ირომდახ (ბზ, 128) — ხელსაქმე სვანეთში მხოლოდ ქალებმა იკოდნენ. **ლიკვლტარი** ლეჟარს დე ეჩქად ხახლენახ (ლშხ, 38) — ხელსაქმე კაცებს არც ადრე სკოდნიათ.

ლი-კვლ-ტარ-ი-ს მნიშვნელობა უფრო კონკრეტული უნდა ყოფილიყო. კერძოდ, იგი, ალბათ, აღნიშნავდა რთვა-ქსოვისთან დაკავშირებულ ისეთ სამუშაოებს, რომლებიც ხელით სრულდებოდა (შდრ. **ლიჯში**). აშკარაა, რომ **კელ** → **ქელ** ქართულიდანაა ნასესხები. თვით „**კელ**“ ხელის აღსანიშნავად სვანურში არ გვაქვს. მაგრამ რთვა-ქსოვის (ხელსაქმის) გამოსახატავად სვანურს შემოუტანია ქართული **კელ** და მისგან უწარმოებია მასდარი **ლი-კვლ**. რაც შეეხება ამ რთული სიტყვის მეორე კომპონენტს, ისიც ქართულ ნიადაგზე აიხსნება (ტარ-ი. შდრ. თითისტარი).

საინტერესოა ქსოვის აღმნიშვნელი მეორე ტერმინი... **ლიწინდაი** (ლშხ, ბზ), **ლიწინდაი** (ზს, ლნტ).

აღე ზურალელს ზონა **ლიწინდაი** ხოხალხს (ლშხ). ამ ქალებმა კარგი ქსოვა იციან. მაგვამ **ლიწინდაი** ლი? (ბზ) — როგორი მოსაქსოვია?

სვანურში წინდას **ბერ** ჰქვია. **შნიშ ბერაღ** (ბზ) კი ხელთათმანებია. იმისათვის, რომ **ბერაღ**-ის მნიშვნელობა უფრო დაეკონკრეტებინა, სვანურმა (ქვემო სვანურმა) წინდების აღსანიშნავად ქართული სიტყვა გამოიყენა (**წინდა-რაღ**), ხოლო **ბერაღ**ს ხელთათმანის მნიშვნელობა დაუტოვა (თუმცა **ბერაღ** ზოგჯერ მაინც გამოიყენება წინდის აღსანიშნავად).

შესაბამისი ქართული მასალა ამოსავალია სვანური მასდარისთვის (ლიწინდაი), რომელიც თავდაპირველად წინდის ქსოვას აღნიშნავდა, მაგრამ შემდეგ მნიშვნელობა გაიფართოვა და, საერთოდ, ქსოვის შესატყვისად იქცა.

ქართულიდან არის ნასესხები აგრეთვე დალამბვისა და გაწეწვის აღმნიშვნელი ტერმინები, რომლებიც სვანური **ლი-** პრეფიქსით ნაწარმოებ მასდარებს წარმოადგენენ.

ლილამბავი || **ლილამბავი** (ზს, ლშხ), **ლილამბავი** (ლნტ) — დალამბვა, ლაწეწვა — გაწეწვა (მატყლისა).

მაგვარ ლილეშავი ჯიხალ? (ლშხ) — როგორი დაღამბვა იცი? **ლაწინავენი**
გინგაჩორთისა
უინ მატყს ჩუ ხვათშორედ (ლნტ) — გაწეწვისას მატყლს ვარჩევთ.

სევანურის ყველა დიალექტში ფართოდაა გავრცელებული **ჰაშყ** (ზს), **აშყ** (ლშხ), **ჰაშყ** (ლნტ), რომელიც ძაფთან, შალთან არის დაკავშირებული და უმეტესად იხმარება გამოთქმაში **აშყი ქიპ** — მატყლის ძაფი, შალის ძაფი.

თანფე ცაშ ეშხუ ზურალ... **ჰაშყი ქიპს** ეანჩრე (ბზ, 19) — აღდგომის ხუთ-შაბათს ერთი ქალი შალის ძაფს დაახვევს.

აშყი სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, ილეკროს (ოქროს, ვერცხლის, სპილენძის...) ძაფია.

ზომ არ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ **აშყ** სევანურმა ქართულიდან შეიტანა და დაარქვა ძაფს, რომელიც სევანეთში ყველაზე ძვირფასად ითვლებოდა, ე. ი. მატყლის ძაფს. თუ ეს ასეა, მაშინ აშყ-ს მნიშვნელობა გაფართოებია სევანურში და იხმარება როგორც მატყლის ძაფის, ისე მისგან დამზადებული შალის აღსანიშნავად.

ცალკე გამოვყავით ისეთი მასალა, რომლებიც სევანურს ქართულიდან შეუთვისებია ქართულისავე მაწარმოებლებით.

საფეხურაწლ (ზს, ლნტ) **საფეხურაწლ** (ლშხ) — საფეხურები. ესაა საქსოვი დაზვის თოკები, რომლებიც მოძრაობაში მოდიან ფეხის დაჭერით.

ლეღმარალს ჩუქვანხენ ხზხ **საფეხურაწლ** (ლშხ) — ღვიმს ქვემოდან მობმული აქვს საფეხურები.

იგივე სურათია მიმდებარეობაში **საფგრკელწრ**.

საქსოვი დაზვის სავარცხლები მოჰყავთ მოძრაობაში თოკების საშუალებით, რომლებსაც ფეხებით ამოძრავებენ.

სა-ფგრკ-ელ-წრ-ის შესაბამისად ქართულში გვაქვს **სა-ფგრკ-ე**, სადაც **-ე** სუფიქსი **-ელ-**ისაგან ჩანს მიღებული¹. მოსალოდნელი იყო, რომ სევანურში **საფგრკელ** გამარტივებული (**-ე**) სუფიქსით შესულიყო, მაგრამ მოხდა საერთო წესიდან გადახვევა (**მდრ.**, აგრეთვე ქართ. საფასე ← **სა-ფას-ელ**)².

ანალოგიური მდგომარეობაა სევანურშიც. ჩვენი აზრით, **საფგრკელწრ** უძველესი ნასესხობა ჩანს. სევანურში **-ელ-**ის შემონახვას, ალბათ, ხელი შეუწყო მრავლობითის **-წრ** სუფიქსის დართვამ, მით უმეტეს, რომ **საფგრკელწრ** მხოლოებით რიცხვში არ იხმარება.

ნასესხობის საინტერესო მაგალითია **მარქვ** (ზს, ლნტ), **მარგვ** (ლშხ) — მაქო.

ამუშუს ისკვდენე მარქვ (ბზ, 129) — ამდენს რდაოიტევს მაქო. შივშე **მარგვს** ქაზხი (ლშხ) — ხელით ავზავნის მაქოს.

ბუნებრივია, დაისმის კითხვა რ სევანურში გაჩნდა თუ ქართულშიც იყო და დაიკარგა?

იმერულში გვაქვს მაქვა, მაგრამ ამ დიალექტისათვის ბუნებრივია რაეს გაჩენა ინლაუტში (ღვირძლი, მარშინა...) და ამიტომ მაქვას პარალელურად იხმარება მარქვიც. საფიქრებელია, რომ სევანურში სწორედ ეს უკანასკნელი შევიდა იმერულიდან.

მასგლ — მასრა. აღ **მასგლს** მარქვეთწსგა დწსგინ (ბზ, 129) — ამ მასლას მაქოში დებენ. **მასლი** ქიპს გწვი... ხამგვე (ბქ, 306) — მასრის ძაფს გვერდზე მიაზომებს.

¹ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართულში, თბ., 1942, გვ. 63; ეკ. ოსიძე, აუსლაუტი და ისტორიული მორფოლოგიის ზოგი საკითხი სევანურში, იეწ, 1X, თბ., 1982.

² არნ. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 63.



იმერულში გვაქვს **მასრა** || **მასლა**. რ-ლ მონაცვლეობა ამ დიალექტისათვის ბუნებრივია (კეღბი, აველიცია, ჩალხი). სწორედ **მასლა** არის იმერულიდან სვანურში შესული, სადაც **გ** თანხმოვანთგასაყარია, ხოლო აუსლაუტის აქრო-მონაცვლეობა კვეცილია. „ცნობილია, რომ სვანურს ახასიათებს ბოლოკიდური ხმოვნების მოკვეცა. ...როცა ფუძეხმოვნიან სახელთა ბოლოკიდურ მარცვალში **გ** ხმოვანი გვაქვს წარმოდგენილი, იქ ბოლოკიდური ხმოვანი უნდა ვივარაუდოთ მოკვეცილად. ყველა ეს სახელი ისტორიულად ხმოვანფუძიანია: კელ — +კელა || კი-ლა. სელ — +სელა — +სელია“.

მატყ (ზს, ლნტ); **მატყ** (ლშხ) — მატყლი.

ზურაბს... **მატყ** მასარდ ზელეე (ბზ, 128) — ქალს მატყლი ბლომად აქვს. ლოლჟაქა **მატყს**... აშხენის (ლშხ, 43) — ცხერის მატყლს ინახავენ.

არნ. ჩიქობავას აზრით, +მატყ-ალ → მატყ-ლ → მატყ, სადაც ალ → -ლ დეტერმინანტი სუფიქსია⁴.

საწონ — საწონი.

ეჩანდო ჟი ხოსყის **საწონს** (ლშხ) — შემდეგ საწონს გაუკეთებენ.

გათელილ, კიდებეშემოკეცილ ნაჭერს გადაკიდებენ, შემოკეცილ ადგილებში გაუყრიან მომსხო ჯოხებს (საწონს), რომელთა მეშვეობით ნაჭერი აქეთ-იქით გადაწონილია, გადაჭიმულია.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს **ჩწვ** (ზს, ლნტ), **ჩევ** (ლშხ) — ჩეო, ჩელტი.

კულის **ჩწვისგა** აკლწნეს (ბზ) — შალს ჩეოზე თელავენ. კულის სგადესხ **ჩევთქა** (ლშხ) — შალს ჩადებენ ჩეოში.

ჩეო, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით, არის „ცუდი მოაბა“, ხოლო მოაბა ასეა განმარტებული: „არაბულია, ხისგან სნეულის მკრით სატარებლად შემზადებულსა ეწოდების საქუმელი, ხოლო ანაზდად ცუდად შემზადებულსა — ჩეო“⁵.

ერთი სიტყვით, ქართული ჩეო, ჩელტი და სვან. **ჩევ** || **ჩწვ** ერთმანეთს უკავშირდება როგორც მასალობრივად, ისე მნიშვნელობით.

მკვლევართა უზრაღდება მიუქცევია **ჩეოს** მასში არსებული, ქართულისათვის უცხო ხმოვანთმიმდევრობით (-ეო), ამიტომაც დამდგარა მისი დაშლის საკითხიც.

საინტერესოა ვ. შენგელიას მოსაზრება, სადაც ის ჩწვ-ს ადიდური წარმოშობის სიტყვად მიიჩნევს⁶.

ადიდურში გვაქვს ქწა — დობე (წწული), რომელშიც -უ დანიშნულების სუფიქსია, ქწ კი წწელს აღნიშნავს. ანალოგიურადვე იშლება ჩწვ.

ჩწრი (ბზ, ლშხ), **ჩერი** (ბქ, ლნტ) — თითისტარი, ჩერია.

ჟი იკელს **ჩწრის** (ბზ, 130) — აიღებენ თითისტარს; ჟი ხეკვეს ახალეთა ჩერიქინ (ლნტ, 29) — თითისტარზე უნდა დაართო. **ჩწრი**ს მნიშვნელობა ქართულის დასავლურ კილოებში რამდენიმე სახელით გადმოიკცემა: **ჩერია**, **თითისტარი** და **ტარი**, ხოლო აღმოსავლური დიალექტებისათვის „ჩერია“ უცხოა. ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დასავლურ ქართულში ის სწორედ სვანურიდან შევიდა? ამ აზრს, ალბათ, ისიც დაუჭერს მხარს, რომ **ჩწრი** ფართოდ გავრცელებული კომპოზიტის შემადგენელი ნაწილია: **ჩწრი** — **ჩერშა** — **ტარ** — კვირისტავი (იმერ.).

³ ეკ. ოსიძე, დასახ. ნაშრომი.

⁴ არნ. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 108.

⁵ სულხან-საბა ორბელიანი, თხზ., ტ. IV (ლექსიკონი ქართული), გამოსაცემად მოამზადა ი. აბულაძემ, თბ., 1965, გვ. 529.

⁶ ვ. შენგელია, ქართული ჩეო სიტყვის ეტიმოლოგიისათვის, საენათმეცნიერო ძიებანი, თბ., 1983, გვ. 207.

ვ. თოფურია საინტერესოდ ხსნის ჩერშდას (კვირისტავი): სვან. შდა დდეს/ ხორბლუელის თავთავს აღნიშნავს, მაგრამ მას პირველად „თავის“ ენიშნება ლობა უნდა ჰქონოდა. ეს მტყიცდება ჩერშდა კომპოზიტით, სადაც პირველი ნაწილი ჩერი — ცალკე აღებული თითისტარს უდრის, ხოლო ჩერშდა — ჩერიის თავს, კვირისთავს... (ჩერშდა ← ჩერიშ შდა)?

ქსოვის აღმნიშვნელი ტერმინია სვანურში ლიჯიშ, ხოლო ლაჯშარი || ლაჯშარი (ბზ, ლნტ), ლაჯშარი (ლშხ) — საქსოვი (დაზგა).

ლაჯშარი ზექიშ ლი (ბზ, 129) — საქსოვი (დაზგა) ხისაა. ეჩანლო ლაჯშარს ეი ავაწყობლეს (ლშხ, 43) — შემდეგ დაზგას ააწყობენ.

სვან. ლიჯიშ — ქართ. ქსოვა ერთმანეთს დაუკავშირა ვ. თოფურიამ. მისი აზრით, ქუსავს — ქსოვს, საქუსალი — ქსელი, საქსოვი (საბა) სვანურში პოვებს შესატყვისს ლი-ჯიშ ფორმის სახით. ფონეტიკურ ეკვივალენტთა აღდგენით ქართულში უნდა გვექონოდა გუს ძირი, რაც საბას აქვს დადასტურებული: „საქუსალი — სადმე საგუსალი აღუწერიათ. საქუსალი უმჯობეს ჰგავს“. ნამდვილად კი საგუსალი „ჰგავს უმჯობესს“. უ-ს რედუქციის შედეგად დარჩებოდა საგუსალი. ესეც დაუცავს საბას საგსვალ-ის ფორმით. ამგვარად, უ გაუმარცვლოებულია და ო-ს გავლენით დაკარგულია⁸.

ამავე ფუძის შესახებ ვ. თოფურია სხვაგანაც მსჯელობს: სვან., ლი-ჯიშ ფორმის ფონეტიკურ ეკვივალენტად ქართულში უნდა გვექონდეს: ჯ-ს მაგიერ გ-ის ნაცვლად -v და შ-სი -ს, ე. ი. *გვს, სადაც ოვ სუფიქსის დართვით ჯერ ხმოვანი (v) იკარგება და შემდეგ გ-მ ს'-თან ასიმილაცია განიცადა და მოგვცა ქსოვ (<*გვს + ოვ > *გს = ოვ)⁹.

ლილეთ (ზს, ლშხ), ლილეთე (ლნტ) — რთვა.

ქანა ლილეთ (ბზ, 130) — კანაფის დართვა; ლაღეთაჟი ჩერის ხაკუ ჩუქან ლაქრჩანის ლიგემ (ლნტ, 29) — რთვისას ჩერიას ქვეშ თეფშის დადება უნდა.

საინტერესო დაკვირვება აქვთ ამ ფუძის შესახებ თ. გამყრელიძესა და გ. მაჭავარიანს. მათი აზრით, ძვ. ქართული სთ-ავ-ს და სვან. ა-ლთ-ე (აორ. ან-ლეთ-ე) შეფარდებათა საფუძველზე სვანურის მიხედვით აღდება ქართული -სთ- ძირის პირველადი სახე — *სეთ, რომელსაც სვანურში კანონზომიერად შეესატყვისება ლეთ- ფორმა¹⁰.

ლიფთი (ზს, ლშხ), ლიფთი || ლიფეთე (ლნტ) — დაჩეჩვა.

ეჩქანლო ჩვავთი ლაფთირეჟი (ბზ, 128) — შემდეგ დაჩეჩავს საჩეჩელზე; ჩუ ლუბტყენა მანტს ჩუ ლიფთი ხაკუ (ბქ, 305) — დაპენტილ მატყლს დაჩეჩვა უნდა: ხეიბნედ ეჩა ლიფეთის || ლიფეთეს (ლნტ, 29) — ვიწყებთ იმის დაჩეჩვას. ლიფთი თავის პარალელებს ქართულის დიალექტებში პოულობს: დაფთილებს, დაფთილვა (ქართლური, იმერული, ლეჩხუმური).

დაჩეჩვის შემდეგ მატყლს აწყობენ კალ-ებად, რომელსაც ქართულში ფთილა ჰქვია, ე. ი. ლიფთი მატყლის დაფთილების, ფთილებად ვაკეთების პროცესია. საყურადღებოა, რომ სვანურის სხვა დიალექტებისაგან განსხვავებით, ქართ. ფთილა-ს შესატყვისი ლაშხურში არის ფეთ ფუძე, რომელსაც თ. გამყრელიძე და გ. მაჭავარიანი უკავშირებენ ლიფთის: „ორმორფებიანი ფუძის ფონეტიკური გამარტივების შემთხვევაა ქართ. (ხევს.) და-ფით-ა, და-ფლით-ა (აწმყო ფლით-ს). საფიქრებელია, ამასვე უკავშირდებოდეს სვან. ა-ფთი —

⁷ ვ. თოფურია, თხზ., ტ. III, თბ., 1979, გვ. 8.

⁸ იქვე, გვ. 81.

⁹ იქვე, გვ. 209.

¹⁰ თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართული ენებში, თბ., 1965, გვ. 130.



ჩეჩავს (მატყლს). აორ. ა-ფეთ. მაშასადამე, სვან. ფეთ — აგრეთვე უნდა ვიხილოთ *ფელ-თ || ფლ-ეთ ფუძის გამარტივებულ ვარიანტად¹¹.

ამასვე უკავშირდება ლაფთირ (ბზ), ლაფთირ (ბქ), ლაფთირ (ლშხ), ლაფთირ (ლნტ) — საჩეჩელი.

მატყს... ეჩქანლო ლაფთირეთი (ბზ, 128) — მატყლის შემდეგ საჩეჩელზე დაჩეჩავს. მატყს ჩუ ლიფთი ხაკუ ლაფთირშე (ბქ, 305) — მატყლს დაჩეჩავს უნდა საჩეჩლით. ლაფთირეთი ლგფეთს... აშხვინ (ლშხ, 43) — საჩეჩელზე დაჩეჩილს ინახავენ.

ჭითხ — წყრთა (ლეჩხ, წყთა).
კულის ჭითხშე იზმეხ (ლშხ) — შალს წყრთით ზომავენ. ვოშა ჭითხ ირი? (ლნტ) — რამდენი წყრთა იქნება?

სვანურ ჭითხ-ს, მეგრულ ჭყითა-ს და ქართულ წყრთა-ს ერთმანეთთან აკავშირებს ს. ჟღენტბი. ირკვევა, რომ წყრთა-ში ყ მეორეულია, რ ჩართული ჩანს, ხოლო ჭითხ-ში, ხ განვითარებულია და წარმოშობილია პარმონიული კომპლექსი¹². ამ აზრს იზიარებს გიორგი კლიმოვიც¹³.

თ. გამყრელიძე და გ. მაჭავარიანი ისტორიულად დამოწმებულ ფორმათა შეპირისპირების საფუძველზე აღადგენენ საერთო-ქართველურ *წყრთა არქეტიპს მარცვლოვანი (*რ) ელემენტით თანხმოვანთა შორის: „ქართულში უმახვილო პოზიციაში (*რ) ელემენტმა დაკარგა მარცვლიანობა: *წყრთა > წყრთა. ზანურ დიალექტებში (მეგრულში) მარცვლოვანმა (*რ) ელემენტმა ვოკალიზაციის შედეგად სრული წარმოების ი ხმოვანი განავითარა: CრC > CირC. სვანურში მოხდა C—C პოზიციაში წარმოდგენილი მარცვლოვანი (*რ) ელემენტის სრული ლოკალიზაცია ი ხმოვნის სახით. მახვილის წინა მარცვალზე გადანაცვლებას ბოლოკიდური ხმოვნის მოკვეცა მოჰყვა. ეს მეტათეზისითა და გაფშვინიერებით თს მომდევნო პოზიციაში მივიღეთ სვანურში ისტორიულად დადასტურებული ჭითხ ფორმა. ქართ. წყრთა, მეგრ. ჭყირთა || ჭყითა შესატყვისად: *წყრთა > *ჭყრთ > ჭითხ¹⁴.

ულვა (ბზ, ლშხ), ულვა (ბქ, ლნტ) — უღელი.
ულვას აშხვხან რშთხე ჭურუ ხარ (ბზ, 129) — უღელს ერთ მხარეს ოთხი ხერელი აქვს. ჭიბ მავ ულვას ხაბ ისვა (ბქ, 306) — ძაფე ყველა უღელზეა მიბმული.

არნ. ჩიქობავას აზრით, საერთო ძირს შეიცავს ქართ. უღ-ელ. და სვან. უღ-უ-ა, ხოლო -ელ და უ დეტერმინანტი სუფიქსებია. „უღ- ძირს უთუოდ კავშირი აქვს ინდოევროპ. და უნგრ.-ფინურ ენებში ამავე შინაარსის სიტყვებთან... უღელ სიტყვის ძირს ქართველურ ენებში სხვა ენათა წრიდან შეთვისებულიად მივიჩნევთ თუ არა, -ელ ძირეული არაა, იგი სუფიქსია: მეგრულ უღ-უ-სთან შეპირისპირებაც, ინდოევროპულ შესაბამის სიტყვათა შედგენილობაც ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს¹⁵.

ლაცხნირ (ბზ, ლშხ), ლაცხნირ (ბქ), ლაცხნირ (ლნტ) — სავარცხელი.
ლაცხნირს ეიქან ი ჩუქვან დაფარ ხარ (ბზ, 129) — სავარცხელს ზევით და ქვევით დაფევი აქვს. ლაცხნირ ეი ხორკახ (ბქ, 306) — სავარცხელი უკი-

¹¹ იქვე, გვ. 200.
¹² ს. ჟღენტბი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბ., 1949, გვ. 131.
¹³ Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, М., 1964, გვ. 131.
¹⁴ თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 96.
¹⁵ არნ. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 31.

დაით? ეჩანლო ზაკუ ლიშდე (ქიპს) **ლწცხენირისა** (ლწტ, 29) — ძაფს **შემდეგ**
 სავარცხელში უნდა გაყრა.

ქართული სა-ვა-რცხ-ელ-ის (არნ. ჩიქობავა)¹⁶ შესაბამისად სვანური
 ფორმა ასე დაიწლებ: ლა-ცხ-ენ-ირ.

ლიწჩრე — დაძახვა.

კულიაქიმ ჩუ **ლიწჩრე** ხამთქვახ (ბქ, 305) — საშალე (ძაფის) დაძახვა
 იციან (სჩვევით).

ა. კინჭარაული თელის, რომ **ლიწჩრე ჩრჩი** || **ჩერი** (თითისტარი) სიტყვას
 უკავშირდება, ხოლო „თვითონ სიტყვა **ჩერია**, სვ. **ჩრჩი** || **ჩერი** უნდა მო-
 დიოდეს სიტყვა **ჩერანი**-დან, რაც საბას მიხედვით არის „წვივის გნდე“. ეს
 სიტყვა დასტურდება მთის დიალექტებშიც... ხალხურ პოეზიაში“¹⁷.

საკჯწელწარ (ბზ), **საგინწალწ** (ლწტ), **თჯკულწარ** (ბქ), **საგჯწალწარ**
 (ლწხ) — საქსოვი დაზგის ნაწილი, ზევიდან დაშვებული თოკები დგომის და-
 საძაგრებლად.

იგივე ფუძე გვაქვს დასავლურ დიალექტებში **საკინწალა**, რომლის მნიშ-
 ვნელობა ზუსტად იგივეა, რაც სვ. **საკჯწელწარ**, **საგჯწალწარ** სიტყვებისა.

აღწარს (თჯკულწარს) **საკჯწელწარ** ხუხახ (ბზ, 124) — ამათ (თოკებს) სა-
 კინწალა ჰქვიათ. ლწჯწარს ჟიქანჩუ ხეკვეს **საგინწალწ** (ლწტ, 30) — საქსოვ
 დაზგას ზემოდან უნდა მოაბა საკინწალა.

სვანურში „დაძრწის“ შინაარსს გადმოსცემს **გჯწლი**, ხოლო **ლიგინ-
 წალ** || **ლიგინწალ** „რწვეას“ ნიშნავს. **საგჯწალ**, **გჯწლი**, **ლიგინწალ**, ერთა
 მხრივ, და **საკინწალა**, **კორწილობს** || **კურწილობს**, **საკურწიანო**, მეორე მხრივ,
 ერთი და იგივე ძირი ჩანს.

ლისწე — გაფხეკა, კანის გაცლა.

ქანს ხოჩამდ ზაკუ **ლისწე** (ლწხ) — კანაფს კარგად უნდა გაფხეკა. კანაფის
 ნაწილებს საქონლის ბეჭით (ძვლით) გაფხეკენ გასუფთავების, კანის გაცლის
 მიზნით. რასაც **ლისწე** ჰქვია. საინტერესოა, რომ ლეჩხუმში ძვალს, რომლითაც
 ეს პროცესი ხდება, **საფხეკელას** ეძახიან, მაგრამ იქვე გვაქვს **გასოსწა** — სუფ-
 თად გატყავება: ცხვარი დაეკალით და გავსოსწეთ. ხომ არ შეიძლება ვიფიქ-
 როთ, რომ სვ. **ლისწე**, ქართ. **გასოსწა**-ს უკავშირდება?

ცალკე უნდა გამოვეყოთ ისეთი მასალა, სადაც სვანურს ქართულში მხო-
 ლოდ სემანტიკური ეკვივალენტი მოეპოვება, მათი ფუძეები კი სხვადასხვაა.

ჩალწე — ხიფა.

ოშეჲად **ჩალწე** ლი, ეჯწელდ ჰითხ ხეფსი კვილს (ბზ, 129) — რამდენი ხი-
 ფაც არის, იმდენი წყრთა გამოდის შალი.

ლიჩუღწე — დახიფვა.

(ზურწლ) ქიპს ხობწე **ლიჩუღწე** (ბზ, 129) — ქალი ძაფს დაუწყებს და-
 ხიფვას. **ლიჩუღწე** ხეობწედ მავ (ლწხ) — ყველანი ვიწყებთ დახიფვას.

კვილი (ბზ), **კული** (ბქ), **ქს** || **შალ**. ქს. — შალი.

კვილის ჩკატყცწრე ი ჟაგვრუზი (ბზ, 129) — შალს დაარღვევს და დაა-
 ჰვეს.

ლიკვლიწე (ბზ, ლწხ), **ლიკვლიწე** (ბქ, ლწტ) — მოთელვა (შალისა).

(ზურწლ) იბწე **ლიკვლიწეს** (ბზ, 129) — ქალი იწყებს მოთელვას. ლეჯაშ
შალს ჟაკვლიწეს (ლაშხ, 43) — მოქსოვილ შალს მოთელავენ.

მართალია, **ლიკვლიწეს** თავდაპირველი მნიშვნელობა მხოლოდ შალის დამ-

¹⁶ არნ. ჩიქობავა, **ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი**, თბ., 1938, გვ. 18.

¹⁷ ა. კინჭარაული, **ეტიმოლოგიური ძიებანი**, თბ., 1987, გვ. 58.

ზადებასთან, კერძოდ, მოქსოვილი შალის მოთელვასთან იყო დაკავშირებული, მაგრამ დღევანდელ სვანურში მისი შინაარსი გაფართოებულია და იხმარება სავაჭროდ მოთელვის, გათელვის მნიშვნელობით.

ლიშდრანი (ზზ), **ლიშდრანი** (ლშზ), **ლიშტრანი** (ბქ, ლნტ) — რდაგრება ამჟინ ქიპ ეი იშდრანი (ზზ, 128) — ასე იგრიხება ძაფი. ალე ქიპს ხოჩამდ ხაკუ **ლიშტრანი** (ლნტ) — ამ ძაფს კარგად უნდა დავგრება.

ლეშვერ (ზს, ლშზ), **ლეშვერ** (ლნტ) — თითისტარი (მაღალი).

ლულეთ ქიპს ეანჩრებ **ლეშვერშვ** (ლშზ, 43) — დართულ ძაფს დაძახვენ თითისტარით.

ზემით ვნახეთ, რომ ჩერი აღნიშნავდა როგორც დიდ, ისე პატარა თითისტარს. მათ სადიფერენციაციოდ ხომ არ დაარქვა სვანურმა დიდ თითისტარს **ლეშვერ**?

ლაქჯრჩან (ზს, ლნტ), **ლაქჯრჩან** (ლშზ) — ტარიბრუნა (თიან.). საგრეხელა (ფშ), ნაგრეხელა (რაჟ.), სახრელი (თუშ.).

ჩერის ჩუქვენ **ლაქჯრჩან** ხოგ (ზზ, 128) — თითისტარს ქვემოდან საგრეხელა უდგას.

ეს არის პატარა ჯამი, რომელიც თითისტარს უდგას ქვემოდან რთვის დროს. მასში ტრიალებს ტარი და ამით აიხსნება, ალბათ, ქართულ დიალექტებში დადასტურებული მრავალფეროვანი სახელოდებები.

სვანურში არის ზმნა **იქჯრჩანიელ**, რომელიც პატარა, დაბალი ადამიანის სწრაფ მოძრაობას აღნიშნავს. აგრეთვე პატარა, მახინჯი გარეგნობის კაცზე იტყვიან **ლქჯრჩან**.

ღებზ (ზს, ლნტ), **ღებზ** (ლშზ) — შულო (ძაფის მორგეი).

ღებზ-ისაგან არის ნაწარმოები **ლაღზაზარ** (ზზ), **ლაღზაზარ** (ლშზ), **ლაღზაზარ** (ბქ, ლნტ) — ჯარა, საშულოე ტარაბუა.

ოზშინ ქიპს **ლაღზაზარ**თე იტბე (ზზ, 128) — ხშირად ძაფს ჯარაში აბრუნებს.

უმეტეს შემთხვევაში ჩერი-დან ხელზე გადაიხვევენ ხოლმე ძაფს. შემდეგ აკეთებენ გორგალს. ასეთი ფორმის ხელს ეწოდება **ლაღზაზარ**.

ლლჯვმარ (ზზ), **ლლჯვმარ** (ბქ), **ლლჯომარ** (ლნტ), **ლლჯმარ** (ლშზ) — დგიმი.

ლლჯვმარ ი ლწცხირი ეი ხორაკხ (ბქ, 306). დგიმი და სავარცხელი ეკიდათ. ეჩანლო (ქიპს) ხაკუ ლიმქევალი **ლლჯომარისა** (ლნტ, 29). შემდეგ ძაფს დამქველება უნდა დგიმში;

სგვირ (ზს, ლნტ), **სგურ** (ლშზ) — ხამი ტილო ქა ნჯიშუნლო ლჯვიშ **სგვირ** ხაეხა (ზზ, 130) — მოქსოვის შემდეგ ნაქსოვს ტილო ჰქეია. **სგვირი** ლიჯიშ კულე ლიჯიშშალ ლწსე (ზზ, 130) — ტილოს მოქსოვა შალის მოქსოვასავით უნდოდა (იყო); აგისო ხოჩამდ ლგმლაფლინს **სგურალს** (ლშზ, 42) — სახლშიც კარგად ლებავდნენ თურმე ტილოებს.

კალ (ზზ, ლნტ), **ქუდვ** (ბქ), **ფეთ** (ლშზ) — ფთილა.

ეწუ ლაფეთეინ მერბი-მერბი **კალ** ისუი (ლნტ, 29) — გაჩეჩისას ორ-ორი ფთილა კეთდება.

ქან — კანაფი.

ქან ლილთე (ზზ, 130) — კანაფის დართვა. მინ ასნახ **ქანს** (ლშზ) — ისინი კანაფს ფხეკდნენ.

ქან'ის ნათესაობითი ბრუნვის ფორმაა **ქან-წუ**, საიდანაც მომდინარეობს **ქანწარ** — პურის სახელი, რომელიც კანაფის თესლისგან მზადდება.

ცალკე გამოვეყავით ისეთი მასალა, სადაც სვანურს შესაბამისი ქართული ეკვივალენტი ვერ დავუძებნეთ. ეს, ალბათ, უნდა აიხსნას სვანური რთვა-ქსოვის სპეციფიკით.

სვანეთში, როგორც ცნობილია, მხოლოდ მატყლსა და კანაფს აწარმოებდნენ სხვა მასალის უქონლობის გამო. ამიტომაც, სვანური საქსოვი დაზგა და, საერთოდ, რთვა-ქსოვასთან დაკავშირებული პროცესი სხვა კუთხეებისაგან განსხვავებული და შედარებით მარტივი იყო. ალბათ, ამიტომ არის, რომ ზოგიერთ სვანურ სიტყვას ქართული პარალელები არ ეძებნება და იძულებული ვართ, ისინი აღწერილიად გადმოვცეთ.

ლათღვრ (ბზ, ლშხ), **ლათღვირ** (ბქ, ლნტ).

ჩუბრის რომ ძაფით გაავსებენ, შემდეგ მას დაახვევენ ლათღვრზე, რომელიც ხშირად სკამის ფეხებია ან მიწაში ჩარტობილი რამდენიმე სოლი. მათზე ქსელავენ დართულ ძაფს. ლათღვრის მოვალეობას ხშირად ასრულებს აგრეთვე ორკაპა ჯიხი, რომელზედაც სიგრძით ახვევენ ძაფს. თვით პროცესს **ლითვდი** ჰქვია, ხოლო გადახვეულ ძაფს — **თვად**.

რადგანაც ლითვდი — თითისტრებიდან სოლებზე ან სკამის ფეხებზე გადახვევა ბევრ მოძრაობასთან არის დაკავშირებული, ამიტომ მან სვანურში მეორე მნიშვნელობაც გაიჩინა (ბევრი სიარული, ბოლოს ცემა).

ლიყვლურე (ბზ, ლშხ), **ლიყვლურე** (ბქ, ლნტ) — ზედმიწევნით გაყოფა-ქსოვის შემდეგ გადარჩება ხოლმე ცოტაოდენი ძაფი, რომელიც საქსოვად აღარ გამოდგება. მას მოჭრიან მაკრატლით. ამ პროცესს ეწოდება **ლიყვლურე**, რაც ზედმიწევნით „გაყოფას“ ნიშნავს, ხოლო მოჭრილ ნაწილს **ნაყვილ** — განაყოფი ჰქვია.

ლიტმგრე || **ლიტმურე** (ბზ, ლშხ), **ლიტმრე** (ბქ, ლნტ).

კონებად შეკრული კანაფი საქსოვებისამებრ რომ დაიძენძება, ამას ჰქვია **ლიტმგრე**, რომელიც უნდა მომდინარეობდეს **ლიტფ-ურ-ე**¹⁸ საგან¹⁸. ამოსავალია ტუფ-ტიფ („ტყავი“): ე. ი. ლი-ტუფ-ურ-ე → ლი-ტფ-ურ-ე → ლი-ტმ-ურ-ე. ეს უკანასკნელი მართლაც კანის, ტყავის გაცლას ნიშნავს.

რთვა-ქსოვასთან დაკავშირებული ლექსიკის ეს ნაწილი შემდგომ კვლევისა და დაზუსტებას მოითხოვს. რაც შეეხება ზემოთ განხილულ მასალას, ცხადია, რომ ლექსიკის უმეტესი და ძირითადი ნაწილი საერთოა ქართულთან.

Р. А. БАБЛУАНИ

ИЗУЧЕНИЕ ЛЕКСИКИ, СВЯЗАННОЙ С ПОНЯТИЯМИ ПРЯДЕНИЯ И ВЯЗАНИЯ В СВАНСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

Лексика в связи с понятием прядения и вязания в сванском языке дает интересную картину.

Найденная нами лексика представлена так:

1. Материал, заимствованный с грузинского языка: *lipeltäri* (ткачество), *liçinda* (вязание), *liłambavi* (метание);

¹⁸ ვ. თოფურია, დასაბ. ნაშრ., გვ. 148.

2. Материал, который имеет соответствие в грузинском языке, т. е. в сванском и грузинском основы (слов) идентичные: lišis (вязание); čitx (измерение), linčre (сучение), lisne (чистка, снятие кожи);

3. В сванском и грузинском употребляются разные основы: čalqv (пряжа), kvili (шерсть), lešgver (веретено);

4. Слова, имеющие определенное значение, представлены только в сванском языке, а в грузинском они передаются только описательно: latdvir (несколько палок, воткнутых в землю, на которые наматывают нитки); lišmāre||lišmāre (нитки, собранные в мотки).

Изучая сванский материал, можно сделать следующий вывод: большая часть лексики, связанная с понятием прядения и вязания, в грузинском и сванском языках тождественна.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილება

წარმოადგინა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა



პრიტიკა და გიგლიოზრავია

მოლიდური მონოგრაფია ვახტანგ მემკვიდრის შემსახე

ვახტანგ მემკვიდრე ძველი საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების თვალსაჩინო წარმომადგენელია. ის იყო გონიერი სახელმწიფო მოღვაწე და შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი, სამშობლოს ნათელი მომავლისათვის თავდადებული მებრძოლი და მშობელი ხალხის გულწრფელი მოკირანახელე, ღრმად განსწავლული მწიგნობარი და დაყირვებული მეცნიერი, მხატვრული სიტყვის დიდოსტატი და საყოველთაოდ ცნობილი მეცენატი, ქართველთა ინტელექტუალური საქმიანობის აღიარებული მეთაური, კულტურულ-შემოქმედებითი მუშაობის ნიჭიერი ორგანიზატორი, იდეური წინამძღოლი და პრაქტიკული ხელმძღვანელი.

ვახტანგ მემკვიდრეს ჯერჯერობდა ავსებდნენ თანამედროვენი თუ მომდევნო ხანის გამოჩენილი ქართველი მწერლები და მეცნიერები. კიდევ უფრო სრულად გამოვლინდა და მეტად დაფასდა მისი ღვაწლი ჩვენს ხანაში. ქართველი საზოგადოებრიობა შეუწყნებელი ინტერესით ეტნობა და სწავლობს მრავალკირანახელი მწიგნობრის კულტურულ-ლიტერატურულსა და მეცნიერულ მემკვიდრეობას.

ვახტანგისადმი ცხოველ ინტერესს მოწმობს, — აღრიდნულ ნაშრომებზე რომ არაფერი ვთქვათ, — სულ უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებული წიგნები: გ. პაიჭაძის „ვახტანგ მემკვიდრე“ (თბ., 1981), დ. ბრეგვაძის „მეგობრობის მეცხლე“ (თბ., 1986), რ. ჩაგენავის „ვახტანგ ბაგრატიონის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა“ (თბ., 1986), მ. ქიქოძის „ვახტანგ VI-ის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა“ (თბ., 1988) და სხვ.

ვახტანგის ცხოვრება-მოღვაწეობისადმი მიძღვნილი წიგნებისა თუ ნარკვევების ავტორთა ინტერესთა სფერო განსხვავებული იყო. ზოგი შედარებით სრულად მიმოიხილადა ვახტანგის ცხოვრების გზას თუ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურსა და კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას, ზოგს მისი მხატვრულ-ლიტერატურული მემკვიდრეობა აინტერესებდა, ზოგი მის მეცნიერულ ნაშრომებს სწავლობდა და ა. შ.

მიუხედავად მასშტაბური სამუშაოს შესრულებისა და წიგნების, გამოკვლევებისა თუ წერილების სიმრავლისა, ვახტანგის ცხოვრება-მოღვაწეობის ყოველმხრივი შესწავლა და მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობის ამომწურავი მიმოხილვა მომავლის საქმეა.

ბუნებრივია, მკვლევარი ვახტანგის პოეზიას უფრადლებას არ აკლებდნენ. არაერთგზის აღნიშნულა, რომ მისი პოეტური მემკვიდრეობა ინტერესს იწვევს თემატიკურ-შინაარსობრივი მრავალფეროვნებით, იდეურ-პოლიტიკური მიზანდასახულობით, მხატვრული მეტყველების მაღალი კულტურით, განცდის სიწრფელითა და ლირიკული მგარძნობელობით, მოქალაქეობრივი პანგებითა და მღელვარე პათოსით; დიდი მხატვრული შთაგონებით დაწერილი ლექსებით ვახტანგმა პოეტური სიტყვის ჰეშმარტად დიდებული ოსტატის საპატიო ადგილი დაიმკვიდრა ქართული კახულსიტყუაობის ისტორიაში. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ვახტანგის პოეტური მემკვიდრეობის საკითხი უპირატესად სხვა საკითხებთან ერთად განიხილებოდა, იგი, რამდენადმე მაინც, ჩრდილში რჩებოდა. არადა, ვახტანგის პოეზიის სრულად და საგანგებოდ შესწავლის საკირება კარგა ხანია იგრძნობოდა.

ქართული ფილოლოგიის ამ ერთგვარმა ჩამორჩენამ, ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ამ ხარეხმა გადაადგმევინა გაბედული ნაბიჯი ბ. დარჩიას — მან ხელი მოჰკიდა ვახტანგის პოეზიის მონოგრაფიულ შესწავლას.

სარეცენზო ნაშრომი, რომელიც არსებითად ვრცელი მონოგრაფიაა ორ წიგნად (ვახტანგ მემკვიდრის პოეტური მემკვიდრეობა, თბილისი, 1986, 248 გვ.; ვახტანგ მემკვიდრის პოეტური სამყარო, თბილისი, 1988, 440 გვ.), ფრად სერიოზული გამოკვლევაა. მასში, ერთი მხრივ, შეჯამებული და შეფასებულია ყოველივე ის, რაც გაკეთებულია ვახტანგის პოეტური მემკვიდრეობის შესწავლის მიზნით, მეორე მხრივ, ახალი მასალების მოხმობით თუ ადრე ცნობილი მასალების ახლებური, ზშირად საკმაოდ ორიგინალური გააზრებით ერთად სრულადაა წარმოჩენილი ვახტანგის პოეტური სამყარო. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ვახტანგოლოგიაში (თუ შეიძლება ეს სიტყვა ვიხმაროთ!) იწყება თვისებრივად ახალი ეტაპი.

მართალია, მკვლევარი მონოგრაფიის შეფასებისას საკმაოდ მორიდებულია, მას სხვაზე არანაკლებ ესმის, რა გააკეთა და რა დარჩა გასაკეთებელი. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი ამკვრად უფრო პრობლემური, შეუსწავლელი და სადავო საკითხების განხილვით შემოფარგლა (აქაც არაერთი საკითხი დარჩა ხელუხლებელი), მაგრამ განსახილველი ნაშრომი ამ სახითაც ძალზე კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს და მოწონებას იმსახურებს.

რადგან ვახტანგის პოეზია მონოგრაფიულად არავის შეუსწავლია, ბ. დარჩიას ნაბიჯი სავსებით გამართლებულია; მისი თემის აქტუალურობა იმდენად ცხადია, რომ მასზე შეჩერება ზედმეტად მივიჩნია.

აქვე უნდა აღენიშნოთ, რომ მუშაობის პროცესში მკვლევარმა მწვეველ იგარძნო ვახტანგის პოეტური მემკვიდრეობის აკადემიური გამოცემის მომზადების აუცილებლობა. მისი სიტყვით, „სამწუხაროდ, დღემდე არ გავაჩინა ვახტანგის პოეტური თხზულებათა სრული გამოცემა, სადაც სათანადო მეცნიერული გამოკვლევითა და აპარატურის დართვით თავმოყრილი და რედაქციულ თვისებებზეა ჩვენებით წარმოდგენილი იქნებოდა მთელი მისი პოეტური ნაღვანი“. ეს კი ხელს უშლის ვახტანგის პოეზიის სრულად შესწავლას.

ჩვენ გვაქვს ვახტანგის თხზულებათა ძალზე სოლიდური გამოცემა, რომელიც ორჯერ განხორციელა ა. ბარამიძემ (ვახტანგ მეექვსე, ლექსები და პოემები, თბ., 1947, 1975). იმით ვსარგებლობდით, მას ვიყენებდით; თუ პირდაპირ ვიტყვით, ვახტანგის პოეზიის ქართველი საზოგადოებრიობის დიდი ნაწილი უპირატესად ამ პუბლიკაციით ვაცნო. მეტრად, როგორც მასწავლებელი დავსვენე, რომ ამ გამოცემაზე, — ისე როგორც ბევრი ძველი ქართველი მწერლის თხზულებათა ა. ბარამიძისეულ პუბლიკაციებზე, — აღიზარდა ქართველ ფილოლოგთა მრავალი თაობა.

პოეტის ხელნაწერი მემკვიდრეობის შესწავლის, ხელნაწერი კრებულების მიერ შემონახული ტექსტების ანალიზის, მათი რედაქციული რაობისა და ურთიერთმიმართების დადგენის შემდეგ ბ. დარჩიამ განიხილა ვახტანგის „თხზულებათა სრული, მეცნიერული გამოცემის განხორციელება“. ეს კარგი გადაწყვეტილებაა და მადლობის მეთაური გვექმნის, მაგრამ დაფიქრებას იწვევს ერთი გარემოება: ბ. დარჩიას (აგრეთვე სხვა მკვლევართა) დაკვირვებით, ვახტანგის თხზულებათა „რედაქციული ტექსტები ერთმანეთს არ ცვლის. თითოეულ მათგანს მოეპოვება საკუთარი ლირსება-ხალოვანებათი. ამიტომ, — განაგრძობს ავტორი, — ვახტანგის პოეტური თხზულებათა გამოცემაში ყველა რედაქციული ტექსტი თანაბარ უფლებათა პრინციპით უნდა იქნეს წარმოდგენილი“.

ვახტანგის ლექსებისა და პოემების აკადემიური გამოცემის მომზადება და გამოქვეყნება საშვილიშვილო საქმეა, მაგრამ „ყველა რედაქციული ტექსტის თანაბარ უფლებათა პრინციპით“ დაბეჭდვა მეტ დაფიქრებას მოითხოვს. მართალია, ქართულ ენაზე გვაქვს სხვადასხვა რედაქციის ტექსტების არაერთი ერთობლივი გამოცემა (შესაქმისა, გამოსლვათაი, ფსალმუნნი, სახარება, ასურელ მოღვაწეთა „ცხოვრების“ წიგნები და სხვ.), მაგრამ იქ სხვა ვითარებაა (სხვადასხვა ავტორი, მთარგმნელი, ეპოქა, წყარო და ა. შ.), აქ კი ერთი ავტორის თითოეული თხზულების სხვადასხვა რედაქციასთან გვაქვს საქმე.

როგორ მივაწოდოთ ტექსტები მკითხველებს — ისე, როგორც ა. ბარამიძემ დაბეჭდა „კეთ-შანი“ (რამდენიმე რედაქციის სახით), თუ შევარჩიოთ ბოლო რედაქცია, რომელიც „ბოლო ნების გამოხატულებაა“ (ბ. დარჩია)?

ასეა თუ ისე, ამ საკითხზე შეთანხმება შეუძლებლად არ გვეჩვენება, მხოლოდ აუცილებელია ანგარიში გავუწიოთ სკოლებული საზოგადოებრიობის ინტერესსა და მოთხოვნებს, მივაწოდოთ მას ვახტანგის თხზულებათა მეცნიერულ-კრიტიკულად დადგენილი ტექსტი; ამასთანავე, ტექსტის დადგენისას თავი შევიკავოთ სუბიექტური შეხედულებებისაგან და უპირატესობა მივანიჭოთ პოეტის „ბოლო ნებას“. თუ ასე არ მოგიქცევით, „ყველა რედაქციულ ტექსტს თანაბარ უფლებათა პრინციპით“ დაეცემა და არჩევანს მკითხველს მივანდობთ, მაშინ თავს ვერ დავიზღვევთ სოსალოდნელი გაუგებრობისაგან (და ზოგჯერ შეცდომებისაგან). ჩვენი ყურადღება იმანაც მიიპყრო, რომ მკვლევარი არაფერს ამბობს ვახტანგის თხზულებათა მასობრივ გამოცემებზე, არ ფიქრობს (ყოველ შემთხვევაში, არას წერს), თუ როგორ უნდა მოქცენდეს მასობრივ გამოცემათა შემდგენელნი. „ჩვენი საუნჯე“, „ქართული პოეზია“ თუ „ქართული მწერლობა“ ხომ კვლავაც დაიბეჭდება?!

მკითხველთა ყურადღების მოზიზიზიებისა და ინტერესის გაცხოველებისათვისაა გამიზნული ნაშრომის შესავალი — ვის ეუფლებინს აფორიზმი: „ცემა გმართებს გამზრდელისა, რა ყრმა ნახო ავად ზრდილი!“ წლების მანძილზე ეს აფორიზმი, უფრო ზუსტად, ამ აფორიზმის ავტორის ვინაობა კამათს იწვევდა — მას ხან რუსთველს მიაწერდნენ, ხან ვახტანგს, ხან დ. გურამიშვილს, ზოგჯერ კი ხალხურად აცხადებდნენ. ყარ კიდევ სამი ათეული წლის წინ აღინიშნა, რომ ამ აფორიზმს ავშირი უნდა ჰქონდეს ვახტანგის შემდეგ სიტყვებითა:

ნახა ყრმა ავად მქცეველი, ურიგოდ მოართულია,
გამწერთელსა ცემა დაუწყო, რა ავად განსწავლულია?!

მაგრამ ვარაუდის დამადასტურებელი საბუთი არ ჩანდა და აფორიზმის ავტორად ვახტანგის დასახელება ჰქირდა, ხელნაწერების შესწავლით ბ. დარჩიამ ცხადყო, რომ აფორიზმი ვახტანგისაა. მან დაძებნა ხელნაწერი, რომელშიც ზემოდათქმული ორტაბიანი ლექსი გადა-



ხაზული და იქვე (გვერდზე) ვერტიკალურად ვახტანგის ხელით მიწერილია ჩვენთვის საინტერესო აფორიზმი. ცხადი ვახდა ვახტანგის „ბოლო ნება“. რატომ ვამახვილებთ ყურადღებას ამ დეტალზე? იმიტომ, რომ სწორედ ამ ფაქტმა მისცა ბიძგი ჩვენს ავტორს, ამის შესახებ დაივალი მან „ვახტანგის პოეზიის შესწავლა და გამოასაცემად მომზადება“.

მცირე შენიშვნა: სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ აღინიშნა, რომ ზემოხსენებულ აფორიზმი რამდენჯერმე დაიმოწმა ი. ჭავჭავაძემ (ზოგჯერ ავტორის დასახელებით, ზოგჯერ მის მოუხსენებლად). ბ. დარჩიამ: ყურადღება მიაქცია, რომ აფორიზმის წინ ი. ჭავჭავაძე წერდა: „მწერთვინის კარგად სხენება მადლობელის გაწერთილისაგან მოსაწონია“. ან კიდევ: „საქა გაწერთილა და უსწავლია, იმას გადახადევისო“. ამ ფრაზებსა და ვახტანგის ზემოდაწოწმებულ ორტეპიან ლექსს შორის რომ სიტყვიერ-ლექსიკური თანხვედნილობაა, ეს საკამათო არაა. „ი. ჭავჭავაძის მიერ საძიებელი აფორიზმის ასეთ კონტექსტებში მოყვანა შემთხვევითი არ უნდა იყოს“. ჩვენს მკვლევარს ისლა დააკლდა გარკვევით ეთქვა, რომ ი. ჭავჭავაძე იცნობდა ვახტანგიეული ტექსტის ხელნაწერებში შემონახულ ორივე რედაქციას — აფორიზმსაც და ორტეპიან ლექსსაც.

ი. ჭავჭავაძემ ბევრი ძველი ქართული თხზულება რომ ხელნაწერებში წაიკითხა, ეს ცნობილია, მაგრამ ახალი ფაქტი კიდევ უფრო სარწმუნოს ვახდინდა ილიას დაინტერესებას ძველი ხელნაწერებით.

სარეცენზიო ნაშრომის პირველი წიგნი ტექსტოლოგიური ხასიათისაა. იგი ორი თავისაგან შედგება.

1. ხელნაწერ კრებულთა რედაქციები. ბ. დარჩიასათვის ცხადია, რომ ვახტანგის პოეზია (და საერთოდ შემოქმედება) „შემდგომ გაღრმავებულ შესწავლას, დაზუსტებასა და დღის სინათლეზე გამოტანას მოითხოვს“; ამისათვის კი საჭიროა აკადემიური გამოცემის მომზადება (ამაზე უკვე ვისაუბრეთ). მისი დასკვნით, „ამ საქმის მოგვარებისათვის პირველ რიგში საჭიროა პოეტის ხელნაწერი მემკვიდრეობის, უწინარესად ხელნაწერი კრებულების, შესწავლა, მათი რედაქციული რაობისა და ურთიერთმიმართების დადგენა“.

ბ. დარჩიამ რამდენიმე წლის წინ წამოიწყო და წარმატებით შეასრულა შრომატეადი სამუშაო — შეისწავლა ვახტანგის პოეტურ თხზულებათა 14 კრებული, დაცული საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, საქართველოს სსრ სახელმწიფო ცენტრალურ არქივში, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში და სხვ. თუ გავითვალისწინებთ, რომ ვახტანგის „პოეტურ თხზულებათა უმრავლესობა ორი, სამი და ზოგჯერ ოთხი და მეტი რედაქციული სახესხვაობით არის დამუშავებული“, სახელდობრ, „ყველის ქება“ (ნაწილობრივ), „შეგონება“, „სალხუნად გულისა“ და „ამირანასარიანი“ ორი რედაქციით, „კაეშნისა“ და „სატრფილონის“ საკმაო ნაწილები — სამი რედაქციით, „სობრძნე მალაღობლის“ უმცირესი ნაწილი — ოთხი რედაქციით, დაახლოებით შემუშავებული — სამი რედაქციით, დანარჩენი, უდიდესი ნაწილი, გარდა მცირე გამონაკლისისა, — ორი რედაქციით, ცხადი ვახდებდა, რომ ყოველივე ამის გამოვლენით, შესწავლითა და დადგენით ბ. დარჩიამ პირნათლად შეასრულა დაკისრებული მისია. მან შეძლო ხელნაწერებში შემონახული ტექსტების შეყვრება-შეპირისპირება, რედაქციული თვალსაზრისით დაჯგუფება, თავისებურებათა წარმოჩენა, განსხვავებულ წაიკითხვათა მიხედვით რედაქციულ დამოკიდებულება-დამოუკიდებლობის დადგენა, აღინიღელ ტექსტებში ვახტანგის მიერ შეინარსობრივ, აზრობრივ, მხატვრულ ცვლილებათა აღნუსხვა-შეფასება. მან ისე უხვად წარმოგვიდგინა საილუსტრაციო მასალა და ისეთი ანგარიშგასაწევი მოსაზრებანი შემოგვთავაზა, რომ მისი შრომისმოყვარეობით აღფრთოვანებულ ექვი არ უნდა შეგვეპაროს მის მეცნიერულ კეთილსინდისიერებაში და კვლევა-ძიების საფუძველზე შემუშავებული თვალსაზრისი ძირითადად უნდა შევიწყნაროთ.

ავტორის დასკვნებში თავს იჩენს ის საკამათო საკითხი, რომელზეც ზემოთაც ვისაუბრეთ. სახელდობრ, რედაქციებზე მსჯელობისას მკვლევარი გვეცნობს ვახტანგის მუშაობის პრინციპებსაც. კერძოდ, იგი წერს: „ყველა რედაქცია ენობრივ-სტილისტური ხასიათისაა. ყველა თხზულება ერთი და იმავე პრიციპით არის ნასწორები. პოეტი აზრობრივად და სტილისტურად ზეგნს ტექსტს, ცდილობს სტრიქონებში სიტყვათა რაოდენობის შემცირებას და კერძო, კონკრეტული შეინარსისაგან განმსოვადებელი აზრის შექმნას. თუმცა ბოლო რედაქცია აღინდელთან შედარებით უმრავლეს შემთხვევაში აზრობრივად, მხატვრულად, სტილისტურად უკეთესია, საზოგადოდ, პირველი რედაქციის ენა უფრო სადა და სასაუბრო მეტყველებასთან ახლოა, ხოლო ბოლო რედაქციასა — საგრძნობლად მწიფობრული და საკმაოდ ხშირად ხელოვნურიც“.

მართალი ვითხრათ, არ მესმის, თუ „ბოლო რედაქცია აღინდელთან შედარებით უმრავლეს შემთხვევაში აზრობრივად, მხატვრულად, სტილისტურად უკეთესია“, „ვახტანგის პოეტურ თხზულებათა გამოცემაში ყველა რედაქციული ტექსტი თანაბარ უფლებათა პრინციპით“ რატომ უნდა დაიბეჭდოს?



არსებითად ამ თავთანა დაკავშირებული მეორე წიგნის პირველი თავი — ვახტანგის მეექვსე პოეტური მეგვიდრობის დადგენისათვის. მისი პირველი პარაგრაფი ასეა სახელწოდებული: „ლექსები, რომლებიც ვახტანგის პოეტურ თხზულებათა ხელნაწერ და ბეჭდურ კრებულებში არ შესულა“. მასში მსჯელობის ობიექტებია მძისადმი მიწერილი ლექსი, შოი მღვიმელისადმი მიძღვნილი ლექსი, „რანი და მოვაჯანი...“, მესამე ანბანთქება, „სიკვდილი ჭიმ-შედის ცოლისა“, „ხოსროს ფიცი“, „რამლის წიგნზე“ მინაწერი ლექსები, „მასკვლავების წიგნზე“ მინაწერი სტროფები, „ქაშნიკში“ მოთავსებული ლექსები, „ქილილა და დამანას“ ლექსები, ლექსი ნუშრევანზე.

ვფიქრობთ, საქმეში ოდნავ ჩახედული მკითხველი დაგვეთანხმება, რომ პარაგრაფის სახელწოდება-სათური ზუსტი არაა. აქ თავმოყრილია სხვადასხვა ხასიათის ლექსები. ბ. დარჩიას კარგად მოეხსენება, რომ ზემოდასახელებული არაერთი ლექსი (მაგალითად, „რანი და მოვაჯანი...“, „რამლის წიგნზე“ მინაწერი ლექსები, „მასკვლავების წიგნზე“ მიწერილი სტროფები, „ქაშნიკში“ მოთავსებული ლექსები) შესულია ა. ბარამიძის რედაქციით გამოქვეყნებულ კრებულში. როგორ შეიძლება მათზე ითქვას, ეს „ლექსები... ვახტანგის პოეტურ თხზულებათა... ბეჭდურ კრებულებში არ შესულა“?!

ამ პარაგრაფში, როგორც აღვნიშნეთ, მსჯელობაა რამდენიმე ლექსსა თუ ლექსთა ჯგუფზე. მართალია, ზოგიერთ, — ვახტანგის მიერ ჩაწერილ, — ლექსს ავტორის ვინაობაზე არაერთი მინიშნება არ ახლავს და ამდენად გადაჭრით რამეს თქმა ძნელია, მაგრამ, „სანამ უფრო სარწმუნო საბუთები გამოჩნდებოდა, ხელისა და ზოგიერთი სხვა ნიშნის მიხედვით მათი ვახტანგის კუთვნილება“ გამოცხადება შესაძლებლად მიგვაჩნია, ოღონდ უნდა შევნიშნოთ ერთი გარემოება: ყველა აქ განხილული ლექსი (თუ ლექსთა ჯგუფი) კარგა ხანია აღიარებულია ვახტანგისეულად და მეტწილად გამოქვეყნებულია — ზოგიერთი რამდენჯერმეც კი. ასე, მაგალითად, ვახტანგისეულად მიჩნეული მძისადმი მიწერილი ლექსი (ქ. შარაშიძე), შოი მღვიმელისადმი მიძღვნილი ლექსი (მ. ჭანაშვილი, გ. მიქაძე), მესამე ანბანთქება (ქ. ქეკელიძე, გ. მიქაძე), „ხოსროს ფიცი“ (ა. ბარამიძე, ლ. ქუთათელაძე, ნ. გიგაშვილი) და სხვ.

2. გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს პირველი წიგნის მესამე თავი — „ამაში მასალები ვახტანგ მეექვსის პოეტური მეგვიდრობიდან“. ავტორის მტკიცებით, რაც დაამარწმუნებელი ჩანს, ვახტანგის კალამს ეკუთვნის სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად ცნობილი ლექსები „ვახტანგური“ და „მუხრანული“ (მტკიცების საფუძველს მას აძლევს ჩანაწერების ხელი, ამ ლექსების ორგანული კავშირი ვახტანგის პოეზიისათვის თემატიკურ-მინარსობრივად, სტილით, გამოხატვის ფორმით და ა. შ.), აგრეთვე საქმოდ თავისებური, აზრისგან დაცლილი, ხელოვნური. ფორმალისტური ლექსი „ათცხრაპეტრი“ (მართლაც, სრულიად უცნობი) და „თუ ვი გინდა სულის კარგი...“, რომელსაც კარგა ხნის წინათ შიაცქია ყურადღება რ. ორბელიანმა.

აქვე აღვნიშნავთ, რომ უპირანი იჭებოდა ბ. დარჩიას მიერ მიკვლეულ პატარა (ორტაყ-პიან) ლექსს:

ნუშრევანს სჭირდა სამუდამოდ დარში სამართლის მკობანი,
წვიმაში — ძილი, ქარში — სმა, ღრუბელში ნადირობანი,

რომელიც სულ სხვა თავშია დამოწმებული და მიმოხილული, ამ თავში მისჩნნოდა ადგილი. მართალია, ამ ლექსის ავტორის ვინაობის საკითხი შემდგომ კვლევა-ძიებას მოითხოვს, მაგრამ, ბ. დარჩიას მართებული დასკვნით, „სანამ სარწმუნო წყარო გამოჩნდებოდა, მანამ იგი პირობით ვახტანგ მეექვსის პოეტურ თხზულებებში უნდა მოვათავსოთ“. ვფიქრობთ, ასეთი ლექსი უნდა განხილულიყო სწორედ იმ თავში, რომელსაც ეწოდება „ახალი მასალები ვახტანგ მეექვსის პოეტური მეგვიდრობიდან“.

მეორე წიგნის მეორე თავი — „ვახტანგ მეექვსის პოეტური სამყარო“ დიდია მოცულობითა და მნიშვნელობითაც. მასში არაერთი საკითხია პირველად დასმული თუ ახლებურად გაზრებული. იგი ექვსი ქვეთავისაგან შედგება.

1. მეფე და პოეტი. ამ ქვეთავში მკვლევარი ამტკიცებს იმას, რაც საყოველთაოდ ცნობილია და თითქოს მტკიცებით არ საუბრობებს, მაგრამ, რადგან ზოგი მოღვაწე წარსულში (ი. ტლაშაძე და სხვ.) თუ ახლაც (ე. მაღრაძე, გ. მალულარია, ლ. სანიძე და სხვ.) ვახტანგს ვერ აფასებს დამსახურებისამებრ, ათვალწუნებით უყურებს მის პოეტურ შემოქმედებას, პირდაპირ თუ არაპირდაპირ მიგვანიშნებს, რომ ვახტანგი, — ზოგიერთი სხვა ქართველი მეფე-პოეტის მსგავსად, — „პოლიტიკაში პოეტობდა, პოეზიაში პოლიტიკოსობდა“, ამდენად ვახტანგის მიერ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და მწიგნობრულ-საგანმანათლებლო საქმიანობის შეთავსებაზე საუბარი და ნიპოლისტურ შეხედულებათა კრიტიკა საეხსებოთ გაპართლე-ბული ჩანს.

გვსურს ბ. დარჩიას ყურადღება მივაქციოთ ორ გარემოებას: ა) როდესაც „დავითიანს“ შემყარებთ და მის საფუძველზე ვარკვევთ დ. გურამიშვილის პოზიციას, კერძოდ, ვმსჯელობთ



მის მიერ ვახტანგის ზოგიერთი ნაბიჯის პირთვენელ შეფასებასა და მკაცრ განცხადებას, არც მის უნდა დაევიწყინოთ, თუ როგორ განიცადა პოეტმა ვახტანგის გარდაცვალება და ვახტანგის მიერ ლექსით დაიტრია დიდბუნებოვანი მამულიშვილი („ვინ, ან ბოძი წაიქცეა ქვეყნისაგან, თავს ლეკვქცაო!“); ბ) როდესაც ვახტანგის ტრაგიკულ ცხოვრებას ვიგონებთ, მის მიერ უცხოეთში დაწერილ ლექსებს ვაანალიზებთ და ვასკენით, ვახტანგისათვის „მელექსეობა იძულებითი, მარტოობისას თავშესაქცევი, სევდა-ნალღელის გამაქარებელი საშუალება იყო“, არც მის უნდა უგულებელვყოთ, რომ „მელექსეობა“, პოეზია ვახტანგისათვის არა მარტო „თავშესაქცევი“ იყო, არამედ მოწოდებაც.

2. მეორე ქვეთავში მიმოხილულია ვახტანგ მეექვსის ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებანი. ესთეტიკის სპეციალისტებმა თუნდაც რომ დაჰყენონ მასში ცალკეული სადავო მოსაზრებანი, იგი მაინც არ დაყარავს თავის ფასსა და ღირსებას, რადგან ისაა ვახტანგის ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებათა პირველი რამდენადმე სრული მიმოხილვა. თუ ადრე უპირატესად ვახტანგის რუსთველოლოგიური ნააზრევი იქცეოდა ყურადღებას და იქაც ძირითადად მეცნიერ-კომენტატორის ისტორიულ-ლიტერატურული და ფილოლოგიური თვალსაზრისი, ახლა წინა პლანზე წამოწეულია ვახტანგის ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებანი, რომლებიც მის ლექსებშია გამოთქმული. იმედია ამ პრობლემატის დამუშავებას ბ. დარჩია მომავალშიც განაგრძობს.

3. დიდაქტიურ-განმანათლებლური იდეები. ცნობილია, რომ XVII საუკუნის მეორე ნახევარიდან ქართველთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა. საქართველოში უცხოელთა ხანგრძლივმა ბატონობამ და ძალმომრეობამ, ქრისტიანული ეკლესიის შევიწროების შედეგად შესულიანური აღმსარებლობის თანდათანობით გავრცელებამ და სარწმუნოებრივმა მერყეობამ, საზოგადოების ნაწილის თავაშვებულობამ და ზნეობრივმა დაცემულობამ უპრყოფითი დაღი დააჩინა ქართველ ხალხს. დღის წესრიგში დადგა ქართველთა მორალური წვრთნისა და გაჯანსაღების, მათი სულიერი გასაქცელების საკითხები.

ქართველთა მოწინავე ნაწილს ესმოდა, რომ აუცილებელი იყო ბოროლა შესუსტებული ზნეობრივი ნორმების აღდგენისა და განმტკიცებისათვის, აუცილებელი იყო მეტი ზრუნვა ახალგაზრდობის აღზრდაზე. ეს საშეილიშვილო საქმე თავს იღვეს გამოჩენილმა მოღვაწეებმა, რომელთა შორის ვახტანგის დამსახურება განსაკუთრებულია. ბ. დარჩიას ნაშრომში ვახტანგი წარმოდგენილია ამ საქმის აქტიურ მონაწილედ. ერთი მხრივ, ნაჩვენებია, რომ ვახტანგი იყო უდიდესი განმანათლებელი, საქართველოს ძლიერი და დამოუკიდებელი, მოწინავე კულტურული ეროვნულ-ქრისტიანული სახელმწიფოს შექმნისა და აღორძინებისათვის დაუცხრომელი მებრძოლი, მეორე მხრივ, ხაზგასმულია, რომ მან თავის პოეზიაში ყველაზე დიდი ადგილი დიდაქტიურ-განმანათლებლურ მოტივს დაეთმო. მოსაწონია, რომ ვახტანგის პოეზიის დიდაქტიურ-განმანათლებლური იდეები მიმოხილულია არა იზოლირებულად, არამედ მეფე-პოეტის პრაქტიკულ მოღვაწეობასთან კავშირში. დამაჯერებლადაა ნაჩვენები, რომ ვახტანგი ცხოვრებასა და პოეზიაში ერთნაირი თავგამოდებით იღვწოდა ქვეყნისა და ხალხის სულიერი აღორძინებისათვის, რომ იგი საზოგადოების განათლებისა და კულტურული დონის ამაღლების ერთ-ერთ საშუალებად სიტყვაჯახულ მწერლობას თვლიდა. ამიტომაც დასკვნა — ვახტანგ მეექვსის პოეზიის ერთი დიდი და უმძლავრესი ნაქადის მიზანდასახულობა ქართველი ხალხის გონებრივი და ზნეობრივი აღზრდისა და ამაღლების საშუალებაა, რომლის უმეტეს ნაწილს საუკუნეთა მანძილზე არც ყავლი გასვლია და არც ებოვებლყოფილობა დაუკარგავს“ — საყსებით მისაღებია.

4. სევდისა და სოფლის გმობის მოტივი. ამ ქვეთავში აღნიშნულია, რომ ვახტანგის პოეზია თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია ღრმა სევდითა და ამქვეყნიური ცხოვრების ამოების, სოფლის გმობის იდეით, რომ ვახტანგის სევდისა და სოფლის გმობის მოტივს ასაზრდოებს სამშობლოს ძნელბედობით გამოწვეული მეფე-პოეტის მძიმე ზეგდრი და ქრისტიანულ-თეოლოგიური მსოფლმხედველობა ამქვეყნიური ცხოვრების ამოების შესახებ.

ყოველივე ეს ცნობილი და აღიარებულია, მაგრამ „სამეცნიერო ლიტერატურაში ეს საკითხი მოკლედ მერს განხილული, გამოთქმულია ზოგიერთი სადავო მოსაზრებაც“. ამიტომ ბ. დარჩიას მიერ ამ საკითხებზე ყურადღების გამახვილება საყსებით ბუნებრივია. უფვი და მრავალფეროვანი საისტორიო წყაროების მოხმობით, ვახტანგის პოეზიის კრიტიკული ანალიზით, კონკრეტული, ლოგიკური მსჯელობით მკვლევარმა საბოლოოდ დაადასტურა ზემოთქმულის უტყუარობა.

5. რელიგიური თემატიკა და ისევარულის სიმბოლურ-ალეგორიული გამოხატულება. ავტორის სიტყვით, „ამ თემაზე საკმაოდ ბევრია დაწერილი, მაგრამ მთავარი და საყვანო საკითხები სათანადოდ გადაჭრილი არ არის“. სარეცენზიო ნაშრომში — ქართული თუ არაქართული მასალებით — წარმოჩენილია ვახტანგის სარწმუნოებრივი სიმტიკე — იგი წარმოდგენილია ქრისტიანობისათვის თავდადებულ მოღვაწედ. შემდეგ ნაჩვენებია, თუ ქრისტიანულ



მომდგრებაში ღრმად განსწავლული მორწმუნე პოეტის შემოქმედებაში, კერძოდ პოეზიურ მემკვიდრეობაში როგორ აისახა მისი რელიგიური განწყობილება (განხილულია „ამირნასარიანი“, „სატრეპტულიანი“, „სალუნად გულისა“ და სხვ.), დაუსტებულა სამეცნიერო თუ სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურაში გავრცელებული ზოგიერთი დებულება, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ვახტანგის სატრეპტული ლირიკასა და სამიწერო შეხედულებებს, რომლებიც ქრისტიანობასთანაა დაკავშირებული.

ამ ქვეთავში მკვლევარმა არაერთი საინტერესო დაკვირვება შემოგვთავაზა, ზოგიერთი მათგანი სარწმუნოდც გვეჩვენა, მაგრამ ასი წლის წინანდელი ერთი ეპიზოდი, კერძოდ, ვაჟა-ფშაველასა და ა. ხახანაშვილის კამათიც მოგვაგონა. ვაჟას სიტყვით, ა. ხახანაშვილმა, — ნაცვლად იმისა, რომ ჭერ დაძებნა საბუთები და მათ საფუძველზე შეეშუშავებინა დასკვნა, — „წინასწარ შედგენილის აზრით დაიწყო საბუთების კვლევა-ჩხრეკა“.

6. უკანასკნელ ქვეთავში საუბარია ვახტანგის პოეზიაში პატრიოტული მოტივის შესახებ — მოხმობილია ვრცელი ციტატები სამეცნიერო ლიტერატურიდან, განხილულია ვახტანგის სტროფები თუ ტაეპები, შემუშავებულია ორიგინალური დასკვნა — ჭერ სწორია: „თავისი საქმიანობითა და შეგნებით ვახტანგს მეექვსე მშობლიური ქვეყნისა და ხალხისადმი ნიადავ მზრუნველ, თავდადებულ ერისკაცად გვევლინება... მაგრამ ერთია მწერალი-მოქალაქის სიყვარული თავისი ქვეყნისა და ხალხისადმი, პატრიოტული თავდადება და მეორეა მისი მწერლობაში გამოხატვა“, შემდეგ საკამათო: „პატრიოტული მოტივი თანამედროვე გაგებით ვახტანგ მეექვსის პოეტურ შემოქმედებაში არ დასტურდება“.

ამ მოსაზრებაზე კამათს არ დაიწყებთ, რადგან ამის აზრი არა აქვს. როგორც ჩანს, ბ. დარჩიასა და ჩვენ (ვინაა ეს ჩვენ? ქ. აველიძე, ა. ბარამიძე, ვ. დონდუა, თ. ჭყონია, ს. ცაიშვილი, გ. მიქაძე, გ. პაიჭაძე, ლ. მენაბდე და სხვ.) პატრიოტიზმი სხვადასხვაგვარად გვესმის. რა ვქნათ, პატრიოტული ლოზუნგები ვახტანგის პოეზიაში მართლაც არაა, მაგრამ ამის გამო ამ პოეზიის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა არ უნდა დაგვანინოთ და მისი ეროვნული, მამულიშვილური ქვეყნობა არ უნდა უგულვებელყოთ. ჰეშმარიტების ძიებისას მეტი სიფრთხილე გეპაროთეს.

მეორე წიგნის მესამე ნაწილი — „ვახტანგ მეექვსის ვერსიფიკაციული ძიებანი“ — ორი პარაგრაფისავე შედგება. პირველში („ვახტანგი — ქართული ლექსოწყობის განმაახლებელი“) ნაჩვენებია, რომ ვახტანგი „ქართული ლექსის ვერსიფიკაციული განახლების სათავეებთან დგას. ეს დიდი ლიტერატურული, ეროვნულ-კულტურული პროცესი მიმდინარეობდა და ყალიბდებოდა მის თვალწინ, მისი სამეფო კარის ირგვლივ შემოკრებილ და მისი მფარველობის ქვეშ მყოფ მწერალთა წრეში — სულხან-საბა ორბელიანის, მ. ბარათაშვილის, დ. გურამიშვილის შემოქმედებაში, — ვახტანგის ყოველმხრივი, მიზანსწრაფული და აქტიური მონაწილეობით“.

მეორე პარაგრაფში, რომელსაც „ვახტანგ მეექვსე და მამუკა ბარათაშვილის „ჰაშნიკი“ აწვრთბა, ავტორი. — წინააღმდეგ საკმაოდ გავრცელებული აზრისა (გ. ლეონიძე, ქ. აველიძე, ა. ბარამიძე, გ. ჭიბაძე, ვ. შადური, დ. ბრეგვაძე, დ. ლაშქარაძე, ა. ხინთიბიძე, გ. პაიჭაძე და სხვ.), — ამტკიცებს, რომ „ჰაშნიკი“ ვახტანგის დაველებით არ არის დაწერილი. მისი სიტყვით, „არავითარი ხელჩასაქმდი საბუთი არ არსებობს იმ აზრის დამადასტურებლად, რომ მ. ბარათაშვილის „ჰაშნიკი“ ვახტანგ მეექვსის დაველებით იყოს დაწერილი“.

ყოველივე ეს სწორია და ანგარიშგასაწევი, მაგრამ, ჭერ ერთი, როგორც ცნობილია, საბუთის არარსებობა არარსებობის საბუთად ყოველთვის არ გამოდგება და საკამარისი არაა, მეორე, რადგან „ქარვად ჩანს, — როგორც ბ. დარჩია აღნიშნავს, — რომ ვახტანგს დიდი ინტერესი და ყურადღება გამოუჩენია „ჰაშნიკისადმი“, საგანგებოდ შეუთხოვეს სხვადასხვა ფორმის ლექსები, დაურთავს მისთვის და ამით გაუმდიდრებია მისი ქრესტომათიული ნაწილი“, ეგებ სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული აზრი, მიუხედავად კონკრეტული საბუთის არარსებობისა, არ იყო სულ მდარაი?!

ასეთია ზოგადად სარეცენზიო ნაშრომის შედგენილობა, ასე გვესახება ჩვენ მისი ღირსება-ნაკლოვანება. რასაკვირველია, მის დადებით მხარეებზე კიდევ შეიძლება საუბარი, მაგრამ ამის საჭიროება, ვფიქრობთ, აღარ უნდა იყოს. არც შენიშვნებისა თუ სურვილების რიცხვის გაზრდაა ძნელი (მაგალითად, ჩვენი აზრით, ზოგჯერ გაუგებარია წყაროების გამოყენების პრინციპი, უხეჩბულად გვეჩვენება ზოგიერთ მკვლევართან კამათის თავისებური ფორმის გამოყენება, ტენდენციური ჩანს რამდენიმე სპეციალური ნაშრომის უგულვებელყოფა და სხვ.), მაგრამ ეს არაა მთავარი. მთავარი და არსებითი ისაა, რომ ჩვენს ხელთაა მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული ნაშრომი.

რამდენიმე წლის წინ (19. X. 1975), როდესაც სადოქტორო დისერტაციას იცავდა გ. შარაძე, ჩვენ განაცხადეთ, შემდეგ დაბეჭდეთ კიდევ შეიძლება საუბარი, მაგრამ ლიტერატურის შემსწავლელ მკვლევართა ჯგუფს შემომატენ ახალგაზრდა მუშაკები, რომელთა საქმიანობა უკვე ამთავითვე მოწონებას და მაღალ შეფასებას იმსახურებს. ვინც



თვალს ადგენებს ძველი ქართული ლიტერატურის მეცნიერულ შესწავლა-დამუშავებას და ეცნობა სპეციალურ ლიტერატურას, უთუოდ კარგად იცის, რომ ახალგაზრდა მეცნიერებს მ. გიგინეიშვილმა, ლ. გრიგოლაშვილმა, ე. ხინთიბიძემ, რ. სირაძემ, გ. შარაძემ, გ. თაყაიშვილმა, მ. რაფაელმა, ბ. დარჩიამ და სხვებმა — უკვე შესამჩნევი წვლილი შეიტანეს ძველი ქართული ლიტერატურის პრობლემატიკის დამუშავებაში. ეს უცილობელი ფაქტია და ამის შეუმჩნეველობა არაეის ევატიება“.

მოხარული ვარ, რომ ამ სიტყვების გამეორება დღესაც ეყავოფილებით შეგვიძლია. დასახელებულ იმედის მომცემ მკვლევართაგან ყველამ გაამართლა. მათში ბ. დარჩიას დამსახურება გამორჩეულია.

ლევან მინაბდე

ახალი წიგნები

ბამონციველობა „მაცნობის“

შოთა აგლაძე, მიხეილ ჯავახიშვილის რომანები.
რედაქტორი გ. ლომიძე.

ნაშრომში განხილულია მიხეილ ჯავახიშვილის რომანები: „კვაჭი კვაჭანტირაძე“, „ჯაყოს ხიზნები“, „თეთრი საყვლო“, „გივი შადური“, „არსენა მარაბდელი“, „ქალის ტვირთი“. ყურადღება ექცევა იმ მთავარსა და არსებითს, რის წყალობითაც მწერალმა ლირსეული ადგილი დაიმკვიდრა ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

ნაშრომი ეძღვნება მიხეილ ჯავახიშვილის დაბადების 110-ე წლისთავს და განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის.

94 გვ., ფასი 90 კაპ., ტირაჟი 4000.

გივი ახვლედიანი, XIX საუკუნის ქართველი ისტორიკოსები და ფოლკლორი.
რედაქტორი ჯ. ბარდაველიძე.

ნაშრომში შესწავლილია XIX საუკუნის ქართველი ისტორიკოსების (იოანე ბატონიშვილი, თეიმურაზ ბაგრატიონი, პლატონ იოსელიანი, სულხან ბარათაშვილი, დიმიტრი ბაქრაძე, მოსე ჯანაშვილი) თხზულებათა ფოლკლორული წყაროები; ისტორიული და ზეპირსიტყვიერი მასალების შედარებითი ანალიზის გზით გარკვეულია ფოლკლორული წყაროს წარმომავლობა; ნაჩვენებია ისტორიკოსთა დამოკიდებულება ზეპირსიტყვიერებასთან, პოეტური ფოლკლორის მნიშვნელობა ისტორიული მეცნიერებისათვის; მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ისტორიკოსების ფოლკლორულ-შემკრებლობითი მოღვაწეობის მიმოხილვას.

ნაშრომი გათვალისწინებულია სპეციალისტ მკვლევართათვის და აგრეთვე მშობლიური ისტორიის, მწერლობისა და ხალხური პოეტური შემოქმედების საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

112 გვ., ფასი 1 მან 10 კაპ., ტირაჟი 1800.

მაყვალა გაჩეჩილაძე, გაზეთი „ცნობის ფურცელი“.
რედაქტორი შ. სააკაძე.

წიგნი მოიცავს გაზეთ „ცნობის ფურცლის“ ისტორიას მისი დაარსებიდან (1896 წ. 20 ოქტომბერი) დახურვამდე (1906 წ. 26 მარტი). რედაქტორ-გამომცემელთა მიერ პოლიტიკური სიტუაციისადმი დამოკიდებულების და თვით გაზეთის პროგრამის მიხედვით „ცნობის ფურცლის“ მოღვაწეობა წარმოდგენილია სამ პერიოდად.

პირველ პერიოდში გაზეთი მხოლოდ საცნობარო ხასიათისაა, რედაქტორ-გამომცემელია ვალ. გუნია. მეორე პერიოდში გაზეთი პოლიტიკურ-ლიტერატურული დანიშნულებისაა, გამომდის გაფართოებული პროგრამით. რედაქტორია ალ. ჭყონია, შემდეგ — ალ. ჯაბადარი. მესამე პერიოდში გაზეთი გახდა სოციალ-ფედერალისტთა ორგანო, რედაქტორ-გამომცემელია ალ. ჯაბადარი.

წიგნი ფართოდაა წარმოდგენილი გაზეთის პირველი პერიოდის მოღვაწეობიდან ყველაზე უმნიშვნელოვანესი საკითხი — ი. ჭავჭავაძის საუბილგო მასალის ანალიზი.

96 გვ., ფასი 1 მან., ტირაჟი 3200.

622930

ფანი 1 მან. 20 კპ.



ინდექსი 76198
ქართული
საქართველო

5-007